

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

2
2014

ბიზნეს-ინჟინერინგი

Business-Engineering

ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

uak (UDC) 338.22+62
b-666

№ 2 2014 წელი

ა. სიჭინავა (მთავარი რედაქტორი)
შ. ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ა. ქუთათელაძე (ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი)
თ. ლომინაძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია: ნ. აბესაძე, გ. აბდუშელიშვილი, გ. აბრამიშვილი, რ. არველაძე, ე. ბარათაშვილი, ბ. ბარკალაია, თ. ბაციკაძე, ბ. ბოქოლიშვილი, ზ. გასიტაშვილი, ი. გაბისონია, ჯ. გახოკიძე, ლ. გვასალია, ა. გლუშეცკი (რუსეთი), ივ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, უ. დემირაი (თურქეთი), ც. დურული (გორი), მ. ეფიმიჩენკო (რუსეთი), ზ. ვაშაყიძე, რ. ვინთერი (შვეიცარია), ო. ზუმბურდიე, დ. თავხელიძე, ლ. იმნაიშვილი, ა. ინგროოყვა, კ. ისაევა (ყაზახეთი), პ. იონი (გერმანია), რ. შენგელია, ირ. ვოუთერ თენ ჰაფი (ნიდერლანდი), ი. კაკუბავა, ზ. კოვზირიძე, ი. კვესელავა, ლ. კლიმიანოვი, პ. კოლუაშვილი, ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი (ქუთაისი), ზ. ლომსაძე, ი. ლომიძე, გ. მალაშხია, მ. მამნიანოვი, მ. მაცაბერიძე, ვ. მინასიანი (რუსეთი), გ. მჭედლიშვილი, შ. ნაჭყებია, რ. ოთინაშვილი, მ. პისანიუკი (მოლდოვა), ი. შორდანია, გ. სალუქვაძე, დ. სეხნიაშვილი, გ. სოსიაშვილი (გორი) კ. სობაძე, რ. სტურუა, უ. სულეიმანოვი (ყაზახეთი), გ. ტყემელაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ლავთაძე (ქუთაისი), ლ. ლოლელიანი, მ. ჩიქავა, ნ. ჩიხლაძე, დ. ჩომხაძე, ა. ჩხეიძე, ბ. ცხადაძე, გ. ძიძიგური, გ. ძლიერიშვილი, ნ. ხუნდაძე, ჯ. ჯანაშია, დ. ჯაფარიძე, გ. ჯავახიძე, დ. ჯანგულაშვილი, გ. ჯოლია.

EDITOR : A. Sichinava

DEPUTY OF CHIEF EDITOR: Sh. Veshapidze

TECHNICAL EDITOR: A. Kutateladze

DEPUTY EDITOR: T. Lominadze

EDITOR STAFF: N. Abesadze, G. Abdushelishvili, G. Abramishvili, R. Shengelia, R. Arveladze, E. Baratashvili, B. Barkalaia, T. Batsikadze, B. Boqolishvili, M. Chikava, N. Chikhladze, D. Chomakhidze, A. Chkheidze, U. Demirai (Turkey), C. Duruli (Gori), G. Dzidziguri, G. DzlieraSvili, M. Efimchenko (Russia), A. Frangishvili, I. Gabisonia, J. Gakhokidze, Z. Gasitashvili, L. Gvasalia, G. Gavitadze (Kutaisi), A. Glushetsky (Russia), L. Gogeliani, I. Gorgidze, I. Gujabidze, L. Imnaishvili, A. Ingorokva, K. Isaeva (Kazakhstan), J. Janashia, D. Jangulashvili, D. Japaridze, G. Javakhadze, P. John (Germany), G. Jolia, I. Jordania, I. Kakubava, L. Klimia-shvili, P. Koguashvili, N. Khundadze, I. Kveselava, Z. Kovziridze E. Lobanova (Russia), I. Lomidze, Sh. Lominashvili (Kutaisi), Z. Lomsadze, G. Malashkhia, M. Mamniashvili, M. Matsaberidze, V. Minasian (Russia), G. Mchedlishvili, O. Mraz (Czech Republic), Sh. Nachkebia, R. Otinashvili, M. Pisaniuk (Moldova), L. Qarchava, R. Qutateladze, G. Saluqvadze, K. Sokhadze, G. Sosiashvili (Gori), R. Sturua, J. Suleimanov (Kazakhstan), D. Tavkheldidze, G. Tkeshelashvili, B. Tskhadadze, Z. Vashakidze, R. Winter (Sweden), Ir. Wouter Ten Haap (Netherlands), O. Zumburidze.

პასუხისმგებელი რედაქტორი: დალი სეხნიაშვილი

გარეკანის დიზაინის ავტორი: დალი სეხნიაშვილი

ტექნიკური რედაქტორები: თეა მაისურაძე, თამარ ლაგვილავა

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიის მიყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 615^ბ.

ტელ.: 595 71 91 77; 599 51 80 84;

555 36 61 01; 595 22 11 25; 032 2 365391.

www.Business-Engineering. bpengi.com

ელ-ფოსტა: info@bpengi.com

Editorial office address:

Georgian Technical University

Tbilisi, Kostava str. 77. 615^b.

Tel.: 595 71 91 77; 599 51 80 84;

555 36 61 01; 595 22 11 25; 032 2 365391;

www. Business-Engineering. bpengi.com

E-mail: info@bpengi.com

ISSN 1512-0538

ISSN 1512-0538

ს ა რ ჩ ე ზ ი

ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები

დავით იაკობიძე მოსაზრებები ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტთა მომზადების სასწავლო პროგრამის შესახებ	7
მაია ქედია, ნატალია ტაბიძე ეფექტური სწავლების მეთოდები.....	21
ევგენი ბარათაშვილი, მანანა მარიდაშვილი, ირმა მახარაშვილი ცოდნის საზოგადოება და ცოდნის ეკონომიკა თანამედროვე მენეჯმენტის განვითარებაში.....	25
მაყვალა სხირტლაძე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების თავისებურებები თანამედროვე საქართველოში	30
Какауридзе Натела, Чахвашвили Дали Управление и реинжиниринг современных производственных процессов	33
გურამ ჯოლია იდეების გენერაციის კრეატიული (შემოქმედებითი) მეთოდი	36

ეკონომიკის და ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები

<i>Георгий Малашихя</i> Теория благосостояния и рациональный потребитель	56
გიორგი ცაავა, თამარ საყვარელიძე საოპერაციო რისკების მართვის სრულყოფის თავისებურებები თანამედროვე პირობებში	61
ლაშა გუგუშვილი IT-აუტოსორსინგის გავლენა ბიზნესის განვითარებაზე	65
მარინა ბალათურია მცირე ბიზნესის განვითარება დაბეგვრის სისტემის სრულყოფით საქართველოში	70
გიორგი ნანუაშვილი, ლალი სადალაშვილი, თამარ ლაგვილავა საქართველოსთვის გამოყოფილ ვალებთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი	72
ია ჯიმშიტაშვილი ანტიკრიზისული მართვის ელემენტები თანამედროვე ორგანიზაციებში	77
მაყვალა სხირტლაძე უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკაში - მნიშვნელობა, პრობლემები, პერსპექტივები	82
ლამარა მინდორაშვილი საქართველოს რეინიგვის ისტორია და განვითარების პერსპექტივა	84

ბიზნეს-ინჟინერინგი საბანკო ტექნოლოგიებში

ნათია ჯანელიძე
საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდები და კრედიტუნარიანობის
განსაზღვრის პრაქტიკები დასავლური ქვეყნების მაგალითზე 86

თამარ ლაგვილავა
ეროვნული ბანკის ურთიერთობა კომერციულ ბანკებთან და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე..... 91

თეა მაისურაძე
კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასება 93

დავით კერესელიძე
საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის განვითარების თავისებურებები..... 96

გ. მჭედლიშვილი, ნ. ჩხუბანიშვილი, შ. ანდლულაძე
ეკოლოგიური აუდიტი. მისი მიზანი, ამოცანა და მნიშვნელობა 99

Андрей Глушецкий
**БАНКОВСКАЯ ГАРАНТИЯ ПО ПУБЛИЧНОЙ ОФЕРТЕ ЗАКОНОДАТЕЛЬНОЕ
НЕДОРАЗУМЕНИЕ** 102

Елена Лобанова
Анализ финансовых рисков 111

ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

Кетеван Квеселава, Лиана Тедешвили, Ана Бузаладзе, Гиорги Самарганишвили
Роль новых информационных технологий в современной экономике и бизнесе 118

სოფიო ბარათაშვილი, დავით წამალაშვილი
ინოვაციური მიდგომა რთული ობიექტების მოდელირებისათვის 122

ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

მაია რუხაძე
რეფორმები საქართველოს ელექტროენერგეტიკაში: მოკლე ისტორია და თანამედროვე გამოწვევები 125

Бараташвили С.И.
**НОВАЯ МОДЕЛЬ УСТАНОВЛЕНИЯ ТАРИФОВ НА ПРИРОДНЫЙ ГАЗ
НА ОСНОВЕ НЕЧЕТКИХ МНОЖЕСТВ** 128

გ. ტაბატაძე, ნ. ხუნდაძე, გ. კახაძე
მსოფლიო ენერგეტიკული ტრენდები..... 132

К. Арчвадзе, Н. Багдавадзе, Г. Мегрелидзе, И. Чачава
**ЭНЕРГЕТИЧЕСКАЯ ОЦЕНКА ГЕЛИОСУШИЛЬНЫХ УСТАНОВОК
И РЕЖИМОВ СУШКИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ ПРОДУКТОВ** 137

ეკონომიკური პროცესების მოდელირება

Бузаладзе А.З., Мачарадзе Т.Д., Мильников А.А РАЗРЕШАЮЩАЯ СПОСОБНОСТЬ ОЦЕНОК ПСЕВДОСПЕКТРОВ ВРЕМЕННЫХ РЯДОВ С ДЕТЕРМИНИРОВАННЫМИ ПЕРИОДИЧЕСКИМИ КОМПОНЕНТАМИ	141
გენადი იაშვილი, თინათინ იაშვილი კონფლიქტური სიტუაციის მოდელირება ორგანიზაციებში	146
ნატო ჩიკვილაძე მეთოდისა და მეთოდოლოგიის პრობლემა მეცნიერულ კვლევაში	150
დემნა კვარაცხელია საქართველოში ეკონომიკური ზრდის თავისებურებანი 2013 წელს	160

ბიზნეს-ინჟინერინგი სოფლის მეურნეობაში

ჯემალ მაჭავარიანი, თენგიზ ურუშაძე, ნოდარ ჭითანავა, რუსუდან ფირცხალავა საქართველოს ნიადაგების რესურსული პოტენციალი — მათი გამოყენების და დაცვის პრობლემები.....	168
---	-----

სამართალი და პოლიტიკა

გივი აბაშიძე ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესში.....	171
ნინო ფიფია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და სასამართლოსთან ურთიერთობა.....	176
Николаенко Наталия ЮРИДИЧЕСКОЕ НАПОЛНЕНИЕ ИДЕЙ СОЛИДАРИЗМА В ТРУДАХ Г.К. ГИНСА	179
Багратиони Лашა Анализ положительных и отрицательных сторон законодильной базы для инвестирования в Грузии	184

ბიზნეს-ინჟინერინგი ტრანსპორტში

ნუგზარ ნავაძე, ზურაბ მაჩიტაძე სამგზავრო ტარიფების შემუშავების მეთოდოლოგია და მისი რეგულირების ღონისძიებები	191
---	-----

ბიზნეს-ინჟინერინგი ფარმაციაში

Nodar Sulashvili The Features of Professional Career Improvement Strategy and Job Satisfaction among Pharmacists	195
--	-----

ბიზნეს-ინჟინერინგი სამთრ-ბიოლოგიაში

ნუგზარ წერეთელი, ქეთევან წერეთელი, მაია მშვილდაძე ჭიათურის მანგანუმის მადნების რაციონალური გამოყენების შესახებ.....	200
--	-----

Gujabidze I.K., Barabadze T.G., Managadze R.G.
Underground Gas Storage in Georgia205

**„სტუმენტთა მე-82 ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში“
გამარჯვებულ სტუმენტთა სტატიები**

ელენე მენაბდე — ჯობაძე, მაია ბენია, ლაშა მამულაშვილი
ტექნოლოგიური პროგრესი — მითი თუ რეალობა? 208

ელენე მენაბდე — ჯობაძე, მაია ბენია, ნიკოლოზ კინმარიშვილი
თავისუფალი ინდუსტრიული ზონების (თიზ) მნიშვნელობა საქართველოსთვის 211

ახალი წიგნები:

ბადრი ცხადაძე
ქართული სახელმწიფო, კაცობრიობა და გლობალიზაცია მეცნიერულ თვალსაზრისში (რეცენზია) 214

ლოიდ ქარჩავა, ნუგზარ ბაბუაძე
პროფესორ ირინა გუროვას “მსოფლიო ეკონომიკა” ქართულ ენაზე გამოცემა (რეცენზია) 217

ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული საპექტები

მოსაზრებები აკომაიკური სპეციალისტის სტუდენტთა მოზაიკის სასწავლო პროგრამის შესახებ

დავით იაკობიძე, სტუ-ს პროფესორი

1. შესავალი

საქართველოში მიმდინარე განათლების რე-
ფორმის პრინციპები, შეიძლება ითქვას, საფუძ-
ვლიანია, ეყრდნობა ევროპულ და ამერიკულ
გამოცდილებას¹ და ამ თვალსაზრისით, იგი მისაღე-
ბია. აქვს ნაკლოვანებები², რომელზედაც მრავალი
სპეციალისტი უთითებს. მაგრამ, უმჯობესია კარგი
საქმეები ვაკეთოთ ცუდად, ვიდრე ცუდი საქმეები
ვაკეთოდ კარგად. კარგი საქმეების კეთების დროს
თანდათანობით ვასწავლობთ, როგორ ვაკეთოთ კარ-
გად. ცუდი საქმეების კარგად კეთება კი, აუცილე-
ბლად, მხოლოდ ნეგატიურ მოვლენებთან მიგვიყვანს.
ასეთია საქართველოში მიმდინარე განათლების
რეფორმაზე დაკვირვების პირველადი, იმედისმომ-
ცემი დასკვნა.

მიუხედავად ამისა, დღეს, საქართველოს უმაღ-
ლესი განათლების³ სისტემის რეფორმა თავისთავად,
მხედველობაში მაქვს ძირითადად უმაღლესი სკოლა,
სახელმწიფოს არასაკმარის ძალისხმევად მიმაჩნია.
რადგანაც განვლილმა პერიოდმა დაგვარწმუნა, რომ
ამჯერად, საჭიროა არა რეფორმა, არამედ უმაღლე-
სი განათლების მთელი სისტემის ტრანსფორმაცია.
რეფორმა ნიშნავს, რაიმეს განვითარების მექანიზმე-
ბისა და ინსტიტუციონალური სტრუქტურის ცვ-
ლილებებს, მისი არსებობის განახლებული ფორმის
შესაძენად. ხოლო ტრანსფორმაცია არის, სისტემის
მიზნობრივი ამოცანის ცვლილებიდან გამომდინარე⁴,

1 საქართველო 1993 წლიდან მონაწილეობს ერთიანი,
ევროპული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბების მიმა-
რთულებით მიმდინარე რეფორმებში. ხოლო 2004 წლიდან ევ-
როკავშირისა და ევროგაერთიანების აქტიური ფინანსური და
ტექნიკური მხარდაჭერით ანხორციელებს განათლების ეროვნული
სისტემის გარდაქმნებს.

2 ბევრი დაინერა, განათლების რეფორმასთან დაკავშირე-
ბით განხორციელებულ ნაჩქარევ გარდაქმნებზე. მკვეთრ, ხშირად
ბოლომდე გაუაზრებელ ნაბიჯებზე, რომელიც უკავშირდებოდა
საკადრო საკითხებს და სასწავლო პროგრამებს.

3 ტერმინი “უმაღლესი განათლება” სულ უფრო ხშირად
ხდება კრიტიკის საგანი და ცდილობენ იგი ჩაანაცვლონ სხვა, სხვა
უფრო ტევადი ტერმინით და ასეთად მიაჩნიათ სიტყვაშეთანხმება
“საუნივერსიტეტო განათლება”. ჩვენ არ შევდივარ დისკუსია-
ში აღნიშნულ საკითხზე, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ არსებობენ
ისეთი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც თავიანთი შინაარ-
სით არ არიან უნივერსიტეტები. მაგალითად კონსერვატორია, ბი-
ზნეს სკოლა, სამხედრო სასწავლებლები, სამხატვრო აკადემიები
და ა.შ. იხ. ამ საკითხზე **გურამ ბერიშვილის** ნაშრომები.

4 ტერმინების “რეფორმა” და “ტრანსფორმაცია” აზრო-
ბრივი გამიჯვნა და მათი, გამოყენება ჩვენს ტექსტში განსაზ-
ღვრული შინაარსით უკავშირდება, ამერიკელი სისტემოლოგისა

არსებობის ფორმის განახლება. როგორც ცნობილ-
ია, ძველ ტიკებში ახალ ღვინოს არ ასხამენ. აქედან
გამომდინარე, უმაღლესი სკოლა საჭიროებს, არა იმ-
დენად ფუნქციონირების მექანიზმების ცვლილებებს,
რომელზედაც აქცენტი კეთდება დღეს, არამედ სა-
კუთარი მისიის განსაზღვრისა და აქედან გამომდი-
ნარე მიზნობრივი ამოცანების დადგენას, ამ პრო-
ცესის ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას. ეს
ბოლო, უმთავრესია, რადგან წინსვლა დამოკიდებუ-
ლია მომავლის სწორ გააზრებაზე და აქტიობაზე,
იმ პირთა მიერ, რომლებიც პასუხისმგებლობას იღე-
ბენ უმაღლესი სკოლის განვითარებაზე.

უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე გარდაქმ-
ნების ნაკლოვანებათა შორის უმთავრესია: საკ-
ითხების გადაჭრისადმი იმპროვიზირებული, შე-
საბამისად გაუაზრებელი, ბოლომდე გაუთვლელი
მიდგომები, რომლებიც გვაშორებს სასურველ შედე-
გებს და არ გვაახლოებს მას. არ მიგვაჩნია სასურ-
ველად ისიც, რომ არ არსებობს ქვეყნის, ერთიანი
სტრატეგიული განვითარების მიდგომათა ფარგლებ-
ში, გამოყოფილი, განათლების სახელმწიფო პოლი-
ტიკა. ასეთი გარემოება კი ქვეყანას ზომავზე მეტად
ხდის სხვაზე, თუნდაც კეთილშობილი სურვილებით
გამსჭვალულ პარტნიორებზე, დამოკიდებულს, რაც
აღბათ, მისასალმებელი არ არის⁵. გარდა ამისა, ბა-
ტონობს ბაზრის ყოვლისშემძლეობისა და მისი, „ჯა-
დოსნური“, მარეგულირებელი შესაძლებლობებში
უყოყმანოდ დარწმუნებულობის სულისკვეთება, რაც
კონკრეტულ მიზნებს არა, თუ გვაშორებს არამედ,
მათი დასმის საჭიროებიდანაც გვანთავისუფლებს⁶.
ნათლად ჩანს უმაღლესი განათლების მნიშვნელო-
ბის შეუფასებლობა მისადმი სახელმწიფოებრივი
დამოკიდებულების სუსტი ძალისხმევებით. აბა რას
უნდა მივანეროთ ის ფაქტი, რომ საქართველოს 2014
და მენეჯმენტის თეორეტიკოსის, რასელ აკოფის შემოქმედებას.

5 მართლაც, ევროკავშირის ფარგლებში, მათი ძლიერი
ტექნიკური დახმარების მეშვეობით მიმდინარე გარდაქმნებში,
ნაკლებად აისახება, ქვეყნის კულტურულ-ისტორიულ თავისე-
ბურებზე. ამიტომ, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ინ-
ჟინერების, აგრონომების, ვეტერინარების მოზაიკების რეალური
მდგომარეობა.

6 დღემდე არ არსებობს სისტემა, რომელიც გან-
საზღვრავდა, თუ რა რაოდენობისა და სპეციალობის
კადრები გვესაჭიროება. რა ფუნქციური მნიშვნელობა ეკი-
სრება ცალკეულ სასწავლო დისციპლინებს და როგორი
მხარდაჭერა უნდა შეექმნათ მათი სამეცნიერო უზრუნვე-
ლყოფისათვის.

წლის სახელმწიფო ბიუჯეტში უმაღლესი განათლების მხარდაჭერისათვის გამოყოფილია სახსრები ნაკლებია, ვიდრე პენიტენციური სისტემისათვის განსაზღვრული ასიგნებები. შემთხვევით არ მომყავს ეს შედარება, საქმეში ჩახედულმა ხალხმა იცის, რომ ეს ორი სისტემა საბაზრო მეურნეობის პირობებში, საზოგადოებრივად აქტიური კადრების სამჭედლოა. ისინი, როგორც ცნობილია, საზოგადოებას აწვდის კვალიფიციურ კადრებს: პირველი, კეთილი საქმისათვის, ხოლო მეორე „შავი“ ბაზრისათვის.

მთლიანად, უმაღლესი სკოლის ტრანსფორმაციის პრობლემის გადაწყვეტისათვის და მისი განხორციელების ღონისძიებათა სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობებს მოკლებული ვარ, რადგან იგი ვერ შემუშავდება გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსის გარეშე⁷, მაგრამ ამ თვალსაზრისით, შესაძლებლად მიმაჩნია, გამოვთქვა რამოდენიმე მოსაზრება საქართველოში ეკონომიკურ სპეციალობაზე კადრების მომზადების შესახებ, კერძოდ, ყურადღება გავამახვილო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ამ სასწავლო პროგრამის შემდგომი სრულყოფის პრობლემებზე.

2. სრულყოფილი განათლების პრობლემა

სანამ კითხვას, თუ რას გულისხმობს სრულყოფილი განათლების სისტემა გავცემთ პასუხს, საჭიროდ მიგვაჩნია გაიკვეს „ეკონომისტის“ სპეციალობის ადგილი და როლი უმაღლესი განათლების სისტემაში. პირველყოფილსა უნდა აღინიშნოს, რომ „ეკონომიკა“ არის, „ბიზნეს ადმინისტრირებასა“ და იურიდიულ სპეციალობებთან ერთად, საქართველოს ახალგაზრდობისათვის, მეტად მიმზიდველ და სასურველ სასწავლო მიმართულება. საქართველოს, თითქმის, ყველა უნივერსიტეტში არსებობს ეს სპეციალობა და მას ეუფლება ქართველ სტუდენტთა, თითქმის 25 პროცენტი.

სპეციალობის ასეთ პოპულარობას თავისი მიზეზები აქვს, რომელიც, ძირითადად ახალგაზრდობის პროფორიენტაციის დაბალი ხარისხიდან და უნივერსიტეტების მარკეტინგული პროგრამების შრომის ბაზარის მოთხოვნებისადმი შეუთავსებლობიდან მომდინარეობს. ეს გასაგებიცაა, დღევანდელი მცირე საფინანსო რესურსების მქონე უნივერსიტეტები მიიღებენ იაფი სასწავლო ტექნოლოგიებისაკენ. ეკონომისტის მომზადებას ხომ მარტო კომპიუტერი, მერხი და აუდიტორია ესაჭიროება, მაშინ როდესაც ვეტერინარის მომზადება დაკავშირებულია სხვა სპეციფიკურ ხარჯებთან. მაგალითად, ძროხის ანატომიის შესწავლისათვის მისი გვამის ფიზიკურად არსებობასა და სასწავლო დამუშავებასთან. სასურველია, თუ არა ეკონომიკური პროფილის სპეციალობების ასეთი პოპულარობა, მაშინ როდესაც

7 ბატონი გია დვალის კონცეფციის შექმნისა და განხილვის პროცესს მთელი ქვეყანა ადევნებდა თვალს, მაგრამ აქედან გამომდინარე ინსტიტუციური ცვლილებები დღის წესრიგში ვერ დადგა.

უამრავ სფეროებში კადრები გვაკლია? ეს კითხვა მნიშვნელოვანია, მას აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი, მაგრამ, რადგან დღეისათვის, ფაქტია უმაღლეს სასწავლებელთა სპეციალიზაციაში გარკვეული ჰიპერტროფიულობა, სასწავლო პროცესის სრულყოფის პრობლემა ხდება განმსაზღვრელი, „ეკონომიკისა“ და „ბიზნეს ადმინისტრირების“ სპეციალობის მქონე უნივერსიტეტებს შორის კონკურენტული ურთიერთობების მოწესრიგებისათვის, თვითოეული მათგანის ადგილისა და როლის განსაზღვრისათვის სამუშაო ძალის ბაზარზე.

მაღალი უმუშევრობის დონის ქვეყანაში, ცნობილია, რომ საქართველოც ასეთი კატეგორიის ქვეყნებს განეკუთვნება, უმაღლეს განათლებას გარდა იმისა, რომ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მოვალეა აკისრია, სხვა სოციალური ხასიათის პრობლემების გადაჭრაც ევალება. საშუალო სკოლა⁸ დამთავრებული ახალგაზრდები ვერ საქმდებიან, როგორც წესი მათ შრომითი უნარ ჩვევები აკლიათ და არა აქვთ სპეციალობები, ამიტომ ისინი უაღრესად დაძაბულ სოციალურ ფონს ქმნიან საზოგადოებაში. ასეთი ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილების ერთერთი, თუ ერთადერთი არა, გზა არის უმარლესი სკოლა . ამიტომ უმაღლესი განათლების სისტემას ირიბად ეკისრება, გადაჭრას 18 დან 24 წლამდე ახალგაზრდების საზოგადოებაში სოციალური ადაპტაციის საკითხები, დაეხმაროს მათ, შრომითი პერსპექტივების განსაზღვრაში. ეს არა მარტო საქართველოს პრობლემაა, არამედ აღიარებული მსოფლიო მასშტაბით, როგორც ადამიანის განვითარებაზე ზემოქმედი ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამიტომ, გაეროს რეკომენდაციებით, ადამიანის განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებელთა სისტემაში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უწყვეტი განათლების სისტემას⁹ და საგანმანათლებლო სივრცეში 24 წლამდე ახალგაზრდობის ჩართულობის მაჩვენებელს.

ეკონომიკის მიმართულებით, როგორც ბაკალავრიატში, ისე მაგისტრატურაში, სასწავლო პროცესის სრულყოფა, იმ უნივერსიტეტების საქმეა, სადაც ეს სწავლებაა ორგანიზებული. სწავლების ორგანიზება, როდესაც არსებობს საზოგადოებრივი დაკვეთა კადრებზე, იურიდიული თვალსაზრისით, არც თუ რთულია. ამის მიზეზია ის, რომ უმაღლესი განათლებაც განიხილება, როგორც ბიზნეს საქმიანობა და არ არსებობს მისი მარეგულირებელი სპეციალური სისტემა. ამიტომ, განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმატივების, რომლებიც სასწავლებლის მატერიალურ ბაზას (ფართობი, წიგნებისა და კომპიუტერების და აკადემიური პერსონალის რაოდენობას ითვალისწინებს), იოლად

8 იხ. უმბერტო ეკო, „როგორ დავიცვათ სადიპლომო ნაშრომი და დისერტაცია“, 2014 წ. თბილისი.

9 იხ. გაეროს ყოველწლიური „მოსხენება ადამიანის განვითარების შესახებ“. მოსხენებაში საქართველო აისახება 1994 წლიდან.

ძლევენ ცალკეული, ინციპტივიანი ადამიანები და ისინი ხდებიან უნივერსიტეტების მფლობელები. მართალია, ბოლო დროს განათლების სამინისტროს ჩარევით მიმდინარეობს ღონისძიებები, რის შედეგადაც უნივერსიტეტებში ერთმანეთისაგან ცალკევდება, მესაკუთრეები უნივერსიტეტის მართველობისაგან, მაგრამ ამას რამდენადმე ფორმალური ხასიათი აქვს¹⁰. ასეთ სიტუაციაში, რეალურად არსებობს გარემოებები, როდესაც, თვითივე უნივერსიტეტს ეძლევა შესაძლებლობა ავტონომიურად შექმნას საკუთარი სასწავლო პროგრამები და სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმული მახასიათებლები. ამგვარად, საქართველოში საუნივერსიტეტო სისტემა უაღრესად ლიბერალურ (რომ არა ვთქვათ თვითშემოქმედებით) გარემოში ვითარდება, ერთიანი პოლიტიკური სისტემურობის გარეშე.

როდესაც უმაღლეს სასწავლებლებს განვიხილავთ, როგორც სამენარმეო საქმიანობის სუბიექტებს, მაშინ მნიშვნელობას იძენს, მათი სპეციფიკურობა, რომელიც პირველ რიგში ვლინდება, მათ მიერ მომზადებული კადრების შესახებ ინფორმაციის ასიმეტრიულობაში¹¹. ასიმეტრიული ინფორმაციის ბაზრები, მარტივად თუ წარმოვიდგინოთ ნიშნავს, მყიდველი და გამყიდველის ინფორმირებულობის სხვადასხვა დონეს. ეს ისეთი შემთხვევაა ბაზარზე, როდესაც გამყიდველმა იცის, რას ყიდის, ხოლო მყიდველი, შესაძენი მომსახურების მნიშვნელობას საკმარისად ვერ ფლობს. გარდა ამისა უმაღლესი განათლების სისტემა თავისი შინაარსით არა მარტო ასიმეტრიული ბაზარია არამედ შეზღუდულ ბაზარსაც წარმოადგენს. ბაზრის შეზღუდულობა კი ნიშნავს, რომ მარტო მიწოდება მოთხოვნის საფუძველზე არ ყალიბდება წონასწორობა, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობას აქვს სახელმწიფოს, რომელიც განსაზღვრავს სპეციალობებს, სპეციალიზაციებს და ა.შ. დამოკიდებულებებს კადრების მომზადების ამ სფეროში¹².

უმაღლესი განათლების სისტემისადმი ასეთი და-

10 ჩვენს მიერ შესწავლილ ყველა კერძო უნივერსიტეტში დამფუძნებელთა როდენობა შეზღუდულია და აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი პირები აკომპლექტებენ აკადემიურ საბჭოებს და შემდეგ “ირჩევენ” რექტორებს. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტებს მართვის საავეები ხელში უვარდებათ სპეციალური განათლების არ მქონე და სასწავლო პროცესისადმი ზედაპირული ცოდნით აღჭურვილ ადამიანებს.

11 ასიმეტრიული ბაზრის კვლევა დღეს მეტად პოპულარულია. ამას მოწმობს გაცემული ნობელის პრემიები. ჩვენ ვეყრდნობით ჯორჯ აკერლოფის ცნობილ ნაშრომი “როგორ ვაქციოთ “ლიმონი”(ცუდი მაგრამ კარგად შეფუთული საქონელი) “ატმად”(მაღალი ხარისხის საქონელი და მომსახურება), განვითარებულ მეთოდოლოგიას.

12 ბაზრის შეზღუდულობა და ასიმეტრიულობა ქმნის აუცილებელ პირობას ინსტიტუციონალურად იქნას მოწესრიგებული ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობის პრობლემები > ეს კიდევ ერთ მძლავრი არგუმენტია ერთიანი გამოცალკევებული განათლების სახელმწიფო პოლიტიკის არსებობისათვის.

მოკიდებულება ზრდის თვითივე უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას კვალიფიციური კადრების მომზადების სფეროში. ერთი მხრივ, უნივერსიტეტები დაინტერესებულნი არიან, შრომის ბაზარზე გამოუშვან მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა, რომლებიც შეძლებენ ქართული ბიზნესის განვითარებაში საკუთარი ნვლილი შეიტანონ, რადგან სხვა შემთხვევაში დაკარგავენ პოპულარობას და ერთიანი საგამოცდო სისტემის პირობებში, ვერ შეძლებენ, საკმაო რაოდენობით აბიტურიენტთა დაინტერესებას. მეორე მხრივ, კი ისინი ცდილობენ გაზარდონ საკუთარი შემოსავლები და “იაფი” სასწავლო პროგრამებით აღწევენ სანადელს. ეს მათი განვითარების შინაგანი მახასიათებელია, რომელიც ვერ იქნება ეფექტური, თუ არ არსებობს ამ წინააღმდეგობრივი ვექტორების შეერთების საერთო, ეფექტური მექანიზმი და მისი მარეგულირებელი პოლიტიკური ინსტიტუცია.

ამავე დროს, გამომდინარე საზოგადოების ზნეობრივი ნორმებიდან, უმაღლესი სკოლები ვალდებული ხდებიან, შეამცირონ ბაზრის ასიმეტრიულობა. ამ მიზნით: 1. ისინი სისტემატურად უნდა აწყობდნენ ახსნა განმარტებით ღონისძიებებს, სემინარებს, თანამშრომელთა თრენინგებს. რათა უნებლიედ შეცდომაში არ შეიყვანონ მომავალი სტუდენტები და მათი აბიტურიენტები. 2. მომავალ სტუდენტობას უნდა წარუდგინონ გარანტიები, რომ მათი სწავლება იქნება სათანადო ხარისხის და გაცემული დიპლომი კი დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი. 3. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მომავალი სტუდენტებისა და მათი მშობლების სურვილებს, რათა მათაც მიიღონ მონაწილეობა პროფესიის სრულყოფის საქმეში. 4. უნდა ცდილობდეს, რომ მომავალი მომხმარებელი ფლობდეს მომავალი პროფესიისადმი ინფორმაციას არა ზოგადად, არამედ უნივერსიტეტის კონკრეტული შესაძლებლობიდან გამომდინარე.

რა მდგომარეობაა დღეს ამ მიმართულებით? უმაღლეს დამთავრებული, ეკონომისტის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, სამუშაოდ მიდიან სამინისტროებში და სხვა სახელმწიფო უწყებებში, საბანკო სისტემაში, მსხვილ და საშუალო ბიზნესში. იშვიათ შემთხვევაში, ხდებიან საკუთარ ნამოყებათა ინციპტორები. გარდა ამისა, ისინი ხშირად საქმეებიან საოჯახო მეურნეობებში, ავსებენ დისტრიბუტორთა (შიკრიკთა), ტაქსისტთა, მიმტანთა და სხვადასხვა პროფილის ტექნიკურ მუშაკთა, კონტიგენტს. დასაქმებულთა ეს კატეგორია პრინციპში ფარული უმუშევრები არიან. ბევრი მათგანი კი სრულიად უმუშევარი რჩება. ამიტომ ისინი, ან მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, სხვადასხვა საქმის საკეთებლად, ან რჩებიან ქვეყანაში და ხშირად ყოველგვარი სიყალბისა და სამეურნეო მაქინაციების შემოქმედთა მსხვერპლი ხდებიან. ამის მიზეზი კი ის არის, რომ შრომის ბაზარზე ჭარბად გამოდის შედარებით დაბალი ხარისხის სამუშაო ძალა. როგორც ჩანს, შრომის ბაზარს არ ესაჭიროება ამ რაოდენობის და

ამ „ხარისხის“ ეკონომისტი.

ამ სპეციალისტთა დასაქმება, სხვა თვალსაზრისითაც, პრობლემატურია, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებში, ასევე კერძო დაწესებულებებში და ბანკებში. საქმე ისაა, რომ ეს ორგანიზაციები არ ენდობიან უმაღლეს სკოლას და ქმნიან ახალ დამთავრებულ სპეციალისტთათვის სხვა და სხვა სახის მომზადება-გადამზადების კურსებს, სტაჟირების სხვადასხვა ფორმებს. ეს კი ნიშნავს, რომ სპეციალისტები საბოლოო „კონდიციამდე მათ მიჰყავთ.“ თუ სახელმწიფო ინსტიტუტები: პარლამენტი, შსს, ფინანსთა, ეკონომიკის და სხვა სამინისტროები, მათ ატარებენ სპეციალურად შსს აკადემიაში შექმნილ კურსებს და აძლევენ კანონდამცველ დაწესებულებებთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევებს, ბანკები, თავიანთ კურსებზე ასწავლიან, იმას, თუ რა უნდა იცოდეს, დამატებით, გარდა სპეციალობისა, მათმა თანამშრომელმა. კერძოდ: საზოგადოებრივი ეთიკის, (არ დალიოს ყავა კლიენტთან საუბრის დროს, არ ილაპარაკოს ტელეფონით პირად საკითხზე, როდესაც მას მთხოვნელი მიმართავს და ა.შ.), პირადი ჰიგიენისა, (სამსახურში მოვიდეს სუფთად ჩაცმული და დავარცხნილ-დაბანილი და ა.შ.) და უქმნიან დაწესებულებაში არსებული ტექნოლოგიაში ჩართულობის შესაძლებლობებს. გამოდის, რომ უმაღლესი სკოლა მნიშვნელოვნად ჩამორჩა სამეურნეო პრაქტიკის ერთ-ერთ არსებით სეგმენტს.

პრობლემის, თუ როგორ სპეციალისტებს გვთხოვს ბაზარი და ჩვენ როგორ ვამზადებთ მათ, ერთი ასპექტი, უნივერსიტეტებისათვის პრაქტიკულად დაუძლეველია. კერძოდ ის, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ უნივერსიტეტის კურს დამთავრებულებმა სამართალდამცავ ორგანოებთან. ეს საკითხი, დღეს, მსოფლიო მნიშვნელობით დგას უმაღლესი სკოლის წინაშე. შემთხვევით არ ეძახიან ბანკებსა და საგადასახადო სამსახურის მუშაკებს „შერიფის იაფფასიან დამხმარეებს.“ ამიტომ, ამ საკითხზე ქართულ უმაღლეს სკოლასაც მართებს დაფიქრება. შედარებით იოლი და აუცილებლად დასაძლევია სხვა პრობლემა. კერძოდ, რა უნდა იცოდეს სამეწარმეო დაწესებულების თანამშრომელმა, გარდა იმისა რაც ევალეზა. შესაძლებელია უმაღლეს სასწავლებელში ბაკალავრის დიპლომის მქონე სპეციალისტმა ვერ აითვისა ზოგიერთი პროფესიული „საიდუმლოება,“ მაგრამ მან კლიენტთან ჩვეულებრივი საქმიანი საუბარი ვერ წარმართოს და კევის ლეჭვით უპასუხოს დასმულ კითხვებს, ეს სირცხვილია. ყოველ შემთხვევაში დამსაქმებელს არ უნდა ქონდეს ასეთი მოლოდინი ¹³.

13 ჩვენი დაკვირვებით და უმაღლესი სკოლის ცნობილ სპეციალისტებთან (პარმენ მარგველაშვილი, ზაურ ამილახვარი, სერგი კაპანაძე და სხვები) კონსულტაციების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამის მიზეზია უნივერსიტეტებში დემოკრატიული და აკადემიური პროცესების ურთიერთ დაუბალანსებლობა. ხშირ შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კარგად არ აქვს საკუთარ სამუშაო ნორმატივებში ასახული, სტუდენტის

გარდა ასეთი „მარტივი“ პრობლემებისა არის სხვა არსებითი ხასიათის საკითხებიც. მაგალითად: საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნა, არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურულ პრიორიტეტების გაცნობიერება, იმის ცოდნა, თუ რომელი ეკონომიკური პარადიგმიდან გამომდინარეობს არსებული სამეურნეო პრაქტიკა, ან რა მნიშვნელობა ენიჭება მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს სამეურნეო პროცესის შეფასებაში და ა.შ. ყოველი ეს საკითხი დაკავშირებულია სრულყოფილი განათლებასთან.

ასეთ რეალურ გარემოში უნივერსიტეტები მიდიან კომპრომისებზე მოძველებულ, დრომოჭმულ ტრადიციებთან და ეკონომიკური სპეციალობის მიმართულებებიც თითქმის, თვითდინებით ვითარდება. შესაბამისად, ღრმავდება სამეურნეო პრაქტიკასა და უმაღლესი სკოლის შესაძლებლობებს შორის, მოამზადოს ბაზრის მოთხოვნების ადექვატური სპეციალისტი, დისტანცია. ამას ემატება ისიც, რომ უნივერსიტეტებში არ ხდება აკადემიური პერსონალის, სასწავლო დისციპლინათა აქტუალურობიდან გამომდინარე, შერჩევა, სწავლების პროცესში, ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, კორექტირებული სასწავლო პროგრამების ადაპტაცია და რაც მთავარია, არ იგრძნობა ამ სფეროში არსებული კონკურენციის ძლიერი სუსხი, რომელიც მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, ერთ მშვენიერ დღეს, ქარბობოლასავით დაატყდება თავს უნივერსიტეტებს. საჭიროა ახლავე გავაცნობიეროთ არსებული, მაგრამ ჯერ კიდევ ძნელად შესამჩნევი პრობლემები და გავატაროთ საჭირო ღონისძიებები.

ცნება „სრულყოფილი განათლება“, მრავალმხრივი შინაარსის მატარებელია¹⁴. მისში მთავარი მახასიათებელია ის რომ, სტუდენტმა უნდა მიიღოს განათლება სპეციალობაში სრულად, ე. ი. ისწავლოს ისიც, რაც მას საშუალებას მისცემს თავისი პროფესიული შესაძლებლობები განახორციელოს, როგორც მოცემული ქვეყნის მოქალაქემ. მაგალითად, ისეთ სპეციალობაშიც კი როგორც ნეიროქირურგია, უნივერსიტეტ დამთავრებულმა სპეციალისტმა, დამოკიდებულებები აკადემიური პროცესისიადმი და მისი უფლება მოვალეობები.

14 ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „სრულყოფილი განათლება“ არ არის მკაცრად განსაზღვრული სამეცნიერო ტერმინი, იგი ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის საფუძვლისეული კატეგორიაა და თვითოეულმა ქვეყანამ უნდა განსაზღვროს რას გულისხმობს ამ შინაარსობლივად ტევად და არსებითი მნიშვნელობის ტერმინში. 2010 წელს აშშ-ში, კონგრესის მიერ, შემომნების შედეგად გამოვიდნა, რომ უნივერსიტეტის 75% ვერ აძლევს სტუდენტებს სრულყოფილ განათლებას. ასეთი უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ, სტუდენტებმა არ იციან ამერიკის ისტორია პოლიტიკური წყობის თავისებურებები, ამქვეყნის როლი და მნიშვნელობა გლობალურ მსოფლიოში და კიდევ ბევრი რამ. აშშ-ს კონგრესმა შემუშავა რეკომენდაციები, სწავლებაში, ასეთი ცალმხრიობის აღმოფხვრის მიზნით. რა მდგომარეობაა საქართველოში სადაც არ არსებობს, გამოყოფილი განათლების პროგრამა და იგი საერთო წინასაარჩევნო პროგრამულ დებულებათა სახით ქვეყნდება და შემდეგ დავინყებას ეძლევა.

გარდა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და შემდგომი დაოსტატებისათვის საჭირო განათლებისა, უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია, კულტურა, კანონმდებლობა, ერკვეოდეს მის მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყოველივე ამის შესაძლებლობები კი მას უნივერსიტეტმა უნდა მისცეს. ასევე სხვა სპეციალობებზე. ასეთი დამოკიდებულება უმაღლესი სკოლის სპეციალისტების მომზადებისადმი უშუალოდ მომდინარეობს ბოლონის პროცესიდან. რომელიც უმაღლესი სკოლებისადმი, ახალ ამოცანებს აყენებს. კერძოდ:

1. სტუდენტების სპეციალობაში დაოსტატებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიანობის პრობლემა ხდება უნივერსიტეტების ცენტრალური, სისტემაქმნადი ელემენტი;

2. იქმნება სწავლების საერთაშორისო სტანდარტები და მისი მიღწევის უნიფიცირებული, მეთოდური საშუალებები. პროცესი მიმდინარეობს უმაღლესი სკოლის ავტონომიურობის პირობებში, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს:

ა) უნივერსიტეტების მიერ სასწავლო პროგრამების შედგენის და განხორციელების დამოუკიდებლობას;

ბ) სტუდენტთა ცოდნის შეფასებების საუნივერსიტეტო დამოუკიდებელ კრიტერიუმებს.

ეს ორი ზოგადი ტენდენცია: სამეცნიერო მუშაობაში სტუდენტთა ჩართულობა და უნივერსიტეტებში სასწავლო პროგრამების შემუშავების დამოუკიდებლობა ერთმანეთს არ უპირისპირდება, პირიქით აერთიანებს და კონკრეტულობას ანიჭებს სასწავლო პროცესს, რომელიც, შესაძლებლობას იძენს, პროფესიისადმი გლობალური, საყოველთაო მოთხოვნები დააკავშიროს სწავლების ადგილობრივ, ხშირად, უნიკალურ კულტურულ თავისებურებებთან. ეს კი აუცილებელია, იმისათვის, რომ განხორციელდეს საუნივერსიტეტო განათლების მიზნობრივი ამოცანადასაქმება, რომელიც ვერ გადაწყდება, თუ სპეციალისტი არ იქნება სრულყოფილად მომზადებული.

სამწუხაროა მაგრამ, ცალკეულ შემთხვევებში, არასწორად არის გაგებული ბოლონის პროცესის სულისკვეთება და უნივერსიტეტები ვერ ახერხებენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კადრები მომზადებას. სრულყოფილი განათლების გარეშე ვერ განხორციელდება უნივერსიტეტ დამთავრებულ კადრების დასაქმება. ბაზარს არ ჭირდება მენეჯერი რომელიც არ იცნობს თავის ქვეყნას, არ იცის რა თავისებურებებით ხასიათდება მისი ბიზნესის ფუნქციონირების საზოგადოებრივი გარემო. ამიტომ, უმაღლესი სკოლის მიმდინარე ამოცანათა შორის პირველი, და მთავარი საკითხი, რომელიც ეხება მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების, მათ შორის, უმაღლესი განათლების მქონე ეკონომისტების მომზადებას, არის სტუდენტთა სრულყოფილი განათლების პრობლემა¹⁵.

15 აღნიშნულ კონტექსტში უაღრესად არსებით საკითხს წარმოადგენს საზღვარგარეთ განათლების მისაღებად ჩვენი ახალგაზრდობის მივლინება, რომელიც ასე პოპულარულია დღეს

აქედან გამომდინარე, სრულყოფილი განათლების პრობლემა უკავშირდება, პირველ რიგში სასწავლო პროგრამას. როდესაც ვამბობთ „სასწავლო პროგრამა“, მხედველობაში გვაქვს, არა სასწავლო დისციპლინების უბრალო ჩამონათვალი, არამედ ერთი საერთო მიზნისაკენ მიმართული სასწავლო დისციპლინათა ერთობლიობა. ამიტომ, როგორ ავაგოთ სასწავლო პროგრამა მეთოდოლოგიურად, უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს. ჩვენი აზრით, სასწავლო პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს, ძირითადად ისეთი სასწავლო კროსკურსზე, სასწავლო დისციპლინათა ისეთ სისტემურობაზე, რომელიც სრულყოფილი სწავლების გარანტიას გვაძლევს.

3. როგორი უნდა იყოს სრულყოფილ განათლებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა?

სრულყოფილი განათლების საკითხის გარკვევის შემდეგ¹⁶ მეორე პრობლემა, თავისი მნიშვნელობით, ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობას მიმართულებით, არის სწავლების პროფილიზაციის საკითხი. ის კლასიფიკატორი, რომლითაც სარგებლობს საქართველოს განათლების სამინისტრო საერთაშორისო მნიშვნელობის და ამიტომ მეტად ზოგადია. ამ კლასიფიკატორის მიხედვით, საბაკალავრო, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამები უზოგადესი ფორმატით ერთიანდება ცნებაში „ეკონომიკა“. უნივერსიტეტებს ეძლევათ შესაძლებლობები, აღნიშნული სპეციალობის ფარგლებში განახორციელონ ცალკეული სპეციალიზაციების შემოღებისათვის დიფერენცირებული მიდგომები. თუ მაგალითად, სპეციალობა „ბიზნესის ადმინისტრირება“ წარმოადგინონ სხვა და სხვა: საბანკო მენეჯმენტი, საჯარო დაწესებულებათა ორგანიზაციების მენეჯმენტი, ტურიზმის მენეჯმენტი და ა.შ. სპეციალიზაციებით, სპეციალობა „ეკონომიკა“-ის შიგნითაც შესაძლებელი ხდება: მიკრო, მაკრო, ანალიტიკოსის, საერთაშორისო ბაზრის და ა.შ. „ეკონომისტის“ სპეციალიზაცია.

ამ თვალსაზრისით, პირველი ამოცანა, რომელიც უნდა დასვას უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, არის ის, თუ რა სპეციალიზაციებზე გააკეთებს აქცენტირებას, მეურნეობის რომელი სფეროსათვის მოამზადებს კადრებს. ამასთან მომზადების პრო-

საქართველოში. როდესაც გავეცანით, თუ რა სპეციალობების (ბიზნეს ადმინისტრირება, სამართალი, უცხოენები) მისაღებად გაიგზავნა ქართველი სტუდენტები საძღვარგარეთ სახელმწიფოს ფულით ცხადი გახდა, რომ ამ საკითხში არ არსებობს ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომა და უმარტივესი კონცეფციაც კი.

16 როგორც აღვნიშნეთ, სრულყოფილი განათლების დეფინიცია არის ქვეყნის განათლების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემა და მისი განსაზღვრა, შესაძლებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებათა შორის კონსენსუსის მეშვეობით. ამიტომ ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია ამომწურავი პასუხი გავცეთ დასმულ საკითხზე. ჩვენი პროფესიული ვალია აღმოვუჩინოთ მხარდაჭერა ხელისუფლების საკითხზე პასუხისმგებელ პირებს და ინსტიტუტებს.

ცესში გათვალისწინებული იქნება მეურნეობში მიმდინარე პროცესები და სპეციალისტსაც თამამად შეეძლება გადავიდეს ეკონომიკის ერთი სფეროდან მეორეში. ამიტომ კარგად ორგანიზებული სასწავლო პროგრამა უნდა ასახავდეს, როგორც სრულყოფილი განათლების მოთხოვნებიდან გამომდინარე სასწავლო დისციპლინებს ასევე მომავალი სამუშაო ადგილებზე ზემოქმედი დინამიური ფაქტორების მომცველ საგნებსაც. ასეთი მიდგომისას გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ საზოგადოებრივი თანაცხოვრების მრავალმხრიობა, შრომის დანაწილებიდან გამომდინარე, ისეთ პროფესიებსაც, რომელთა ათვისებაც უმეტეს წილად შესაძლებელია გამოცდილებიდან გამომდინარე და არა აკადემიური პროცესის მეშვეობით. მაგალითად მეზაჟე, მეზაჟე ის სპეციალისტია, რომელსაც უნდ ჰქონდეს მრავალმხრივი პროფესიული უნარ-ჩვევები, კერძოდ უნდა შეეძლოს: სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამძებრო საქმიანობა და დევნა, საერთაშორისო ურთიერთობების ნორმებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება, საგადასახადო საქმიანობა და სხვ¹⁷. ასეთივე პრობლემა ჩნდება, როდესაც მუნიციპალური ადმინისტრაციის მუშაკების შერჩევა ხდება. მოცემული ტერიტორიული ერთეულის დონეზე მუშაკს უნდა შეეძლოს პროექტის ადმინისტრირებიდან დაწყებული, დაძმობილებულ, სხვა ქვეყანებში მდებარე ქალაქების ადმინისტრაციასთან ურთიერთობა. ამიტომ მისწრაფება სპეციალიზაციისაკენ გამართლებულია, მაგრამ მას აქვს მკაფიოდ გამოხატული საზღვრები, იმის და მიხედვით თუ როგორაა ქვეყანა განვითარებული და შრომის როგორ ინტენსიობასთან, გვაქვს საქმე მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში თვითოეული განათლებული ადამიანი რამოდენიმეჯერ იცვლის პროფესიას. საშუალოდ პროფესიათა ცვლილებების რაოდენობა, გამომდინარე ქვეყნის განვითარების დონიდან, 9-17 აღწევს. ეს განპირობებულია შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესებით, რომელიც ხშირად მყისიერად ცვლის მოთხოვნებს სამუშაო ძალისადმი და სპეციალისტებს უხდებთ ამ მოთხოვნების შესაბამისად შეიცვალონ, კონკრეტული შრომითი ფუნქციები. ასეთი ცვლილებები მოითხოვს კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური სისტემის არსებობასაც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში პროფესიათა ცვლილება ხორციელდება თვით სპეციალისტის ძალისხმევით. ე.ი. გამოდის, რომ შრომის ბაზარზე გამოსული ბაკალავრი, მთელი სამუშაო ციკლის განმავლობაში, სამუშაოს დაწყებიდან პენსიამდე, 17-ჯერ იცვლის პროფესიას¹⁸. ამგვარად, თავისუფალ სამეურნეო გარემოში

17 ამ საკითხზე იმიტომაც ვამახვილებთ ყურადღებას, რომ არის შემთხვევები, როდესაც კონიუნქტურული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ცალკეული უმაღლეს სასწავლებლები, ქმნიან აკადემიურ ჯგუფებს ასეთი სპეციალიზაციით. რაც შეუძლებელია დადებითი შედეგებით დასრულდეს.

18 ტერმინი “პროფესია” არსებით მნიშვნელობას იძენს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. იგი კონკურენტულ გარემოში,

არ არსებოს რაღაც ერთი, პროფესიული სტატიკური მდგომარეობა. რაც გასათვალისწინებელია უნივერსიტეტების მიერ სასწავლო პროგრამების შედგენისას.

აქვე უნდა შევნიშნოთ რომ არ არსებობს “პროფესიის” რაიმე მეცნიერული განმარტება. საერთაშორისო ორგანიზაციები მათ ჩამონათვალს გვთავაზობენ და მასაც, აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ პროფესიათა ცვლილებაზე, ეს არ უნდა ავუროთ სპეციალობაში, რომელსაც უმაღლეს სკოლაში ვიღებთ. სპეციალობათა შეუღლება, როდესაც ერთი ადამიანი ერთსა და იმავე დროს რამოდენიმე სპეციალობით ეწეოდა საქმიანობას, სოციალისტური სსრკ-ისათვის იყო დამახასიათებელი. ამიტომ აქ ნახავდით მუსიკა-ფილოლოგიის, გეოგრაფია-ბიოლოგიისა, ისტორია-საზოგადოებრივი მცოდნეობის, ფიზიკა-მათემატიკისა და სხვა ასეთ, სიმბიოზურ საგანმანათლებლო დაოსტატების ვარიანტებს¹⁹. ესეც იმიტომ ხდებოდა რომ პედაგოგის პროფესიის პირველადობა ქმნიდა ასეთ შესაძლებლობებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი, ერთი საფუძვლიანად მომზადებულ სპეციალისტს, ბაზარი აიძულებს, რამდენიმე სრულიად განსხვავებულ სფეროში გამოიყენოს საკუთარი განათლება.

ამგვარად, პროფესიათა ცვლა ნიშნავს, ძირითადად ერთი საბაზო განათლების ფარგლებში სხვადასხვა სამუშაო გარემოში საქმიანობის უნარ-ჩვევათა გამოვლენას. მაგალითად, ბაკალავრი, რომელმაც მიიღო განათლება ბიზნეს ადმინისტრატორის სპეციალობით, საბანკო საქმის მენეჯერის სპეციალიზაციით, დროთა განმავლობაში შეიძლება დაკავებული იყოს შემდეგ პროფესიებში: ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე (ბროკერი), საფონდო ბირჟის სპეციალისტი, ბანკის საკრედიტო ოფიცერი, ბანკის კლიენტებთან ურთიერთობების სპეციალისტი, რომელიმე გაზეთის ეკონომიკური მიმომხილველი, ტელეკომენტატორი, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელი, საბაჟოს საქმის სპეციალისტი, აქციონარული საზოგადოების თანამშრომელი, სადაზღვეო ბაზრის მონაწილე და ა.შ. პირადად ვიცნობ ამ დარგის სპეციალისტებს, რომლებსაც შრომითი საქმიანობა

საბაზო სასწავლო სპეციალიზაციაზე, მყარად “მიბმული” აღარაა და მის მთავარ მახასიათებელს პიროვნების შრომითი ფუნქცია არ წარმოადგენს. ასეთ გარემოში მთავარი ხდება არა ის, თუ რა განათლება მიიღო პიროვნებამ, არამედ ის, თუ რა სფეროში ახდენს თავის ცოდნისა და უნარების რეალიზაციას. მაგალითად ფეხბურთელი მესსი, მწვრთნელი გვარდიოლა და ჟურნალისტი ქლიბაძე პროფესიით ფეხბურთელები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მესი ფეხბურთელია (სხვა ცოდნა, გარდა ფეხბურთის თამაშისა არ აქვს), გვარდიოლა ჟურნალისტი, ხოლო ქლიბაძე ინჟინერი. ასევე მათმატიკის და ისტორიის პედაგოგები პროფესიით მასწავლებლები არიან და არა ერთი, მათემატიკოსი და მეორე ისტორიკოსი.

19 ცნობილია, როდესაც თანამედროვეობის ერთერთ-მა უდიდესმა პოეტმა, იოსებ ბროდსკიმ სასამართლოზე (ასამართლებდნენ უსაქმურობისათვის) დაასახელა, რომ მისი პროფესია არის “პოეტი”, მას ზრდილობიანად აუხსნეს, რომ ასეთი პროფესია არ არსებობს და ლექსების წერა სულაც არ ითვლება საზოგადოებრივ შრომით საქმიანობად.

ჯერ არ დაუსრულებიათ, მაგრამ უკვე გამოიცვალეს 22-23 პროფესია. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს ადამიანის პირად თვისებებზეც არის დამოკიდებული, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ბაზარი მოითხოვს მობილურ სამუშაო ძალას და ხშირად პროფესიათა ცვლასთან ერთად, მას ქვეყნის ფარგლებში, ან მის გარეთ, მიგრაციაც უხდება.

ამ, შრომის ბაზრის საერთო მოთხოვნიდან გამომდინარე უნივერსიტეტმა იგი შესაბამისად უნდა მოამზადოს. სასწავლო პროგრამა უნდა ავაგოთ შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ეს ნიშნავს იმას, რომ ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობის ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტს, გარდა იმისა, რომ მას საკუთარი სპეციალიზაციის (საბანკო ფინანსები, განათლების ეკონომიკა, აგრობიზნესის ეკონომიკა და ორგანიზაცია, მაკროეკონომისტი და ა.შ.) დისციპლინებისა შესწავლილი უნდა ქონდეს სხვა საგნებიც, რომლებიც განაპირობებენ მის სრულყოფილ მომზადებას არჩეულ სპეციალობაში. ამ თვალსაზრისით მთელი სასწავლო დისციპლინების ერთობლიობა ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ:

1) სასწავლო დისციპლინები რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო საუნივერსიტეტო განათლებას, პირობითად ვუნდოთ მათ ექსტერნალური დისციპლინები;

2) დისციპლინები რომლებიც მიმართული იქნებიან პროფესიული დაოსტატებისაკენ.

ეს უკანასკნელი კვლავ ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

A. საგნები, რომლებიც უზრუნველყოფენ საფუძვლიან პროფესიულ ცოდნას, რომელთა ათვისების დროსაც გამოუმუშავდება მომავალი სამუშაო ადგილის შესაბამისი უნარ-ჩვევები;

B. საგნები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტული პროფესიული საქმიანობის ტექნოლოგიაში ჩართულობას.

ამ თვალსაზრისით ეკონომიკური სპეციალობის სასწავლო პროგრამა უნდა “იგებოდეს” გარკვეული სისტემურობის საფუძველზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთმანეთთან საგნობრივად დაშორებული სასწავლო დისციპლინები ორგანულად გავაერთიანოთ, მაგალითად მათმატიკურ დისციპლინა „სიმრავლეთა თეორია“ და საგანი, „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება“, რატომ ისწავლება მოცემულ სპეციალობაზე დამკვირვებლისათვის გასაგები იყოს. ამავე დროს, ყველა სასწავლო დისციპლინა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ მომავალმა სპეციალისტმა მიიღოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განათლება. ამგვარად, სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა, იმ უნარ-ჩვევებთან ერთად, რომელიც გამოუმუშავდება სწავლის პროცესში, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. შეიძინოს ფუნდამენტალური ცოდნა, იმისათვის რომ, საჭიროების შემთხვევაში გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში შემდგომი პროფესიული დაოსტატებისათვის, ან სხვა სპეციალობის მისაღებად;

2. საფუძვლიანად იცოდეს თავისი ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობა, მისი წარსულისა და პერსპექტივები და გააცნობიეროს, რა კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება მისი პროფესია საერთო სახელმწიფოებრივ ძალისხმევებში;

3. კონკრეტულ პროფესიული საქმიანობის ტექნოლოგიაში ჩართულობისათვის ცოდნასთან ერთად უნდა შეიძინოს საშუალო სპეციალური განათლება მენეჯერული აღრიცხვისა და ოფისის ორგანიზაცი-ამი²⁰.

ასეთი ცოდნით შეიარაღებული იგი მზად იქნება მომავალი რეფლექსიისათვის, რომელსაც მას უმზადებს შრომის ბაზარზე შექმნილი მრავალფეროვნებები. იგი მზად უნდა იყოს დამოუკიდებლად, პირადად მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, ბრძოლისათვის კონკურენტულ გარემოში.

4. სასწავლო კურსისი ადექვატურობა მომავალი სამუშაო სფეროსადმი

რადგან სპეციალისტის მომზადება ხდება იმისათვის, რომ მან გამოავლინოს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა საზოგადოებრივ სფეროში საქმიანობისას, სადაც იგი გარკვეული პროფესიით დაიკავებს კონკრეტულ სამუშაო ადგილს, საინტერესო ხდება გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს ცნება “სამუშაო ადგილი”? რადგან დასაქმების პრობლემა ყველა ქვეყანაში არის მაკროეკონომიკის ცენტრალური პრობლემა, ყველა ქვეყანა ცდილობს განმარტოს ეს ცნება. სამუშაო ადგილს განმარტავენ, როგორც მოცემული სპეციალისტის მიერ შრომითი ფუნქციის (პროფესიული ვალდებულების) შესრულების მიზნით გამოყოფილ სივრცეს, რომელზედაც ხორციელდება დამსაქმებლის (დამქირავებლის) პირდაპირი, ან ირიბი კონტროლი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაც ეთანხმება აღნიშნულ განმარტებას და თავის მხრივ გვთავაზობს “დასაქმებულის” წლიური სამუშაო პერიოდის განსაზღვრებებს, მათ სტატისტიკურ ვარიანტებს, განერილს სამუშაო კვირასა და წელიწადის მიხედვით.

ამგვარად, როდესაც ვლაპარაკობთ სამუშაო ადგილზე, მხედველობაში გვაქვს დამსაქმებლისა(დამქირავებლისა) და უშუალოდ მომუშავეს შორის არსებული ურთიერთობა, რომელიც გამოიხატება, როგორც ამ ადგილის მატერიალურ ტექნიკური ორგანიზაციით, ასევე შრომის ფუნქციის შესრულების კონკრეტული პარამეტრებით. არსებულ სისტემურობიდან გამომდინარე, ხშირად სამუშაო ადგილის განმარტება არასწორ შინაარსს იძენს. მაგალითად გახსოვთ ყველას ის ვენბათაღლევა, რაც

²⁰ კონკრეტულ პროფესიულ საქმიანობაში ჩართულობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში. ბევრი სპეციალისტი საუნივერსიტეტო კურსის გავლის შემდეგ სრულ უმწიბრობას ავლენს ოფისის მენეჯმენტისა და მიმდინარე ფინანსური აღრიცხვის სფეროში, მაშინ, როდესაც თვით უხდება ოფისის სექშნა და საკუთარი მცირე ბიზნესის ბულალტრული მომსახურება.

საკასო აპარატების შემოღებამ გამოიწვია, თბილისის ბაზრობებზე მოვაჭრეთა შორის. ამის მიზეზი იყო, არასწორად განსაზღვრული სამუშაო ადგილის დეფინიცია, რომლის მატერიალურ-ტექნიკური ორგანიზაცია დაეკისრა მოვაჭრეს და არა ბაზრობის მესაკუთრეს, რომელიც ასევე ანხორციელებდა თავისი საკუთრების მოვლა პეტრონობას. მას მოვაჭრისადმი უნდა მიექირავებინა სრულყოფილი სამუშაო ადგილი, რის შედეგადაც დაამყარებდა მისზე ზედამხედველობას, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. ამგვარად, სამუშაო ადგილის ორგანიზაცია და მისადმი მიწერილი შრომითი ფუნქციები დამსაქმებლის პრეროგატივაა, ხოლო დასაქმებული ვალდებულია დაექვემდებაროს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს²¹.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ აბითურიენტებს და მათ მშობლებს (ხშირად ისინი ამბობენ გადამწყვეტ სიტყვას უმალლესი სასწავლებლისა და სპეციალობის შერჩევაში), წარმოდგენა ცალკეულ სპეციალობებზე ექმნებათ, არსებული სამუშაო ადგილების მიხედვით. მათ არ აინტერესებთ ბევრი რამ, მაგალითად, როგორია უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ბაზა, როგორია სწავლების ხარისხი, ან ვინ ასწავლის ამათიუმ უნივერსიტეტში და ა.შ. მათთვის მთავარია საბოლოო შედეგი, რომელიც გამიხატება უმალლესი განათლების დიპლომით. მეტიც იგი, სწავლების გადასახადსაც არ უდგება საინვესტიციო რესურსის პოზიციიდან და მას მიაჩნია, რომ მისი შვილის სწავლისათვის მან უნდა გადაიხადოს სწავლების საფასურის წლიური ნიხრი გამრავლებული სწავლების ხანგრძლივობაზე. მაშინ, როდესაც თუ მისი შვილი სწავლობს ფასიან (კერძო) უნივერსიტეტში, სადაც სწავლის წლიური საფასური შეადგენა 800 აშშ დოლარს, მას სწავლების სრული ციკლი უჯდება, არა 32 000 აშშ დოლარი (როგორც გონია), არამედ 44 700 აშშ დოლარი. ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ბაკალავრიატის მთელი ციკლის დასრულებისას, იგი 8960 ლარს კი არ იხდის, არამედ 15 000 ლარი ეხარჯება. ეს და სხვა ფაქტორები განაპირობებენ უმალლესი განათლების მსურველთა მისწრაფებებს, რასაც პასუხისმგებლურად უნდა მოეკიდოს უნივერსიტეტი.

ამგვარად, სრულყოფილი განათლებისადმი საზოგადოებრივი დაკვეთა, მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში არსებული ტექნოლოგიური თავისებურებებით და მათი დინამიზმით (ევოლუციით) განპირობებული მოთხოვნები კვალიფიციური სამუშაო ძალისადმი, სამუშაო ადგილებზე წარმოქმნილი შრომითი თავისებურებები და აბითურიენტთა და მათი

21 მართალია, ბაზრობებზე დასაქმებულები, არ წარმოადგენდნენ ბაზრობების მეპატრონეთა მიერ დაქირავებულ პირებს, მაგრამ მათ გრძელვადიან იჯარით აღებული ქონდათ სამუშაო (სავაჭრო) ფართობი, რომლებიც თავის მხრივ უნდა ყოფილიყო მოვაჭრის შრომის ფუნქციისადმი მისადაგებული. ხომ შეუძლებელია სასტუმრომ მომხმარებელს მიაწოდოს ნომერი საწოლის გარეშე?

მშობლების წარმოდგენები მომავალ პროფესიებზე, არის ის ფაქტორები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენისას.

ამ თვალსაზრისით პირველი კითხვა ასეთია: ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტრუქტურულად, როგორი უნდა იყოს ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის სასწავლო გეგმა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემისათვის საჭიროა გავარკვიოთ, კიდევ რა ძირითად ამოცანას უსახავს ჩვენი ქვეყნის შრომის ბაზარი ამ პროფესიის ადამიანებს. გასაგებია მათ უნდა მიიღონ მონაწილეობა საბაზრო ინსტიტუტების ფუნქციონირებაში და არ უნდა დასვან კითხვა: რა ვქნა მე ასეთ (იმ მოცემულ) პირობებში, რომელიც ობიექტურად შეიქმნა? თუ განათლებული და ჯამრთელი ხარ, და ეს ყველაფერი საზოგადოების დახმარებით მიიღე, მაშინ ასეთ კითხვას აზრი არ აქვს, რადგანაც შენი აქტიობით უნდა შეძლო საკუთარი (ხშირად სხვისიც) პრობლემების გადაწყვეტა. მიუხედავად ამისა, შრომის ბაზარზე გამოსულ პროფესიონალს უნდა ესმოდეს, რომ იგი სახალხო მეურნეობრივ პროცესებში მონაწილეობისათვის გამოდის და ეს პროცესი არის ერთიანი, ქვეყნის მთელი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი. მას უნდა ესმოდეს, რომ ბიზნესის სფეროში აქტიობა არის ქვეყნის სოციალურ გარემოში ძალისხმევები.

ასეთი ცოდნის ინტეორიზაციისათვის, მას უნდა ქონდეს გავლილი: საქართველოს ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის სპეციალური კურსები. რატომ სპეციალური და არა რაღაც საერთო ყველა დისციპლინისათვის? იკითხავენ ოპონენტები. რით განსხვავდება ფილოსოფია მენეჯერისათვის, ფილოსოფიისაგან მათემატიკოსისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ფილოსოფია „გავანთავისუფლოთ“ ზოგადი იდეოლოგიური დატვირთვისაგან. იგი უნდა იყოს მომავალი სპეციალისტის, მომავალი რეფლექსიისათვის მზადების ფუნდამენტალური ნაწილი. აქ იგულისხმება ის, რომ მომავალმა ეკონომისტმა, სხვა პრობლემებთან ერთად, უნდა გაიაზროს ისიც, რომ საყოველთაოდ ცნობილი კატეგორია „ფული“, დღესაც „ცნობილი“ არ არის და დისკუსიის საგანია. ცნება „კრედიტი“ მხოლოდ მისი ფილოსოფიური არსის (ჯონ ლოკი, დავით იუმი) გარკვევის შემდეგ გახდა ასეთი ჩვეულებრივი, ყოველდღიური გამოყენების საგანი. მოკლედ, მხოლოდ სწორად აგებული ფილოსოფიის კურსის საშუალებით შეძლებს გააცნობიეროს, რომ ის რუტინა, რომელსაც მას ყოველდღიურობა თავაზობს, არის წარსულიდან მომავლისაკან მიმართული თანამედროვეობა. რომ, მის მიერ არჩეული სპეციალობა მუდმივად გულისხმობს გარემოზე დაკვირვებას და საკუთარი საქმიანობის წარმართვის მორალურ ფასეულობათა საფუძველზე განსაზღვრულ „ჩარჩო“ პირობებს.

როდესაც მომავალი ეკონომისტი საკუთარ თავს გაიაზრებს თანამედროვეობის შემოქმედ სუბიექტად,

ხოლო სასწავლო პროცესს აღიქვამს შემოქმედებითი აქტივისატივის მზადების აუცილებელ პირობად, შესძლებს საკუთარი პროფესიის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დადგენას. გარდა ამისა, უდიდესია ფილოსოფიის შესაძლებლობები მის პროფესიულ უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებაში. მაგალითად, ერთ-ერთ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი უჩიოდა სტუდენტობას გარეგნული, ყოფითი ფორმებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო. ვურჩიე პირველ კურსზე ჩაეტარებინათ მათთვის სემინარი თემაზე: „რატომას სხვებთან შედარებით უფრო წარმატებული თანამედროვე საზოგადოებაში ლამაზი გარეგნობისა და კარგი ქცევის ადამიანი“. ამ საკითხზე დისკუსიის შემდეგ სტუდენტების დიდმა ნაწილმა დაიწყო სუფთად ჩაცმა, შეიცვალა მათი ვარცხნილობა და ა.შ. ეს მაგალითი მოწმობს, რომ მორალური ღირებულებები მუდმივ გააზრებას და გადაფასებას მოითხოვს. ხოლო ამორალური ბიზნესისათვის კი უნივერსიტეტი საჭირო სრულიადაც არ არის. ადამიანს ვისაც, ნამდვილად გააზრებული აქვს თავისი ადგილი საზოგადოებაში, აზრადაც არ მოუვა, რომ ტროტუარზე სავაჭრო ჯიხური დადგას, ან საერთო ეზოში ავტოფარეხი მოწყოს, სახლის წინ, გაზონებში პამიდორი დარგოს და შემდეგ უდარაჯოს, რომ არავინ არ მოპაროს. მართალია ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურიატებიც კი მოხვდნენ კრიმინალური ძიების ობიექტივში, მაგრამ ეს გამო-ნაკლისია და არა წესი.

უაღრესად მნიშვნელოვანია მომავალი ბიზნეს ადმინისტრატორებისათვის ფსიქოლოგიის ცოდნაც. ვერ ერთი, იმიტომ რომ მრავალ ეკონომიკურ პრობლემას, მაგალითად: გადავადებულ მოთხოვნებს, სარგებლიანობის ზღვრულ მნიშვნელობას, ნომინალურ სიდიდეთა უპირატესობას რეალური სიდიდეების მიმართ, უზრალოდ ვერ გაიგებს ფსიქოლოგიის ანბანის ცოდნის გარეშე. გარდა ამისა, მომავალი საქმიანობის რეალობათა გააზრება, საკუთრივ აზროვნების კონონზომიერებათა ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ყველაფერს რომ თავის დავანებოთ მომავალმა ეკონომისტმა ის უნდა იცოდეს, რომ ეკონომიკური კანონზომიერებები, როგორც ზოგადობები, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, სპეციფიკური გამოვლენის ფორმებით არსებობენ. რომ, მეურნეობა არის აგენტთა ისეთი ურთიერთმიმართება სადაც არ არსებობს „სხვა თანაბარი პირობები“, აქ ადამიანი უშუალოდ მონაწილეობს საკუთარ წამოწყებაში. ამასთან უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის ფაქტიც, რომ საქართველოში არსებობს საკუთარი, მომავალი ეკონომისტებისათვის საჭირო ფსიქოლოგიური თეორია, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის სახით. სწორედ განწყობის მთავარი მახასიათებელი „მოთხოვნილება“, გარკვეულ სიტუაციაში გარდაიქმნება სურვილად და შემდეგ იღებს მოთხოვნის, ეკონომიკური ფენომენის ფორმას. მიმაჩნია, რომ ქართველმა ფსიქოლოგებმა და ეკონომისტებმა ვერ შევქმელით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი თეორიის მსოფლიოსათვის სათანადო პრეზენტაცია. რაც

მომავლის საკითხია.

ასევე მნიშვნელოვანი იმის ცოდნაც, რომ სამეწარმეო პროცესები დამოუკიდებლად არ არსებობენ და ისინი მხოლოდ ერთიანი სოციალურ პროცესიდან აბსტრაქციის ძალით გამოკვეთილი რაობებია. როგორ სოციალურ გარემოში გვიხდება საქმიანობა და როგორი უნდა ვიყოთ თვითონ ჩვენ, როგორც სოციალურ შემადგენელი ინდივიდი? ეს კითხვა ყოველთვის დამოკლეს მახვილივით უნდა ეკიდოს ნებისმიერი უმაღლესი განათლების მქონე კადრის კისერზე, სხვაგვარად მუდმივი მორალური ღირებულებები იარსებებენ, როგორც საქმიანობის ეტიკეტის ნაწილი და არა, როგორც სამქმედო პროგრამები, იდეა ინდიკატორები.

როდესაც სტუდენტებს ვასწავლით საქართველოს ისტორიას, ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას სრულდება მისი მსოფლმხედველობითი მომზადება მომავალი რეფლექსიებისათვის. ჩვენ არ უნდა ვასწავლოთ ისტორია, როგორც მხოლოდ მეთოდი, რომლის ინტერპრეტაციაც ხდება საზეიმო და გამირული ფაქტების მეშვეობით. გარდა იმისა, რომ ისტორიას აქვს საკუთრივ ეკონომიკური საფუძველიც, რომელიც, მატერიალური დოვლათის გამო ადამიანთა ურთიერთობების ფორმირება განვითარებასა და გარდაქმნებში ვლინდება, იგი არის მძლავრი იარაღი დღევანდელი მსოფლიო გლობალური დინამიზმის გააზრებასა და წარმოდგენისათვის. გლობალიზაცია, როგორც მსოფლიოს ერთიანი საზოგადოებრიობის ფორმირების აუცილებლობის კანონზომიერი პროცესი, სწორედ საქართველოს ისტორიის პრიზმაში უნდა იქნას გააზრებული ქართველი სტუდენტების მიერ.

აღარ გავაგრძელებ ჩამოთვლილ სასწავლო დისციპლინათა მნიშვნელობაზე საუბარს და მით უფრო, მკითხველს აღარ შევანყენ ამ დისციპლინების ეკონომიკის სპეციალისტებისათვის პროფილიზაციის პრობლემებით. მხოლოდ შევნიშნავ, რომ თანამედროვე მეწარმისათვის მათი შინაარსობლივი სტრუქტურა ელოდება კერძო და არსებით დამუშავებას. რადგან ამ დისციპლინათა სწორი და გააზრებული სწავლების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე, ჰუმანიზირებული მეწარმე და მეწარმეობის თვითოეული მონაწილე.

დისციპლინათა მეორე ჯგუფი, რომელთა სწავლება აუცილებელია მომავალი სპეციალისტებისათვის პირობითად შეიძლება აღვნიშნოთ ერთი სიტყვით ესაა „მათემატიკა“. მათემატიკა არის ყოველივე რომელიც საჭიროებს რაოდენობრივ განზომილებებს, მიუხედავად იმისა რიცხვებით გაიზომება, ვარსკვლავებით თუ სხვა რაიმე საგნებით (რენე დე-კარტი). შესაბამისად ეკონომიკა, რომელიც გამოხატულებას პოულობს მათემატიკურ სიდიდეში, მოითხოვს ამ საგნის საფუძვლიან ცოდნას. კერძოდ მათემატიკის რომელი დისციპლინები უნდა იცოდეს ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალისტმა? აქ არ არის აუცილებელი ველოსიპედის გამოგონება, შეგვიძლია გავიზიაროთ ჰარვარდის ან რომელი წარმატებული

ბიზნეს სკოლის გამოცდილება. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ აღნიშნულ საკითხე დისკუსია არ ნყდება ამ უნივერსიტეტებში. მათემატიკა მომავალმა მენეჯერებმა უნდა ისწავლონ საფუძვლიანად. მათ უნდა გაიარონ მათემატიკურ დისციპლინათა მთელი ჯგუფი, დანყებული, რიცხვთა თეორიიდან, (რიცხვთა და სიმრავლეთა თეორია, ანალიზური გეომეტრია, მათემატიკური ანალიზი, ინტეგრალური და დიფერენციალური აღრიცხვა, ალბათობის თეორია, მათემატიკური სტატისტიკა, თამაშთა თეორია) დამთავრებული აქტუარული მათემატიკით.

ამავე დროს, მთავარია სტუდენტებს სწორად მივანოვოთ მათთვის აუცილებელი ცოდნა, რომ მათ შეძლონ მირებული პროფესიით სარგებლობა. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც აცილებლად მოითხოვს დაზუსტებას. საკითხი ეხება მათემატიკის შესწავლის მეთოდს: აქსიომატიკა, თუ თეორიის ილუსტრაცია რეალური პრაქტიკის კონკრეტული ამოცანებით? („მათემატიკას ეკონომისტებისათვის“, ან „ეკონომეტრიკას“ რომ ეძახიან.) საქართველოში არის აზრი (კახა ბენდუქიძე) ვინც მიიჩნევს, რომ სწავლების საუკეთესო ფორმაა ცოდნის აქსიომატიზაცია. შესაბამისად ეკონომიკური თეორიის სწავლება აქსიომატიკურ მეთოდს უნდა ემყარებოდეს, ამტკიცებენ ისინი. ამ საკითხის მკვლევართა შორის ცნობილი მათემატიკოსი (სამსონ ქუთათელაძე), მიიჩნევს რომ დროის გავლის შემდეგ მესხიერებაში რჩება აქსიომები, ხოლო ამოცანები, რომლებიც ამ აქსიომათა რეალურ შინაარსის გასაგებად მოვიყვანეთ მესხიერებიდან იშლება. ჩემი ხანგრძლივი გამოცდილებით ვიცი, რომ აქსიომის დასწავლა შეიძლება, მაგრამ მისი გაგება შეუძლებელია სანა არ განიხილავ კონკრეტულ მაგალითზე. მაგალითი აზრს აძლევს აქსიომას და სხვა თეორიულ წარმონაქმნებსაც. მართალია მესხიერებიდან იშლება ეს მაგალითები, მაგრამ სხვა მაგალითების მეშვეობით აქსიომაც მუდამ აღდგება მესხიერებაში. ხოლო დასწავლილი მუდამ ქრება, თუ იგი არ გაიმეორე. პრაქტიკოს ეკონომისტს, ბიზნესმენს, ან მენეჯერს კი აქსიომათა გამეორება არ უხდებათ, ისინი მხოლოდ მის დამადასტურებელ პრაქტიკულ აოცანებს აწყდებიან ცხოვრებაში. სწავლების აქსიომატური მეთოდი უვარგისია იმითაც, რომ მასზე უარი თქვს დანყებით სკოლაშიც. ამიტომ სამწუხაროა, რომ ქართული სინამდვილე ამ საკითხს დაუბრუნდა უმაღლესი განათლების პრობლემებთან მიმართებაში.

შემდეგი ჯგუფი სასწავლო საგნებისა, რომლის სწავლებაც აუცილებელია, არის ეკონომიკური დისციპლინები. რომელი ეკონომიკური დისციპლინები უნდა ვასწავლოთ მომავალ მენეჯერს? ეს სრულიად სპეციალური საკითხია. ჩვენი აზრით ეკონომიკურ სპეციალობაზე უნდა ისწავლებოდეს შემდეგი ეკონომიკური დისციპლინები: ეკონომიკური თეორია, მაკრო და მიკრო ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, ფინანსების თეორია და საზოგადოებრივი ფინანსები. გარდა ამ დისციპლინებისა, რომლებიც იძლევიან საფუძვლიან ცოდნას მომავალი ბიზნეს-

სის მონაწილესათვის საჭიროა ისეთი სპეციალური დისციპლინები, რომლებიც მათ თანამედროვე მენეჯმენტის პრობლემემატიკის ათვისებასა და გააზრებაში დაეხმარება. ესენია: სტრატეგიული მენეჯმენტი, მარკეტინგი, სტატისტიკის ზოგადი თეორია, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. კიდევ არის ეკონომიკურ დისციპლინათა ერთი ბლოკი, რომელთა ცოდნაც საქართველოში მოღვაწე ბიზნეს ადმინისტრატორისათვის აუცილებელია და რომელიც საქართველოში უმაღლეს დამთავრებულ სპეციალისტს მიანიჭებს კონკურენტულ უპირატესობას საზღვარგარეთ განათლება მიღებულებთან მიმართ. ესენია ის ეკონომიკური დისციპლინები, რომლებიც სტუდენტებს, საქართველოს ეკონომიკურ თავისებურებებზე უქმნის გარკვეულ წარმოდგენას. კერძოდ: საქართველოს ეკონომიკური რესურსები (პოტენციალი გამოყენების შესაძლებლობები), საქართველოს ეკონომიკა, საქართველოს პოზიციონირება მსოფლიო ბაზარზე, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება, საქართველოს ფინანსური უსაფრთხოება. ასეთი ცოდნის მიღებასთან ერთად სტუდენტები უნდა დაეუფლონ მომავალი პროფესიულ საქმიანობის ტექნოლოგიაში მათ ჩართულობას. თითქმის ყველა მიმართულების ეკონომისტისათვის ეს საგნებია: ნერილობითი და ელექტრონული კომუნიკაციები, ოფის მენეჯმენტი, მენეჯმენტის საერთაშორისო ელექტრონული სისტემების გამოყენება, საქართველოს საკანონმდებლო სისტემა, მენეჯერული და ფინანსური აღრიცხვა.

ასეთი: ჰუმანიტარული, მათემატიკური და ეკონომიკური ცოდნის დაუფლების შემდეგ დგება სპეციალიზაციის პრობლემა. ჩვენ შემთხვევაში, როდესაც განვიხილავთ მენეჯმენტის სპეციალობას, პროფესიული მომზადებისათვის აუცილებელი დისციპლინებია: საქართველოს ფინანსური სისტემა, ფინანსური ბაზარი, საქართველოს საბანკო სისტემა, ფულის მიმოქევა, საბანკო მარკეტინგი, საბანკო კონტროლი და შეფასება, საქართველოს მსოფლიო ფინანსურ სისტემაში. უცხო ენის გაძლიერებული სწავლებისა და ეფექტური სასწავლო პრაქტიკის, რომლის ორგანიზაცია საქართველოში ძალიან ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, გავლის შემდეგ, კურსდამთავრებული ალჭურვილი იქნება სრულყოფილი განათლებით, და არა თუ, დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, არამედ იგი გამოვა საქართველოს საბაზრო გარემოში როგორც შემოქმედი ძალა.

5. ეკონომიკის სპეციალობაზე სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხები

ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში არსებულ, კონკურენტული გარემოში, მაღალი კვალიფიკაციის ეკონომისტებზე დიდ მოთხოვნებია, რომელსაც, ქვეყანაში აკრედიტებული უნივერსიტეტები, სათანადოდ ვერ ართმევენ თავს. მოვლენათა ზედაპირზე ჩანს რამოდენიმე მიზეზი, რომელთა გამოც, დიპლომირებული ეკონომისტის კვალიფიკაცია არ შეესაბამება იმ სამეურნეო რე-

აღობას, რომელსაც მათ ქვეყნის ეკონომიკა უყენებს. ამის მთავარ მიზეზს კი წარმოადგენს, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, სწავლების დემოკრატიულ პროცესსა და აკადემიურ პროცესს შორის არსებული გარკვეული დისბალანსი. ამას ემატება ის გარემოებებიც, რომ აკადემიურ პერსონალს არ აქვს საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენის შესაძლებლობები. ეს ყოველივე კი, განაპირობებს უარყოფით მახასიათებლების, რომელთა აღმოფხვრაც უნივერსიტეტის გადაუდებელი ამოცანაა:

-როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმის გამო, რომ ეკონომისტის მომზადება არ მოითხოვს მაღალ სასწავლო ხარჯებს, რადგან არ საჭიროებს სპეციალურ, ძვირად ღირებულ ლაბორატორიებსა და სასწავლო საშუალებებს, ამ სპეციალობათა ორგანიზება ხელმისაწვდომი ხდება ნებისმიერი უნივერსიტეტისათვის, მიუხედავად იმისა რა შესაძლებლობები გააჩნია. ამიტომ აღნიშნული სპეციალიზაცია თითქმის ყველა უნივერსიტეტის მომგებიანობის მთავარი საფუძველი გახდა. ასეთმა, სპეციალობაზე მოთხოვნების მაღალი დონე აისახა სწავლების ხარისხში;

-ამავე დროს, არ არსებობს პროფესორთა კვალიფიკაციის და სწავლების ხარისხის გამსაზღვრელი მკაფიო ნორმატიული სისტემა, რის გამოც მასწავლებელთა უმეტესი რაოდენობა არის თვითგანათლების (საბაზო განათლების უქონელი) საფუძველზე, მომზადებული სპეციალისტი, რომელთაც არ ძალუძთ სათანადო დონეზე სასწავლო-მეთოდური საქმიანობა;

-მასწავლებელთა დიდი რაოდენობა დასაქმებულია ორ და მეტ უნივერსიტეტში, რის გამოც სამუშაო დროის მთელი ხანგრძლივობა მოდის ლექცია-სემინარებზე და აღარ რჩებათ დრო და ენერჯია სრულფასოვანი სამეცნიერო საქმიანობისათვის. შესაბამისად, ყველა უნივერსიტეტში ირდევება ბოლონის პროცესის, სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის, მთავარი მოთხოვნა. ასეთ პროფესურას არ ძალუძს შექმნას, დღევანდელი სიტუაციის შესაფერისი, სასწავლო ლიტერატურა. ის რაც არსებობს წარმოადგენს ცუდი ხარისხის კომპილაციას და ხშირ შემთხვევაში პლაგიატს;

-სასწავლო-მეთოდური საქმიანობის დაბალი დონიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმები მოკლებულია კონცეპტუალობას და ისინი გათვლილია არსებული პროფესორების შესაძლებლობებზე, რომლებიც, თავის მხრივ, სათანადო გააზრების გარეშე, უკითხავენ სტუდენტებს ლექციებს, ჩვენი რეალობისათვის მიუღებელ სასწავლო ლიტერატურის საფუძველზე.

არის სხვა მიზეზებიც, რომელთა ჩამოთვლას ამჟამად არ შევუდგები, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყოველივე გამოსწორებადია, თუ ამის სურვილი ექნება სწავლების ორგანიზაციასა და ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს. კერძოდ, მიმაჩნია, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყველა შესაძლებლობა არსებობს, სათანადო დონეზე განხორციელდეს, ეკონომიკის სპეციალობებზე კადრების

(ყველა დონეზე) მომზადება და ახლო მომავალში, იგი გახდეს ერთერთი მაღალრეიტინგული უნივერსიტეტი ამ მიმართულებით. ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს აქ არსებული აკადემიური პერსონალი, რომელთა მაღალი სამეცნიერო და სასწავლო-აღმზრდელობითი კვალიფიკაცია ეჭვს არ იწვევს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასმული საკითხების გადაწყვეტისათვის, გთავაზობთ განსახილველად, ჩვენს მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმას, რომელშიც ასახულია ის შესაძლებლობები, რომელიც არსებობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ძალების სათანადო კონცენტრაციის შემთხვევაში შესაძლებელია მოკლე ხანში შევძლოთ მისი რეალიზაცია.

სასწავლო გეგმას განვიხილავთ ეკონომიკის ყველაზე პოპულარული სპეციალიზაციის “ფინანსები და საბანკო საქმე” მაგალითზე. ასეთი სასწავლო გეგმის ფორმირების აუცილებლობასთან მივყავართ ჩვენს საბაზრო გარემოსა და სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. ის გარემოება, რომ ნებისმიერ ჩვენს კურს დამთავრებულს უხდება კონკურენტულ გარემოში გამოიჩინოს აქტივობები, ჩვენს მიერ შემოთავაზებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლება საშუალებას მისცემს კურს დამთავრებულებს: 1. თვით გახდეს ახალი ბიზნეს წამოწყების ინიციატორი; 2. მხარში დაუდგეს უკვე არსებულ ბიზნესს, ან სახელმწიფო ინსტიტუციის რომელიმე რგოლის წარმომადგენლებს, და თვითონვე შეიტანოს კორექტივები საკუთარი სამუშაო ადგილის ორგანიზაციაში, 3. სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში. ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა სტუდენტებს ეკითხებოდეთ სასწავლო დისციპლინების შემდეგი ჯგუფები:

1. ჰუმანიტარული საგნები:

საქართველოს ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია.

2. მათემატიკური დისციპლინები:

რიცხვთა თეორია (ირაციონალური რიცხვების ჩათვლით), სიმრავლეთა თეორია, ანალიზური გეომეტრია, მათემატიკური ანალიზი (წარმოებული, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა), წრფივი ალგებრა და წრფივი პროგრამირება, ალბათობის თეორია, მათემატიკური სტატისტიკა, თამამთა თეორია და აქტუარული მათემატიკა.

3. ეკონომიკური დისციპლინები:

ეკონომიკური თეორიები, მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, ფინანსების თეორია, საზოგადოებრივი ფინანსები, „ფული, ბანკი, ფულად-საკრედიტო ურთიერთობები“.

4. ეკონომიკური ცოდნის ზოგადი საფუძვლების მაფორმირებელი დისციპლინები:

სამეურნეო სამართალი, სტრატეგიული მენეჯმენტი, მარკეტინგი, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა.

5. სპეციალიზაციის საგნები:

საქართველოს ფინანსური სისტემა, ფინანსური ბაზარი, საქართველოს საბანკო სისტემა, ფულის მი-

მოქვეა, საბანკო მარკეტინგი, საბნკო კონტროლი და შეფასება, საქართველოს მსოფლიო ფინანსურ სისტემაში.

6. მომავალ პროფესიულ საქმიანობაში ტექნოლოგიური ჩართულობის უზრუნველმყოფი დისციპლინები:

წერილობითი და ელექტრონული ბიზნესკომუნიკაციები, მენეჯმენტის საერთაშორისო ელექტრონული სისტემები, საქართველოს კანონმდებლობა, ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვა.

7. საქართველოს ბაზარზე პასუხისმგებლური აქტივობების უზრუნველმყოფი

სასწავლო საგნები:

საქართველოს ეკონომიკური რესურსები: პოტენციალი, გამოყენების შესაძლებლობები, საქართველოს ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება, საქართველოს ფინანსური უსაფრთხოება, საქართველოს პოზიციონირება მსოფლიო ბაზარზე.

8. საბანკო საქმის თავისებურებათა შემსწავლელი დისციპლინები:

საქართველოს ფინანსური სისტემა, ფინანსური ბაზარი, საქართველოს საბანკო სისტემა, ფულის მიმოქვეა, ფისკალური პოლიტიკა, საბნკო კონტროლი და შეფასება, საქართველოს მსოფლიო ფინანსურ სისტემაში.

9. სასწავლო დისციპლინათა მთელი ჩამონათვალი დასრულებულ სახეს იღებს, როდესაც სტუდენტებს აქვთ საშუალება შემისწავლონ უცხო ენა, რომელთა შორისაც უნდა ვიგულისხმოდ: რუსული, თურქული, ბერძნული, იტალიური ენებიც, რომ სტუდენტს საშუალება ქონდეს ცალკეულ შემთხვევაში ამ ენების ცოდნით განამტკიცოს უპირატესობა კონკურენტულ გარემოში. ეს სასწავლო დისციპლინები საერთოა ბიზნეს ადმინისტრირების თითქმის ყველა სპეციალიზაციისათვის, გარდა საგანთა მერვე ჯგუფისა, რომლებიც საბანკო მენეჯმენტის სპეციალიზაციისათვის არის განსაზღვრული. სხვა სპეციალიზაციებზე, გარდა იმისა, რომ სპეციალიზაციის სხვა დისციპლინები უნდა ისწავლებოდეს ჰუმანიტარული და მათემატიკური საგნების წინაშეც დაისმება პროგრამათა პროფილიზაციის პრობლემა.

სასწავლო კურსი სრულყოფილი ვერ იქნება, თუ სტუდენტმა არ გაიარა საწარმო პრაქტიკა, რომლის ორგანიზაცია დღევანდელ პირობებში რთულია, მაგრამ ბიზნეს სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით შესაძლებელი. ამ წინადადებათა გათვალისწინებით სასწავლო გეგმა, ბიზნეს ადმინისტრირების სტუდენტებისათვის ბაკალავრიატში, მიიღებს შემდეგ:

- სწავლის ხანგრძლივობას 8 სემესტრი;
- სასწავლო დისციპლინათა რაოდენობა 38-42;
- დისციპლინის სწავლების ხანგრძლივობა 1 სემესტრი, რომელიც 16 კვირის განმავლობაში შეადგენს 48 საათს (აქედან ლექცია სემინარი 42 საათი, ცოდნის შემონახვა 6 საათი);
- დამამთავრებელ მერვე სემესტრში საგნების (5

დისციპლინა) სწავლება შემოკლებულია და შეადგენს 8 კვირას (24 სასწავლო საათი და 3 საათი ცოდნის შემონახვა);

-თვითეული სასწავლო დისციპლინის სწავლების სპეციფიკა აისახება სასწავლო საგნის სილაბუსში, რომლის შედგენისას, პროფესორი სასწავლო-მეთოდურ მითითებებს (საჭიროების შემთხვევაში) იღებს სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელისაგან;

-სტუდენტები წერენ საკურსო და იცავენ გამოსაშვებ (სადიპლომო) ნაშრომებს.

სასწავლო დისციპლინები იყოფა 7 ჯგუფად, რომელთა სწავლებაც განხორციელდება თანმიმდევრულად და ერთიანი კალენდარული გეგმით.

1. მენეჯმენტის ზოგადი, საფუძველქმნადი მეცნიერებები:

- 1.1. მიკროეკონომიკა (1 სემესტრი);
- 1.2. მაკროეკონომიკა 1 (2 სემესტრი);
- 1.3. მაკროეკონომიკა 2 (3 სემესტრი);
- 1.4. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა-(4 სემესტრი);
- 1.5. საქართველოს ეკონომიკა (4 სემესტრი);
- 1.6. ეკონომიკური პოლიტიკა (5 სემესტრი);
- 1.7. თანამედროვე ეკონომიკური კონცეფციები (6 სემესტრი).

2. მენეჯმენტის მიმართულების მიხედვით სპეციალური დისციპლინები (ამ საგნების საფუძველზე სასურველია შეიქმნას მოდულები მენეჯმენტის სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით):

მაგალითი 1. სახელმწიფო სექტორში, სამინისტროებში და სხვადასხვა საწარმოებში მუშაობის მსურველთათვის)

- 2.1. ფინანსური ბაზარი მისი სტრუქტურა და ფუნქციონირების მექანიზმი (6 სემესტრი);
 - 2.2. სახელმწიფო ბიუჯეტი და ფისკალური პოლიტიკა (7 სემესტრი);
 - 2.3. ფულად საკრედიტო პოლიტიკა (7 სემესტრი);
 - 2.4. საინვესტიციო პოლიტიკა (7 სემესტრი);
 - 2.5. შეზღუდული ბაზრების ფუნქციონირების თავისებურებები (7 სემესტრი);
 - 2.6. ადამიანის განვითარების და სიღარიბის დაძლევის ეკონომიკური პირობები (7 სემესტრი).
- მაგალითი 2. კერძო სექტორში (მცირე ბიზნესის არეალში) დასაქმების მსურველი სტუდენტებისათვის:

- 2.1. საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორი და მისი ფუნქციონირების თავისებურებები (6 სემესტრი);
- 2.2. უძრავი ქონების ბაზარი (7 სემესტრი);
- 2.3. მარკეტინგი (7 სემესტრი);
- 2.4. საქონლისა და მომსახურების მიწოდების ლოჯისტიკა (7 სემესტრი);
- 2.5. შრომითი ურთიერთობების და პერსონალის მართვის მენეჯმენტი (7 სემესტრი);
- 2.6. სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობა (7 სემესტრი).

მაგალითი 3. კორპორატიულ სექტორში დასაქმების მსურველთათვის:

- 2.1. კორპორაციული კაპიტალის ფუნქციონირების

თავისებურებები კონკურენტულ გარემოში (6 სემესტრი);

2.2.კორპორაციული მენეჯმენტი (7 სემესტრი);

2.3.კორპორაციის საინვესტიციო საქმიანობა (7 სემესტრი);

2.4.კაპიტალის ბაზარი (7 სემესტრი);

2.5. ფასიანი ქაღალდების ადგილობრივი და გლობალური ბაზრები (7 სემესტრი);

2.6. კორპორაციის ფუნქციონირება საერთაშორისო ბაზარზე (7 სემესტრი). საგანთა ამავე ჯგუფში შევა დისციპლინები, რომლებიც დამამთავრებელი კურსის ბოლო სემესტრში შეისწავლება. სემესტრი იქნება შემოკლებული(8 კვირიანი), რადგან ბოლო 8 კვირა დაეთმობა სასწავლო პრაქტიკას. ამ საგნების სწავლების აზრია ხელი შეუწყოს სტუდენტებს კარგად გააცნობიერონ გარემო, რომელშიაც მოუწევთ საქმიანობა სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ. (ამ საგნებშიც შესაძლებელია მოდულების გამოცალკევება, მაგრამ სასურველი არ არის):

2.6.მსოფლიო ბაზრის გლობალიზაციის ძირითადი მიმართულებები;

2.7.მსოფლიო ფინანსური ცენტრები და ტრანსე-როვნული კორპორაციები;

2.8.საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები და მათთან თანამშრომლობის ეროვნული თავისებურებები;

2.9.საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები;

2.10.საქართველოს ეკონომიკის მართვის პოლიტიკური სისტემა.

სასწავლო საგანთა მესამე ჯგუფს ქმნის მათემატიკური დისციპლინები, რომელთა ხანგრძლივობა გაგრძელდება 6 (1,2,3,4,5,6,) სემესტრის განმავლობაში. მათემატიკურ დისციპლინათა ათვისება საშუალებას მისცემს სტუდენტს დაძლიოს მენეჯმენტის ნებისმიერი სპეციალიზაცია, სადაც სპეციალური მათემატიკური ცოდნის გარეშე დღეს შეუძლებელია საქმიანობა.

3.მატემატიკური დისციპლინები:

3.1.რიცხვთა თეორია,სიმრავლეთა თეორია, ანალიზური გეომეტრია (1 სემესტრი);

3.2.ფუნქციონალური ანალიზი (2 სემესტრი);

3.3.დიფერენციალური და ინტეგრალური ალ-რიცხვა (3 სემესტრი);

3.4.ალბათობის თეორია (4 სემესტრი);

3.5.წრფივი ალგებრა და წრფივი პროგრამირება (5 სემესტრის);

3.6.ეკონომიკის მათემატიკური მოდელირება (6 სემესტრი).

სრულყოფილი განათლების კონცეფციიდან გამომდინარე, დისციპლინათა მეოთხე ჯგუფი დაეთმობა ჰუმანიტარულ საგნებს. რომლებთა პროფილიზირებული სწავლებაც შექმნის მომავალ მენეჯერთა საერთო განათლების მყარ საფუძველს. ამ საგნების სწავლების ხანგრძლივობა იქნება 6(1,2,3,4,5,6)სემესტრი. გარდა ამისა, ამ დისციპლინების შესწავლა სტუდენტებს მისცემს ცოდნას, კარგად გაერკვნენ

ქვეყნის მიმდინარე პრობლემებში და გამოიმუშაონ სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია. აგრეთვე სურვილის შემთხვევაში დაეუფლონ მომიჯნავე პროფესიებს.

4.ჰუმანიტარული დისციპლინები

4.1.ფილოსოფია (1 სემესტრი);

4.2.კულტურული და ეკონომიკური ანტროპოლოგია (2 სემესტრი);

4.3.ფსიქოლოგია (3 სემესტრი);

4.4.სოციალური ფსიქოლოგია (4 სემესტრი);

4.5.სამართალმცოდნეობა (5 სემესტრი);

4.6.საქართველოს ეკონომიკური ისტორია (6 სემესტრი).

სპეციალურად გამოვყოფთ საბუღალტრო აღრიცხვის და ანგარიშგების შესწავლის აუცილებლობას. ეს განპირობებულია იმთავე, რომ რიგი კურსდამთავრებული საკუთარი ბიზნესსამიწყებით საქმდება. აქ მათ, პირველ ეტაპზე მაინც ესაჭიროებათ საბუღალტრო სტანდარტების ცოდნა. ამიტომ მენეჯმენტის ზოგადი პრინციპების შემსწავლელი საგნებიდან, სპეციალურად, გამოვყოფთ ფინანსური აღრიცხვის შემსწავლელ დისციპლინებს.

5.ფინანსური აღრიცხვა და ფინანსური მენეჯ-მენტი:

5.1.ფინანსური აღრიცხვა (5 სემესტრი);

5.2.ფინანსური მენეჯმენტი (6 სემესტრი).

დისციპლინათა მეექვსე ჯგუფი უზრუნველყოფს თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიების შესწავლას, რაც იძლევა მენეჯერის სამუშაო ადგილის ორგანიზაციის ცოდნას და ოფისის მართვის უნარ ჩვევებს. პრაქტიკულად სტუდენტი იღებს "ოფის მენეჯერის" პროფესიას და მენეჯერისათვის საჭირო და აუცილებელ უნარ ჩვევებს.

6.კომპიუტერი და მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები- 6 (1,2,3,4,5,6) სემესტრი:

6.1.კომპიუტერი პროგრამები (1სემესტრი);

6.2.საქმიანი საბუთების დამუშავება და მათი ელექტრონული ბრუნვა (2 სემესტრი);

6.3.საქმიანი საბუთების შედგენა და მათი მისამართული ორიენტაცია (3 სემესტრი);

6.4.ონლაინ რეჟიმში მსოფლიო ეკონომიკურ ცენტრებთან თანამშრომლობის მეთოდები (4 სემესტრი);

6.5.ეკონომიკური ამოცანის გამოკვეთა და მათი კომპიუტერული დამუშავება (5 სემესტრი);

6.6.ბიზნეს იდეების და გეგმების დაცვა და გავრცელება, რეფერირებული მასალის პრეზენტაცია-(6 სემესტრი).

ყოველივეს დაემატება უცხო ენა და სასწავლო პროგრამა მიიღებს დასრულებულ ფორმას. ვინც გამოიჩენს შესწავლის სურვილს და მასალის ათვისების უნარს, მისთვის საკმარისია სამი სემესტრი უცხოენის შესასწავლად. მსურველები შეისწავლიან მეორე ენასაც ამისთვის გამოყოფილ საათებში.

7.უცხო ენები -3 (1,2,3,) სემესტრი.სასწავლო დისციპლინათა, ეს 7 ჯგუფი მთლიანად მოიცავს, დღევანდელ საქართველოში, ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობაზე, სრულყოფილი განათლების

მოთხოვნებს. მათი სათანადო მეთოდური უზრუნველყოფის შემთხვევაში (ძირითადად, იგულისხმება სასწავლო დისციპლინების 4 და 6 ჯგუფების სწორი, პროფილიზირებული სწავლება) საქართველოს შრომის ბაზარზე გამოვლევებით კონკურენტუნარიან კადრებს, მიუხედავად იმისა, თუ სად მიიღებენ მათი თანატოლები განათლებას, საქართველოში, თუ საზღვარგარეთ.

ამგვარად, თუ შევძლებთ თანმიმდევრულად განვახორციელებთ შემოთავაზებული პროგრამა (სასწავლო გეგმა), სტუდენტი, რომელიც გადაწყვეტს “ბიზნეს ადმინისტრატორის” პროფესიას დაეუფლოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ძირითად სპეციალობასთან ერთად, დამატებით, საწყისი დონეზე, ათვისებს, ოფის მენეჯერისა და ბუღალტრის პროფესიებს. ეს კი საშუალებას მისცემს მას, დასაქმების არსებულ პირობებში, ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე იმოქმედოს.

სპეციალურ, ცალკე საკითხს წარმოადგენს, დღევანდელი უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების მოსახლეობისათვის გაცნობა და ამ მიმართულებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რომლის გარეშეც შეუძლებელია არსებულ კონკურენტულ გარემოში ეფექტური ფუნქციონირება. ეს საკითხი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი უკავშირდება საზღვარგარეთ განათლების მისაღებად ახალგაზრდობის მიგრაციის პრობლემას. კერძოდ, სამუშაო ადგილებისათვის ბრძოლაში, ჩვენს მიერ გამოშვებულ სტუდენტობას კონკურენციას უწევს და ხშირად ჯაბნის საზღვარგარეთ უნივერსიტეტ დამთავრებული ახალგაზრდობა, რომელიც შეუძლებელია სათანადოდ იყოს მომზადებული ჩვენი ბაზრისათვის. ამიტომ უნივერსიტეტის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია. იგი დაზოგავს ქვეყნის შიგნით საინვესტიციო რესურსს, შექმნის მაღალ მოთხოვნებს სწორედ საქართველოს უნივერსიტეტებ დამთავრებულ კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, და მკვეთრად შეამცირებს საზღვარგარეთ დაუსაბუთებელ მიგრაციას.

რეზიუმე

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, განხილულია ეფექტური სწავლების მეთოდები. ორგანიზაციის „კონტინენტის ცენტრალური ნაწილის კვლევები განათლებისა და სწავლებისათვის“ (McREL) მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ეფექტური სწავლების ცხრა მეთოდი, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე.

საკვანძო სიტყვები: ეფექტური სწავლების მეთოდები, მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენა, შეჯამება და ჩანაწერების გაკეთება, მოსწავლის ძალისხმევის გაძლიერება და მისი წარმატების აღიარება, საშინაო დავალება და პრაქტიკა, წარმოდგენის არალინგვისტური ხერხები, თანამშრომლობითი სწავლა, მიზნების დასახვა და კომენტარების გაკეთება, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და გამოცდა, მინიმუმები, შეკითხვები და წინმსწრები აქტივობები.

* * * * *

განათლების სფეროში გარდატეხის პერიოდია, რადგან სწავლების „ხელოვნება“ თანდათანობით სწავლების „მეცნიერებად“ უნდა იქცეს. ამ ტრანსფორმაციის განსახორციელებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო. 1970-იანი წლებიდან დაწყებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ მასწავლებელს უფრო დიდი ზეგავლენა აქვს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, ვიდრე ეს მანამდე ჩატარებულ კვლევებში იკვეთებოდა. ორგანიზაციამ „კონტინენტის ცენტრალური ნაწილის კვლევები განათლებისა და სწავლებისათვის“ (McREL) ყველა იმ რჩეული კვლევის ანალიზი განახორციელა, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გამოსაყენებელ სწავლების მეთოდებს უკავშირდება. კვლევის ეს ტექნიკა მეტაანალიზის სახელითაა ცნობილი. მეტაანალიზი გულისხმობს სხვადასხვა კვლევის შედეგების კომბინირებას, კონკრეტული მეთოდის ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით.

განვიხილოთ სწავლების ის მეთოდები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე:

• **მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენა**

მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაცია ადამიანის აზროვნების საბაზო ელემენტებთან დაკავშირებული პროცესია. ამ მეთოდთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ ოთხი ზოგადი დასკვნა:

1. მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციის პროცესში მოსწავლეებისათვის პირდაპირი დახმარების აღმოჩენა მათში ცოდნის გააზრებისა და გამოყენების შესაძლებლობას ზრდის. მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენას თან მოსწავლეთა შორის სასარგებლო დისკუსიები და კითხვა-პასუხი ახლავს.

2. ასევე, მათში ცოდნის გააზრებისა და გამოყენების შესაძლებლობას ზრდის მოთხოვნა იმისა, რომ დამოუკიდებლად იპოვონ მსგავსება-განსხვავება, მასწავლებლისაგან პირდაპირი მინიშნებების გარეშე. თუ მასწავლებელი მიზნად ისახავს, რომ მოსწავლეები მსგავს დასკვნებამდე მიიყვანოს, მაშინ მან უნდა გამოიყენოს აქტივობები, რომელშიც მთავარ როლს თავად ასრულებს, ხოლო მაშინ, როცა მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლეებში განსხვავებული იდეების სტიმულირება მოახდინოს, კლასში ისეთი აქტივობები უნდა გამოიყენოს, რომლებიც მთლიანად მოსწავლეთა ძალისხმევაზე მიმართულია.

3. მოსწავლეებისათვის მსგავსებისა და განსხვავების გრაფიკული ან სიმბოლური წარმოდგენა მათში ცოდნის გააზრებისა და გამოყენების შესაძლებლობას ზრდის. მსგავსებისა და განსხვავების გრაფიკული ან სიმბოლური წარმოდგენა მათ ეხმარება, უკეთესად გაიაზრონ მასალის შინაარსი.

4. მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენის პროცესი სხვადასხვაგვარად შეიძლება წარმართოს და საკმაო ძალისხმევას საჭიროებს. კვლევებში იკვეთება ამ მეთოდის ოთხი სხვადასხვა, ყველაზე ეფექტური „ფორმა“: შედარება, კლასიფიკაცია, მეტაფორები და ანალოგიები.

შედარება წარმოადგენს საგნებს ან იდეებს შორის მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციის პროცესს.

კლასიფიკაცია წარმოადგენს საგანთა კატეგორიებად დაჯგუფების პროცესს, რომელიც ეფუძნება მათ მახასიათებლებს.

მეტაფორების შექმნა წარმოადგენს კონკრეტულ თემაში ზოგადი ან საბაზო პარადიგმის იდენტიფიკაციის პროცესს და შემდეგ ისეთი სხვა თემის მოძიებას, რომელიც სრულიად განსხვავებულია, მაგრამ იმავე, ზოგად პარადიგმას ემორჩილება.

ანალოგიების შექმნა წარმოადგენს ცნებათა წყვილებში ურთიერთკავშირების იდენტიფიკაციის პროცესს.

შედარების დროს, ძირითადად ორი ტიპის გრაფიკული სქემა გამოიყენება- ვენის დიაგრამა და შედარების მატრიცა.

• **შეჯამება და ჩანაწერების გაკეთება**

შეჯამება და ჩანაწერების გაკეთება ინფორმაციის წარმოდგენას მოკლე, სინთეზური ფორმით მოითხოვს.

ეფექტური შეჯამებისათვის საჭიროა მოსწავლეებმა ინფორმაციის ნაწილი ნაშალონ, ნაწილის პერიფრაზირება მოახდინონ და ნაწილი დატოვონ. აუცილებელია, მოსწავლემ კარგად გაიაზროს შესაჯამებელი ტექსტის არსი, რათა ზუსტად განსაზღვროს, ინფორმაციის რა ნაწილია ნასაშლელი, ჩასანაცვლებელი და/ან დასატოვებელი. ერთი შეხედვით შეიძლება ადვილად მოგვეჩვენოს ის მენტალური ოპერაციები, რომლებიც ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის შეჯამებას, ჩანაცვლებას და შერჩევას უკავშირდება. სინამდვილეში, სწორი გადანყვებილების მიღება ამ ოპერაციების შესახებ ინფორმაციის ზედმინევიანთ ანალიზს მოითხოვს. ინფორმაციის შეჯამებისათვის ძალიან სასარგებლოა ტექსტის სტრუქტურის გაგება.

ჩანაწერების გაკეთება მჭიდრო კავშირშია შეჯამებასთან. ჩანაწერების გაკეთების ეფექტურობისათვის, მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ და შემდეგ მოკლედ ჩამოაყალიბონ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სავარაუდოდ, ამ მეთოდის ყველაზე ნაკლებად ეფექტური სახეობაა - სიტყვასიტყვით ჩანაწერების გაკეთება. ჩანაწერები მუდმივად უნდა ახლდებოდეს და ივსებოდეს. ჩანაწერების განახლება გულისხმობს შემდგომ შესწავლილი ინფორმაციის დამატებას, ცვლილებების შეტანას უკვე ჩანერილ ტექსტში, მასალის უკეთ გაანალიზებისა და უფრო ღრმად წვდომის საფუძველზე.

გამოცდისთვის მზადების პროცესში ჩანაწერებმა გზამკვლევის ფუნქცია უნდა შეასრულონ. თუ ჩანაწერები კარგადაა ორგანიზებული და მოსწავლეები მათ მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ანახლებენ, ჩანაწერები უკვე გააზრებული მასალის გამეორების შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს.

რაც უფრო მეტ ჩანაწერს აკეთებენ მოსწავლეები, მით უკეთესია. არ არსებობს ჩანაწერების გაკეთების ერთი სწორი გზა. სხვადასხვა მოსწავლემ შეიძლება ჩანაწერების გაკეთების სრულიად განსხვავებული ტექნიკა აირჩიოს, მაგ. ქსელური ჩანაწერები, არაფორმალური მონახაზი, გამოიყენოს ჩანაწერების გაკეთების კომბინირებული ტექნიკა და სხვ.

• მოსწავლის ძალისხმევის გაძლიერება და მისი წარმატების აღიარება

ერთ-ერთი თეორიის თანახმად, რწმენა იმისა, რომ ადამიანის ძალისხმევა შედეგს გამოიღებს, ადამიანის ეფექტურობას ზრდის. ადამიანები წარმატებას უკავშირებენ: უნარს, ძალისხმევას, სხვა ადამიანებს ან იღბალს. ამათგან, რწმენა იმისა, რომ შენი ძალისხმევა შედეგს გამოიღებს, ყველაზე სასარგებლოა. შესაბამისად, თუ გჯერა, რომ წარმატება ძალისხმევით მიიღწევა, ნებისმიერ სიტუაციაში, წარმატების მიღწევის მთავარი სამოტივაციო იარაღი შენთანაა. მასწავლებლებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ მოსწავლეთათვის რწმენის გაღვივება, რომ ძალისხმევა შედეგს გამოიღებს. ყველა მოსწავლისათვის გასაგები უნდა იყოს თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება იმის რწმენას, რომ მისი ძალისხმევა დაფასდება. მოსწავლეებმა შეიძლება დამოკიდებულება შეიცვალონ და

ძალისხმევაზე ორიენტირებულები გახდნენ. რაც შეეხება მოსწავლის წარმატების აღიარებას, კვლევები აჩვენებს, რომ ჯილდომ შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს, ან პირიქით გაზარდოს მოტივაცია, ყველაფერი დამოკიდებულია გარემოებებზე. ჯილდო ყოველთვის უარყოფით გავლენას არ ახდენს მოსწავლის შინაგან მოტივაციაზე. ჯილდო ყველაზე ეფექტურია მაშინ, როცა მისი მიღება აკადემიური მოსწავლის გარკვეული სტანდარტის მიღწევას უკავშირდება. აბსტრაქტული, სიმბოლური აღიარება უფრო ეფექტურია, ვიდრე ხელშესახები ჯილდო. კვლევები ადასტურებს, რომ რაც უფრო სიმბოლურია წარმატების აღიარების ფორმა, მით უფრო ძლიერია მისი გავლენა მოსწავლის შინაგან მოტივაციაზე.

• საშინაო დავალება და პრაქტიკა

საშინაო დავალება და პრაქტიკული მუშაობა სწავლების ის მეთოდებია, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიუმჯობესონ უნარები და უკეთესად ჩანვდნენ შესასწავლ მასალას. დანყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სხვადასხვა მოცულობის საშინაო დავალება უნდა მიეცეთ. მშობელი ძალიან იშვიათად უნდა ჩაერიოს საშინაო დავალების შესრულების პროცესში. მასწავლებელი კარგად უნდა ადგენდეს და ხსნიდეს საშინაო დავალების მიზანს და თუ მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებას აძლევს, შესრულებული დავალების გასწორებისთვისაც მზად უნდა იყოს. უნარ-ჩვევის განვითარება, როგორც წესი, გარკვეული პერიოდის მანძილზე მიზანმიმართულ პრაქტიკას უკავშირდება. პრაქტიკის დროს მოსწავლეები ათვისებულ მასალას უკეთ იაზრებენ და თავიანთ სწავლის საჭიროებებს არგებენ. საშინაო დავალება და პრაქტიკა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გაიხანგრძლივონ მეცადინეობის საათები სკოლის შემდეგ, დახვეწონ და გაიმდიდრონ სკოლაში შექმნილი ახალი უნარები და ცოდნა.

• წარმოდგენის არალინგვისტური ხერხები

„ორმაგი კოდირების“ თეორიის მიხედვით, ცოდნა ორი ფორმით ინახება-ლინგვისტური და წარმოსახვითი ფორმით. ლინგვისტური ფორმა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც წინადადების წყება გრძელვადიან მეხსიერებაში, წარმოსახვითი ფორმა კი გამოისახება მენტალური სურათებით, ან ფიზიკური შეგრძნებებით, როგორებიცაა: სურნელი, გემო, შეხება, ხმა და ა.შ. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს წარმოდგენის არალინგვისტური ფორმების შექმნაში ეხმარება, სწავლის შედეგი გაცილებით მაღალია. წარმოდგენის არალინგვისტური ფორმების შექმნაში მოსწავლეთა ხშირი ჩართვა ხელს უწყობს ტვინის მუშაობის სტიმულირებას.

წარმოდგენის არალინგვისტური ფორმების გამოყენებაზე მოსწავლეებმა შეიძლება სხვადასხვა აქტივობებით ივარჯიშონ. კვლევები ადასტურებს, რომ ქვემოთ წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებაში არალინგვისტური სქემების ჩამოყალიბებას და შესაბამისად, აუმჯობესებს მასალის გააზრებას:

- გრაფიკული გამოსახულებების შექმნა.
- ფიზიკური მოდელების გაკეთება.
- მენტალური სახეების შექმნა.
- სურათებისა და პიქტოგრამების ხატვა.
- კინესთეტიკურ აქტივობაში ჩართვა.

გრაფიკული სქემა წარმოსახვის ორივე ფორმას გულისხმობს - ლინგვისტურსა და არალინგვისტურს. ლინგვისტურია სიტყვები და ფრაზები. არალინგვისტურია სხვადასხვა ტიპის სიმბოლოები და ისრები, რომლებიც სიმბოლოებს შორის ურთიერთობებს გამოხატავენ. გრაფიკული სქემების სახეობებია: აღწერითი პარადიგმა, დროითი თანმიმდევრობის პარადიგმა, პროცესის/მიზეზ-შედეგობრიობის პარადიგმა, ეპიზოდის პარადიგმა, განზოგადების/პრინციპის პარადიგმა, ცნების პარადიგმა .

წარმოდგენის სხვა არალინგვისტურ ფორმებს მიეკუთვნება ფიზიკური მოდელების დამზადება. ფიზიკური მოდელი იმ მასალის კონკრეტული წარმოდგენაა, რომელსაც მოსწავლე სწავლობს. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ასეთ მოდელებს „მანიპულატორების“ სახელით მოიხსენიებენ. ფიზიკური მოდელი მოსწავლეს ეხმარება, გონებაში შეიქმნას ასათვისებელი ცოდნის „გამოსახულება“ (მაგ. ფილტვების მოდელი, სუნთქვის მექანიზმი).

არალინგვისტური გამოსახვის ყველაზე პირდაპირი და მარტივი გზა მოსწავლის მიერ იმ ცოდნის შესახებ მენტალური სურათის შექმნაა, (ანუ წარმოსახვა), რასაც ამჟამად ეუფლება (მაგ. ეკოლოგიაში თემის „ბიომების“ შესწავლისას: ტუნდრის, ტაიგის, სავანის და ა.შ. წარმოსახვა).

გონებაში არალინგვისტური წარმოსახვის კარგი საშუალებაა სურათებისა და პიქტოგრამების (ანუ სიმბოლური სურათების) ხატვა. მაგალითად, მოსწავლეთა უმეტესობას დაუხატავს, გაუფერადებია ან კლასში მაინც უნახავს ადამიანის ჩონჩხი.

კინესთეტიკურია აქტივობა, რომელიც ფიზიკურ მოძრაობას გულისხმობს. ფიზიკური მოძრაობა, რომელიც კონკრეტულ ცოდნასთანაა ასოცირებული, ხელს უწყობს მოსწავლეში ამ ცოდნასთან დაკავშირებული მენტალური სურათის შექმნას (მაგალითად, მიტოზისა და მეიოზის შესწავლისას პროცესთა კოსტიუმირებული წარმოდგენების დადგმა).

• **თანამშრომლობითი სწავლა**

არსებობს თანამშრომლობითი სწავლის მეთოდის განმსაზღვრელი ხუთი ელემენტი: 1. პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება, 2. ურთიერთგამხნეება, 3. ინდივიდუალური და ჯგუფური ანგარიშვალდებულება, 4. ინტერპერსონალური და პატარა ჯგუფში მუშაობის უნარები (კომუნიკაცია, ნდობა, ლიდერობა , გადანეყვებულების მიღება და კონფლიქტების მოგვარება) , 5. ჯგუფის წინსვლა. მოსწავლეთა ჩართვა თანამშრომლობით სწავლაში, ეფექტური მეთოდია მიუხედავად იმისა, ეჯიბრებიან თუ არა ერთმანეთს მოსწავლეთა ჯგუფები. კვლევები აჩვენებს, რომ ნაკლებად მიზანშეწონილია მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფა შესაძლებლობების მიხედვით. ამასთანავე, სასურველია, რომ თანამშრომლობითი ჯგუფები პა-

ტარა იყოს (3-4 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფები უფრო ეფექტურია, ვიდრე უფრო დიდი ჯგუფები). თანამშრომლობითი სწავლა სასარგებლო აქტივობაა, თუმცა ზედმეტად ხშირად არ უნდა გამოიყენოს. მისი ხშირად გამოყენება ეფექტურობის შემცირებას იწვევს. მასწავლებლებმა ეს მეთოდი შეიძლება სხვადასხვა ფორმით და სრულიად განსხვავებულ სიტუაციებში გამოიყენონ.

• **მიზნების დასახვა და კომენტარების გაკეთება**

მიზნების დასახვა სწავლისათვის მიმართულების მიცემის მეთოდია. ეს ის უნარია, რომელიც წარმატებულ ადამიანებს კარგად აქვთ განვითარებული და მათ გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დასახვაში ეხმარება . მიზნების დასახვის შესახებ ჩატარებული კვლევებიდან იკვეთება სამი განზოგადებული დასკვნა: 1.სასწავლო მიზნების განსაზღვრის შედეგად, მოსწავლის ყურადღება მხოლოდ კონკრეტულ მასალაზეა მიმართული. რადგან მიზნის დასახვა მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციას მხოლოდ კონკრეტულ საკითხზე ახდენს, დანარჩენ მასალას იგი საფუძვლიანად ვეღარ ითვისებს. მაგალითად, თუ მასწავლებელი აკონკრეტებს სწავლის მოსალოდნელ შედეგს ამგვარად: მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, თუ როგორ ფუნქციონირებს უჯრედი, მაშინ შესაძლოა მოსწავლეებმა ისე კარგად ვერ გაიაზრონ ამ თემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, როგორც იმ შემთხვევაში, თუ სწავლის შედეგი წინასწარ ჩამოყალიბებული არ იქნებოდა. 2.სასწავლო მიზნები არ უნდა იყოს ზედმეტად დაკონკრეტებული. ზოგადი ფორმით წარმოდგენილი სასწავლო მიზნები უფრო ეფექტურია, ვიდრე ბიჰევიორისტული ფორმით ჩამოყალიბებული მიზნები. ზოგადი მიზნები უფრო მეტ თავისუფლებას უტოვებს მოსწავლეს. 3. მოსწავლეები უნდა წავახალისოთ, რომ გაიაზრონ მასწავლებლის მიერ დასახული მიზნები. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი ჩამოყალიბებს სასწავლო მიზნებს, აუცილებელია, მოსწავლეებს საშუალება მივცეთ, მოახდინონ ამ მიზნების საკუთარ საჭიროებებზე მორგება. (მაგალითად, მოსწავლე ასე აყალიბებს თავის სასწავლო მიზნებს: მინდა მეტი ვიცოდე თირკმელებისა და მათი ფუნქციონირების შესახებ. მალე ბაბუაჩემს ერთი თირკმელი უნდა ამოაჭრან). მასწავლებლები ხშირად იყენებენ მოსწავლეების მიერ შესრულებულ დავალებაზე კომენტარების გაკეთების მეთოდს. კომენტარებში აღნიშნულია, თუ რამდენად კარგად შეასრულა მოსწავლემ მიცემული დავალება. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარები ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. კომენტარები დროული უნდა იყოს და კონკრეტულ კრიტერიუმებს უნდა უკავშირდებოდეს. კვლევები აჩვენებს, რომ მოსწავლეებსაც შეუძლიათ საკუთარი პროგრესის ეფექტური მონიტორინგი, შესაბამისად, ეფექტური კომენტარების გაკეთება მათ თავადაც შეუძლიათ.

• ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და გამოცდა

ჰიპოთეზის ჩამოყალიბების და გამოცდის პროცესი ცოდნის გამოყენებას გულისხმობს. ჰიპოთეზის ჩამოყალიბებასა და გამოცდას შეიძლება ინდუქციური ან დედუქციური კუთხით შევხედოთ. დედუქციური აზროვნების დროს ვიყენებთ ზოგად წესს, რათა მომავალი ქმედება ან მოვლენა ვინინასწარმეტყველოთ. ინდუქციური აზროვნება კი უკავშირდება ახალი დასკვნების გაკეთებას იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც მოგვეპოვება, ან რასაც გვანვლიან. ჩვენი აზროვნება უფრო „შერეულია“, ვიდრე წმინდად დედუქციური ან ინდუქციური. ინდუქციური სწავლების მეთოდები მოსწავლისაგან გარკვეული პრინციპების აღმოჩენას, ხოლო შემდეგ ამ პრინციპების მიხედვით ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას მოითხოვს. როცა მოსწავლეებს სათანადო გამოცდილება არ აქვთ, უმჯობესია, ზოგადი პრინციპები მივანოდოთ და ჰიპოთეზის ჩამოყალიბება ამ პრინციპების საფუძველზე ვთხოვოთ. მასწავლებელმა უნდა მოსთხოვონ მოსწავლეებს, ცხადად ახსნან თავიანთი ჰიპოთეზები და დასკვნები. კვლევები ადასტურებს, რომ ძალიან ეფექტურია მოსწავლეების მიერ დეტალური ახსნა-განმარტების ჩამოყალიბება (სასურველია, წერილობითი ფორმით) იმასთან დაკავშირებით, თუ რა პრინციპებზე მუშაობენ, რა ჰიპოთეზას აყალიბებენ ამ პრინციპებზე დაყრდნობით და რატომაა გონივრული მათი ჰიპოთეზა.

• მინიშნებები, შეკითხვები და წინმსწრები აქტივობები

ზემოაღნიშნული სწავლების სტრატეგიები მოსწავლეებს ეხმარება, თავი მოუყარონ იმ ცოდნას, რომელიც მოცემულ თემასთან დაკავშირებით გააჩნიათ. ამას „წინარე ცოდნის აქტივაციასაც“ უწოდებენ. ცოდნა, რომელიც გაგვაჩნია კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, დიდ გავლენას ახდენს ამ თემის შესახებ ახალი ცოდნის ათვისებაზე. მინიშნებები და შეკითხვები ყველაზე მნიშვნელოვან, და არა ყველაზე ორიგინალურ, საკითხებს უნდა უკავშირდებოდეს. „ანალიტიკური“ შეკითხვები უფრო სასარგებლოა, ვიდრე „ფაქტობრივი“ შეკითხვები. მასწავლებლის მიერ შეკითხვის დასმის შემდეგ, სასურველია, მცირედი შეყოვნება. შეკითხვების დასმა სწავლის ეფექტური მეთოდია მაშინაც კი, როცა შეკითხვები ახალი მასალის შესწავლამდე ისმება. წინმსწრები აქტივობებით გადმოცემული შესავალი ინფორმაცია გაცილებით უფრო აბსტრაქტული, განზოგადებული და ყოვლისმომცველია, ვიდრე თავად შესასწავლი მასალა. წინმსწრები აქტივობებით იქმნება ხარაჩო, რომელზეც უფრო დეტალური მასალისაგან შემდგარი კედლები დაშენდება. წინმსწრები აქტივობებიც ყველაზე მნიშვნელოვან, და არა ყველაზე ორიგინალურ, საკითხებს უნდა უკავშირდებოდეს. „ანალიტიკური“ წინმსწრები აქტივობები უფრო სასარგებლოა, ვიდრე „ფაქტობრივი“ წინმსწრები აქტივობები. წინმსწრები აქტივობების გამოყენება ყველაზე სასარგებლოა მაშინ, როცა ინფორმაცია კარგად არ არის ორგანიზებული. სხ-

ვდასხვა ტიპის წინმსწრები აქტივობა სხვადასხვა შედეგს იძლევა. წინმსწრები აქტივობების სახეებია: განმარტებითი წინმსწრები აქტივობები, ნარატიული წინმსწრები აქტივობები (როცა მოსწავლეებს ინფორმაციას თხრობითი ფორმით აწვდიან), ინფორმაციის გადაკითხვა, როგორც წინმსწრები აქტივობა და გრაფიკული წინმსწრები აქტივობები. სასარგებლოა, როცა მოსწავლეები ახალ მასალაზე ფიქრს მანამ იწყებენ, სანამ ამ მასალის უშუალო შესწავლაზე გადავლენ. ასეთი მეთოდოლოგია ზრდის მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას.

სწავლების აღნიშნული მეთოდების დანერგვა პრაქტიკოს პედაგოგებს უდიდეს სამსახურს გაუწევს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაში, პოზიტიური ცვლილებების განხორციელება კი წინსვლის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ.ფიქერინგი, ჯეინ ი. ფოლოქი ეფექტური სწავლება სკოლაში, კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები, რომლებიც აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მენტორობის ასოციაცია(AASCDD), ალექსანდრია, ვირჯინია, აშშ.
2. ვებ-გვერდის მისამართი: <http://www.ascd.org>
el-fostis misamarTi: member@ascd.org

სოცლის საზოგადოება და სოცლის ეკონომიკა თანამედროვე მენეჯმენტის განვითარებაში

ევგენი ბარათაშვილი, სტუ-ს პროფესორი
მანანა მარიდაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი
ირმა მახარაშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

* * * * *

გონებრივი სფეროები, გონებრივი სამუშაო და ცოდნის საზოგადოება რეგულარულად გამოჩნდა 1950-იანი წლებიდან მოყოლებული. ისინი უკვე რეალურად არსებობენ განვითარებულ ქვეყნებში. ამას მენეჯერებისთვისაც აქვს გარკვეული ეფექტი. გონებრივი შრომის გაფართოებას მოჰყვება ფიზიკური შრომის დაქვეითება. გონებრივი სამუშაოს სწრაფად ზრდად სეგმენტს წარმოადგენენ ტექნიკოსები და ეს ტენდენცია შენარჩუნებულია.

წარმოებაში სამუშაო ადგილების შემცირება თან მოჰყვება სოფლის მეურნეობაში სამუშაო ადგილების შემცირებას. შრომით რესურსებში ქალების წილი მუდმივად იზრდება, იმიტომ რომ გონებრივი შრომა „უსქესო“ მოვლენაა, მრეწველობაში ბევრი სახის სამუშაოსაგან განსხვავებით, სადაც მამაკაცები დომინირებდნენ.

გონებრივი შრომის მუშაკები მიდრეკილნი არიან, რომ თავისი იდენტიფიკაცია მოახდინონ უფრო სპეციალობის, ვიდრე იმ ორგანიზაციის მიხედვით, სადაც მუშაობენ. ეს მენეჯმენტს ახალ სიძნელეებს უქმნის, იმიტომ რომ გონებრივი შრომის მუშაკები უკიდურესად მობილურები არიან და მათ დაინტერესება ორგანიზაციის მისიით ძალიან ძნელია.

Summary

Mental fields, mental work and knowledge of community regularly appeared since 1950. They've been really exist in developed countries. This fact has some effect for managers. When Mental labor expand, the physical labor will decrease. Mental work is a fast growing segment of the technicians and the trend is maintained.

The agricultural sector job cuts are followed by a decline in manufacturing jobs. The share of women in the labor continues to grow, because the mental labor is phenomenon without gender, the industry has many kinds of work, by contrast the jobs, where men dominate.

Mental labor workers are inclined to show more his/her identification to specialization, rather than according to the organization where they work. This brings new difficulties for management, because the mental labor is extremely mobile workers and to cause their interest in the organization's mission is very difficult.

დღესდღეობით განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში სიტუაცია სულ უფრო და უფრო იცვლება იმასთან შედარებით, რაც მე-20 საუკუნის ბოლოს იყო. ამ ცვლილებათა დიდი ნაწილი უპრეცედენტოა. ამასთან, მათი უმრავლესობა უკვე განხორციელდა ან სწრაფი ტემპებით მიდის. ამ ფონზე ჩვენ შევეცდებით ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: რა შეუძლია და რა უნდა გააკეთოს მენეჯმენტმა, რომ მოემზადოს ახლად შექმნილი რეალობისათვის? კიდევ რა ისეთი სერიოზული ცვლილებები გველოდება ჩვენ მომავალში, რისი შესახებაც არც კი ვეჭვობთ? როგორია მენეჯმენტის ახალი პარადიგმა, რომლებიც ახალი რეალობის საფუძველზე ჩამოყალიბდება?

შექმნილ სიტუაციაში ცოდნა საზოგადოების მთავარი რესურსია, ხოლო გონებრივი შრომის მუშაკები წარმოადგენენ დომინირებულ ჯგუფს სამუშაო ძალის ჩარჩოებში.

ცოდნის ეკონომიკის სამი ძირითადი მახასიათებელია:

1. საზღვრის არარსებობა, ვინაიდან ცოდნის გადაცემა კიდევ უფრო ადვილია, ვიდრე ფულის
2. მოძრაობა ზევით, ვინაიდან ცოდნა მისაწვდომია თითოეულისათვის და მიიღწევა ფორმალური სწავლების პირობებში
3. როგორც წარმატების ასევე წარუმატებლობის შესაძლებლობა. ნებისმიერს შეუძლია შეიძინოს „წარმოების საშუალება“, ე.ი. ცოდნა, რომელიც საჭიროა სამუშაოს შესასრულებლად, მაგრამ ყველას არ შეუძლია მისი დახმარებით გამარჯვება.

ამ სამი მახასიათებლის მიხედვით ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებულია სერიოზული კონკურენცია როგორც ორგანიზაციებს შორის, ასევე ცალკეულ ადამიანებს შორის. ინფორმაციული ტექნოლოგიები თუმცა იგი ერთ-ერთია ახალი რეალობის მრავალი ასპექტიდან, უკვე ახდენს ძალიან შესამჩნევ და არსებით ზრდას: ის საშუალებას აძლევს ცოდნას, რათა პრაქტიკულად მყისიერად გავრცელდეს და მისაწვდომი იყოს ყველასათვის. თუ გავითვალისწინებთ ინფორმაციის გავრცელების სიმარტივესა და სისწრაფეს, ნებისმიერი ინსტიტუტს, არა მხოლოდ კომერციული კომპანიებს, არამედ სკოლებს, უნივერსიტეტებს, საავადმყოფოებს და მრავალრიცხოვან სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ კონკურენციის განწევა გლობალური მასშტაბით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანიზაციების უმრავლესობა მხოლოდ ადგილობრივად და მხოლოდ თავიანთ ბაზრებზე დარჩება. ეს აიხსნება იმით, რომ

ინტერენტი აძლევს საშუალებას თავის მომხმარებელს, რათა მან პლანეტის ნებისმიერ წერტილში გაიგოს, თუ რა არის მისანვდომი ნებისმიერ სხვა ადგილას და რა ფასად.

ცოდნის ეს ახალი ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული ადამიანებზე, რომლებიც გონებრივი შრომით არიან დაკავებული. დღეს ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება იმ ადამიანების მიმართ, ვისაც გააჩნიათ ფართომასშტაბიანი თეორიული ცოდნა და უნარები, მაგალითად, ექიმები, იურისტები, პედაგოგები, ბუღალტრები, ინჟინერ-ქიმიკოსები. მაგრამ ყველაზე წარმოდგენილი ზრდა იქნება ე.წ. „გონებრივი შრომის ტექნიკოსებში“, ანუ კომპიუტერების სპეციალისტებში, პროგრამისტებში, კლინიკური ლაბორატორიების ანალიტიკოსებში, წარმოების ტექნოლოგებში. ეს ადამიანები ერთნაირად არიან როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი შრომის წარმომადგენლები. როგორც წესი, ეს ადამიანები უფრო მეტ დროს მუშაობენ ხელებით, ვიდრე, თავით, მაგრამ მათი ფიზიკური შრომა ეფუძნება უდიდეს თეორიულ ცოდნას, რომლის შექმნაც მხოლოდ ფორმალური სწავლების დროს შეიძლება და არა სანარმოში. როგორც წესი, ამ ადამიანებს უფრო მეტს არ უხდებიან, ვიდრე ჩვეულებრივ მუშახელს, მაგრამ ისინი პროფესიონალებად ითვლებიან. ზუსტად ასევე, მე-20 საუკუნეში არაკვალიფიციური მუშები წარმოებაში წარმოადგენდნენ დომინირებულ სოციალური და პოლიტიკურ ძალას. გონებრივი შრომის ტექნიკოსებსაც თავისუფლად შეუძლიათ, რომ დომინირებული სოციალური და შესაძლებელია პოლიტიკური ძალაც გახდნენ უკვე რამდენიმე ათწლეულის შემდეგ.

ცოდნის საზოგადოება-ახალი სამუშაო ძალა

ასი წლის წინ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა უმრავლესობა ფიზიკურად მუშაობდა ფერმებში, საშინაო მეურნეობაში, პატარა სახელოსნოებსა და ფაბრიკებში, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ ცოტა იყო. ორმოცდაათი წლის წინ ამერიკაში ფიზიკურად მომუშავეთა პროპორცია შემცირდა დაახლოებით ორჯერ, ხოლო ფაბრიკის მუშები გახდნენ სამუშაო ძალის შემადგენლობაში უმსხვილესი ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობამ დაახლოებით 35 პროცენტს მიაღწია. ახლა, კიდევ ორმოცდაათი წლის შემდეგ ამერიკელ მშრომელთა მეოთხედზე ნაკლები ირჩენს თავს ფიზიკური შრომით. ფაბრიკის მუშები კვლავ უმრავლესობას წარმოადგენენ ფიზიკურად მომუშავეთა შორის, მაგრამ მათი წილი სამუშაო ძალის საერთო რაოდენობაში 15 პროცენტამდე შემცირდა. ყველა განვითარებული ქვეყნიდან ამჟამინდელ მუშაობაში ყველაზე ნაკლები ფაბრიკის მუშა შრომითი რესურსების შემადგენლობაში. დიდ ბრიტანეთშიც თითქმის ასეთივე სიტუაციაა. გერმანიასა და იაპონიაში მათი წილი ჯერ კიდევ ერთ მეოთხედს აღწევს, მაგრამ მუდმივად კლებულობს.

პირველ მსოფლიო ომამდე არ არსებობდა ერთი სიტყვაც კი, რომელიც აღნიშნავდა იმ ადამიანებს, რომლებიც თავს ფიზიკური შრომით არ ირჩენდ-

ნენ. დაახლოებით 1920-იან წლებში გაჩნდა ცნება “მომსახურების სფეროს მუშაკი”, რომელიც მთლად სწორი არ გამოდგა. ჩვენს დროში მომსახურების სფეროში მუშაობს იმ ადამიანების ნახევარზე ნაკლები, ვინც ფიზიკური შრომით არის დაკავებული, ერთადერთი სწრაფად განვითარებადი ჯგუფი სამუშაო ძალის ჩარჩოებში განვითარებულ ქვეყნებში არის გონებრივი შრომის მუშაკები, ე.ი. ადამიანები, რომლებსაც რომლებსაც თავიანთი სამუშაოს შესასრულებლად ესაჭიროებათ ფორმალური, მონივნავ განათლება. დღეისათვის ისინი შეადგენენ ამერიკის მთელი შრომითი რესურსების ერთ მესამედს და ორჯერ აჭარბებენ ფაბრიკის მუშებს. კიდევ თხუთმეტი წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ განვითარებულ ქვეყნებში შეიძლება სამუშაო ძალის ორ მესამედს მიაღწიოს. ტერმინები: გონებრივი სფერო, გონებრივი სამუშაო და გონებრივი შრომის მუშაკი დაახლოებით ორმოცდაათი წლის წინ გაჩნდნენ. ისინი მოიფიქრეს 1960 წელს ერთდროულად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. პირველი ტერმინი შემოიტანა ეკონომისტმა პრინსტონიდან ფრიც მაჰლუპმა, ხოლო მეორე და მესამე ტერმინები პიტერ დრუკერმა. დღეს ამ ტერმინებს ყველა იყენებს, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ისინი დაკავშირებულია ადამიანურ ფასეულობებთან და ქცევასთან, ხალხის მართვასთან და მწარმოებლურობის გაუმჯობესებასთან, ეკონომიკასა და პოლიტიკასთან. მაგრამ რაც უკვე ნათელია დღეს არის ის, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოება და ცოდნის ეკონომიკა კარდინალურად იქნება განსხვავებული მე-20 საუკუნის დასასრულის საზოგადოებისა და ეკონომიკისაგან რამდენიმე მიმართულებით. გონებრივი შრომის მუშაკები ყველა ერთად ახალ კაპიტალისტებად გვევლინებიან. ცოდნა გახდა მთავარი რესურსი, თანაც დეფიციტური. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გონებრივი შრომის მუშაკებს გააჩნიათ წარმოების საშუალებები. მაგრამ როგორც ჯგუფი ისინი გამოდიან კაპიტალისტების რანგში ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით. თავიანთი წილების საშუალებით საპენსიო ფონდებსა და ღია საინვესტიციო ფონდებში ისინი გახდნენ მაჟორიტარი აქციონერები და ბევრი მსხვილი კომპანიის მფლობელები ცოდნის საზოგადოებაში. ეფექტური ცოდნა არის ვინრო სპეციალიზაციის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გონებრივი შრომის მუშაკებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა ორგანიზაციებთან, ე.ი. კოლექტივთან, რომელიც აერთიანებს ცოდნის სხვადასხვა ცოდნის სფეროს სპეციალისტებს და იყენებს მათს სპეციალიზაციას ერთიანი საბოლოო პროდუქტის მისაღებად. საშუალო სკოლის მათემატიკის ყველაზე ნიჭიერი მასწავლებელი ეფექტურია მხოლოდ, როგორც პედაგოგიური კოლექტივის წარმომადგენელი. პროდუქტის განვითარების ყველაზე მეტი ნიჭით დაჯილდოებული კონსულტანტი ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს ორგანიზებული და კომპეტენტური ბიზნესი, რომელსაც შეუძლია დანერგოს ცხოვრებაში მისი რჩევები. ყველაზე გე-

ნიალური პროგრამისტიც კი ვერ გავა იოლას პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლის გარეშე. მაგრამ თავის მხრივ, საშუალო სკოლას სჭირდება მათემატიკის მასწავლებელი, კომპანიას სჭირდება პროდუქტის განვითარების სპეციალისტი, ხოლო პერსონალური კომპიუტერების მწარმოებელ კომპანიას სჭირდება პროგრამისტი. შესაბამისად, გონებრივი შრომის მუშაკები თავის თავს თვლიან უფრო პროფესიონალებად, ვიდრე დაქირავებულ თანამშრომლებად. ცოდნის საზოგადოება უფროსების და უმცროსების საზოგადოება და არა უფროსებისა და ხელქვეითების.

გენდერული როლების ცვლილება ცოდნის ეკონომიკის ზეგავლენით

ქალები ყოველთვის მამაკაცების გვერდით შრომობდნენ. საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული ქალის სასტუმრო ოთახში უქმად ჯდომა მე-19 საუკუნეშიც კი იშვიათობა იყო. ფერმის, კუსტარული სახელოსნოსა თუ პატარა მაღაზიის მისახედად ყოველთვის ქალისა და მამაკაცის წყვილი იყო საჭირო. მე-20 საუკუნის დასაწყისშიც კი ექიმი ვერ დაიწყებდა კერძო პრაქტიკას ცოლის მოყვანამდე, იმიტომ, რომ მას სჭირდებოდა ცოლი, რომელიც ორგანიზებას უკეთებდა ავადმყოფთა მიღებას, ალებდა კარს, ავებდა ავადმყოფობის ისტორიებს, აგზავნიდა ანგარიშებს. თუმცა ქალები ყოველთვის მუშაობდნენ, უხსოვარი დროიდან მათ მიიწვეოდა ყოველთვის ანსხვავებდნენ მამაკაცებისაგან. ყოველთვის განასხვავებდნენ ქალისა და მამაკაცის სამუშაოს. ბიბლიაში უამრავი ქალი მიდის ქასთან წყლის მოსატანად, მაგრამ მამაკაცი არასოდეს აკეთებს ამას. მეორე მხრივ, გონებრივი შრომა „უსქესო“ მოვლენაა, არა ფემინისტების ზენოლის გამო, არამედ, იმიტომ რომ ასეთი შრომით ერთნაირად შეიძლება დაკავდნენ ქალიც და კაციც. მიუხედავად ამისა, გონებრივი შრომის პირველი თანამედროვე თანამდებობები მხოლოდ მამაკაცებს ეკავათ. მასწავლებლობა როგორც პროფესია 1794 წელს წარმოიშვა, როდესაც პარიზში შეიქმნა Ecole Normale, იმდროს ის მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცის საქმედ ითვლებოდა. სამოცი წლის შემდეგ, ყირიმის ომის დროს 1853-1856 წლებში, ფლორენს ნათინჰილი გახდა საფუძვლის ჩამყრელი. მეორე გონებრივი შრომის პროფესიის, ავადმყოფების მომვლელისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქალთა პროფესიად ითვლებოდა. მაგრამ უკვე 1950 წლისათვის მასწავლებლები ყველგან ორივე სქესის წარმომადგენლები იყვნენ. 2000 წლისათვის ვაჟები აშშ-ს სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტთა ორ მეხუთედს შეადგენდნენ. ევროპაში ექიმი ქალები მხოლოდ 1890-იანი წლებისათვის გამოჩნდნენ. ერთ-ერთი პირველი ევროპელი ქალბატონი, რომელმაც მედიცინის დოქტორის ხარისხი მოიპოვა, დიდი იტალიელი პედაგოგი მარია მონტესორი, ამბობდა: „მე ვარ ქალი-ექიმი და არა ექიმი, რომელიც შემთხვევით ქალი გამოდგა“. იგივე ლოგიკა მუშაობს გონებრივი შრომის ნებისმიერ სფეროში. გონებრივი შრომის მუშაკები, განურჩევლად სქესისა,

არიან პროფესიონალები, რომლებიც სარგებლობენ ერთნაირი ცოდნით, ასრულებენ ერთნაირ სამუშაოს, მიჰყვებიან ერთნაირ სტანდარტებს და ფასდებიან ერთნაირი შედეგებით. მაღალკვალიფიციური მუშაკები - ექიმები, იურისტები, მეცნიერები, პედაგოგები-უკვე დიდი ხანია არსებობენ, თუმცა მათი რაოდენობა ბოლო ასი წლის განმავლობაში გეომეტრიული პროგრესით გაიზარდა. გონებრივი შრომის მუშაკების უზარმაზარი ჯგუფი გამოჩნდა მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში და სწრაფი ტემპით ზრდა დაიწყო მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ესენი არიან გონებრივი შრომის ტექნიკოსები, როგორც მათ უწოდებენ, ანუ ადამიანები, რომლებიც სამუშაოს დიდ ნაწილს ხელით ასრულებენ (და ამ მიმართებით ფიზიკური შრომის მუშაკების მემკვიდრეებად გვევლინებიან). მათი ხელფასი დამოკიდებულია ცოდნაზე, რომელიც შექმნილ აქვთ ფორმალური სწავლის პროცესში და არა სანარმოში მუშაობის დროს. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან რენტგენის კაბინეტის თანამშრომლები, ფიზიოთერაპევტები, ექოსკოპიური გამოკვლევის სპეციალისტები, ფსიქიატრის თანამშრომლები, ტექნიკოსები და სხვა მრავალი. 1970-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული სამედიცინო პერსონალი ითვლება შრომითი რესურსების ერთ-ერთ სწრაფად განვითარებად სეგმენტად ამერიკაში და დიდ ბრიტანეთში. მომავალ თხუთმეტ-ოცდახუთ წელიწადში გონებრივი შრომის ტექნიკოსების რაოდენობა კომპიუტერების, მრეწველობისა და განათლების სფეროში კიდევ უფრო სწრაფად გაიზრდება. ოფისის ისეთი თანამშრომლების რაოდენობა, როგორცაა, მაგალითად, იურისტის თანამშრომლები, ასევე იზრდება. შემთხვევით არა არის, რომ გუშინდელი მდივანი დღეს გვევლინება თანამშრომედ, რომელიც განაგებს ბოსის ოფისს და მის საქმების განმკარგულებელიცაა. შემდეგი ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში გონებრივი შრომის ტექნიკოსები გახდებიან დომინირებული ჯგუფი სამუშაო ძალის შემადგენლობაში და დაიკავენ ისეთივე მნიშვნელოვან მდგომარეობას, როგორც ეკავათ 1950-1960 წლებში ქარხნის მუშებს, რომლებიც პროფკავშირში იყვნენ გაერთიანებული. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეეხებათ გონებრივი შრომის ამ მუშაკებს, არის ის, რომ ისინი თავის თავს მუშებად კი არა პროფესიონალებად თვლიან. ბევრი მათგანი თავის სამუშაო დროის დიდ ნაწილს არაკვალიფიციური სამუშაოს შესრულებას ანდომებს, მაგალითად ასწორებს საავადმყოფოს სანოლებს, პასუხებს სატელეფონო ზარებს ან აქსეროქსებს დოკუმენტებს. მაგრამ რაც განასხვავებს მას თავის წარმოდგენაში და მთელი საზოგადოების წარმოდგენაში, არის სამუშაოს ის ნაწილი, რომელის შესასრულებლადაც მას სჭირდება ფორმალურად შექმნილი ცოდნის გამოყენება. ზუსტად ამის გამო ითვლებიან ისინი, გონებრივი შრომის სრულფასოვან მუშაკებად. ასეთ მშრომლებს, წაყენებათ ორი ძირითადი მოთხოვნა: ფორმალური განათლება, რომელიც მათ

საშუალებას აძლევს გონებრივი შრომას შეუდგენ და უწყვეტი განათლება მთელი პროფესიული კარიერის განმავლობაში, რისი წყალობითაც ისინი ყოველთვის თანამედროვეებად დარჩებიან. ძველი მაღალკვალიფიციური პროფესიონალებისათვის, მაგალითად ექიმებისათვის და იურისტებისათვის, ფორმალური განათლება უკვე მრამდენიმე ასწლეულის განმავლობაში იყო მისაწვდომი, მაგრამ გონებრივი შრომის ტექნიკოსებისათვის სისტემატური და ორგანიზებული მომზადება დღემდე მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაშია შესაძლებელი. მომავალი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში რიცხვი იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, რომლებიც გონებრივი შრომის ტექნიკოსებს მოამზადებს, სწრაფად გაიზრდება ყველა განვითარებულ და განვითარებულ ქვეყანაში, ისევე როგორც წარსულში ყოველთვის სწრაფად ჩნდებოდა ახალი ინსტიტუტები ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამჟამად განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ აუცილებელია უკვე განათლებული და მაღალკვალიფიციური ზრდასრული ადამიანების უწყვეტი განათლება. როგორც წესი, განათლება მთავრდებოდა მუშაობის დაწყებისთანავე. ცოდნის საზოგადოებაში ის არ მთავრდება არასოდეს. ცოდნა არ ჰგავს ტრადიციულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ძალიან ნელა იცვლება. ბარსელონის მახლობლად ესპანეთის ერთ-ერთ მუზეუმში გამოფენილია დიდი რაოდენობით ის ხელსაწყო-იარაღები, რომლითაც სარგებლობდნენ რომის იმპერიაში. ნებისმიერი თანამედროვე ხელოსანი იცნობს მათ, იმიტომ რომ ეს ხელსაწყოები ძალიან ჰგავს იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც დღემდე გამოიყენება. ამგვარად, შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ ხელობის შესასწავლად ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში ეყოფა ის, რაც მე-17 ან მე-18 საუკუნეში ისწავლებოდა. ცოდნა კი პირიქით, ძალიან მალე ძველდება. ასე, რომ გონებრივი შრომის მუშაკები მუდმივად უნდა სწავლობდნენ. უკვე ზრდასრული განათლებული ადამიანების უწყვეტი განათლება იქცევა აქტიურად განვითარებას სფეროდ მომავალში. ცოდნის უმეტესი ნაწილი არატრადიციული გზით გადაეცემა: ერთკვირიანი სემინარებიდან დაწყებული ონლაინ რეჟიმში ჩატარებული ტრენინგებით დამთავრებული, ხოლო ბევრ ადგილებში ტრადიციული უნივერსიტეტიდან დაწყებული შინსწავლებით დამთავრებული. ინფორმაციული რევოლუციას, რომელიც როგორც მოსალოდნელია, უდიდეს გავლენას მოახდენს განათლებაზე და ტრადიციულ სკოლებსა და უნივერსიტეტებზე, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება გონებრივი შრომის მუშაკთა უწყვეტი განათლებისათვის. გონებრივი შრომის ყველა მუშაკი მიდრეკილია იმისაკენ, რომ იგი იდენტიფიცირებული იყოს თავისი განათლების მიხედვით. გაცნობისა ისინი ამბობენ: „მე ვარ ანთროპოლოგი“ ან „მე ვარ ფიზიოთერაპევტი“. ისინი ამაცობენ იმ ორგანიზაციით, სადაც მუშაობენ, იქნება ეს კომპანია, უნივერსიტეტი თუ სახელმწიფო ორგანო. მაგრამ ისინი მას არ კი არ ეკუთვნებიან, არა-

მედ მხოლოდ მუშაობენ იქ. მათი უმრავლესობა თვლის, რომ მათ უფრო მეტი საერთო აქვთ თავისივე სპეციალობის ადამიანებთან, რომლებიც სხვა დაწესებულებაში მუშაობენ, ვიდრე კოლეგებთან თავისივე ორგანიზაციიდან, რომლებიც სხვა სფეროში მუშაობენ. ცოდნის, როგორც მნიშვნელოვანი რესურსის გამოჩენა, ნიშნავს გაძლიერებულ სპეციალიზაციას. გონებრივი შრომის მუშაკები უკიდურესად მობილურები არიან თავიანთი სპეციალიზაციის ჩარჩოებში. მათ სულაც არ ანუხებთ სხვა უნივერსიტეტში, კომპანიაში და სხვა ქვეყანაში გადასვლა, თუკი ისინი ისევ თავიანთ ძველ სფეროში იმუშავებენ. დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დამსაქმებლის მიმართ გონებრივი შრომის მუშაკების ერთგულების შენარჩუნება. მაგრამ ამ ლაპარაკს არსად მივყავართ. გონებრივი შრომის მუშაკები შეიძლება მიეჯაჭვონ ორგანიზაციას და შეიძლება იქ კომფორტულად გრძნობდნენ თავს, მაგრამ პირველ რიგში ისინი ინარჩუნებენ ერთგულებას ცოდნის იმ სფეროს მიმართ, რომელშიც სპეციალიზაცია აქვთ. ცოდნაში იერარქიები არ არის. ისინი შეიძლება გამოყენებულია კონკრეტულ სიტუაციაში. მაგალითად, ქირურგი, რომელიც ოპერაციას აკეთებს გულზე, შეიძლება, ლოგოპედზე მეტს იღებდეს და საზოგადოებაშიც უფრო მაღალი მდგომარეობა ეკავოს, მაგრამ თუ კონკრეტულ სიტუაციაში საჭიროა ინსულტის მსხვერპლის მდგომარეობიდან გამოყვანა, ლოგოპედის ცოდნა უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე კარდიოქირურგის. ზუსტად ამ მიზეზის გამო, ყველა სახის გონებრივი შრომის მუშაკები თავის თავს სთვლიან არა ხელქვეითებად, არამედ პროფესიონალებად და ასეთივე დამოკიდებულებას მოითხოვენ სხვების მხრიდანაც. ფული მნიშვნელოვანია გონებრივი შრომის მუშაკებისათვის ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი ადამიანისათვის, მაგრამ მას ისინი თვითმიზნად არ მიიჩნევენ და ფული მათ პროფესიონალურ წარმატებასა და მიღწევებსა ვერ შეუტყვის. გუშინდელი დღის მშრომელებისაგან განსხვავებით, რომელთათვისაც სამუშაო პირველ რიგში გამოსაკვები საშუალება იყო, გონებრივი შრომის მუშაკებისათვის მათი სამუშაო მათი ცხოვრებაა.

მუდმივად ნინსწრავა

ცოდნის საზოგადოება ადამიანთა პირველი საზოგადოებაა, სადაც წინ წანევის შესაძლებლობა პრაქტიკულად შეუზღუდავია. ცოდნა განსხვავდება სანარმოო საშუალებებისაგან იმით, რომ მისი მემკვიდრეობით გადაცემა და დაპყრობა შეუძლებელია. ყოველმა ადამიანმა ცოდნა თვითონ უნდა მოიპოვოს. ცოდნა უნდა იქნეს წარმოდგენილი ისეთი სახით, რომ მისი გადაცემა იყოს შესაძლებელი მონაფეხისათვის, ე. ი. ის საზოგადოებისათვის მისაწვდომი უნდა იყოს. ცოდნა მისაწვდომია ყველასათვის ან მალე იქცევა ასეთად. ზუსტად ამიტომ ცოდნის საზოგადოება ძალიან მოძრავია. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ცოდნა სკოლაში სანავლო პროცესის ფარგლებში და არა ქარხანაში

ოსტატის შეგირდად მუშაობის დროს. 1850 წლამდე და 1900 წლამდეც კი საზოგადოება პრეაქტიკულად არ იყო მობილური. ინდური კასტური სისტემა, რომლის მიხედვითაც ადამიანის წარმომავლობა განაპირობებს არა მხოლოდ ადამიანის სტატუსს საზოგადოებაში, არამედ მის პროფესიასაც უკიდურესობას წარმოადგენდა. ბევრ სხვა საზოგადოებაშიც იყო ასე: თუ მამა გლეხია, მაშინ მისი ვაჟიშვილებიც გლეხები იქნებიან, ხოლო ქალიშვილები გლეხებს გაჰყვებიან ცოლად. ძირითადად, მოძრაობა ხდებოდა უკუმიმართულებით. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ომები ან ავადმყოფობა, პირადი უბედურება ან მავნე ჩვევები, როგორცაა, მაგალითად, ლოთობა და აზარტული თამაშები. ამერიკაშიც კი, რომელიც შეუზღუდავი შესაძლებლობის ქვეყანაში, წინ სვლა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ითვისება. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში პროფესიონალებისა და მენეჯერების აბსოლუტური უმრავლესობა ისევ პროფესიონალებისა და მენეჯერების შვილები იყვნენ და არა ფერმერების, პატარა მალაზიების მფლობელების და ქარხნის მუშების შვილები. მაგრამ ამერიკისათვის დამახასიათებელი იყო არა წინსვლის რაოდენობები, განსხვავებით ევროპის ბევრი ქვეყნისაგან, არამედ ის, როგორ მიესაღმებოდა, აფასებდა და სტიმულს აძლევდა საზოგადოება მას. დღეს თითოეული ადამიანისაგან არის მოლოდინი, რომ ის უკეთესი გახდება. ეს იდეა წინა თაობებს სასაცილოდ მოეჩვენებოდა. ბუნებრივია, რომ მხოლოდ ძალიან ცოტას ხელენიფება მიაღწიოს გამორჩეულ წარმატებას, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანი აღწევს ადექვატურ შედეგებს.

1959 წელს ჯონ კენეტ ჰელბრეიტმა პირველად დაწერა „სიჭარბის საზოგადოების“ შესახებ. ეს არ არის ის საზოგადოება, რომელშიც ბევრი მდიდარი ადამიანია ან რომელშიც მდიდარი ადამიანები კიდევ უფრო მდიდრდებიან, არამედ ეს არის საზოგადოება, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შეუძლია იგრძნოს თავი ფინანსურად დაცულად. ცოდნის საზოგადოებაში არის დიდი რაოდენობა ადამიანების, შეიძლება მისი უმრავლესობაც კი, რომელსაც უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ფინანსური დაცულობაა. ეს გახლავთ სოციალური მდგომარეობა ან „სოციალური სიჭარბე“.

წარმატების ფასი

წინსვლა ცოდნის საზოგადოებას ძვირი უჯდება, ე.წ. „ვირთხების რბოლა“ ადამიანებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს და ემოციურ ტრავმებს იწვევს. გამარჯვებულები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან, თუ ვინმე წაგებული დარჩება. ადრე უმინო მუშის შვილი, რომელიც ასეთივე მინის გარეშე მუშად დარჩებოდა არ ითვისებოდა წარუმატებლად, ხოლო ცოდნის საზოგადოებაში მას წარუმატებელს უწოდებენ როგორც პირად ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

იაპონელ ახალგაზრდობას უძილობა აწუხებს, იმიტომ რომ საღამოობით იზეპირებენ სახელმძღვანელოებს, ემზადებიან გამოცდებისათვის. სხვა

შემთხვევაში ისინი ვერ მოხვდებიან პრესტიჟულ უნივერსიტეტში და შესაბამისად ვერ მიიღებენ კარგ სამსახურს. ასეთი ზენოლის გამო სწავლა სიძულვილს იწვევს, რაც დარღვევით ემუქრება იაპონურ ნაქებ ეკონომიკურ თანასწორობას და ქვეყნას უქადის პლუტოკრატად გადაქცევას, იმიტომ, რომ მხოლოდ შეძლებულ მშობლებს შეუძლიათ გადაუხადონ თავიანთ შვილებს უნივერსიტეტში მოწყობისათვის საჭირო მომზადების ღირებულება. სხვა ქვეყნებში, მაგალითად, როგორცაა, ამერიკა, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც აქვთ ერთმანეთთან მკაცრად კონკურენციის შესაძლებლობა. ის ფაქტი, რომ ეს ასე მალე მოხდა, სულ რაღაც ოცდაათ თუ ორმოც წელიწადში, მეტყველებს იმაზე, რომ წარუმატებლობის შიშმა ცოდნის საზოგადოების ყველა კუთხეში შეაღწია. თუ გავითვალისწინებთ მეტოქეებს შორის ბრძოლას, სულ უფრო და უფრო მეტი გონებრივი შრომის წარმატებული ორივე სქესის მუშაკი, ბიზნეს-მენეჯერი, უნივერსიტეტის პროფესორი თუ მუშაუბის დირექტორი, აღწევს კრიტიკულ მდგომარეობას ორმოცი წლის ასაკის ზემოთ. მათ იცინან, რომ უკვე ყველაფერს მიაღწიეს, რისი მიღწევაც კი შეეძლოთ. თუ სამუშაო ყველაფერია მათთვის, მაშინ მათ პრობლემები ეწყებათ. შესაბამისად, გონებრივი შრომის მუშაკებისათვის აუცილებელია განვითარება, გაუმჯობესება ახალგაზრდობაში, პირადი ცხოვრება კონკურენციის გარეშე, სამსახურის გარეთ რაიმე სერიოზული გატაცების მოძებნა, მაგალითად, ადგილობრივი კომუნის მოხალისეობა, ადგილობრივ ორკესტრში დაკვრა ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მუშაობაში აქტიური მონაწილეობა. ეს გატაცება მისცემს მათ საშუალებას ბევრს მიაღწიონ პირად ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე.ბარათაშვილი. გ.ნაკაიძე. პროექტის მენეჯმენტი. თბილისი 2007.
2. ე.ბარათაშვილი. ლ.ქოქიაური. მენეჯმენტის პრინციპები. თბილისი 2010.
3. გ. მალაშხია. მეტაეკონომიკა-ეკონომიკის ფილოსოფია. თბილისი 1995.
4. ა. ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე. ლიდერობა და გუნდის მართვა. გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი 2013.
5. გ.ჯოლია. დ. სეხნიაშვილი. ცოდნის ეკონომიკა და მართვა. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბილისი 2010.
6. The 7 Habits of Highly Effective People: Powerful Lessons in Personal Change by Stephen R. Covey 2010
7. Effective Management Decision Making by Ian Pownall 2011
8. http://content.time.com/time/specials/packages/article/0,28804,2086680_2086683_2087656,00.html
9. hbswk.hbs.edu/topics/leadership.html
10. www.forbes.com/management

მენეჯერისა და ტექნოლოგიის განვითარების თავისებურებები თანამედროვე საქართველოში

*მაყვალა სხირტლაძე,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი*

რეზიუმე

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე. ეს მიიღწევა ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებით.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი რთული, მრავალნახნაგოვანი ეკონომიკური კატეგორიაა. მისი შექმნა საკმაოდ ძნელი, ხანგრძლივ დროსთან დაკავშირებული და ძვირადღირებული პროცესია, რომელიც, სოლიდურ ფინანსურ რესურსებთან ერთად, მთელ რიგ შიდა თუ გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის შექმნა და ეფექტურად გამოყენება კი მაღალგანვითარებულ ქვეყნებს ხელეწიფებათ.

საქართველოსათვის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა წლების განმავლობაში შექმნილი მძლავრი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის დარჩენილი ბირთვის შენარჩუნება, აქტუალიზება და ეფექტურად გამოყენებაა. საჭიროა სახელმწიფოსაგან ამ პრობლემისათვის მეტი ყურადღებაა ფინანსური რესურსების შექმნა-მოძიება და მათი მიზანმიმართული გამოყენება.

Summary

Science is the most important branch of the national economic. Of its development is largeiy dependent on the developmnt of individual industries of the national economy of their competitiveness products on the world market and eventually of the economic growth in the country.

In the transition period, the science was in serious crisis. Significantly decreased its resource provision. Therefore, to save the industry it's becessary to develop the national science policy.

მეცნიერება და ტექნოლოგიები ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. მის არსებობასა და განვითარებაზე მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტური ფუნქციონირება, ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საგარეო ბაზრებზე სამეურნეო სუბიექტების გამართული სამეურნეო საქმიანობა და საბოლოო ჯამში კი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, მოსახლეობის კეთილდღეობა, ეროვნული მეურნეობის ეკონომიკური ზრდა და ა.შ.

ნარიანობა როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საგარეო ბაზრებზე სამეურნეო სუბიექტების გამართული სამეურნეო საქმიანობა და საბოლოო ჯამში კი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება, მოსახლეობის კეთილდღეობა, ეროვნული მეურნეობის ეკონომიკური ზრდა და ა.შ.

მკაცრ კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურენტუნარიანი ანუ მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოება. მეცნიერებატევადია პროდუქცია, რომელიც უახლოესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ბაზაზე ინარჩუნება. ეს კი ძირითადად ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის დონეზეა დამოკიდებული.

ცნობილი ფაქტია, რომ სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნა არის ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების მთავარი ფაქტორი, მისი ეროვნული უსაფრთხოების ბირთვი. იგი ხალხის რეალური კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის მთავარი პირობაცაა. მთელი ეროვნული პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ინოვაციების ხარჯზე მიიღება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ყველაზე აქტუალური გახდა სახელმწიფო როლის გაძლიერების საკითხი მეცნიერების, კულტურის, საერთოდ ეკონომიკის სფეროში. ორი საუკუნის მიჯნაზე ეკონომიკური განვითარების მსოფლიო რეალობა ადასტურებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებში სახელმწიფოს მზარდ როლს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ეტაპზე, მთელი მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის დაცემასთან ერთად, უკანა პლანზე გადაინია სულიერმა და კულტურულმა ღირებულებებმა. ამიტომ მეცნიერება საზოგადოების, ქვეყნის მაგისტრალური ინტერესების მიღმა დარჩა. თუმცა, რასაკვირველია, აღიარებული ფაქტია, რომ საზოგადოებას მეცნიერების განათლებისა და კულტურის გარეშე არსებობა არ შეუძლია. მეცნიერება, ფაქტობრივად, თვითგადარჩენისა და თვითუზრუნველყოფის იმედად დარჩა.

თუ საქმის არსში რეალურად ჩანვდებით, დავინახავთ, რომ მეცნიერება არ შეიძლება იყოს არც კომერციული და არც მომგებიანი დროის ფაქტორის გათვალისწინებით (მოკლე პერიოდი გვაქვს მხედველობაში, თორემ არანაირი ეკონომიკური ეფექტი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შედეგების წარმოებაში დანერგვის გარეშე არ მიიღება). თავისი არსით ცოდნის წარმოება ვერ თავსდება საბაზრო კომერციული სისტემის ჩარჩოებში, მეცნიერების

ეკონომიკური ეფექტი ხშირად განუსაზღვრელი დროითაა გადადებული. ცოდნის ნაყოფს, როგორც წესი, მომდევნო თაობები იმკიან. საზოგადოება თავისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე ფულს აბანდებს ცოდნის მისაღებად და რაც უფრო მეტია ეს უკანასკნელი, მით უფრო უკეთესია ეს საზოგადოებისათვის, მისი მომავლისათვის. მეცნიერების განვითარებისათვის საზოგადოება გამოძებნს ხოლმე სახსრებს, რისთვისაც შეიმუშავებს დარგის საფინანსო უზრუნველყოფის რთულ სისტემას, პირველ რიგში, საბიუჯეტო სისტემის ანუ გადასახადების ფორმით. ამ გზით იგი გაინაღებს უკეთეს მომავალს და ანგარიშს ასწორებს წარსულთან.

მეცნიერება, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, წყვეტს როგორც საერთო-საზოგადოებრივ, ისე ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების საკითხებსაც. ამიტომ მის არსებობასა და განვითარებაზე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს სახელმწიფო. ამით იგი ასრულებს მომავალი თაობების დაკვეთას. მეცნიერების ფუნქციონირების შედეგების მომხმარებელი ჯერ დაბადებული არ არის, ხოლო მისი შეკვეთა უკვე სახეზეა.

გარდამავალი პერიოდის ეროვნულ ეკონომიკაში, ასეთი მიდგომებიდან გამომდინარე, მეცნიერება ყურადღების მიღმა დარჩა. ეკონომიკა ორიენტირებულია მატერიალური წარმოებისა და შემოსავლების უზრუნველყოფის სისტემაზე. მეცნიერების კომერციალიზაციის ცდები, რომელიც ხშირად ზედაპირულად და საქმის გაუაზრებლად ხდება, უშედეგოდ მთავრდება. სახელმწიფო მეცნიერებასთან მიმართებაში, ხშირ შემთხვევაში, უარს ამბობს მის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციასა და პირდაპირ მოვალეობაზე. ამის გამო მის ერთ-ერთ ფუნქციას ამ მიმართულებით მეცნიერების კომერციალიზაციას აკისრებს.

ისეთი სფეროების სრული კომერციალიზაცია, როგორცაა მეცნიერება, უმაღლესი განათლება, კულტურა, საერთოდ, საზოგადოების სულიერი სფერო, შეუძლებელია ერთი უბრალო მიზეზის გამო. ისინი წმინდა პრაგმატული გაგებით მოგებას არ იძლევიან და თავიანთი ბუნებით შემოსავლებიანი არ არიან. კომერციული შეიძლება იყოს შემოქმედებითი შრომის შედეგები და არა თვით ცოდნის წარმოების პროცესი.

ცოდნის წარმოების პროცესი ხორციელდება ცოდნის ბრუნვისა და დაგროვების საერთო სისტემის სახით, რომლის საფუძველი უმაღლესი განათლებაა. ცოდნის ინდივიდუალური წარმოება არ შეიძლება იყოს საკმარისად ეფექტური ცოდნის არსებული სისტემის დროს. ეს შეიძლება მოხდეს ერთიან მთლიანობაში; შესაბამისი სუბიექტების ურთიერთზემოქმედების სპეციალურად შემუშავებულ სისტემაში, რაც დღეისათვის მხოლოდ სახელმწიფოს თუ ხელენიფება.

კომერციული სტრუქტურები ამ ამოცანას ერთად აღებულნიც ვერ გადაჭრიან. ეს არც არის მათი ამოცანა. ისინი არიან მეცნიერების შედეგების მომხმარებელი და ამისათვის იხდიან კიდევ უშუალოდ

ან ირიბი ფორმით. როცა მეცნიერული ცოდნის წარმოების პროცესს სახელმწიფო აფინანსებს, მაშინ მისი შედეგებით ყველა სამეცნიერო კოექტივი და მეცნიერი სარგებლობს.

გარდამავალ პერიოდში ცოდნის წარმოების სისტემასა და წარმოებას შორის ურთიერთკავშირის სირთულის შეუფასებულობამ განაპირობა ამ სისტემის საბაზრო ურთიერთობებში ჩართვის არასწორი გადანყვება. პრაქტიკაში ეს იმაში აისახა, რომ მეცნიერების სამსახურები იძულებულნი გახდნენ დაკავებულებიყვნენ მათთვის შედარებით უცხო და არატრადიციული საქმიანობით. ახალი ცოდნის წარმოების და მათი მომავალი თაობებისათვის გადაცემის მაგივრად, ისინი სახსრებს ქმნიდნენ თავისთვის და სამენციერო კვლევებისათვის.

აქ აუცილებელია უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, მეცნიერება, როგორც ნებისმიერი საკმაოდ სოციალიზირებული სისტემა, მყარი წარმონაქმნია. იგი მარტივად არც იქმნება და არც ქრება. მეცნიერს კონსერვატიზმის ძალით (კარგი გაგებით), არც შეუძლია უარი თქვას თავის ძიებებზე. მეცნიერული ცოდნის წარმოების სისტემა ისწრაფის მთელი ძალისხმევით შეინარჩუნოს თავისი თავი და უმეტესწილად ამას ახერხებს კიდევც.

მეცნიერებაში ბოლო პერიოდში ბევრი გადაუჭრელი პრობლემა დაგროვდა. მეცნიერების განვითარების ადრეული სისტემა ცნობილი და აპრობირებული ფორმით დღეს უკვე აღარ გამოდგება. მეცნიერების მართვის, დაფინანსების, დაგეგმვის ადრე არსებული სისტემა თავისი კონკრეტული მეთოდებით გამოდიოდა სულ სხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური პარადიგმებიდან. მისი პრინციპები უკვე აღარ შეესაბამება თანამედროვე კარდინალურად ცვალებად სამყაროს.

პირველ რიგში, აუცილებელია მეცნიერების მართვის არსებული სისტემის რეორგანიზაცია. ერთი რამ ცხადია; სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს ცოდნის წარმოების სისტემის საზოგადოებრივი მართვა, კონტროლი და სტიმულირება. თავისთავად, დღის წესრიგში დგება მეცნიერების დაგეგმვის ახლებურად გააზრების საკითხი. იგივე შეიძლება ითქვას მეცნიერების დაფინანსებაზეც.

მეცნიერების მართვის დაგეგმვისა და დაფინანსების სისტემა, რომელიც მოერგება და მისაღები იქნება საბაზრო სისტემაზე გარდამავალი ქვეყნისათვის, დღეს სრულყოფილად დამუშავებული არ არის.

საზოგადოება ვალდებულია და შეინარჩუნებს კიდევ მეცნიერებას. რაც უფრო ჩქარა იქნება ეს გააზრებული, მით უფრო ნაკლები იქნება ამ სფეროში დაშვებული შეცდომებით გამოწვეული ნეგატიური მოვლენების შედეგების სიმძიმე.

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა და მის ეროვნულ მეურნეობაშიც, ბუნებრივია, ზემოთაღნიშნული პროცესები, მართალია, სპეციფიკურად, მაგრამ საერთოდ მაინც ტიპური მოდელით ვითარდება. თუ გავითვალისწინებთ იმას,

რომ ქვეყანას XX ს. 90-იან წლებში საკმაოდ განვითარებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი ჰქონდა, ცხადი შეიქმნება, რომ ზემოთაღნიშნული პრობლემაც მეტად მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკისათვის.

დღეისათვის დარგის წინაშე უამრავი, ერთი შეხედვით მწვავე, პრობლემა დგას. საერთოდ არ არსებობს სტატისტიკური აღრიცხვა. არა და ქვეყანას დარგის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. განსაკუთრებული განსჯის საგანია დაფინანსების პრობლემა.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთი ელემენტია. ამიტომ მისი შექმნა, შენარჩუნება და ეროვნული ეკონომიკის სამსახურში ჩაყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც დღეს საქართველოს ეკონომიკის წინაშე დგას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის სამეცნიერო ტექნოლოგიურ პოტენციალს. ისეთ მცირერიცხოვან ქვეყანას, როგორც საქართველოა, თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობაში ადგილის დამკვიდრება მნიშვნელოვანწილად ინტელექტუალური კაპიტალით შეუძლია, რისი პოტენციალიც ქვეყანას ნამდვილად აქვს. საჭიროა ეროვნული მთავარობის, საზოგადოების მეტი ძალისხმევა, რათა ეროვნული ეკონომიკის ეს უნიკალური კომპონენტი ქვეყნის აღმავლობის სამსახურში ჩადგეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ქოქიაური. ინტელექტუალური პოტენციალი, თბ., 2011 .
2. ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა, თბ., 2006.
3. გ. ჯოლია. დ. სეხნიაშვილი, ცოდნის ეკონომიკა და მისი მართვა თბ., სტუ გამომცემლობა, 2010 .

Управление и реинжиниринг современных производственных процессов

*Какауридзе Натела, Государственный университет Акакия Церетели,
приглашенный преподаватель*

*Чахвашвили Дали, Государственный университет Акакия Церетели,
приглашенный преподаватель*

რეზიუმე

Резюме

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნულია, რომ ძალიან ბევრი ორგანიზაცია დანებებული ფირმა-მწარმოებლისაგან და დამთავრებული პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებული ფორმებით მუშაობენ საპროექტო საფუძველზე. პროექტები განსხვავდება ზომით და მასშტაბებით. პროექტების მენეჯმენტი მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ სამუშაოების განსაზღვრული სახეები შესრულებული იყოს ვადაში, გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში და ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. წარმოდგენილია დაგეგმვის პროცესის ეტაპები. განხილულია მოდელირება, როგორც გეგმების სხვადასხვა ვარიანტები წინასწარი ტესტირების ხერხი. ეს მეთოდი გამოიყენება რეალური მოვლენის მოდელის შექმნისათვის, რის შემდეგ მასში ცვლიან ერთ ან რამდენიმე ცვლადებს, აფასებენ შედეგებს, რომელსაც ინვესტორი მოცემული ცვლილება. დახასიათებულია წარმოების მოცულობის დაგეგმვის, საწარმო სიმძლავრეების განლაგების დაგეგმვის, მონყობილობის განლაგების დაგეგმვის პროცესები.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ რეინჟინირინგის პროცესი განუწყვეტლივ დაკავშირებულია საწარმოს სისტემასთან. მიმდინარეობს შედეგიანობის და ეფექტიანობის მკვეთრი გაზრდა პირობებში, როდესაც კომპანიები რადიკალურად ცვლიან სამუშაო პროცესებს და ახდენენ მათ გადაპროექტებას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გლობალური გარე გარემო ხდება უფრო დინამიური და კონკურენტული, ამიტომ ორგანიზაციის სრული გარდაქმნა შეიძლება აღმოჩნდეს ერთადერთი ეკონომიკურად მიზანშეწონილი საზომი, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე კომპანიების შემდგომ გადარჩენას და აყვავებას.

В труде особое внимание уделяется возможности осуществления экономической стратегии страны. Отмечено, что очень многие организации, начиная от фирм-производителей и заканчивая фирмами – разработчиками программного обеспечения работают на проектной основе. Проекты различаются по размерам и масштабам. Менеджмент проектов заключается в обеспечении того, чтобы определенные виды работ были выполнены в срок, в рамках выделенного бюджета и в соответствии с техническими требованиями. Представлены этапы процесса планирования.

Рассмотрено моделирование, как способ предварительного тестирования различных вариантов планов. Этот метод применяется для создания модели реального события, после чего в ней заменяют одну или несколько переменных и оценивают результаты, к которым приводит данная замена. Охарактеризованы процессы планирования объемов производства, планирования размещения производственных мощностей, планирования размещения оборудования.

Необходимо отметить, что процесс реинжиниринга неразрывно связан с производственной системой. Происходит резкое повышение результативности и эффективности в условиях, когда компании радикально изменяют и перепроектируют рабочие процессы. Следует учитывать, что глобальная внешняя среда становится все более динамичной и конкурентной, поэтому полная перестройка организации может оказаться единственной экономически целесообразной мерой, обеспечивающей дальнейшее выживание и процветание современных компаний.

* * * * *

В Грузии особое внимание уделяется возможности осуществления экономической стратегии. Сегодня все больше и больше организаций используют менеджмент проектов. Это объясняется тем, что данный подход соответствует динамичной, постоянно меняющейся внешней среде, требующей от организаций высокой гибкости и быстрой реакции на изменения ситуации. Компании все чаще реализуют необычные, и даже уникальные проекты; проекты с точными сроками выполнения; проекты, связанные с решением сложных взаимосвязанных задач, требующих специфических навыков и квалификации; проекты, которые изначально, по своей природе, носят временный характер. Эти типы

проектов не вписываются в стандартные процедуры планирования, которыми руководствуется организация при ведении других, текущих и повседневных видов деятельности.

Проект – это серия взаимосвязанных работ, имеющая определенные начальную и конечную точки во времени. Проекты различаются по размерам и масштабам. Менеджмент проектов заключается в обеспечении того, чтобы определенные виды работ были выполнены в срок, в рамках выделенного бюджета и в соответствии с техническими требованиями. Очень многие организации, начиная от фирм-производителей и заканчивая фирмами-разработчиками программного обеспечения работают на проектной основе.

При реализации типичного проекта работа выполняется специальной командой, члены которой временно назначаются для работы над ним и подчиняются менеджеру проекта. Менеджер проекта координирует работы с другими отделами и часто подчиняется непосредственно менеджеру высшего звена. Однако проект является временным предприятием. поэтому после выполнения поставленной задачи команду расформируют и ее члены переходят к работе над другими проектами, возвращаются в свои отделы, где постоянно работают.

Процесс планирования начинается с четкого определения целей проекта. затем следует определить все виды работ в рамках проекта, а также ресурсы, необходимые для их выполнения. Этот этап может оказаться достаточно сложным и занять много времени, особенно если проект уникален. Это отличает планирование проектов от обычных задач планирования. После обозначения видов работ необходимо определить последовательность их выполнения и взаимосвязь, между ними: какие виды работ должны быть завершены до начала других, какие работы можно выполнять одновременно.

Затем следует составить график выполнения работ по реализации проекта. Менеджер оценивает время, необходимое для каждого вида работ, после чего использует эти оценки для составления общего графика выполнения проекта и определения даты его завершения. Готовый график сопоставляют с поставленными целями и вносят необходимые коррективы. Если для выполнения проекта требуется слишком много времени, менеджер может привлечь больше ресурсов для наиболее важных видов работ, чтобы их выполнить быстрее.

Современные менеджеры все чаще обращаются к моделированию как к способу предварительного тестирования различных вариантов планов. Этот метод применяется для создания модели реального события, после чего в ней заменяют одну или несколько переменных и оценивают результаты, к которым приводит данная замена. Моделирование можно применять в тех же случаях, что и линейное

программирование, однако оно годится и для решения более сложных проблем.

Планирование объемов производства начинается с преобразования коммерческих прогнозов будущего спроса в требования к объемам производства. Так, если вы намерены выпустить продукцию только одного вида, планируете продавать их в среднем по 50 тысяч долларов за единицу и предполагаете, что в течение первого года сможете достичь объема продаж в 2,5 миллиона долларов, это означает, что вам необходимы производственные мощности, позволяющие выпускать 50 единиц ($5000 \times 50 = 25000000$ долл.) в год. Это и есть физические требования к объемам производства. Если предприятие будет производить десятки различных видов продукции, расчеты будут намного сложнее.

Если организация существует давно и устоялась, коммерческий прогноз будущего спроса сравнивается с ее фактическими производственными мощностями. Это позволяет определить, понадобятся ли компании дополнительные мощности или, возможно, они и так в избытке. Планирование производственных мощностей – деятельность, свойственная не только производственной сфере.

Если компании в будущем понадобятся дополнительные мощности, потребуется определить, какие здания и сооружения вам нужны для обеспечения нормального рабочего процесса. Это называется планирование размещения производственных мощностей. Размещение зданий и сооружений предприятия будет зависеть от того, какие факторы оказывают наибольшее влияние на общие производственные издержки и расходы, связанные со сбытом: наличие квалифицированного персонала, уровень затрат на рабочую силу, стоимость энергии, близость к поставщикам или клиентам и т.д. Все эти факторы редко бывают одинаково важными и значимыми. Основные условия и обстоятельства диктуются видом бизнеса, которым занимается компания, на основе чего и определяется оптимальное размещение зданий и сооружений. Постоянная потребность в квалифицированных технических специалистах привела к тому, что значительное количество высокотехнологичных производств размещается в районе сосредоточения таких ресурсов. Не случайно и то, что многие компании с трудоемким производством переместили свои производственные мощности за границу.

При планировании производственного процесса определяют, каким именно образом будет производиться продукция или услуга. Планирование процесса включает в себя тщательный анализ и оценку существующих производственных методов и выбор способов, которые наиболее эффективно способствовали бы достижению конкретных производственных целей. В любом производственном процессе, как в товарном производстве, так и в секторе услуг, всегда существуют те или иные варианты.

Планирование производственного процесса задача сложная. Довольно трудно выбрать оптимальное сочетание таких показателей как уровень затрат, качество, эффективность труда и т.д., поскольку все эти решения тесно взаимосвязаны. В результате изменения одного компонента производственного процесса нередко требуется множество изменений в ряде других. По этой причине детальное планирование поручают обычно высококвалифицированным производственникам, работающим под общим руководством менеджеров высшего звена.

Последним стратегическим решением в ходе планирования операции, будет оценка и выбор оптимальной дислокации оборудования и рабочих мест. Это называется планированием размещения оборудования. Цель в данном случае заключается в физическом размещении оборудования и рабочих мест таким образом, чтобы обеспечить максимальную эффективность производства и при этом сделать их удобными и привлекательными для персонала и клиентов.

Планирование размещения оборудования начинается с оценки необходимого пространства. На этом этапе, необходимо определить какие производственные площади, комнаты для хранения инструментов и оборудования, складские помещения, мастерские, комнаты отдыха, офисы, места для приема пищи и кафетерии, комнаты ожидания и даже места для стоянки автомобилей понадобятся фирме для обеспечения нормального рабочего процесса. Затем на основе составленных производственных планов можно оценить различные варианты конфигурации оборудования с точки зрения их производственной эффективности. В этом случае вырабатывать решение помогают самые разные методы и инструменты от простых планов и карт, составленных в масштабе, до сложных компьютерных программ, способных обрабатывать сотни переменных и распечатывать планы размещения оборудования.

После разработки такой стратегии наступает этап принятия тактических решений, которые обеспечивают правильное распределение производственных ресурсов, необходимых для осуществления производственных процессов.

Необходимо отметить, что процесс реинжиниринга неразрывно связан с производственной системой. Происходит резкое повышение результативности и эффективности в условиях, когда компании радикально изменяют и перепроектируют рабочие процессы. Именно благодаря реинжинирингу известным в мире фирмам удалось сократить свои постоянные расходы на миллионы долларов.

Реинжиниринг представляет собой практически полную перестройку рабочих процессов компании, независимо от того, в какой сфере она работает – в производственной или сервисной. Первым инструментом реинжиниринга служит чистый лист

бумаги. Характерно, что приходится начинать с нуля и заново обдумывать и перестраивать всю схему работы, т.е. структуру всех рабочих процессов. Традиционные, известные пути и способы сразу отменяются. От процесса преобразования в производственной системе отказываются полностью, поскольку специалистом, отвечающим за реинжиниринг, приходится заново разрабатывать способы и методы, с помощью которых в их организации будет производиться продукция или предоставляться услуги. Совершенно новые рабочие процессы и важнейшие операции изобретаются и внедряются. При реинжиниринге то, что было раньше, не должно служить даже отправной точкой. Реинжиниринг – радикальное, существенное изменение самих основ организации. Он способен дать огромный эффект, несмотря на значительные стрессы и неуверенность, которые испытывает в процессе реинжиниринга персонал компании.

Любой организации, решившей провести реинжиниринг, следует учитывать как интенсивные, так и экстенсивные факторы этого метода, однако в силу того, что глобальная внешняя среда становится все более динамичной и конкурентной, полная перестройка работы организации может оказаться единственной экономически целесообразной мерой, обеспечивающей дальнейшее выживание и процветание современных компаний. Тем более, что в реальности Грузии имеется определенное отставание в деле использования современных технологий и прогрессивных технических решений. Поэтому необходимо учитывать указанные подходы, при осуществлении экономической стратегии страны, что будет способствовать созданию новых современных конкурентоспособных предприятий.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. თბ., თსუ, 2001
2. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ. და სხვ. პროექტის მენეჯმენტი. თბ., 2009
3. გეგეშიძე თ., პროექტების მართვის პრინციპები. რა უნდა ვიცოდეთ, რომ პროექტის მართვა შეგვეძლოს www.mertogeorgia.ge/index.php?cis-8&rid=469
4. კაკაბაძე ვ., ინვესტიციები და პროექტების მართვა. თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011
5. სულაბერიძე მ., პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2008
www.gtu.edu.ge/publishinghouse/eleqtronulebi.htm

იდეების გენერაციის კრეატიული (შემოქმედებითი) მეთოდები

გურამ ჯოლია, სტუ-ს პროფესორი

„კრეატიულობა ნიშნავს დაინახოთ ის, რასაც ყველა ხედავს, მაგრამ იფიქროთ იმაზე, რაზეც არავის უფიქრია.“

ალბერტ აინშტაინი

რეზიუმე

ახალი იდეები ყოველთვის ინვესტირებენ პოზიტიურ გავლენას. მათ ასევე შეუძლიად დადებითი ზემოქმედება მოახდინონ ბიზნესის განვითარებაზე, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაზე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – ახალ აღმოჩენებსა და გამოგონებებზე. ადამიანი ისეა შექმნილი, რომ სიხლისაკენ გამუდმებით მიილტვის. სწორედ ეს განაპირობებს მის პირად და, მთლიანად, ცივილიზაციის განვითარებას.

ადამიანთა ცხოვრებაში ხშირად ისეთი ამოცანების გადაწყვეტა გვხვდება, რისთვისაც აუცილებელია ფანტაზია და კრეატიული აზროვნება. უმეტესად, მას ის ადამიანი აწყდება, რომელიც რაღაცის შექმნაშია ჩართული და ხშირად გადაწყვეტილების მიღება უნევს.

კრეატიული გადაწყვეტილების ძიების პროცესი შეიძლება მნიშვნელოვნად გამარტივდეს, თუ იმ მეთოდებს გამოვიყენებთ, რომლებიც პრაქტიკაში ცნობილია. ამ მეთოდების გამოყენება კრეატიულ აზროვნებას ავარჯიშებს, რაც თანდათან ჩვევა ხდება და ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუმჩნევლად ერთვება.

კრეატიული მეთოდების უმრავლესობა ჯგუფის მუშაობაზეა გათვლილი, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი შეიძლება ცალკეული ინდივიდის მიერ იქნას გამოყენებული, დიდი ეფექტურობა სწორედ ჯგუფის პირობებში მიიღწევა.

კრეატიული მეთოდებიდან განსაკუთრებით ეფექტურია: „გონებრივი შეტევა“, „სინექტიკა“, „გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტა“, „მორფოლოგიური მატრიცა“, „ფოკალური ობიექტები“, „ექვსი მოაზროვნე ქუდი“, „ინვერსია“ და „ინტელექტ-ბარათები“.

Summary

Creative Methods for Generating Ideas

New ideas always have positive effects. They can also favorably influence business development, our everyday activities, and in some cases – new discoveries and inventions. Human is a creature constantly seeking and aspiring towards innovation. It is precisely this quality of a human being that determines and brings about development,

whether in the form of personal growth or as major progress of the whole civilization.

On everyday regular basis, humans face decision-making about tasks that require fantasy, ingenuity, and creative thinking. Mostly, such concerns are experienced by those who are involved in creation and have to make decisions frequently.

The process of arriving at creative decisions can be made a lot easier using a variety of methods conducive to the process. These methods train in thinking creatively, thereby turning such thinking mode into a habit that becomes an inseparable part of life.

Majority of creative methods are associated with group work. Although these methods can be applied individually, the greatest benefit and productivity levels can be achieved while working in groups.

Especially effective among these creative methods are: “brainstorming”, “Synectics”, “Solving Problem Tasks Through Ingenuity”, “Morphological Matrix”, “Focal Objects”, “Six Thinking Hats”, “Inversion”, and “Intellectual cards”.

* * * * *

დღეს კრეატიულობის შესახებ, ზარმაცის გარდა, ყველა საუბრობს. ყველა მხრიდან ისმის სიტყვა „კრეატიული“: „კრეატიული ადამიანი“, „კრეატიული მენეჯერი“, „კრეატიული პროცესი“, „კრეატიული რეკლამა“ და ა.შ. და ა.შ. რა კავშირი აქვს კრეატიულობას ჩვენს ყოფა-ცხოვრებასთან?

თანამედროვე სამყაროში დიდი ხანია დაკარგა მოსვენება, სტატიკურობა. დედამიწა სულ უფრო სწრაფად „ბრუნავს“. გუშინდელი ბოლო მოდელის ტელეფონი, დღეს ძველია, მას სხვა, უფრო სრულყოფილი, მოდერნიზებული ცვლის. კომპანიები იძულებულნი არიან გამუდმებით სრულყოფილ ნარმოების ტექნოლოგიები, ბაზარს შესთავაზონ ახალი პროდუქტები, შეიმუშაონ ახალი იდეები.

ამ სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში გადასარჩენად, უპირველესად, აუცილებელია ჯერ ჩვენ შევიცვალოთ, გამუდმებით ვეძებოთ რაღაც ახალი, ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ შემოქმედებითად ანუ კრეატიულად. შემოქმედება უკვე აღარაა მხოლოდ ხელოვანთა სპეციალობა. შემოქმედებითი აზროვნება და ქმედება სასიცოცხლოდ აუცილებელია ყველასთვის, იქნება ის მენეჯერი, პროგრამის-

ტი, დიზაინერი, მარკეტოლოგი თუ სხვა. შემოქმედება წარმატებული საქმიანობის გარანტიაა თანამედროვე გლობალურ სამყაროში.

მხოლოდ შემოქმედებითი, კრეატიული აზროვნება მოგვცემს შესაძლებლობას შევიგრძნოთ მომავლის „მოსვლა“ ანმყოში.

ინფორმაცია არსებობისა და განვითარების საფუძველია, კრეატიულობა კი, – ინფორმაციული სივრცის განვითარების პირობა და საბაზო ელემენტი.

ახლა თვით კრეატიულობის შესახებ. რა არის კრეატიულობა? კრეატიულობა ლათინური წარმომავლობის ტერმინია და ითარგმნება როგორც „შემოქმედება“ ანუ „არაფრისგან რაღაცის შექმნა“.

დასავლეთში კრეატიულობა შემოქმედების ტექნოლოგიური ელემენტია. პოსტსაბჭოთა მეტყველებით კულტურაში კრეატიულობას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, რადგან უმრავლესობისათვის მისი არსი ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ამიტომ, ხშირად, კრეატიულობას უწოდებენ ადამიანის არასტანდარტულ, ორიგინალურ აზროვნებასა და ქცევას. ამასთან, აუცილებელია კრეატიული აზროვნება და ქცევა კონსტრუქციული იყოს.

კრეატიულობა შემოქმედებითი ნიჭიერების დონეა. მრავალი ფიქრობს, რომ „შემოქმედებითი შესაძლებლობები“ და „კრეატიულობა“ სინონიმებია. ეს ცნებები ძალიან ახლოსაა, თუმცა არაიდენტურია. ჩვენი აზრით, კრეატიულობა ნიშნავს არა „შემოქმედებით შესაძლებლობებს“, არამედ „შესაძლებლობებს შემოქმედებისათვის“.

შემოქმედება რაიმე პრობლემის არასტანდარტული გადაწყვეტაა. იგი ადამიანის ინტელექტუალური პოტენციალის ნაყოფია და ახალი ტიპის, ანუ ცოდნის ეკონომიკის მთავარი შემადგენელი ნაწილია.

შემოქმედებითი პროცესი ეფუძნება მისი ავტორის შესაძლებლობებს, შთაგონებას, აღმაფრენას. თუ საუბარია კრეატიულ პროცესზე, მაშინ პრაგმატული (პრაქტიკულად სასარგებლო) ელემენტი მისი მთავარი შემადგენელია, ანუ თავდაპირველი, დასაბამიერი გაგება იმისა, რომ:

- „რატომ უნდა შეიქმნას“;
- „ვისთვის უნდა შეიქმნას“;
- „როგორ უნდა შეიქმნას“;
- და, საკუთრივ, „რა უნდა შეიქმნას“.

კრეატიულობის შესახებ პირველი ტესტები ამერიკელმა ფსიქოლოგმა, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა ჯო პოლ გილფორდმა (1897-1087) მოიფიქრა. მანვე შეადგინა კრეატიულობის შემადგენელი ელემენტები:

1. **სწრაფი აზრები** — დროის ერთეულში წარმოშობილი იდეების რაოდენობა;
2. **მოქნილი აზრები** — ერთი იდეიდან მეორეზე გადართვის უნარი;
3. **ორიგინალურობა** — ზოგადმიღებული იდეებისგან განსხვავებული იდეების წარმოების უნარი;
4. **ცოდნისმოყვარეობა** — პრობლემებისადმი, არსებული სიტუაციებისადმი მგრძობილობა;

5. **ჰიპოთეზების დამუშავების უნარი** — აქ თითქოს ყველაფერი გასაგებია. ჰიპოთეზა არის გაბედული იდეა, რომელიც საფუძვლიან ემპირიულ შემოწმებას საჭიროებს;

6. **არარელევანტურობა** — არაარსებითობა, სტიმულებისაგან რეაქციის ლოგიკური დამოუკიდებლობა.

რატომაა დღეს ასე საჭირო კრეატიულობა? პოსტინდუსტრიული სივრცე ინფორმაციით ძალიან გაჯერებულია. ადამიანის ცნობიერებას ინფორმაციის ამ ზღვა მოცულობის გამკლავება ძალიან უჭირს. თანაც, ახალი ინფორმაციული ნაკადი კოლოსალური სიჩქარით აღმოცენდება, გადაადგილდება და ტრანსფორმირდება. თუ დღევანდელი ვსაუბრობთ, ნათელია პირდაპირი დამოკიდებულება ინფორმაციის გავლენისა და იმ ადამიანების კრეატიული იდეებზე, რომლებიც პროცესებს ამ ინფორმაციით მართავენ. ამიტომ, ინფორმაციის მართვის ინსტრუმენტების ფლობა იმ ადამიანისათვის ფაქტობრივად აუცილებელია, რომელსაც ღრმად გაცნობიერებული აქვს ყოველივეს უწყვეტი სრულყოფის ფასეულობა, როგორც პროფესიულ, ისე პირად საქმეში.

კრეატიულობა მრავალნაირად ვლინდება: ესაა ორიგინალურობა და აზროვნების სისწრაფე, გამოუვალ სიტუაციაში მოულოდნელი გადაწყვეტილების პოვნის უნარი, მდიდარი წარმოსახვა, იუმორის გრძნობა, ახალი ორიგინალური პროდუქტების (ფიზიკური და ინტელექტუალური) შექმნა და ა.შ.

კრეატიულობა არ ნიშნავს აბსოლუტურად რაღაც ახლის გამოგონებას. საკმარისია არსებულ მოდელს თუნდაც მცირეოდენი ცვლილების შეტანა, მოდერნიზაცია, კიდევ უფრო დახვეწა, რაიმეს ხაზგასმა, წინ წამოწევა . . .

კრეატიულობა არაა რაღაც დამოუკიდებელი ფენომენი. იგი ცოცხალ (და არა მარტო ცოცხალ) არსებათა შორის მხოლოდ ადამიანს ახასიათებს, მასთან დაკავშირებულია და მისი შემოქმედებითი აზროვნების ნაყოფია. ახალი, ნოვატორული პროდუქტი ინდივიდის სპეციფიკური საქმიანობის შედეგია.

არის თუ არა კრეატიულობა ადამიანის თანდაყოლილი თვისება, თუ შეიძლება მისი განვითარება? ზოგიერთ ინდივიდს რატომ აქვს კრეატიულობა მეტი, ხოლო სხვებს, – ნაკლები? რა პრინციპები მოქმედებენ შემოქმედებითი პოტენციალის ფორმირებასა და განვითარებაზე?

მართალია, კრეატიულობა დიდად დამოკიდებულია ადამიანის თანდაყოლილ ნიჭზე, მაგრამ მისი შემოქმედებითი აზროვნება ძირითადად განისაზღვრება იმით, თუ როგორ გარემოში გაიზარდა იგი, ამ გარემომ რამდენად შეუწყო ხელი (ან პირიქით) ინდივიდის შემოქმედების სტიმულირებას, მხარდაჭერას, განვითარებას.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ინტელექტუალური პროცესების კრეატიული კომპონენტები მრავალი მეცნიერის ყურადღებას იპყრობდა. საკმარისია

გავისხენოთ ალფრედ ბინეს¹, ფრედერიკ ბარტლე-ტის², მაქს ვერტჰაიმერის³, ვოლფგანგ კელერის⁴, კურტ კოფფას⁵, კარლ დუნკერისა⁶ და მრავალ სხვათა ორიგინალური კვლევები. მაგრამ, მათი მეცნიერული ნაშრომების უმრავლესობა კრეატიულ შესაძლებლობებში ინდივიდუალურ განსხვავებას არ ითვალისწინებს, თუმცა მიიჩნევს, რომ სხვადასხვა ადამიანები ამ შესაძლებლობებს არათანაბრად ფლობენ.

შეიძლება თუ არა ადამიანის კრეატიული შესაძლებლობების გაზომვა?

XX საუკუნის 60-ანი წლებიდან დაიწყო კრეატიულობაზე პერსონალის ტესტირება. გაიჩნდა, რომ პროფესიული და ცხოვრებისეული წარმატებები არაა დამოკიდებული კრეატიულობის დონეზე, რომელიც ინტელექტუალურობის კოეფიციენტით (IQ) გამოითვლება. კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანებს, რომლებსაც არც ისე მაღალი IQ ჰქონდათ, გამორჩეულობისა და კრეატიულობის კარგი შესაძლებლობები აღმოაჩინდათ, ხოლო მაღალი IQ-ის მფლობელები, ხშირად, მათ ჩამორჩებოდნენ. გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს გონების სხვა მახასიათებლები ასრულებენ, რომელიც ტრადიციულ ტესტირებაში არაა მოქცეული.⁷

როგორც ცნობილია, არსებობს კრეატიულობის შემზღვეველი შინაგანი ფსიქოლოგიური ბარიერები. ესენია:

- დროის უკმარისობა;
- კრიტიკის შიში;
- დაქვეითებული თვითკრიტიკა;
- წარუმატებლობის შიში.

დღეს დამსაქმებლები სულ უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას თანამშრომლების კრეატიუ-

ლობაზე. კრეატიულობის ამალგება განიხილება, როგორც ადამიანის ტვინის გააქტიურების ერთ-ერთი ელემენტი, პიროვნების ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური განვითარება.

როგორ განვივითაროთ ან გავიძლიეროთ კრეატიულობა? ამისათვის აუცილებელია:

1. მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკუთარი ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობები;
2. ავითვისოთ სწავლების დაჩქარებული მეთოდები;
3. ვიმუშაოთ მახსოვრობის გაუმჯობესებაზე;
4. განვთავისუფლოთ თვითშემზღვეველი ასეთი ტიპის დარწმუნებისაგან:
 - მე არა ვარ შემოქმედებითი პიროვნება;
 - მე საკმაოდ ასაკოვანი ვარ, რომ ვისწავლო;
 - მე ცუდი მახსოვრობა მაქვს და ა.შ. და ა.შ.

XVIII საუკუნის ცნობილი ინგლისელი პოეტმა ალექსანდრე პოუპმა თქვა: „გონებას აძლიერებს ვარჯიში და არა დასვენება“.

კრეატიულობა არაა მხოლოდ გენიოსების მემკვიდრეობა. ალბერტ აინშტაინი, ტომას ედისონი და სხვები უდიდესი მოაზროვნეები იყვნენ, მაგრამ აუცილებელი არაა ისინი ეტალონად გავისხადოთ.

როცა საუბარია კრეატიულობაზე, უპირველესად, უნდა აღინიშნოს ზოგიერთი მითი მის შესახებ. კრეატიულობის შედარებით სრულ კლასიფიკაციას გვთავაზობს ჰარვარდის ბიზნესსკოლის პროფესორი ტერეზა ამაბაილი, რომელიც ადამიანის შემოქმედებით პრობლემას 30 წელია ინტენსიურად იკვლევს.⁸ მან უარყო კრეატიულობის ბუნებაზე არსებული მყარი წარმოდგენები და გამოაშკარავა 6 მითი, რომლებიც ხელს უშლიან მის განვითარებას.

მითი I:

კრეატიულობა მხოლოდ შემოქმედებითი ადამიანების სვერია

ნებისმიერი, ნორმალური ინტელექტის მქონე ადამიანი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის მეტ-ნაკლებად უნარიანია. ამასთან, კრეატიულობა დამოკიდებულია ინდივიდის გამოცდილებაზე, ცოდნაზე, ტალანტზე, ახლებურად აზროვნებაზე, არაშემოქმედებითი რუტინის გადალახვის უნარზე და თავისი საქმიანობის გატაცების ხარისხზე.

მითი II:

ფული — კრეატიულობის მოტივატორი

ამაბაილის ექსპერიმენტულმა კვლევამ აჩვენა, რომ ფული არაა მთავარი. იგი არ განსაზღვრავს თანამშრომლების კრეატიულობის ხარისხს. ადამიანი ანაზღაურებაზე ყოველდღიურად არ ფიქრობს. პერსონალი უფრო დიდ მნიშვნელობას იმ სოციალურ კლიმატს ანიჭებს, რომელშიც შემოქმედებითი მიდგომა ფასდება და სხვათა მიერ მხარდაჭერილია, აღიარებულია.

8 Amabile, Teresa; Kramer, Steven (2011). The Progress Principle: Using Small Wins to Ignite Joy, Engagement, and Creativity at Work. Harvard Business Review Press.

1 ფრანგი ფსიქოლოგი (1857-1911), შეადგინა „გონებრივი განვითარების სკალა“, თანამედროვე IQ-ს ანალოგი.

2 ინგლისელი ფსიქოლოგი (1886-1969), თანამედროვე კოგნიტიური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

3 ავსტრო-უნგრული წარმომავლობის ამერიკელი მეცნიერი (1880-1943). გეშტალტფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

4 გერმანული წარმომავლობის ამერიკელი ფსიქოლოგი (1887-1907), მაქს ვერტჰაიმერთან ერთად, გეშტალტფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

5 გერმანული წარმომავლობის ამერიკელი ფსიქოლოგი (1886-1941), მაქს ვერტჰაიმერთან და ვოლფგანგ კელერთან ერთად, გეშტალტფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

6 გერმანული ფსიქოლოგი (1903-1940), გეშტალტფსიქოლოგიის ცნობილი წარმომადგენელი, აზროვნების ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი. ცნობილია მისი ტესტი „კარლ დუნკერის სანთელი“ ან მოტივაციის მეცნიერება.

7 Блиннов А.О. Природа креативного процесса современных организаций. «<http://www.baltic-course.com/rus/opinion/?doc=5786>»

მითი III:

კრეატიულობა დროის უკმარისობით იკვებება

მცირე დრო პრობლემის შემოქმედებითი მიდგომით გადაწყვეტას ხელს არ უწყობს.

მითი IV:

შიში რევოლუციურ გარღვევას იწვევს

გავრცელებულია აზრი, რომ არაკეთილსასურველი ფსიქოლოგიური მდგომარეობა შემოქმედებით შესაძლებლობებს ასტიმულირებს. და მართლაც, მრავალი შემოქმედი ადამიანი შიშისა და დეპრესიის მდგომარეობაში საკმაოდ ორიგინალურად აზროვნებდა. მაგრამ, რამდენად სასარგებლოა ფსიქოლოგიური მერყეობა კრეატიულობისათვის? ამბაილის კვლევამ აჩვენა, რომ კრეატიულობა პოზიტიურად ასოცირდება სიხარულთან, სიყვარულთან და ნეგატიურად — შიშთან და განგაშთან. შედეგად ვიღებთ ასეთ ჩაკეტულ წრეს: კრეატიულობა ხელს უწყობს ბედნიერებას, ხოლო ბედნიერებას მიყვავარტ კრეატიულობისაკენ.

მითი V:

შეჯიბრება უკეთესია, ვიდრე თანამშრომლობა

გავრცელებულია რწმენა, განსაკუთრებით ფინანსებისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროებში, თითქოს შეჯიბრებითობა აძლიერებს კრეატიულობას. ამბაილის კვლევამ აჩვენა, რომ კრეატიულობა ზარალდება, თუ კოლექტივში მეფობს შეჯიბრება და არა თანამშრომლობა. შედარებით პროდუქტიულია ის კოლექტივი, სადაც თანამშრომლებს იდეების გაცვლა და ახალი გადაწყვეტილებების განხილვა თავისუფლად შეუძლიათ. როცა ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებიან, მათ შორის ინფორმაცია არ იცვლება.

მითი VI:

კადრების შემცირება კრეატიულობას ამაღლებს

კვლავ არა და არა. კადრების შემცირება ვნებს კრეატიულობას. მოსალოდნელი შემცირება კიდევ უფრო საზიანოა, ვიდრე თვით შემცირება. გაურკვეველობისადმი შიში ადამიანებს აიძულებს პრაქტიკულად განერიდონ სამუშაოს. საინტერესოა ისიც, რომ ამბაილის კვლევებით, კადრების შემცირებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, კრეატიულობის წინანდელ დონეს ვერ მიაღწიეს.

კრეატიულობა კაცობრიობის ბუნებრივი შესაძლებლობაა, ხოლო მისი მზრუნველი კულტივაცია და განვითარება – ძველი პრობლემების ასლებურად გადაწყვეტის ან ცხოვრების ახალი მიმართულების მოძიების მთავარი გზა.



როგორც აღინიშნა კრეატიული (შემოქმედებითი) აზროვნება ცოცხალ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანთა ხვედრია. თუმცა, მარტო კრეატიულობა არასაკმარისია. აუცილებელია მისი გააქტიურება, კრეატიული იმპულსის გაძლიერება, სტიმულირება, რისთვისაც მრავალი მეთოდი გამოიყენება.

კრეატიულობის მეთოდები (შემოქმედებითი მეთოდები) ხელს უწყობს ორიგინალური იდეების გენერაციას, ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბებასა და მათ გადასაწყვეტად ახალი მიდგომების გამოვლენას, იდეების რაოდენობის გადიდებასა და მათი მოძიების პროცესის დაჩქარებას, არსებული პრობლემების შესახებ შეხედულებების გაფართოებასა და მენტალური ბლოკადის გაუქმებას. ეს მეთოდები არაა ალგორითმები, რომელთა გამოყენებით ამოცანის გადაწყვეტის აუცილებელი გზა მოიძებნება, მაგრამ მიგვანიშნებს მიმართულებას და ადიდებს ეფექტური (კარგი) გადაწყვეტილების მიღების ალბათობას.

კრეატიულობის მეთოდების ამოცანებისა:

- პრობლემის მკაფიოდ ფორმულირება;
- სანყისი მონაცემების შეგროვება და მათი სტრუქტურირებისათვის კრიტერიუმის შერჩევა;
- სანყისი მონაცემების სტრუქტურირება და შესწავლა;
- პრობლემის თაობაზე რამდენიმე შეხედულების ფორმულირება;
- მაქსიმალური რაოდენობის გადაწყვეტილების ფორმულირება;
- პერსპექტიული იდეებისა და გადაწყვეტილებების შერჩევის კრიტერიუმის შერჩევა;
- მენტალური ბლოკადის მოხსნა;
- იდეების გენერაციის პროცესის დაჩქარება;
- პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური და ხელსაყრელი ვარიანტების შერჩევა.

კრეატიული აზროვნების სტიმულირების მეთოდების კლასიფიკაცია შეიძლება სამ ჯგუფად:

1. **ინტუიციური⁹ მეთოდებისა** სტიქიურად გამოიყენება არაფორმალური წესები, ლოგიკური ეტაპების გავლის გარეშე, რომელიც გამოცდილებასა და არაფორმალურ ცოდნას ემყარება. ამოცანა წყდება უეცარი „გაციკროვნების“ შედეგად. წარმატება დამოკიდებულია მონაწილეთა ცოდნასა და გამოცდილებაზე.
2. **ევრისტიკული¹⁰ მეთოდებით** პრობლემის გადაჭრა კვლევის ცდაზე დაფუძნებული: ემყარება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას; გულისხმობს მონაწილეთა აქტიურ

9 ლათ. intuition ჭკრეტა. მიხედვრა, შორსმჭკრეტელობა, სტიქიური გრძნობა, ალღო.

10 წარმოდგება სიტყვა „ევრიკა“-დან, რაც ძველ ბერძნულ ენაზე ნიშნავს „ადმოვაჩინე!“ „ვიპოვე!“ ესაა არქიმედეს შეძახილი ჰიდროსტატიკური კანონის აღმოჩენასთან დაკავშირებით. გამოთქმას ხმარობენ სიხარულის გამოსახატავად რთული ამოცანის ამოსხნის შემთხვევაში.

ჩართვას; ხორციელდება იდეების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების ჩვენების გზით.

3. ალგორითმი¹¹ მეთოდები ეფუძნება ინფორმაციის ლოგიკურ დამუშავებას კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

კრეატიული (შემოქმედებითი) აზროვნების სტიმულირების მეთოდებიდან შედარებით გავრცელებულია „გონებრივი შეტევა“ (თავისი მრავალი ვარიანტით), სინექტიკა, გამომგონებლური ამოცანების გადანყვება, მორფოლოგიური ანალიზი, ფოკალური ობიექტები, „ექვსი მოაზროვნე ქუდი“, „დელფო“ და ინვერსია.

1) მეთოდი – „გონებრივი შეტევა“

„გონებრივი შეტევა“, ანუ „ბრეინსტორმინგი“ (brainstorm) გასული საუკუნის 50-ან წლებში გავრცელდა (ავტორი, ამერიკელი ბიზნესმენი ალექს ოსბორნი). თუმცა, ამ პროცესის შესრულების თანამიმდევრობა (მომზადება, ინტუიცია, გაცისკროვნება, ახალი იდეის წარმოყენება, განვითარება) უძველესი დროიდან ცნობილია. კერძოდ, ისტორიკოსების გადმოცემით, ამგვარ მეთოდს ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში იყენებდნენ ევროპიდან შემოჭრილი ტომები – თინები თუ ბითინები.¹² ისინი ახალ, გაუთვალისწინებელ სიტუაციაში მოხვედრისას, როცა აუცილებელი იყო გონივრული და საპასუხისმგებლო გადანყვებების მიღება, მოსახლეობის ფართო გამოკითხვას ახდენდნენ და ამით პრობლემის გადანყვების ვარიანტებს აფართოებდნენ, ხოლო შემდეგ მათთვის შედარებით მისაღებ ვარიანტს ირჩევდნენ.



„გონებრივი შეტევის“ მეთოდის აქტიური გამოყენება გასული საუკუნის 50-ან წლებში დაიწყო. „გონებრივი შეტევის“ ორგანიზაცია რაიმე პრობლემის გადანყვების ჩვეულებრივ საშუალებად იქცა. ამ მიზნით საწარმოებსა და ორგანიზაციებში სპეციალური ჯგუფები, ე.წ. „გონებრივი ცენტრები“ შეიქმნა.

11 გამოსახულება, რომელიც შედგება მოქმედებების თანამიმდევრობისაგან და გამოთვლითი ამოცანის ამოხსნის საშუალებას იძლევა.

12 ბითინია – სახელმწიფო მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორია.

აღმოცენდა ამგვარი ხასიათის შემსრულებელი სპეციალური ფირმები და სხვ.

როგორც ცნობილია, ბიზნესი, გარკვეულწილად შემოქმედებაა, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, როცა ყოველი ამოცანა ახალია და იმდენად მიმზიდველია, რომ ქალაქდზე მუშაობა რუტინულად¹³ არ გვეჩვენება. ახალ კომპანიაში დამფუძნებლებმა უნდა ყველაფერი მოიფიქრონ – კომპანიის დასახელება, ბაზრის კვლევა, მარკეტინგული აქციები, მომხმარებლებთან ლოიალურობის პროგრამა, პროდუქციის გასაღების სტიმულირება და ა.შ. და ა.შ. ამ ამოცანებს შეიძლება საკუთარი ძალებით გავუმკლავდეთ. თუმცა, დიდად დაგვეხმარება კრეატიული აზროვნების სტიმულირების მეტად პოპულარული და ოპერატიული მეთოდი – „გონებრივი შეტევა“.



„გონებრივი შეტევა“ არის შემოქმედებითი აქტიურობის საფუძველზე პრობლემების გადანყვების ჯგუფური მეთოდი, რომლის დროსაც საკითხის განხილვის მონაწილეები თავიანთ აზრს, მათ შორის, ყველაზე უფრო ფანტასტიკურსაც, თავისუფალ ატმოსფეროში გამოთქვამენ.

„გონებრივი შეტევის“ ძირითადი პრინციპია იდეების გენერაცია.

„გონებრივი შეტევის“ მთავარი მიზანია რაც შეიძლება მეტი ახალი და ღირებული იდეის ცხადად, ნათლად წარმოჩენა.

არსებობს აზრი, რომ „გონებრივი შეტევა“ ვიკინგებმა¹⁴ მოიგონეს. როცა მეზღვაურთა გუნდი რთულ სიტუაციაში ვარდებოდა, ყველა გემბანზე იკრიბებოდა – კაპიტნიდან დაწყებული, ბოცმანით დამთავრებული. თითოეული მათგანი პრობლემის გადანყვების საკუთარ გზას რიგრიგობით ამბობდა. ამასთან, იწყებდა რიგითი და ამთავრებდა კაპიტანი, რათა მის ავტორიტეტს არ დაეთრგუნა ხელქვეითე-

13 ფრანგ. routine შიში სიახლის, ცვლილების წინაშე; უძრაობა, ჩამორჩენილობა, შაბლონი.

14 სკანდინავიელი, ნორმანი მეზღვაური მეომრები, რომლებიც VIII-XI საუკუნეებში თავს ესხმოდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს და აარსებდნენ კოლონიებს.

ბი. საბოლოო გადაწყვეტილებას კაპიტანი იღებდა.

საინტერესოა, რომ მართებულად ორგანიზებული „გონებრივი შეტევის“ დროს საშუალო ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ადამიანი ორჯერ უფრო მეტ საინტერესო იდეას გამოთქვამს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა მართო ფიქრობს ამოცანის გადაჭრაზე.

„გონებრივი შეტევის“ დაწყების ეტაპზე მონაწილეები შაბლონურ იდეებს გამოთქვამენ. ამიტომ ამ პროცესის მთავარი ამოცანაა სტერეოტიპებიდან სწრაფი გათავისუფლება, იდეების გამოთქმა და მათი დავიწყება.

„გონებრივი შეტევის“ ჩატარების მკაცრი წესები ან რაიმე შეზღუდვები არ არსებობს, თუმცა მრავალწლიანი მსოფლიო პრაქტიკა გარკვეული პრინციპების გამოყენებას ითვალისწინებს.

სიტყვათშეწყობა „გონებრივი შეტევა“ პრაქტიკულად ყველასათვის ცნობილია. მისი ჩატარებისთვის აუცილებელია რამდენიმე წესის დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არაეფექტური იქნება და გუნდის წევრების საუბარი ზერელე ლაყობად გადაიქცევა.

„გონებრივი შეტევა“ სამ ეტაპად ტარდება და შემდეგი სამუშაოები სრულდება:

- 1. მოსამზადებელი ეტაპი** – ამოცანის (და არა ამოცანების) მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ფორმულირება; ჯგუფის მონაწილეებისა და წამყვანის შერჩევა; პროცესის ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა; აუდიტორიის მომზადება; პროცესის ჩატარების წესებისა და პროცედურის გაცნობა; მონაწილეთა შემოქმედებითად განწყობა.
- 2. ძირითადი ეტაპი** – იდეების თავისუფალი გენერაცია ანუ უშუალოდ „გონებრივი შეტევა“ – არაფორმალური, კეთილსასურველი და კონკურენტული ატმოსფეროს შექმნა; რაც შეიძლება მეტი იდეის თავისუფლად, დაუფარავად გამოთქმა; წარმოთქმული იდეებისადმი ყოველგვარი კრიტიკისა და შეფასების (თუნდაც, დადებითის) დაუშვებლობა; მისასალმებელია ყველა იდეა, მათ შორის, ფანტასტიკური, არაორდინალური, რადგან სწორედ მათგან შეიძლება დაიბადოს რაღაც გენიალური; შეფასების გარეშე დასაშვებია უკვე გამოთქმული იდეის განვითარება (სრულყოფა, დამატება, გაუმჯობესება, კომბინირება); აუცილებელია წარმოთქმული იდეების ქალაქზე ან ეკრანზე ფიქსაცია.
- 3. ეტაპი** – იდეების დაჯგუფება, შერჩევა და შეფასება – ჯგუფის წევრების მიერ (შეიძლება სხვების ჩართვაც) გამოთქმული იდეების თავისუფლად, მაგრამ მკაცრად შეფასება. საყურადღებოა ის, რომ ადამიანებს შემოქმედებითი უნარი განსხვავებულად აქვთ განვითარებული. მრავალ მათგანს უკვე წარმოთქმული იდეის ანალიზი, განვითარება და ექსპერტიზა უფრო შეუძლია, ვიდრე თვით ახალი იდეის მოფიქრება. თუ საჭიროა, შეიძლე-

ბა რეიტინგული კრიტერიუმების გამოყენებაც და, უმრავლესობის თანხმობით, გამოთქმული იდეებიდან უფრო ეფექტური და ხელსაყრელი ვარიანტ(ებ)ის არჩევა.

„გონებრივი შეტევის“ გამოვრებით ჩატარება რეკომენდებულია ერთი კვირის შემდეგ. ეს დრო გამოთქმული იდეების საბოლოო შეფასებისათვის საკმარისია.

მორიგ სხდომაზე წინა თემისადმი დაბრუნება სავსებით მიზანშეწონილია, რადგან მონაწილეები მასზე მიანიჭ ფიქრობენ და სხვა საკითხზე სწრაფად გადართვა მეტად რთულია.

როგორც წესი, „გონებრივი შეტევის“ ფარგლებში მმართველობითი გადაწყვეტილებები არ მიიღება. ამ დროს მხოლოდ რეკომენდაციები მუშავდება. მიზანშეწონილია ჯგუფის მუშაობა, მაქსიმუმ, 1-1,5 საათი.

„გონებრივი შეტევის“ ჯგუფის სამოქმედო წესებში ყოველი გამომსვლელის დრო ლიმიტირებულია (ამოცანიდან გამომდინარე, დაახლოებით, 1-2 წუთი). ყოველი მონაწილე საკუთარ პოზიციას მხოლოდ დადებით ასპექტში წარმოაჩენს.

თუ საჭიროა საკითხის უფრო სიღრმისეულად გარჩევა, უმრავლესობის თანხმობით, მისი დეტალური განხილვა შეიძლება გაგრძელდეს.

„გონებრივი შეტევის“ შედეგია ნობა მრავალ ფაქტორზე და მოკიდებული. სასურველია, რომ იგი ხელმძღვანელობის დასწრების გარეშე ან მათთან ერთად, მაგრამ თანაბარი სტატუსით მონაწილეების პირობებში ჩატარდეს. ამით ჯგუფის წევრები ფსიქოლოგიური ბარიერებისაგან თავისუფლდებიან.

მეტად მნიშვნელოვანია შეხვედრის წამყვანის როლი. მან მონაწილეები აზრის თავისუფლად გამოთქმაში არ უნდა შეზღუდოს.

სწორედ „გონებრივი შეტევა“ მრავალი პრობლემის გადაჭრის ყველაზე გავრცელებული მეთოდია. ეს არცაა გასაკვირი – მისი ჩატარებისათვის საკმარისია მხოლოდ მრგვალი (ან ოვალური) მაგიდა, მონდომებული ადამიანები და რამდენიმე საათი. „გონებრივი შეტევა“ ხელს უწყობს ჯგუფის წევრებში კრეატიულ (შემოქმედებით) აზროვნებას, ახალი იდეებისა და მიგნებების ღიად გაცვლას, საქმიანი აქტიურობისათვის სათანადო პირობების შექმნას.

მონაწილეთა ოპტიმალური რაოდენობა 6-12 ადამიანია. უფრო მეტი რიცხოვნობისას, მოსალოდნელია იდეების მორევში ჩაძირვა, ნაკლებობის შემთხვევაში კი, – იდეების სიმცირე. გუნდის დანაწევრება არასასურველია. რაც მეტი აქტიური წევრია გუნდში, შედეგიც უფრო ეფექტურია.

ჩატარების ადგილი: „გონებრივი შეტევის“ ჩატარებისათვის საჭიროა იზოლირებული აუდიტორია ან ოთახი და ხმის ჩამწერი, რათა არც ერთი გამოთქმული იდეა უყურადღებოდ არ დარჩეს. სასურველია ყველა იდეა დაფაზე დაფიქსირდეს, მაგიდა და სკამები ნახევარწრედ ან რუსული ასო „П“-ს მსგავსად განლაგდეს, რაც მონაწილეთა შორის კომუნიკაციას გააძლიერებს.

ჩატარების ხანგრძლივობა და დრო: როგორც წესი, „გონებრივი შეტევის“ ხანგრძლივობა 40-60 წუთის ფარგლებში მერყეობს. ეს ყველაზე ეფექტიანი დროა, შემდეგ ადამიანის ყურადღება კლებულობს. მუშაობისათვის კარგია დღლა (10-12 სთ) ან სადილის მომდევნო პერიოდი (15-18 სთ).

„გონებრივი შეტევის“ მრავალი მოდიფიცირებული ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთი მათგანია „მუნჯი“ ბრენინგორმინგი, ე.წ. **ბრენინგორმინგი (Brainwriting)**. ამ დროს გუნდის მონაწილეები ფურცელზე დაწერილ თავიანთ წინადადებებს ერთმანეთს უცვლიან. მეზობლის იდეა ახალი იდეის გაჩენის სტიმულია. გარკვეული დროის შემდეგ, მონაწილეები კვლავ ცვლიან ჩანაწერებს. იდეების გენერირებისა და გაცვლის პერიოდი, როგორც წესი, წინასწარ შეთანხმებულია, მაგრამ 15-30 წუთს არ აღემატება.

„გონებრივი შეტევის“ წესები იდეების ჩანერაზეც ვრცელდება: იდეები რაც შეიძლება მეტი უნდა გამოითქვას, „თავისუფალი ასოციაციები“ ნახალისდეს, ჩანაწერების კრიტიკა აქაც არ შეიძლება.

„გონებრივი შეტევის“ იაპონურ ვარიანტს „ბრინჯის სეტყვა“ ეწოდება.

წამყვანი ჩამოთვლის ყველა ცნებას, რაც განსახილველ თემას ეხება (მაგ., გაყიდვები, დანახარჯები, რეკლამა, კონკურენცია და ა.შ.).

ყოველი მონაწილე თავის წინადადებას ბარათზე წერს – ერთი წინადადება ერთ ბარათზე. წინადადებას კავშირი უნდა ჰქონდეს საკვლევ თემასთან.

წამყვანი აგროვებს ბარათებს და ისე ანაწილებს, რომ საკუთარი ბარათი არავის შეხვდეს. წამყვანი ერთ-ერთ ბარათს კითხულობს. მონაწილეები ბარათებიდან იმას ირჩევენ, რომელიც ნაკითხული ბარათის თემასთან უფრო ახლოა. ამ ბარათებისგან აკეთებენ ნაკრებს, რომლის იდეის არსი ფაქტების ნაკრებიდან უნდა გამომდინარეობდეს და ძალიან ზოგადი არ უნდა იყოს. ამასთან, დაუშვებელია ფაქტების უბრალო ჩამონათვალი.

განალიზდება რა ყველა იდეის ნაკრები, ჯგუფი ფაქტებს აჯამებს და ყოველი ნაკრებიდან პრობლემის ლოკალურ არსს აყალიბებს.

დასრულებული კომპლექსური ნაკრები დასმულ პრობლემასთან მაქსიმალურად მიახლოებული იქნება. ამოცანა პრაქტიკულად გადაწყვეტილად ითვლება, როცა ამოცანის საერთო გაგება გაჩნდება და ჯგუფის წევრები პრობლემის გადაწყვეტის გზას მარტივი უმრავლესობით მოიხონებენ.

„გონებრივი შეტევი“ ერთ-ერთი ვარიანტია **„საპირისპირო გონებრივი შეტევა“**. ამ შემთხვევაში გადანაცვლებების ძიების პროცესი სამ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე საკვლევ იტემის ყველა შესაძლო ნაკლოვანება ვლინდება. ამ ნაკლოვანებების საფუძველზე ამოცანები ყალიბდება. მეორე და მესამე ეტაპები ჩვეულებრივი „გონებრივი შეტევის“ შესაბამისი ეტაპების მსგავსია. ამგვარად, იტემის ნაკლოვანებების სრულად ასახვით შესაძლებელია მისი სრულყოფის მეტი იდეების პოვნა.

ახალი იდეების კოლექტიური მოძიების კიდევ

ერთი მეთოდია **„გემის საბჭო“**. ამ მეთოდის დროსაც მაქსიმალურად გამოიყენება გამოცდილება, ცოდნა და ფანტაზია. მაგრამ, მისი ჩატარების წესი რამდენადმე განსხვავებულია, კერძოდ:

1. პრობლემის შესახებ თავისი აზრი ყველამ უნდა გამოთქვას;
2. გამომსვლელთა რიგითობას და წესს განსაზღვრავს კაპიტანი, უმცროსიდან დაწყებული უფროსით დამთავრებული;
3. კითხვებს მხოლოდ კაპიტანი იძლევა. საბჭოს მონაწილეებს იდეების კრიტიკა და დაცვა მხოლოდ კაპიტნის ნებართვით შეუძლიათ;
4. ყველა მონაწილე ვალდებულია გააკრიტიკოს, ხოლო შემდეგ დაიცვას კაპიტნის მიერ შერჩეული იდეა, მათ შორის საკუთარი იდეაც; საბჭოს მუშაობის შედეგებს კაპიტანი აჯამებს.

ამგვარად, ამ მეთოდის ძირითადი არსია წინასწარ დადგენილი წესის მკაცრი დაცვით საბჭოს ჩატარება. საბჭოს მუშაობის წარმატება ხელმძღვანელზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს იგი მშვიდი, საქმიანი და შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას, რაც პრობლემის გადაწყვეტის აქტიურ ძიებაში მონაწილეების სტიმულირებას გამოიწვევს.

„გონებრივი შეტევის“ კიდევ ერთი ვარიანტია **„მრავალსაფეხურიანი (კასკადური) გონებრივი შეტევა“**. ამ შემთხვევაში გუნდის მონაწილეები ორ ჯგუფად იყოფა:

1. იდეების გენერაციის ჯგუფი;
2. იდეების შემფასებელი ჯგუფი.

პირველ ჯგუფში შედის ფსიქოლოგიურად აქტიური წევრები, ხოლო მეორეში – კრიტიკულად მოაზროვნეები. მოხონებული იდეის სარეალიზაციოდ აუცილებელია მეორე ჯგუფში ფორმის ხელმძღვანელობის ჩართვა. ორივე ჯგუფში ოპტიმალურია, დაახლოებით, 10 კაცი.

პროცესი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს:

I ეტაპი – დაზვერვა. გენერაციის ჯგუფის მიერ პირველი იდეების გამოთქმა.

II ეტაპი – კონტრადიქტაცია. იდეების გამოთქმის გაგრძელება, მაგრამ ერთი შეზღუდვით: გამეორების გარეშე, სანაწარმდეგო იდეები დასაშვებია. შედეგად პრობლემის გადაწყვეტის ორი კონკურენტული ჩამონათვალი მიიღება.

III ეტაპი – სინთეზი. პრობლემის განხილვაში შეფასების ჯგუფის ჩართვა. გამოთქმული წინადადებების ერთმანეთთან შეთავსება, შეჯერება და გადანაცვლებების შემუშავება.

IV ეტაპი – პროგნოზი. იდეების განზოგადებული სიის საფუძველზე შეფასების ჯგუფის მიერ მოსალოდნელი სიძნელების პროგნოზირება.

V ეტაპი – ოპტიმიზაცია. მიღებული იდეების განზოგადება და გადაწყვეტილებათა რაოდენობის შემცირება.

VI ეტაპი – დესტრუქცია. განსხვავებული პოზიციებიდან (ლოგიკური, ფაქტობრივი, სოციალური) ოპტიმიზებული იდეების გამეორებით შემოწმება. ზოგიერთი მათგანის „განადგურება“. დასაშვებია მხ-

ოლოდ ფორმულირებული იდეების და არა ერთმანეთის კრიტიკა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

2) ანალოგიების მეთოდი – „სინექტიკა“



სინექტიკის¹⁵ მეთოდის ავტორია ამერიკელი მეცნიერი უილიამ გორდონი (შეიქმნა 1952 წელს). იგი შედარებით ეფექტური, მაგრამ რთული მეთოდია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბრენსტორმინგთან ერთად გამოიყენება.

სინექტიკა უარყოფს მიღებულ, დამკვიდრებულ სტერეოტიპულ აზროვნებას და ანალოგიების¹⁶ გამოყენებით პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალურ მიდგომას გვთავაზობს. იგი „გონებრივი შეტევის“ ერთ-ერთი ვარიანტია, რომელიც ანალოგიების გამოყენებით ტარდება.

მოცემული მეთოდის მთავარი განმასხვავებელი თავისებურებაა ის, რომ იგი გამოიყენება კონკრეტული ამოცანის (პრობლემის) გადასაწყვეტად და არა ობიექტური ეკონომიკური კანონზომიერებისათვის. მის გამოსაყენებლად საჭიროა კარგად მომზადებული სპეციალისტების ჯგუფი. ამ თვალსაზრისით,

15 ინგლ. Synectics სხვადასხვა, ზოგჯერ შეუთავსებელი ელემენტების შერწყმის მეთოდი, რომელიც კოლექტიურად ინტელექტუალური საქმიანობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოტივაციას ეფუძნება. იგი გონებრივი შეტევის მეთოდის სრულყოფილი ვარიანტია, ერთ-ერთი ეფრესტიკული მეთოდია.

16 ანალოგია ცნებათა წყვილში ურთიერთკავშირების იდენტიფიკაციის პროცესია. ამ დროს ხდება ადამიანის განვითარების თვითკონტროლი, მოდელირება, რაც საშუალებას გვაძლევს კონკრეტულ სიტუაციაში მივიღოთ გადაწყვეტილება გარდაუვალი ქმედების შესახებ. ანალოგიის გამოყენება შემოქმედებითი პროცესია და ერთობ პერსპექტიულია. ანალოგიების მიხედვით დასკვნებს ხშირად აკეთებენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მაგ., გეოლოგიურ პროცესებს შორის მსგავსება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მსგავს შემთხვევებს ადგილი ექნებოდა წარსულშიც. წყარო: ფირჩხაძე მ. მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციის ფორმები და სწავლების მეთოდები. PDF ფაილი.

სინექტიკა პროფესიული საქმიანობაა, ხოლო „გონებრივი შეტევა“ – მხოლოდ კოლექტიური თვითშემოქმედება. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, დასაშვებია კრიტიკა. და, რა თქმა უნდა, მისი მთავარი განსხვავება ისაა, რომ ამ მეთოდში ანალოგიების ძიება ახალი იდეების წყაროა.

სინექტიკის თეორიული საფუძველია რამდენიმე მტკიცებულება:

1. რაციონალურად ორგანიზებული ცალკეული პირისა და კოლექტივის შემოქმედებითი პროცესი ერთმანეთის ანალოგიურია, მაგრამ, ამ უკანასკნელში, სინერგიზმი ვლინდება;
2. შემოქმედებაში ირაციონალური მომენტი რაციონალურზე უფრო მნიშვნელოვანია;
3. მრავალი შემოქმედებითი შესაძლებლობა ფარულ (ლატენტურ) მდგომარეობაშია, რომელიც საჭიროებს გამოვლენასა და სტიმულირებას.

სინექტიკის მეთოდის საფუძველია ადამიანის თავის ტვინის თვისება ასოცირებული კავშირები დაამყაროს სიტყვებს, ცნებებს, გრძობებსა და აზრებს შორის. ცალკეულმა სიტყვამ ადამიანის ცნობიერებაში შეიძლება ადრე განცდილის წარმოსახვა გამოიწვიოს და წარსული გამოცდილების ინფორმაცია მოცემული ამოცანის გადაწყვეტაში ჩართოს. ამიტომ, ანალოგია ასოციაციებს კარგად ალაგზნებს, რაც ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობებს ასტიმულირებს.

სინექტიკის ამოცანაა „ჩვეულებრივში არაჩვეულებრივი“ და „არაჩვეულებრივში ჩვეულებრივი“ დავინახოთ და ამით, განვითარების პორიზონტი გავიფართოვოთ. აღნიშნული ამოცანა ოთხი ტიპის ანალოგიით (პირდაპირი, სუბიექტური, სიმბოლური, ფანტასტიკური) მიიღწევა:



1. **პირდაპირი ანალოგია** შედარებით მარტივია. განსახილველი ობიექტი (პროცესი), გადაწყვეტილების ნიმუშის საპოვნელად, ცოცხალი ბუნების ან ტექნიკის სხვა სფეროში არსებულ გარეგნულად, სტრუქტურულად ან ფუნქციურად მსგავს ობიექტს შეედარება.

მაგ., ავეჯის ღებვის პროცესის სრულყოფისას ანალოგია შეიძლება იყოს შედეგილი მინერალები, ყვავილები, ჩიტები ... ან როგორ იღებება ქალაქი, კინოლენტი და ა.შ.

ანალოგიები მრავალია, მაგალითად, ა) ტექნიკაში: ვერტიკალური და ნემსიკლავის ფრთების კონსტრუქცია; ბ) ფიზიკაში: ატომისა და მზის სისტემის აგებულება; გ) ინფორმატიკაში: ინფორმაციული ნაკადები ინტერნეტში და ობობას ქსელი და ა.შ.

2. **სუბიექტური (პირადი) ანალოგია (ემპათია¹⁷)** მეტ ფანტაზიას მოითხოვს. აუცილებელია თავი საკვლევი ობიექტის (ან მისი ნაწილის) როლში წარმოვიდგინოთ, მისი ფუნქციები გავითავისოთ, გარდავისახოთ, მისი სულისკვეთებით ვიცხოვროთ. ამასთან, გამოთქმული ანალოგია შეიძლება აბსოლუტურად შეუსაბამო, უცნაური, უაზრო იყოს. მთავარია შევიგრძნოთ და შევისისხლხორცოთ ახალი, აქამდე შეუცნობელი ის მიჯნები და ასპექტები, რომლებიც ლოგიკური განხილვით შეუძლებელია დავინახოთ. მაგ., ავეჯის შეღებვის მაგალითზე შეიძლება თავი „თეთრ ყვავად“ წარმოვიდგინოთ, რომელსაც შეღებვა სურს. ან კიდევ: მე რომ ჭანჭიკი ვიყო, ავტომობილის რომელ ადგილას ვიქნებოდი? რატომ გვინდა ასეთი შედარება? იმიტომ, რომ ამ დროს ინერციული აზროვნება მნიშვნელოვნად შემცირდება და ამოცანის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შიგნიდან“ დანახვა გაუმჯობესდება.

სიმბოლური ანალოგია გაცილებით რთულია. იგი მოითხოვს პარადოქსულ (უჩვეულო) აზროვნებას და კარგ ვერბალურ უნარებს, რადგან ობიექტის (მოვლენის) არსის ამსახველი ფრაზა, ზედმინვენიტ ლაკონურად, მოულოდნელი და საკვირველი შინაარსის მქონე, ურთიერთსაწინააღმდეგო, მაქსიმუმ, ორ სიტყვაში (ერთი არსებითი სახელი, მეორე ზედსართავი სახელი), მეტაფორით, აბსტრაქტული ცნებით ჩამოყალიბდეს. მნიშვნელოვანია ლოგიკურის დავინყება. არსებითად მისი არსია საგნის/პროცესის (ან მისი ნაწილის) საპირისპირო მხრიდან დანახვა. მთავარია ობიექტის არა კონსტრუქციიდან ან გარეგნული იერიდან, არამედ დანიშნულებიდან გამოვიდეთ. მაგ., ვთქვათ, ამოცანა ეხება მარმარილოს, შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვათშეწყობა (შესიტყვება) „ცისარტყელასებრი მუდმივობა“, იმიტომ რომ გახეხილი მარმარილო (თეთრის გარდა), მთელი თავისი უცვლელი მოხატულობით, ცისარტყელას გვაგონებს. ასეთი სიტყვათშეწყობანი კლასიკაში მრავალია, მაგ., „ოპტიმისტური ტრაგედია“, „მშრალი ყინული“, „უდანაშაულო დამნაშავე“, „ცოცხლად მკვდარი“, „ცოცხალი ლეში“, „კაცი ფუტლარში“, „მდუმარედ მოსაუბრე“ (ნიგნი), „ხილული სითბო“ (ალი), „გაერთიანებული შესვენებები“ (ტყვიამფრქვევის სროლა), „ჰაეროვანი ნყალი“ ან „გაუმჭვირვალე სივრცე“ (ღრუბელი), „ანონილი არეულ-დარეულობა“ (დუღაბი), „ხისტი ქარი“ (ვენტილატორი) . . .

მაგალითი რეალობიდან. მიკროსკოპში ნანახმა მიკროსამყარომ უბიძგა ცნობილ ინგლისელ მწერალ ჯონათან სვიფტს დაენერა ნიგნი „გულივერის მოგზაურობა“.

3. **ფანტასტიკური ანალოგია** ყველაზე მსუბუქი და, იმავდროულად, სასიამოვნოა. გავისხენოთ ბავშვობაში როგორ ვოცნებობდით „კეთილი ჯადოქრის“ გამოჩენაზე, რომ აესრულებინა ჩვენი ოცნებები. წარმოვიდგინოთ, ზღაპრების სიუჟეტების მსგავსად, თუ როგორ შეუძლია რაღაც საოცარ ძალას „ჯადოს-

ნური ჯოხის“ ერთი მოქნევით მოცემული პრობლემის გადანყვეტა და ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდება მაგიური საგნების მთელი არსენალი. წინა ანალოგიების მსგავსად, ასეთი ანალოგია კრეატიულ აზროვნებასა და შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს. საჭიროა საკვლევი ობიექტის (მოვლენის, პროცესის) იდეალურ ვარიანტში წარმოვდგინო ყოველგვარი შეზღუდვებისა და შესაძლებლობების (ფიზიკური კანონები, ენერჯის წყაროები, აუცილებელი პირობები და სხვ.) გარეშე, მაგ., „მსურს კარგი გზა იყოს იქ, სადაც მას ჩემი ავტომობილის საბურავები ეხება“. ფანტასტიკური ანალოგიის ფორმულირების შემდეგ განვიხილავთ, თუ რა უშლის ხელს მიგნებული გადანყვეტილების რეალურ პირობებში გადატანას და შევეცდებით მის გადალახვას.¹⁸

მოცემული ანალოგიები უფრო გასაგები გახდება, თუ მათ კლასიფიკაციას შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: პირდაპირი და ფანტასტიკური ანალოგიები, შესაბამისად, ესაა რეალური და არარეალური, ხოლო სუბიექტური და სიმბოლური – ფიზიკური (სხეულებრივი, მატერიალური) და აბსტრაქტული. თუმცა, ოთხივე შემთხვევაში, მათ ფუნდამენტურობაზე არაა საუბარი, რადგან სინექტიკის მეთოდის გამოყენება საგნის (მოვლენის) სიღრმისეულად შესწავლის ახალ მიდგომებსა და საშუალებებს ავლენს.

ამგვარად, ხსენებულის შეჯამებით სინექტიკის ტექნიკის გამოყენების ალგორითმი ასეთია:

1. განსახილველი პრობლემისა და სასურველი მიზნის გაცხადება;
2. პრობლემის მახასიათებელი საკვანძო სიტყვების შედგენა;
3. სინექტიკის ოთხი ანალოგიის გამოყენებით, ამ სიტყვების საფუძველზე იდეების გენერირება;
4. ფორმულირებული იდეებიდან მაქსიმალურად პრაქტიკული, მაგრამ ორიგინალური ხასიათის მქონე იდეათა ვარიანტების შერჩევა;
5. შერჩეული ვარიანტებიდან შედარებით საინ-

18 მათემატიკური ფიზიკის ცნობილი მეცნიერი, შოტლანდიელი ჯეიმზ კლარკ მაქსველი (1832-1879) თავის აღმოჩენებში ფანტასტიკურ ანალოგიას ხშირად იყენებდა – დასმული პრობლემის გადაწყვეტას, რაც მოეთხოვებოდა ყველაფერს დემონს „აბრალებდა“, შემდეგ დემონის შეცვლაზე ფიქრობდა და მიზანსაც წარმატებით აღწევდა;

გერმანელი ასტრონომი იოჰან კეპლერი (1571-1630), რომელმაც პლანეტების მოძრაობის კანონები დაადგინა, ციური სხეულების მიზიდულობას ურთიერთის სიყვარულს ამსგავსებდა. ამ შედარებამ კეპლერი მიზიდულობის ძალების (გრავიტაცია) ცნების იდეამდე მიიყვანა.

XVII საუკუნეში ორგანიზმში სისხლის მოძრაობას ზღვის მიქცევა-მოქცევას ადარებდნენ. ფიზიოლოგიისა და ემბრიოლოგიის ფუძემდებელმა, ინგლისელმა ექიმმა უილიამ ჰარვეიმ (1578-1657) შემოიტანა ახალი ანალოგია – ტუმბო (გულის ფუნქცია) და სისხლის უწყვეტი ცირკულაციის ფუნდამენტური იდეა ახსნა.

17 სხვა ადამიანის ქცევის გაგება.

ტერესო ვერსიის არჩევა, მისი ერთობლივად განხილვა და პრაქტიკაში განხორციელების სტადიამდე მიყვანა.

სინექტიკის მეთოდის ჩასატარებლად აუცილებელია წინასწარ მომზადებული პროფესიონალების მუდმივი ჯგუფი, ე.წ. სინექტიკორები (ოპტიმალურია 5-7 კაცი, მათ შორის, ერთი ხელმძღვანელი). მათ შესარჩევად გამოიყენება სპეციალური ტესტები, ნევრებს მოეთხოვებათ მრავალმხრივი განათლება, ფართო ერუდიცია, ექსპერიმენტული საქმიანობის გამოცდილება, სხარტი აზროვნება, სხვა საკითხზე ოპერატიულად გადართვის უნარი, ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის, ხოლო არაჩვეულებრივში ჩვეულებრივის შემჩნევის უნარი, სხვათა იდეების მოთმინებით მოსმენის უნარი, აბსტრაქციისა და მდიდარი ფანტაზიის უნარი. უპირატესობა ეძლევათ კონტრასტული ფსიქოლოგიური ტემპერამენტის ტიპებს (ქოლერიკი – მელანქოლიკი; სანგვინიკი – ფლეგმატიკი), ასევე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. სასურველია შეუთავსებელი პროფესიების მქონენი, მაგ., ექიმ-ფიზიკოსი, ინჟინერ-ეკონომისტი, მუსიკოს-ქიმიკოსი და სხვა). ამ ჯგუფში შეიძლება ორგანიზაციის გარედან განსხვავებული სპეციალობის (მაგ., ბიოლოგის) 2-3 წარმომადგენლის მოწვევაც.

3) მეთოდი – „გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტა“

ამ მეთოდის ავტორია უზბეკი გამომგონებელი და მწერალ-ფანტასტიკოსი ჰენრი ალტშულერი¹⁹ (1926-1998).

ალტშულერამდე გამომგონებლობა წინასწარგანჭვრეტის მსგავს მოვლენად მიაჩნდათ. თვლიდნენ, რომ ედისონად 20 უნდა დაიბადო. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ტექნიკური პრობლემების უმრავლესობა წყდება არა გენიოსების მიერ, არამედ ასობით და ათასობით შესაძლებელი ვარიანტების გადარჩევის – გამოცდის, შეცდომების გამოსწორებისა და შემთხვევითი გაცისკროვნების გზით, რაც მეტად ხანგრძლივი პროცესია.

ალტშულერმა ეს მოძველებული სტერეოტიპი შეცვალა. მან მთავარ ამოცანად დაისახა – ყოველი სწავლული მეცნიერისა და ინჟინრისათვის შეექმნა ტექნიკური ამოცანების ეფექტური გადაწყვეტის მიგნების შესაძლებლობა. ამისათვის აუცილებელი იყო საგამომგონებლო შემოქმედებითი პროცესი ისეთ პროცედურად გარდაექმნა, რომელიც დადგენილი წესების ზუსტად დაცვასა და სწორი ინსტრუმენტების აკურატულ გამოყენებას მოითხოვდა.

¹⁹ დასახული ამოცანის გადასაწყვეტად ალტშულერი ფსევდ. ჰენრი ალტოვი (1926-1998). მისივე თეორიებია, აგრეთვე: ტექნიკური სისტემების განვითარების თეორია და პიროვნების შემოქმედებითი განვითარების თეორია.

²⁰ ტომას ედისონი (1847-1931) – ამერიკელი მეწარმე და გამომგონებელი ელექტროფიკაციის სფეროსა და ფონოგრაფიაში. ნათურის გამომგონებელი.

ერმა გიგანტური მოცულობის სამუშაო შეასრულა – გაცემული პატენტების ბაზაზე ათი ათასობით გამოგონება შეისწავლა და დაადგინა, რომ გამომგონებლობის პროცესი მართვადაა. იგი მოითხოვს აზროვნების სწორ ორგანიზაციას, ფსიქოლოგიური ინერციების გადალახვას, იდეალური გადაწყვეტილებებისადმი სწრაფვასა და წინააღმდეგობების დაძლევას, რომელიც ნებისმიერ არასტანდარტულ ამოცანაშია. მან აღმოაჩინა, რომ ტექნიკის სხვადასხვა სფეროში არსებული მრავალი უნიკალური ამოცანა შეზღუდული რაოდენობის ტიპურ ტექნიკურ წინააღმდეგობებამდე დაიყვანება, რომელთა გადაწყვეტის გზა უკვე მიგნებულია.

გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის თეორიული საფუძველია ტექნიკური სისტემების განვითარების კანონები. უპირველესად, ესაა დიალექტიკური მატერიალიზმის კანონები.²¹ ასევე გამოიყენება ბიოლოგიური კანონების ზოგიერთი ანალოგია.

ტექნიკური სისტემის განვითარების მთავარი კანონია იდეალურობის ხარისხის გადიდებისაკენ სწრაფვა: იდეალურია ისეთი ტექნიკური სისტემა, როცა სისტემა არაა, ხოლო მისი ფუნქცია სრულდება. ვთქვათ, ჩვეულებრივი გზით ვცდილობთ ტექნიკური სისტემის იდეალურობის ამაღლებას: ვაუმჯობესებთ ერთ მაჩვენებელს (მაგ., ვამცირებთ სატრანსპორტო საშუალების წონას) სხვა მაჩვენებლების გაუარესების ხარჯზე (მაგ., მცირდება გამძლეობა, სიმტკიცე). კონსტრუქტორი კომპრომისულ გადაწყვეტილებას ეძებს, რომელიც ყოველ მოცემულ შემთხვევაში ოპტიმალური იქნება. გამომგონებელმა უნდა დაამსხვრიოს კომპრომისი: გააუმჯობესოს ერთი მაჩვენებელი და არ გააუარესოს მეორე. ამიტომ, შედარებით გავრცელებულ შემთხვევაში, გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის პროცესი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტექნიკური შემოქმედების გამოვლენა, ანალიზი და გადაწყვეტა.

გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის მეთოდი ტექნიკაში წარმოიშვა, რადგან ამ სფეროში საპატენტო ფონდი გაცილებით ძლიერია. მაგრამ, ტექნიკურის გარდა, არსებობს სხვა სისტემებიც: სამეცნიერო, სოციალური და ა.შ. ამ სისტემების განვითარება მსგავს კანონზომიერებას ექვემდებარება. ამიტომ მრავალი იდეა და გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის მექანიზმები შეიძლება გამოყენებული იქნას არატექნიკური შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტის შემთხვევაშიც.

გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის თეორია ცოდნის ახალი დარგია. მას აქვს თავისი კვლევის სფერო (ტექნიკური სისტემების განვითარე-

²¹ ბუნება მუდმივად ვითარდება და ამ განვითარებას დიალექტიკური ხასიათი აქვს. ბუნებაში მიმდინარე ყველა პროცესი კი ურთიერთკავშირში და ურთიერთგანპირობებულია. დიალექტიკური მატერიალიზმის კანონებია: 1. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და წინააღმდეგობის კანონი; 2. რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლის კანონი; 3. უარყოფის უარყოფის კანონი.

ბის კანონები), მეთოდი (დიდი მასივის საპატენტო, ისტორიულ-ტექნიკური და ისტორიულ-ბიოგრაფიული ინფორმაციის ანალიზი), ინფორმაციული ფონდი (პრინციპები, წინააღმდეგობების გადაწყვეტის ხერხები და მეთოდები).

გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის თეორია გათვალისწინებულია კონკრეტული ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად, მაგრამ იგი ასრულებს არანაკლებ სხვა ფუნქციასაც: ისეთი ტექნოლოგიური აზროვნების უზრუნველყოფა, რომელსაც ძველი ტერმინებით ტალანტს ვუწოდებთ. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ინჟინერი უნარიანია და უნდა შეეძლოს შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტა.

ალტშულერი თვლიდა, რომ ტექნიკა მსგავსი წინააღმდეგობების აღმოცენებითა და მათი გადაწყვეტით ვითარდება. იგი ამტკიცებდა, რომ საუკეთესო გამომგონებლური ამოცანის გადაწყვეტა წინააღმდეგობას „კლავს“. ასეთი გადაწყვეტილებების მოძიების შესამსუბუქებლად მან შეკრიბა და გაანალიზა ხშირად შემხვედრი წინააღმდეგობების ტიპური გადაწყვეტილებები და დაადგინა 40-მდე ხერხი, რომელთა გამოყენებით 1500-ზე მეტი ტიპური წინააღმდეგობების დაძლევა შეიძლება.

წინააღმდეგობების დაძლევის გარდა, გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის თეორია მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტად იყენებს ცნებას – „იდეალური საბოლოო შედეგი“. ამ ცნების ერთერთ ფორმულირებაში გამოყენებულია ტერმინი „თვითონ“: „მოქმედება სრულდება საკუთარი ინიციატივით“. მაგ., ექიმისათვის როგორია იდეალური პაციენტი? რომელიც საკუთარ თავს მკურნალობს. სწორედ ამ გზით გამოიგონეს ბაქტერიოციდული ლეიკოსალბუნი.

XX საუკუნის 20-ან წლებში ფირმა „ჯონსონი ენდ ჯონსონი“ ფართო პროფილის სამედიცინო საქონელს აწარმოებდა. ამ ფირმის ბამბის მიმწოდებელი კომპანიის ხელმძღვანელის, ერლ დიქსონის ახალგაზრდა მეუღლე ჟოზეფინა საოჯახო საქმეში ძალიან გამოუცდელი იყო და ხან ხელს ინვადა, ხან დანით ისერავდა. თავდაპირველად, მეუღლის დაზიანებულ ხელს ქმარი უვლიდა, მაგრამ ისიც სამსახურებრივი საქმიანობით ძალიან დაკავებული იყო და ქალაქიდან გასვლა ხშირად უწევდა. ერლმა გადახვევის პროცესის სრულყოფა განიზრახა: სამზარეულოს მაგიდაზე 3 დიუმის (1 დიუმი = 2,56 სმ) სიგრძის ქირურგიული ლენტა მწებვარე ზედაპირით ზევით დაამაგრა და მასზე მარლის ნაჭერი დაანება. სახვევი რომ არ დასვრილიყო და წებო არ გამხმარიყო, ლენტა ქსოვილის თხელი ფენით დაფარა. მისი ჩანაფიქრის აზრი ასეთი იყო: სახლში არყოფნის შემთხვევაში, მის მეუღლეს გამზადებული სახვევი ჰქონოდა. დიქსონის გამოგონილი მეთოდი გაიგო პრეზიდენტ ჯეიმს ჯონსონმა, მასში დიდი მომავალი დაინახა და ფირმა „ჯონსონი ენდ ჯონსონი“ გახდა პირველი ფირმა, რომელმაც ბაქტერიოციდული ლეიკოსალბუნის წარმოება

დაიწყო.²²

ალტშულერმა დაადგინა გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. სისტემის განვითარების კანონების ობიექტურობის პრინციპი – სისტემის აგებულება, ფუნქციონირება და თაობათა ცვლა ობიექტურ კანონებს ემორჩილება. ამგვარად, სწორია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება ობიექტურ კანონებს, კანონზომიერებებს, მოვლენებსა და ფაქტებს;
2. წინააღმდეგობის პრინციპი – გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედებით წარმოიშობა, მწვავეება და წყდება წინააღმდეგობები. ამ გზით სისტემა ვითარდება. შესაბამისად, სწორია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არსებულ წინააღმდეგობას დაძლევს;
3. იდეალურობის პრინციპი – ამოცანების გადასაწყვეტად ვცდილობთ მივიღოთ იდეალური შედეგი: მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალური რეზულტატი. ამგვარად, სწორია (იდეალურთან მიხლოებულია) ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სისტემაში უკვე არსებულ შიდა რესურსებს იყენებს.

იდეალური საბოლოო შედეგისაკენ სწრაფვა ნებისმიერი სისტემის განვითარების უნივერსალური კანონია. ბიზნესში მისი გამოყენება ისევე წარმატებით შეიძლება, როგორც ტექნიკაში.

მაგალითი. ლვეზელის მწარმოებელს მომწოდებელმა ფქვილის ფასი გაუზარდა. რენტაბელობის არსებული დონის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო ლვეზელის ფასის გადიდება. წარმოიშვა წინააღმდეგობა: თუ ლვეზელის სარეალიზაციო ფასი გაიზრდება, კარგია – შენარჩუნდება ბიზნესის რენტაბელობის დონე, მაგრამ ცუდია, რადგან შემცირდება მოსახლეობის მოთხოვნა.

ჩვეულებრივ, ასეთ სიტუაციაში როგორ იქცევიან? უფრო დაბალ ფასში ყიდულობენ შედარებით დაბალი ხარისხის ფქვილს, რაც პროდუქციის ხარისხს აუარესებს. ამ შემთხვევაში, ხარისხის გაუარესება ახალ წინააღმდეგობას წარმოშობს – შემცირდება მოთხოვნა.

გამომგონებლური ამოცანის გადაწყვეტის ერთერთი მიდგომაა მონოსისტემიდან ბისისტემაზე გადასვლა. მოცემულ სიტუაციაში ეს ნიშნავს ერთი სახეობის ნაცვლად, ორი სახეობის ლვეზელის წარმოებას. აქედან, ერთი იქნება ზომით პატარა და ფასით დაბალი, ხოლო მეორე – ზომით დიდი და ფასით მაღალი. ამასთან, ლვეზელის ფასი მისი ზომის პროპორციულად კი არ უნდა შეიცვალოს, არამედ ისე, რომ წინანდელი რენტაბელობის დონე შენარჩუნდეს ან გაიზარდოს. ერთის ნაცვლად, ორი სახე-

22 Мамокова Е. М. Методы активации мышления: применение ТРИЗ в маркетинге. Вторая международная научно-практическая конференция «Проблемы развития инновационно-креативной экономики. М.: 29.03-09.04 2010 года. С. 327-328.

ობის ღვეზელის შეთავაზება დამატებით სამომხმარებლო თვისებას ავლენს – შესაძლებლობას იძლევა უფრო უკეთ გავიგოთ მომხმარებელთა მოთხოვნა. პროდუქციის ასორტიმენტის გადიდების ასეთი მიდგომა მრავალ სიტუაციაში გამოიყენება.

კვლევის სპეციალისტები კრეატიულობას არა ინტიუციურ, არამედ რაციონალურ მოვლენად განიხილავენ. აუცილებელია საკვლევი ობიექტის შემადგენელ ნაწილებად (ფიზიკურად ან წარმოსახვით) დაყოფა. შემდეგ გამოყოფილი კომპონენტები შეფასება კრიტერიუმით: „სასარგებლოა — საზიანოა“. საბოლოო ამოცანა – იდეალური შედეგის მიღება. შეფასების მინიმალურ კრიტერიუმად ისეთი მდგომარეობა ითვლება, როცა საკვლევი ობიექტიდან თუნდაც ერთი ნეგატიური კომპონენტი გამოირიცხება და, სულ მცირე, ერთი პოზიტიური კომპონენტი დაემატება.

მოცემული მეთოდი მსოფლიოში აღიარებულია და შემოქმედებითი ამოცანების გადასაწყვეტად წარმატებით გამოიყენება ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროში, დაწყებული საინჟინრო პროექტებიდან, დამთავრებული რეკლამით, PR-ით, მენეჯმენტით.

რობინზონის პრობლემა

ალტმულერის თეორიას კარგად ხნის ინგლისელი მწერლის დანიელ დეფოს ცნობილი გმირის, რობინზონის მაგალითი.

როგორ აღინიშნა, გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის თეორიის პირველი მოთხოვნაა წარმოშობილი ამოცანის მიზეზების გარკვევა.

გავანალიზოთ რობინზონის სიტუაცია.

დაუსახლებელ კუნძულზე რობინზონი აღმოჩნდა გემის დაღუპვის გამო. ინგლისში დასაბრუნებლად მან უნდა გადალახოს წყლის დაბრკოლება – ოკეანე. თეორიულად სამი ვარიანტია – ჰაერით, წყლის ზედაპირით და წყლის ქვეშ. აქ პრობლემა არ არის: ერთადერთი ვარიანტია წყლის გადაცურვა. რომ გადაცუროს ოკეანე და არც დაიხრჩოს და არც შიმშილისგან მოკვდეს, საჭიროა საიმედო, დიდი(!) ნავი. ხაზს ვუსვამთ, რომ საიმედოობას უზრუნველყოფს მხოლოდ დიდი ნავი. ასეთი ნავი ერთი დიდი ხისგან შეიძლება ნაჯახით გამოითალოს – აქაც პრობლემა არ არის. პრობლემა ნავის წყალში ჩაშვების დროს წარმოიშობა, რადგან ნავი საკმაოდ მძიმეა (დაახლოებით, 4 ტონა) და წყლამდე მანძილი გრძელი (დაახლოებით, 130 მეტრი). მაგრამ, იმავდროულად, ვლინდება არასასურველი ეფექტი – დიდი ნავის ზღვამდე გადაადგილება შეუძლებელია. პატარა ნავი არასაიმედოა. ვლესულობთ, რომ ერთი არასასურველი ეფექტის დაძლევით იქმნება ახალი! ასე აღმოცენდება მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი.

თუ ნავი დიდია, იგი საიმედოა, მაგრამ მძიმეა.

და პირიქით: თუ ნავი პატარაა, იგი მსუბუქია, მაგრამ არასაიმედოა.

აღნიშნულიდან ირკვევა, რომ ნავი უნდა იყოს დიდი (ანუ საიმედო, თავისი ძირითადი ფუნქციის

შესასრულებლად) და პატარა (გადასაადგილებლად შესაძლებელი). წინააღმდეგობა აშკარაა: ნავი ერთდროულად უნდა იყოს დიდი და პატარა! მაგრამ ეს წინააღმდეგობა დროის სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის: ნავი უნდა იყოს დიდი – ცურვისას და უნდა იყოს პატარა – მინის ზედაპირზე გადათრევისას. რობინზონისთვის მთავარია ცურვისას იყოს ნავი დიდი. მაშასადამე, იგი უნდა იყოს „როგორც პატარა“, ანუ გადათრევისას მოითხოვდეს შედარებით მცირე ძალას.

ახლა გავარკვიოთ, რატომაა ნავის გადათრევა ძნელი. ხშირად პასუხობენ, რომ ნავი მძიმეა – 4 ტონა. მაგრამ საქმე ნავის წონაში კი არა, მიზიდვის იმ ძალაშია, რომელიც ამ წონით ნავის ძირსა და მინის ზედაპირს შორის წარმოიშობა. აქ სწავადვე აღმოცენდება ახალი იდეა: თუ ნავს კი არ გადავთრევთ, არამედ მორებზე გადავაგორებთ, მაშინ მცირე ძალა დაგვჭირდება. სხვა სიტყვებით, ნავის გადათრევის ხახუნი უნდა შევცვალოთ გადაგორების ხახუნით. ამისათვის ნავი უნდა დავსვათ საგორებლებზე, ანუ ავნიოთ. მაგრამ მისი აწევა ისეთივე რთულია, როგორც გადათრევა. ტყუილად! ნავი უნდა გადავათრიოთ დიდ მანძილზე, ხოლო ავნიოთ მხოლოდ ერთხელ. გარდა ამისა, ნავის აწევით და საგორებლებზე დასმით, მისი გადაადგილების პრობლემას გადავწყვეტთ. ამიტომ დგას ახალი ამოცანა – ავნიოთ ნავი, თავისი ახალი პრობლემით – ამწევი ძალის უქონლობის პირობებში, როგორ შეიძლება ავნიოთ იგი? თუმცა, ჩვენ არ გვავინტერესებს ამწევი ძალის არც ძრავა, არც კაბინა და არც ისარი. ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ მისი ძირითადი ფუნქცია – ამწევი ძალის შექმნის შესაძლებლობა. აი ამწევი ძალის სწორედ ეს ფუნქცია დავტოვოთ, ხოლო დანარჩენი, სისტემა რომ არ გავართულოთ, მოვაცილოთ. კუნძულზე აღმოჩნდება არარსებული ამწე – მხოლოდ მისი ძირითადი ფუნქცია. იდეალური ამწე – ის არ არსებობს, ხოლო მისი ფუნქცია სრულდება.

სისტემა, რომელიც არ არსებობს, ხოლო ფუნქცია სრულდება, გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის თეორიით იდეალურ სისტემად მიიჩნევა.

„იდეალური სისტემის“ ცნება რობინზონის პრობლემის გადასაწყვეტად გამოვიყენოთ. თუ ამწე არ არის, ხოლო მისი ფუნქცია – ამწევი ძალის შექმნა – უნდა შესრულდეს, მაშინ ასეთი ძალა, მხოლოდ თვით სისტემის შიგნით უნდა ვეძებოთ.

ერთადერთი ძალა, რომელიც სისტემის შიგნით არსებობს, ესაა ნავის წონა, რომელიც მიმართულია ქვევით და ნავს მინისკერ იზიდავს. და სწორედ ეს ძალა უნდა დავძლიოთ. ვლესულობთ ახალ, მოულოდნელ ამოცანას! ნავი ავნიოთ ქვევით მიმართული ძალის დახმარებით. არსებობს კი ისეთი მექანიზმები, რომლებიც ასე მუშაობენ? არსებობს, ესაა ჩვეულებრივი ბერკეტი, ყველასათვის ცნობილი ვარიანტი – საბავშვო საქანელა. მეორე მექანიზმია ბლოკი: ტროსი ჩავაჩაჩავთ ქვევით, ტვირთი აიწევს ზევით. ჩვენ შემთხვევაში სიტუაცია იმით რთულდება, რომ ნავი თვითონ უნდა აიწიოს, ანუ ერთდროულად გამ-

ოვიდეს ორ როლში: ობიექტის როლში (რომელიც უნდა აინიოს) და ამნევი ძალის როლში (რომელმაც უნდა ასნიოს).

შეიძლება ორივე ვარიანტი (ბერკეტი და ბლოკი) გამოვიყენოთ, თუ ნავს წარმოსახვით ორ ნაწილად დავყოთ, მაგ., კიჩო (ძალის ხარისხში) და ცხვირი (ობიექტის ხარისხში). მაგრამ ნავის ცხვირი რომ აინიოს, კიჩო უნდა დაინიოს, რასაც ხელს უშლის მინა. ახალი ამოცანა, თუმცა შედარებით მარტივი – კიჩოს ქვევით მინის გამოთხრა. მინა ბევრი რომ არ ვთხაროთ, ნავის სიმძიმის ცენტრი კიჩოსკენ გადავიტანოთ, რისთვისაც გამოთხრილი მინის გრუნტი კიჩოზე დავყაროთ. როცა კიჩო მინაში ჩაეშვება, ცხვირი აინევს და საგორებლებსაც დავაყენებთ, შემდეგ გადმოვყრით გრუნტს და ნავი საგორებლებზე დაეშვება. ახლა შესაძლებელია ნავის გაგორება.

როგორც ვხედავთ, გამომგონებლური ამოცანების გადაწყვეტის მეთოდი მოითხოვს პრობლემური სიტუაციის ანალიზს და სისტემის ძირითადი ფუნქციის განსაზღვრას. რობინზონის პრობლემისათვის, უპირველესად, ესაა საიმედოობა, ამიტომ დისკუსია „რატომ დიდი ნავი“, სწრაფადვე უქმდება. პრობლემის წარმოშობის მიზეზი – სისტემის გარეთ შესაბამისი ძალის არარსებობა. „ანალოგიის გამოყენებით“ იზადება იდეალური იდეა: ნავი თვითონ უნდა აინიოს. განიხილება მრავალი ვარიანტი: ბერკეტები, ბლოკები, საჰაერო ბუშტები, ზრდადი ხეები, წვიმის წყალი, არხები, ზღვის მიქცევა-მოქცევა და ა.შ. რჩება მხოლოდ ერთადერთი, ყველაზე ძლიერი და რეალური.

4) მეთოდი – „მორფოლოგიური მატრიცა“

გავრცელებული აზრის თანახმად, არსებული პრობლემების მოგვარების გზები თვით პრობლემებში იმალება. სწორედ ამ იდეას ეფუძნება მეთოდი „მორფოლოგიური“²³ მატრიცა“, რომელიც შვეიცარიული წარმომავლობის ამერიკელმა ასტროფიზიკოსმა ფრიც ცვიკიმ 1942 წელს შეიმუშავა. იგი ერთ-ერთი ევრისტიკული და, იმავდროულად, სისტემურ-ანალიტიკური მეთოდია.

მორფოლოგიური მატრიცის გამოყენებით იქმნება ყველა შესაძლო გადაწყვეტილების ერთიანი, მონესრიგებული სტრუქტურა.

მეთოდის ავტორის აზრით, გადაწყვეტილების მიგნება შესაძლებელია არსებული კომპონენტების (ელემენტების) ახალი კომბინაციით. დასაშვებია არსებული კომპონენტების მოდერნიზაციაც.

მეთოდით მუშაობის ძირითადი პრინციპია პრობლემის (საგნის, მოვლენის, პროცესის) ცალკეულ კომპონენტებად, ე.წ. ქვეპრობლემებად და დაწინაურება და თითოეული მათგანისათვის რაც შეიძლება მეტი

23 ბერძ. morphe ფორმა და logos მოძღვრება. მოძღვრება წესრიგის, ფორმების, სტრუქტურების შესახებ. ტერმინი „მორფოლოგია“ პირველად გამოიყენა მისმა ფუქმდებელმა, გერმანელმა მწერალმა და დიდმა მოაზროვნემ, იოჰან ვოლფგანგ გოეთემ (1749-1832).

ობტიმალურად შესაძლო გადაწყვეტილების პოვნა. ბოლოს კი ცალკეული გადაწყვეტილების მრავალნაირი კომბინაციით მთლიანი პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტის მიიღება. მორფოლოგიური მატრიცის ზოგადი მოდელი მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. მორფოლოგიური მატრიცის ზოგადი მოდელი

პრობლემა	ქვეპრობლემების გადაჭრის ვარიანტები			
	პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე
ქვეპრობლემა 1				
ქვეპრობლემა 2				
ქვეპრობლემა 3				

მორფოლოგიური მატრიცის აგების თანამედევრობა ასეთია:

1. პრობლემის აღწერა;
2. ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კომპონენტებად (პარამეტრებად) პრობლემის დაწინაურება;
3. ცალკეული ქვეპრობლემის გადაჭრის ვარიანტების განსაზღვრა;
4. ახალი კომბინაციების პოვნა;
5. ალტერნატიული კომბინაციების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება.

თითოეული ვარიანტი საერთო განხილვის საგანია. მისაღებია ორიგინალური მიდგომებიც.

მოცემული მეთოდის უპირატესობაა ის, რომ იგი არ მოითხოვს დიდძალ ინფორმაციას. გამოიყენება ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროში, კერძოდ, ეკონომიკაში, ტექნიკაში და ა.შ.

ცხრილი 2. მორფოლოგიური მატრიცის კონკრეტული მოდელი

სწავლა	ქვეპრობლემების გადაჭრის ვარიანტები			
	პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე
გადასახადის გადამხდელი	პირდადა	მშობლები	საონსორი	სახელმწიფო
ბინა	საკუთარი	დაქირავება	სასტუმრო	მეგობართან
კმეპა	პირდადა	ოჯახში	რესტორანში	მეგობართან
		პრობლემის გადაჭრის პირველი ვარიანტი	პრობლემის გადაჭრის მეორე ვარიანტი	

5) მეთოდი – „ფოკალური²⁴ ობიექტები“

ამ მეთოდს სხვაგვარად **კატალოგის მეთოდი** ეწოდება. მისი ავტორია გერმანელი პროფესორი ედუარდ კუცი (შეიმუშავა 1926 წ., რომელიც 1950-ან წლებში სრულყო ამერიკელმა მეცნიერმა ჩარლზ ვაიტინგმა).

მეთოდის მიზანია ობიექტის სრულყოფა მასთან მრავალი მოულოდნელი თვისების ორიგინალური მოდიფიკაციის გზით.

მეთოდის პრინციპია საწყისი ობიექტის თვისებებთან შემთხვევითი ობიექტების თვისებების დაკავშირება და ერთ საგანში (ობიექტში) მათი გაერთიანება.

მოქმედების გეგმა:

- საკვლევი ობიექტის გამოყოფა და კვლევის მიზნის განსაზღვრა;
- კატალოგის ან წიგნის დახმარებით 2-3 ან მეტი ობიექტის შემთხვევით შერჩევა;
- შემთხვევით შერჩეული ობიექტების რამდენიმე თვისების ჩამოწერა;
- ამ თვისებების ფოკალურ ობიექტზე გადატანა, ახალი სიტყვათშენიშვნის მიღება;
- თავისუფალი ასოცირებით, ახალი სიტყვათშენიშვნის განვითარება, ყველა საინტერესო იდეის დაფიქსირება;
- ახალი იდეების შეფასება და, რეალიზაციის თვალთახედვიდან გამომდინარე, შედარებით ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა;
- ახალი მოდიფიციური ობიექტის დასამუშავებლად ამოცანების ჩამოყალიბება.

მაგალითი

საკვლევი ობიექტი: ფარანი.

კვლევის მიზანი: ფარანის სრულყოფა.

შემთხვევითი ობიექტები: 1. სათვალე; 2. პარამუტი.

შემთხვევითი ობიექტების დამახასიათებელი ნიშნები (თვისებები):

1. სათვალე: მზის, დამცავი, მოდური;
2. პარამუტი: ფერადი, საიმედო, გამლადი.

ახალი სიტყვათშენიშვნა:

მზის ფანარი, დამცავი ფანარი, მოდური ფანარი; ფერადი ფანარი, საიმედო ფანარი, გამლადი ფანარი.

ახალი იდეები:

მზის სხივებით დამუხტვადი ფანარი, ელექტროშოკის ფანარი, მორთულობის (მოკაზმულობის) სახეობის ფანარი;

ფერადფილტრებიანი ფარანი, დარტყმისმედეგი ფანარი, დაკეცვადი ფანარი.

შედარებით ოპტიმალური ვარიანტები: მზის სხივებით დამუხტვადი ფარანი, ფერადფილტრებიანი ფარანი და დარტყმისმედეგი ფარანი.

24 ლათ. focus კერა; კეროვანი, რაც ფოკუსშია; ყურადღების ფოკუსში მყოფი ობიექტი.

6) დე ბონოს მეტაფორების მეთოდი – „ექვსი მოაზროვნე ქული“

ამ მეთოდს პროდუქტიული და მარტივი მეთოდის ავტორია ბრიტანელი მწერალი, ექიმი და ფსიქოლოგი, შემოქმედებითი აზროვნების სფეროს გამოჩენილი სპეციალისტი ედუარდ დე ბონო. 1960-ან წლებში მან პირველმა გაავრცელა ტერმინი „ლატერალური²⁵ აზროვნება“. ამგვარი კონცეფციის ერთ-ერთი მეთოდია „ექვსი მოაზროვნე ქული“²⁶ (Six Thinking Hats).

„ექვსი მოაზროვნე ქულის“ მეთოდი საშუალებას იძლევა განვითაროთ გონების მოქნილობა, კრეატიულობა, გადავლახოთ შემოქმედებითი კრიზისი და მივიღოთ მართებული გადაწყვეტილება. ის განსაკუთრებით კარგია არაორდინალური და ინოვაციური იდეების შეფასებისას, როცა მოცემული სიტუაციის შეხედვა და შეფასება სხვადასხვა მხრიდან აუცილებელია და განსხვავებული აზრის გათვალისწინება მნიშვნელოვანი.

მოცემული მეთოდის საფუძველია პარალელური აზროვნების კონცეფცია. მიღებულია, რომ ესა თუ ის გადაწყვეტილება აზრების შეჯახების, დიკუსიისა და პოლემიკის შედეგად იბადება. ასეთი მიდგომით, არცთუ იშვიათად, უპირატესობა არა უკეთეს ვარიანტს ეძლევა, არამედ იმას, რომელიც პოლემიკაში

25 ლათ. lateralis გვერდითი.

26 მისი ავტორი დე ბონო ბავშვობაში მოკრძალებული, სუსტი ჯანმრთელობის ყოფილა, რის გამოც თამაშის დროს ამხანაგები მის წინადადებებს არ ითვალისწინებდნენ. მას გული წუდებოდა და ძალიან სურდა, რომ მისი იდეები მოსმენილიყო და საქმე კონფლიქტამდე არასდროს მისულიყო. მაგრამ, როცა იდეა მრავალია და მოკამათეები სხვადასხვა წონით კატეგორიაში არიან (ჩვეულებრივ, ბავშვებთან ისაა მართალი, ვინც ძლიერია, ხოლო მოზრდილებში – ვინც რანგით მაღალია), განხილვის ისეთი მეთოდის პოვნა, როცა ყველა იდეა მოსმენილი და მიღებული გადაწყვეტილება ყველასათვის დამაკმაყოფილებელი იქნება, ძალიან ძნელია. ბონო უნივერსალური ალგორითმის ძიებას შეუდგა და როცა გაიზარდა აზრობრივი პროცესის ეფექტურობის ამაღლების ორიგინალური მეთოდი მოიფიქრა. მან ყურადღება გაამახვილა ფიქრის დროს ადამიანის თავში (გონებაში) მიმდინარე პროცესებზე – აზრები ერთმანეთში ირევა, ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ა.შ. დე ბონომ ეს პროცესი 6 ტიპად დაანაწილა. მისი აზრით, ნებისმიერი პრობლემა აუცილებლად საჭიროებს ფაქტებს, იწვევს ემოციებს, მოთხოვს გადაწყვეტილების ვარიანტების ძიებას, მათი დადებითი და უარყოფითი შედეგების შეფასებას. აზროვნების კედელ ერთი ტიპია იდეების მოწესრიგება. თუ თავში ქაოსი მეფობს, საჭიროა მისი დალაგება, აზრების დაწყოება და მკაცრი თანამიმდევრობით გადმოცემა. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების ძიება უფრო სწრაფი და პროდუქტიული იქნება. დე ბონოს მეთოდიკა საშუალებას გვაძლევს აზროვნების სხვადასხვა ტიპი თანამიმდევრულად „ჩაერთოთ“ და კამათსა და დაპირისპირებას ბოლო მოუვლოთ.

მეთოდიკა კარგად დამახსოვრებადი რომ ყოფილიყო, საჭირო იყო მკაფიო ნიმუში. დე ბონომ აზროვნების ტიპი ფერად ქულებს დაუკავშირა. საქმე იმაშია, რომ ინგლისურ ენაში ქული საქმიანობის სახეობასთან ასოცირდება – კონდუქტორის ქული, პოლიციელის ქული და ა.შ. სიტყვათშეწყობა „რადაც ქულის დახურვა“ კონკრეტული საქმიანობის დაწყებას ნიშნავს. ადამიანი, რომელიც ფიქრით გარკვეული ფერის ქულს „იხურავს“, მოცემულ მომენტში აზროვნების იმ ტიპს ირჩევს, რომელიც ამ ფერთან ასოცირდება.

უფრო წარმატებით დანიშნაურდება (ხშირ შემთხვევაში, დიდ როლს „გამარჯვებული“ ვარიანტის ავტორის პერსონა ასრულებს).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პარალელური აზროვნებისას განსხვავებული შეხედულებები და იდეები მშვიდად თანაარსებობენ და ერთმანეთს არ უპირისპირდებიან.

პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას „ექვსი მოაზროვნე ქუდის“ მეთოდი სამი მთავარი სირთულის დაძლევაში გვეხმარება. ეს სირთულებებია:

- **ემოციები.** იმის ნაცვლად, რომ სწორ გადაწყვეტილებაზე ვიფიქროთ, ხშირად, საკუთარი ემოციებით ვიზღუდებით და ჩვენ შემდგომ მოქმედებასაც მის მიხედვით განვსაზღვრავთ.
- **დაბნეულობა.** არ ვიცით როგორ მოვიქცეთ, საიდან დავიწყოთ და ვმერყეობთ (ეს განსაკუთრებით მაშინ ვლინდება, როცა გადასაწყვეტი ამოცანა რთულია ან ასეთ ამოცანას პირველად ვაწყვეტით).
- **უთავბოლოება.** როცა მოცემული ამოცანის შესახებ დიდ ინფორმაციას ვფლობთ, ვცდილობთ ვიყოთ ლოგიკურები, თანამიმდევრულები და კრეატიულად მოაზროვნეები, კონსტრუქციულები და გვსურს ასეთები იყონ ჩვენი თანამოსაუბრეები, კოლეგები და პარტნიორები. ყოველივე ინვეს დაბნეულობასა და მღელვარებას, რამაც გადასაწყვეტი საკითხის დროულად მოუგვარებლობა შეიძლება გამოიწვიოს.

„ექვსი მოაზროვნე ქუდის“ მეთოდი გვეხმარება ამ სირთულების გადალახვაში, რადგან აზროვნების პროცესს ექვს რეჟიმად ანაწილებს, რომელთა შორის თითოეული, მეტაფორულად,²⁷ ერთ-ერთი ფერის ქუდითაა წარმოდგენილი. ამგვარი დაყოფით აზროვნება უფრო თავმოყრილი და მდგრადი ხდება და სხვადასხვა ასპექტზე რიგრიგობით მკაფიოდ ოპერირებს.

მოცემული მეთოდის ტექნიკა მრავალფეროვანია: „ქუდის“ თეთრი ფერი განასახიერებს ანალიტიკურ აზროვნებას (სიმბოლურად – მეცნიერი), შავი – კრიტიკულ აზროვნებას (კრიტიკოსი, სკეპტიკოსი), ყვითელი – ოპტიმისტურ აზროვნებას (ოპტიმისტი), მწვანე – შემოქმედებით აზროვნებას (კრეატიული ადამიანი), წითელი – ემოციურ აზროვნებას (მხატვარი) და ლურჯი – პერსპექტიულ აზროვნებას, ხედვას (ხელმძღვანელი).

რიგრიგობით, პროცესის ყოველი მონაწილე ვირტუალურად ექვსი ფერის ქუდიდან ერთ-ერთს „იხურავს“, რომელიც დასმული პრობლემის გადაწყვეტის შესახებ სხვადასხვა შეხედულებას მეტაფორულად განასახიერებს. ამ მეთოდის გამოყენება, მინიმუმ, 6 მონაწილეს მოითხოვს, რომელთა შორის ერთი წამყვანია.

„ექვსი მოაზროვნე ქუდის“ მეთოდის არსია კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე ყურადღების მაქსიმალური კონ-



ცენტრაცია და ახალი იდე(ებ)ის შექმნა (იხ. ცხრილი 3).

მოცემული მეთოდის ეფექტურობა გაცილებით მაღალია მაშინ, როცა მონაწილეთა მიერ დახურული ქუდის ფერის შესაბამისი მახასიათებლები მისი დროებითი მფლობელის რეალური მახასიათებლებისაგან განსხვავებულია, ანუ, როცა ბუნებით კრიტიკოსი ასრულებს ოპტიმისტის (ყვითელი ქუდი), ხოლო ოპტიმისტი – კრიტიკოსის (შავი ქუდი) როლს და ა.შ.

ცხრილი 3. მონაწილეთა როლების მეტაფორული განაწილება

მეტაფორული შეღარება		შესასრულებელი როლი
		ჭურჭლის მასხიმალური კონცენტრაცია და აქცენტების ბალანსა!!!
	თეთრი ქუდი (ინფორმაცია) (მეცნიერი)	ობიექტურ ინფორმაციაზე – ფაქტებსა და ციფრებზე, პოზიციების რაციონალურ ახსნაზე, წარმატებისა და წარუმატებლობის ალბათობათა განგარიშებაზე
	შავი ქუდი (სიფრთხილე) (კრიტიკოსი)	კრიტიკაზე, მოსალოდნელ წარუმატებლობაზე, ყველა წინადადებისადმი მიწუსებისა და სუსტი ადგილების პოვნაზე
	ყვითელი ქუდი (უპირატესობა) (ოპტიმისტი)	ღირსებების, უპირატესობებისა და პოზიტიური მხარეების ძიებაზე, ფარული რესურსების გამოვლენაზე, პლუსების დანახვაზე
ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება განყოფილებისა, რომელიც ეხება საოპერაციო რისკების მართვას. იდეალური ვარიანტია საოპერაციო რისკების მართვის სისტემის მოდელის ფუნქციონირება რისკების მართვის საერთო სისტემის ფარგლებში და მისი ურთიერთკავშირი მართვის სხვა კორპორატიულ სისტემებთან. საოპერაციო რისკების გამოვლენის შეფასების რეგლამენტისა და იმ დოკუმენტებისა, რომლებიც ეხება ქმედებების გეგმას, რომლებიც მიმართულია ბანკის საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და/ან ბანკის საქმიანობის განახლებისათვის გაუთვალისწინებელი გარემოების წარმოქმნის შემთხვევაში;

თანამშრომლებისთვის ინფორმაციის გადაცემა - ბანკში უნდა არსებობდეს ფორმალიზებული დოკუმენტაცია, რომელთა გაცნობა აუცილებელია თანამშრომლისთვის სამუშაოზე მიღებისას;

საინფორმაციო წერილების რეგულარული დაგზავნა, რომლებიც ახსენებენ წარმოქმნილი საოპერაციო რისკების შესახებ შეტყობინების აუცილებლობას;

გამოვლენილი საოპერაციო რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდება პასუხისმგებელი ქვედანაყოფისადმი (რისკის მფლობელებს);

ქვედანაყოფებს (ფილიალებს) შორის გამოცდილების არაპერსონიფიცირებული გაცვლა საოპერაციო რისკების მართვის სფეროში;

ბანკის ანგარიშგებლობის რეესტრში (ასეთი არსებობისას) საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშის ფორმატის შეტანა;

საბონუსე სისტემის შემოღება - საჭიროა იმ თანამშრომელთა პრემირება (შესაბამისი ღონისძიებების შემდეგ), რომლებმაც შემოიტანეს ეფექტური წინადადებები;

საინფორმაციო რისკებზე ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყაროა ბანკის თანამშრომლების შეტყობინებები (ცხელი ხაზი). ასეთი ინფორმაციას ასევე ღებულობენ საბუღალტრო აღრიცხვის, ოპერაციებ-

ის ანალიზის საფუძველზე;

რასაკვირველია აუცილებელია მესაზღვრე ქვედანაყოფებთან ურთიერთკავშირის დამყარება, რომლის დროსაც მოხდება კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლა და მისი ანალიზი. ასეთ ქვედანაყოფებად შეგვიძლია განვიხილოთ: ბიზნეს ქვედანაყოფი; საინფორმაციო უსაფრთხოების განყოფილება (საინფორმაციო რისკები); მარკეტინგის ქვედანაყოფი (კლიენტთა საჩივრები, მონაცემები მომსახურების ხარისხის მონიტორინგის შესახებ); საინფორმაციო ტექნოლოგიების ქვედანაყოფი (მონაცემები საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შეფერხებების შესახებ და მომხმარებელთა მიმართების რაოდენობათა ტექნიკური დახმარების სამსახურში); უსაფრთხოების ქვედანაყოფი (ინციდენტები, რომელთა შესახებ დამთავრებულიაან მიმდინარეობს გამოძიება, ინციდენტები საგანგებო და ავარიული რეგულაციების შესახებ); ბანკის ბიზნეს პროცესების აღწერისა და ოპტიმიზირების ქვედანაყოფი; საბანკო ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიის დანაყოფი, საოპერაციო რისკები, რომლებიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ბიზნეს პროცესებით ან ბანკის დოკუმენტებით; საფინანსო მონიტორინგის ქვედანაყოფი; პერსონალთა მუშაობის ქვედანაყოფი; იურიდიული ქვედანაყოფი (ინფორმაცია სადაზღვევო სფეროდან); შიდა კონტროლის სამსახური.

ბიზნეს ქვედანაყოფებისა და ბექ-ოფისის ქვედანაყოფების მიერ მონოდედებული ინფორმაციების მოძიებისა და მიღების შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა საინფორმაციო ნაკადების გონივრული დალაგება საოპერაციო რისკების ეფექტური გამოვლენის მიზნით.

საოპერაციო რისკის გამოვლენილი ინციდენტები აუცილებლად უნდა გათვალისწინებული იქნას მონაცემთა სპეციალიზირებულ ბაზაში. ბაზის შინაარსი შეიძლება იცვლებოდეს შიდა დამკვეთის მუშაობის სპეციფიკისა და პირობებიდან გამომდინარე, მაგრამ არსებობს კრიტერიუმები, რომლებიც აუცილებელია, რომ გათვალისწინებულ იქნას ყველა მიდგომასა და მოდელში, კერძოდ მონაცემთა ბაზის ძირითადი რეკვიზიტებია: საოპერაციო რისკის შესახებ შეტყობინების თარიღი; ინციდენტის მოხდენი თარიღი; სტრუქტურული ქვედანაყოფი სადაც მოხდა ინციდენტი; ინციდენტის აღწერა; ინციდენტის მიზანი; ინციდენტის შედეგები; შედეგების დონე (რისკის არსებობა); ოპერაციის მოცულობა, ფაქტიური და მოსალოდნელი ზარალის ჯამი; ანაზღაურების ჯამი; წინადადებები საოპერაციო რისკის მინიმიზირებისათვის; საქმიანობის მიმართულება (საბანკო პროდუქტები და მომსახურება); რისკი წყარო (ფაქტორი); მოვლენის მიკუთვნება სარეპუტაციო და საინფორმაციო რისკზე; ექსპერტის სახელი, გვარი; ქვედანაყოფი, რომელიც პასუხისმგებელია საოპერაციო რისკის მინიმიზირებაზე.

საოპერაციო რისკების აღრიცხვისას შეიძლება დამატებით (თუ საკრედიტო ორგანიზაციაში არის ბიზნეს პროცესების მართვის სისტემა), პროექტე-

ბზე (პროექტების მართვის სისტემების არსებობის შემთხვევაში) საბიუჯეტო ხარჯების (ბიუჯეტირების სისტემის არსებობისას) გავლენის ხარისხის განსაზღვრა. საოპერაციო ხარჯები შეიძლება დავყოთ დონეებად: კორპორატიული დონე, ბიზნეს ერთეულების დონე, საოპერაციო დონე.

საოპერაციო რისკების ურთიერთკავშირი მართვის მოსაზღვრე სისტემების ამა თუ იმ ელემენტებთან საშუალებას იძლევა ჩავატაროთ მრავალმხრივი აღრიცხვა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და რისკების დონის სისტემური ანალიზი, განვსაზღვროთ კორელაცია მათი რეალიზაციის ცალკეულ ფაქტებს შორის. არსებითი და არაარსებითი საოპერაციო რისკების გაყოფის მიზნით ბანკს შეუძლია დამოუკიდებლად შეიმუშაოს მისი კლასიფიცირების პროცედურა.

საოპერაციო რისკების ცნობარი შეუცვლელი დამხმარეა აღრიცხვის და ანალიზის დროს, ასეთ ცნობარებს ადგენენ სადაზღვევო კომპანიების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ბანკის შიდა გამოკითხვით, იმ გამოცემათა მასალების მიხედვით, რომლების სპეციალიზებულია საბანკო ტექნოლოგიებზე, საოპერაციო რისკის ინციდენტების ბაზის მონაცემთა მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ საოპერაციო რისკის ინციდენტთა ბაზა, პრეცედენტული სამართლის ანალოგიით, შეიძლება იყოს ტიპიური გადაწყვეტილებების წყარო. გადაწყვეტილება, გამოტანილი საოპერაციო რისკის რომელიმე ინციდენტზე, აუცილებელია ორგანიზაციის ყველა დანაყოფისათვის მის მიერ ანალოგიური საოპერაციო რისკების განხილვისას. ეს სისტემა აძლევს საშუალებას შეასრულოს ნორმა-შემოქმედებითი ფუნქციები არა მარტო ბიზნეს-პროცესების აღწერის არ არსებობის შემთხვევაში, არამედ არასაკმარისად მკაფიო ნორმატიული დოკუმენტაციის არსებობის დროსაც.

შედარებითი ანალიზის ჩატარებისათვის აუცილებელია უცხო ბანკების საოპერაციო რისკების დაფიქსირება, გარე წყაროების გამოყენებით, რომლებიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ადგილობრივ და საზღვარგარეთის სხვადასხვა ტენდენციებს, საოპერაციო რისკების სფეროში. მაგ.: კრიზისის დროს გახშირდა ბანკის შემოსავლებიდან ფულადი სახსრების მოპარვის შემთხვევები, კლიენტების ანგარიშებიდან თანხების მოპარვა დისტანციური კიბერშეტყვეებით; ამინდის პირობების ცვლილებისას (ყინვების დაგომასთან ერთად) გახშირდა შეფერხებების რიცხვი ბანკომატების მუშაობაში, რითაც ისარგებლეს სხვა პირებმა, გაიზარდა კრედიტების თაღლითური ქმედებების რაოდენობა და ა.შ. საჭიროა ტენდენციების უწყვეტი შესწავლა, საკრედიტო ორგანიზაციაში მიმდინარე სიტუაციის ანალიზი და აუცილებლობის შემთხვევაში ზომების მიღება საოპერაციო რისკების თავიდან ასაცილებლად.

გარე საოპერაციო რისკების ანალიზი საშუალებას იძლევა გავიგოთ საბანკო მომსახურების დაცვის სისტემებიდან რომელია ყველაზე ეფექტური და

ვუზრუნველყოთ ახალი საბანკო პროდუქტი დაცვის საიმედო სისტემით.

დღეს-ს ქვეყნების მაგალითზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ დღესდღეობით რისკის შესაფასებლად დიდი ნაწილი იყენებს ინფორმაციას საოპერაციო ზარალის შესახებ. საქმე ეხება სასამართლო და სხვა დანახარჯებს, ჯარიმებს, მატერიალური აქტივების ღირებულების პირდაპირ შემცირებას უბედური შემთხვევის გამო, თაღლითობას, საოპერაციო ზარალის ანგარიშს, მესამე მხარეებისათვის გადახდას, რისთვისაც ბანკს აკისრია პირდაპირი პასუხისმგებლობა.

გარდა ამისა, რამდენიმე ბანკი იყენებს, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ ადრე მონოდეტულ მეთოდს შიდა გარემოს შეფასებისათვის, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციაზე იმ ზარალის შესახებ, რომელიც დაგროვდა დროის საკმარისად დიდი პერიოდის განმავლობაში. ბანკების ნაწილი მიმართავს ალბათობის მიდგომას დანაკარგების რიცხვითი შეფარდებების გასაანგარიშებლად, რომლებიც გამოწვეული საოპერაციო რისკების რეალიზაციით.

მიღებული მონაცემების საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ჯერ-ჯერობით ბანკები არ ატარებენ რისკის რეალურ შეფასებას, არამედ იმყოფებიან მხოლოდ ამ რისკის სიდიდის შეფასების მათთვის მისაღები მიდგომების ძებნის პროცესში. საოპერაციო რისკების სიდიდეების კორექტული შეფასების ჩასატარებლად, როგორ უკვე აღნიშნული იყო, აუცილებელია სარწმუნო ინფორმაცია საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის პარამეტრების შესახებ დროის ხანგრძლივ პერიოდში წარმოქმნილი ზარალის სტატისტიკასა და მისი წარმომხმარებლის ალბათობის მნიშვნელობების შესახებ (საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად - 3 წელი). სამწუხაროდ, დღეისათვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე ზარალის შესახებ შეუძლებელია მისი სიდიდის სარწმუნო შეფასება, რაც განაპირობებს ასეთი მონაცემების დაგროვების მოთხოვნილებას, მათ შორის ინფორმაციას მისი წარმოქმნის ალბათობის შესახებ. საკრედიტო ორგანიზაციების საოპერაციო რისკების დონის კონტროლისთვის შემოთავაზებულია საოპერაციო რისკებისათვის რეზერვირებული კაპიტალის სიდიდის გაანგარიშება.

ზოგადად სტანდარტული მეთოდის გამოყენებისას შეუძლებელია დიდი რაოდენობის იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომლებზეც დამოკიდებულია საოპერაციო რისკებისათვის რეზერვირებადი კაპიტალის სიდიდე. პირველ რიგში, ასეთ ფაქტორებს განეკუთვნება ზარალის სიდიდე, რომელიც გამოწვეულია საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის თითოეული სახის მიერ. გარდა ამისა რეზერვირებადი კაპიტალის სიდიდეზე გავლენას ახდებს კლიენტების რაოდენობა, ტრანზაქციების რაოდენობა და მოცულობა და ბანკის საქმიანობის კიდევ მრავალი სხვა პარამეტრი.

ამასთან დაკავშირებით მოითხოვება საკრედიტო ორგანიზაციების დაინტერესება ფაქტიური მონაცე-

მების მუდმივ საფუძველზე დაგროვებისა, რაც ახასიათებს რისკის მოვლენებს საქმიანობის ყველა მიმართულებით (ზარალის და მისი წარმოქმნის ალბათობის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით). ნაწილობრივ საკრედიტო ორგანიზაციის ზარალის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მმართველობის ანგარიშმგებლობის მონაცემების საფუძველზე.

ამ მიზნით მონოდეტულია რისკების მაჩვენებლების სავარაუდო ჩამონათვალი, რომელთა შესახებ ინფორმაცია შეიძლება იყოს მოგროვებული ბანკების რაღაც მონაცემთა ბაზაში საოპერაციო რისკებისათვის განკუთვნილი რეზერვის დასაანგარიშებლად შესაფების მონინავე მეთოდების გამოყენებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ.,- რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო -საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. თბილისი, გამომცემლობა „აფხ. მეცნ. აკადემია“, 2007. — 567 გვ.
2. ბენიძე ნ., შონია ნ., ბინაძე ჯ.- რისკები და დაზღვევა. - თბილისი, გამომცემლობა „ინოვაცია“, 2010. — 468 გვ.

IT-აუტსორსინგის გავლენა ბიზნესის განვითარებაზე

ლაშა გუგუშვილი,
სტუდენტ-დოქტორანტი

რეზიუმე

აუტსორსინგი ბიზნესის გაძლიერების ერთ-ერთი პროგრესული ფორმაა, რომელიც ბოლო ათწლეულებში მსოფლიოში სწრაფად ვითარდება და სულ უფრო სრულყოფილი ხდება. მას მე-20 საუკუნის ფენომენს უწოდებენ. აუტსორსინგი, რომელიც მონოპოლიზაციის საპირისპირო ფორმაა, სრულად შეესაბამება შრომის დანაწილების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს.

აუტსორსინგულ მომსახურებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია IT-ი მომსახურება. ამ დროს მთავარი ამოცანებია IT-ინფრასტრუქტურის მომსახურება; საინფორმაციო სისტემების განვითარება; IT-სისტემებში პრობლემების მომსახურება.

აუტსორსინგით სარგებლობა ორგანიზაციისათვის ეფექტურია, რადგან ამ დროს მიიღწევა: IT-ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო სისტემების მომსახურების ეფექტურობის გაზრდა; IT-სისტემების შეფერხებების საერთო დროისა და რაოდენობის შემცირება; მომხმარებელთა IT-მომსახურების ხარისხის ამაღლება; IT-ინფრასტრუქტურის კომპონენტების წარმადობისა და საიმედოობის გადიდება; კვალიფიციური რესურსებით IT-სამსახურების ოპერატიული გაფართოება; განაწილებული მულტისერვისული სისტემების ექსპლუატაციის ეფექტურობის გაზრდა; კომპლექსური და ტერიტორიულად გაფანტული IT-ინფრასტრუქტურის შექმნა და/ან მისი ექსპლუატაციის ეფექტურობის გადიდება; IT-რესურსების ექსპლუატაციის პროცესების მართვის ოპტიმიზაცია.

IT-აუტსორსინგს რიგი უპირატესობები აქვს, კერძოდ: შემკვეთი ორგანიზაციის რესურსების იმ ამოცანებზე კონცენტრირება, რომლებიც ძირითადად ამ ორგანიზაციისათვის; შემკვეთი ორგანიზაციის არაპირდაპირი ხარჯების (მმართველობითი და სხვ.) შემცირება; IT-მომსახურების მაღალი ხარისხი და საიმედოობა; IT-მომსახურების უსაფრთხოების მაღალი დონე; ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და ათვისებადობა და სხვ.

Summary

IT-outsourcing impact on business development

Outsourcing represents one of the progressive forms of managing business that is rapidly extending in the last decades in the world and becomes more and more perfect. It is called a phenomenon of 20th century. Outsourcing, often referred as an opposite form of monopolization, is completely in compliance with the internationally recognized principles and methods of division of labour.

In the outsourcing services the main importance gains IT services. The main tasks are IT-infrastructure service; development of information systems; problem solving in IT-services.

It is effective for the organization to use outsourcing services as in this case, it is possible to: increase the services of IT-infrastructure and information systems; decrease time and quantity of IT-system delays; increase the quality of IT-service for the customers; increase performance and reliability of IT-infrastructure; extend operatively IT-service with qualified resources; increase the efficiency of operation of distributed multi service systems; create complex and territorially dispersed IT-infrastructure and / or increase its operating efficiency; optimize process management of IT-resources exploitation.

IT-outsourcing has a number of preferences, namely: to concentrate on the resources of client organization to the tasks that are essential for this organization; to decrease the indirect expenses (management, etc.) of the client organization; high quality and reliability of IT-services; a high level of service of IT-security; Access and assimilate to new technologies, etc.

* * * * *

ბოლო წლებში მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში აქტიურად დამკვიდრდა ბიზნესის გაძლიერების ერთ-ერთი პროგრესული ფორმა „აუტსორსინგი“¹.

თანამედროვე ბიზნესში აუტსორსინგის გამოყენებას ორი მიზეზი განაპირობებს. კერძოდ, ჯერ ერთი, კომპანიების უმრავლესობა ცდილობს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვას, და მეორე, დღევანდელ ტექნოლოგიებს, ცოდნასა და

¹ ტერმინი „აუტსორსინგი“ („outsourcing“) ინგლისური სიტყვების (outside resource using) ნაკრებია და გარე რესურსების გამოყენებას ნიშნავს. საერთაშორისო ბიზნეს-პრაქტიკაში ეს ტერმინი განსაზღვრავს მმართველობითი გადანაწილებების თანამიმდევრობას, რომლის არსია ზოგიერთი, ორგანიზაციის მიერ ადრე დამოუკიდებლად შესრულებული ფუნქციის ან კონკრეტული საქმიანობის სხვა ფორმაზე გადაცემა.

გამოცდილებას შესაბამისი სპეციალისტები ფლობენ, რომლებიც მათთვისა და მომხმარებლებისთვის ხელსაყრელ პირობებში კომპანიას აუთოსორსინგის პირობებში მომსახურებას სთავაზობენ. ხშირად აუთოსორსინგს მე-20 საუკუნის ფენომენს უწოდებენ, რადგან 30-ანი წლების დასაწყისში მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და ფართოდ გავრცელდა².

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აუთოსორსინგი მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციის პროდუქტია და მონოპოლიზაციის საპირისპიროა. თუმცა, იგი პანაცია არაა და მის გამოყენებაზე უარის მრავალი მიზეზი არსებობს. და მაინც, მთლიანობაში აუთოსორსინგის გამოყენება დადებითი მოვლენაა. მასში მეტად მნიშვნელოვანია აუთოსორსინგული მომსახურებისას მომწოდებლის (აუთოსორსინგის) გონივრული არჩევა.

IT-აუთოსორსინგებიზნეს-პროცესების აუთოსორსინგის ერთ-ერთი პროგრესული ნაირსახეობაა. იგი დაკავშირებულია გარე შემსრულებლის (აუთოსორსინგის) მიერ ინფორმაციის მიღებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და გადაცემასთან, აგრეთვე თანამდევ კონსალტინგური მომსახურების ფართო სპექტრთან. გარდა ამისა, IT-აუთოსორსინგს მიეკუთვნება მრავალრიცხოვანი მომსახურება ტელეკომუნიკაციების სფეროში, მათ შორის, კავშირგაბმულობა, ტელეფონია, მობილური სერვისები, ინტერნეტით სარგებლობის უზრუნველყოფა და სხვა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუთოსორსინგი (IT-აუთოსორსინგი) დღეისათვის მომსახურების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია, რადგან თანამედროვე ორგანიზაციების საქმიანობაინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია.

IT-აუთოსორსინგის ამოცანებია:

- IT-ინფრასტრუქტურის მომსახურება;
- საინფორმაციო სისტემების განვითარება;
- IT-სისტემებში პრობლემების მომსახურება.

IT-მომსახურების ძირითადი ჯგუფებია:

1. კომპიუტერული ქსელებისა და სერვერების მომსახურება;
2. სამუშაო ადგილების მომსახურება;
3. ინფორმაციის უსაფრთხოება;
4. მონაცემთა გადაცემისა და კომუნიკაციის სისტემები;
5. პროგრამული უზრუნველყოფა;
6. ორგტექნიკა;
7. სარეზერვო კვება;
8. სამუშაო ადგილების ორგანიზება;
9. მომხმარებლებისა და პერსონალის სწავლება.

ისტორიულად, IT-აუთოსორსინგი დაკავშირებულია შიდა IT-ქვედანაყოფების (გამოთვლითი ცენტრები, განყოფილებები) ფუნქციებისა და მათ მიერ შესრულებული სხვადასხვა სახის სამუშაოების (მათ შორის, საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება)

² ტერმინი „აუთოსორსინგი“ სამეცნიერო ბრუნვაში 1989 წელს შემოვიდა.

„გარეშე მხარისთვის“ გადაცემასთან.

IT-აუთოსორსინგის კლიენტებია ტრანსნაციონალური სამრეწველო კორპორაციები, მსხვილი ბანკები, სახელმწიფო დაწესებულებები. IT-აუთოსორსინგისა და ბიზნეს-პროცესების აუთოსორსინგის მსოფლიო დონის მომსახურების მომწოდებელთა უმრავლესობა აქტიურად დაკავებულია ბიზნეს-ინფორმაციების შეგროვებითა და ხარისხიანი ანალიზით.

IT-აუთოსორსინგის მომსახურების მსოფლიო დონის მომწოდებლების შორის ცნობილია კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ქსელური ტექნოლოგიებისა და კორპორატიული რესურსების მართვის მსხვილი მწარმოებლები.

იმის კითხვა: მაინც რა განაპირობებს IT-აუთოსორსინგის გამოყენების აუცილებლობას?

აუთოსორსინგით სარგებლობა ორგანიზაციისთვის ეფექტურია, როცა მას სურს:

- IT - ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო სისტემების მომსახურების ეფექტურობის გაზრდა;
- IT - სისტემების შეფერხებების საერთო დროისა და რაოდენობის შემცირება;
- მომხმარებელთა IT-მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- IT - ინფრასტრუქტურის კომპონენტების წარმადობისა და საიმედოობის გადიდება;
- კვალიფიციური რესურსებით IT-სამსახურების ოპერატიული გაფართოება;
- განაწილებული მულტისერვისული სისტემების ექსპლუატაციის ეფექტურობის გაზრდა;
- კომპლექსური და ტერიტორიულად გაფანტული IT-ინფრასტრუქტურის შექმნა და/ან მისი ექსპლუატაციის ეფექტურობის გადიდება;
- IT-რესურსების ექსპლუატაციის პროცესების მართვის ოპტიმიზაცია.

აუთოსორსინგის (კომპანია-შემსრულებლის) მიერ IT-აუთოსორსინგი შეიძლება ორგანიზებული იქნას სხვადასხვა ფორმებით:

1. კომპანია შემკვეთის სამუშაო ტერიტორიაზეაუთოსორსინგის წარმომადგენელი IT-სპეციალისტ(ებ)ის მუდმივი დისლოკაციით;
2. რეგლამენტური და გეგმური სამუშაოების ჩასატარებლად, აუთოსორსინგის წარმომადგენელი IT-სპეციალისტ(ებ)ის გეგმური გამოცხადებით;
3. საჭიროების შემთხვევაში, IT-სპეციალისტ(ებ)ის სასწრაფო გამოცხადებითა და საინფორმაციო სისტემის აღდგენით;
4. საინფორმაციო სისტემის მომსახურება დისტანციურად - პროგრამული უზრუნველყოფის დაყენებით, კონფიგურაციით, ადმინისტრირებით, დაზიანებების პრევენცია/აღმოფხვრით;
5. კომპანია-შემკვეთის მომხმარებელთა მხარდაჭერით („ცხელი ხაზი“), კონსულტაციებით, ერთჯერადი დახმარება/სწავლებებით;
6. კომპანია-შემკვეთის მომხმარებელთა სწავლება/ტრენინგებით და სხვ.

IT-აუთოსორსინგს რიგი უპირატესობები აქვს, კერძოდ:

- შემკვეთი ორგანიზაციის რესურსების იმ ამოცანებზე კონცენტრირება, რომლებიც ძირითადად ამ ორგანიზაციისათვის და რომელთაც უშუალოდ მოაქვთ შემოსავალი;

- შემკვეთი ორგანიზაციის არაპირდაპირი ხარჯების (მმართველობითი და სხვ.) შემცირება;

- IT-მომსახურების მაღალი ხარისხი და საიმედოობა;

- IT-მომსახურების უსაფრთხოების მაღალი დონე;

- ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და ათვისებადობა და სხვ. [1]

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში IT-მომსახურების ბაზრის უცვლელი ლიდერია მსოფლიოში ცნობილი კომპანია IBM, რომლისთვის აუტოსორსინგი შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ამერიკული კვლევითი ორგანიზაცია Gartner Dataquest-ის მონაცემებით, 2013 წელს IBM-ის IT-მომსახურების გაყიდვის მოცულობამ 2012 წელს 96,4 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 8,9%-ით მეტია. IBM-ს ბაზრის წილი 7.6%-ია. შემდეგ მოდიან კორპორაციები EDS (46,6 მილიარდი, ზრდა 5.0%, ბაზრის წილი 3,4%), Fujitsu (36,9 მილიარდი, ზრდა 5,8%, ბაზრის წილი - 2.8%), HP (24,2 მილიარდი, ზრდა 8,3%, ბაზრის წილი 2.3%) [2].

IT-აუტოსორსინგის მომსახურების ტრადიციული ბაზარი საკუთარი ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების (იკტ)-ს ბაზართან ერთად ვითარდება. ამის დასტურია IT-აუტოსორსინგის მომსახურების მოცულობის ზრდა XX საუკუნის ბოლოს, რომელსაც მკვლევრები „პრობლემა 2000“-ის გადაჭრას უკავშირებენ. თუმცა, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ეკონომიკურმა ვარდნამ, რომელიც გაღრმავდა 2011 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერორისტული მოვლენების შემდეგ, ინფორმაციული ტექნოლოგიების მსოფლიო ინდუსტრიის განვითარებაზე ნეგატიური გავლენა იქონია. IDC-ს მონაცემებით, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების (იკტ) მსოფლიო ბაზარი 2000-2012 წლებში მხოლოდ 7,4%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ცალკეული რეგიონები, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპა, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი და ლათინური ამერიკა, აგრძელებენ დანახარჯებს იკტ-ზე და ამ დანახარჯების ტემპებით გაუსწრეს ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპას. იმ ქვეყნების ათეულში, რომელთაც აქვთ იკტ-ს დანახარჯების ზრდის მაღალი ტემპები, შევიდნენ ჩინეთი, ვიეტნამი, პოლონეთი, ინდოეთი, სლოვაკეთი, საბერძნეთი, რუმინეთი და ბრაზილია [3].

European Information Technology Observatory (EITO) მონაცემებით, 2012 წელს იკტ-ს მსოფლიო ბაზრის მოცულობამ 4,3 მილიარდი დოლარი შეადგინა, ამასთან, ერთობლივი ბრუნვის 74% მოდიოდა აშშ-ზე, ევროპასა და იაპონიაზე, დარჩენილი 26% ნაწილდება, ძირითადად, ჩინეთზე, ინდოეთსა და სამხრეთ კორეაზე.

IT-აუტოსორსინგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე, რადგან უმრავლეს შემთხვევაში მიიღწევა:

- მაღალკვალიფიციური პროფესიული რესურსების გამოყენება;

- დანახარჯების შემცირება;

- ბიუჯეტის ეფექტური გამოყენება;

- ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების გადიდება;

- მართვის მონინავე ტექნოლოგიების დანერგვა.

ამერიკული კვლევითი ფორმის IDC-ს ანალიტიკოსები ატარებენ იმის მონიტორინგს, თუ დამკვეთი-კორპორაციების ხელმძღვანელები რამდენად აკმაყოფილებენ IT-აუტოსორსინგის მოთხოვნებს. გამოკითხულთა შორის არიან იმ მსხვილი კომპანიების მენეჯერები, რომლებიც აფორმებენ აუტოსორსინგულ კონტრაქტებს 100 მილიონიდან 4 მილიარდ დოლარამდე ღირებულებით წელიწადში. კონტრაქტების ხანგრძლივობა საშუალოდ 5-10 წელია. პრაქტიკულად, ყველა გამოკითხული ადასტურებს კორპორატიულ IT მომსახურებაზე დანახარჯების შემცირებას, თუმცა ყველა კომპანია მზად არაა ბიუჯეტის ასეთი დეტალიზებისათვის, რათა გარე ექსპერტებმა შეძლონ დამოუკიდებელი შეფასებები. აუტოსორსინგის მოწვევის მთავარი მიზეზია მათი ტექნიკური შესაძლებლობები და პერსონალის კვალიფიკაცია.

IT-აუტოსორსინგის მომსახურებას შორის, რამდენიმე ძირითადი ჯგუფია, კერძოდ [10]:

- ტექნიკური და პროგრამული საშუალებების მხარდაჭერა;

- დანართების დამუშავება და ინტეგრაცია;

- კონსალტინგი;

- სწავლება და ტრენინგი;

- საინფორმაციო სისტემების მართვა.

IT-აუტოსორსინგის განვითარებისათვის უფრო მეტად პერსპექტიულია კონსალტინგური მომსახურებები, დანართების დამუშავება და საინფორმაციო სისტემების მართვა, რადგან ასახავენ თანამედროვე ბიზნესის განვითარების არსსა და ტენდენციებს - მისწრაფებას ეფექტურობასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ.

Gartner Group-ის კვლევებით, ევროპაში IT-მომსახურების გამოყენების აუცილებლობაზე გადამწყვეტილებების მიმღებთა მხოლოდ 30-40% აცნობიერებს მათ პლუსებს ბიზნესისათვის. სერიოზული ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს გადამწყვეტილებების მიღებაზე, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების აუცილებლობაა (გამოკითხულთა 55%). მეორე არანაკლებ სერიოზული მომენტიანია სომომსახურების პროვაიდერთან სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა (54%). კვლევის შედეგები ასახავს კომპანიების მნიშვნელოვან უნდობლობას IT-მომსახურების აუტოსორსინგის მიმართ: გამოკითხულთა 51%-მა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში კომპანიები კარგავენ კონტროლს სანარმოს საინფორმაციო სისტემაზე,

ხოლო 49% დარწმუნებულია, რომ კომპანიის შიდა სოციალური საკომუნიკაციო კომპეტენციურია, იმისათვის, რომ თავის თავზე აიღოს საინფორმაციო მომსახურების ტვირთი [4].

იმ მიზეზებს შორის, რომლებიც ასახავენ მსხვილი კომპანიების მიერ აუტოსორსინგის არასაკმარისად ეფექტურ გამოყენებას და სოციალური ათვისებაში ჩადებული საშუალებების მცირე უკუგებას, სპეციალისტები ორ მათგანს გამოყოფენ:

1. დამკვეთი-კომპანიების მენეჯერების მიერ იმ პროექტების რეალიზაციის თავისებურებების არასაკმარისად გაგება, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე IT-ს დანერგვასთან;

2. დამკვეთი-კომპანიის განვითარების სტრატეგიასა და აუტოსორსინგის ინფორმაციული რესურსების გამოყენების შესაძლებლობების შორის შეუთანხმებლობა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში სერვისის მრავალ სახეობას შორის შეიძლება გამოვყოთ ცალკეული მომსახურებები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ ორგანიზაციის განვითარებაზე. აუტოსორსინგს მიმართავენ საინფორმაციო ბიზნესში სპეციალიზებული კომპანიები, რომლებიც თავის მხრივ კლიენტებს კომპლექსურ IT-მომსახურებას უწევენ. ესენი არიან ტექნიკური და პროგრამული საშუალებების მწარმოებელი, მონაცემთა ბაზების დამუშავებელი კომპანიები, სისტემური ინტეგრატორები და ქსელური პროვაიდერები, რომლებიც იყენებენ აუტოსორსინგს, როგორც ბიზნესის ოპტიმიზაციის ინსტრუმენტს [11].

ორგანიზაციის მენეჯმენტისათვის ყველაზე მეტ ინტერესს წარმოადგენს მომსახურება ორგანიზაციის მართვის სფეროში, აგრეთვე ბიზნეს-პროცესების აუტოსორსინგი მონინავე საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე, რადგან IT-აუტოსორსინგის მომსახურების ეს ტიპი იძლევა ახალი ნაბიჯის გადადგმის საშუალებას ბიზნესის თანამედროვე „სახის“ ფორმირებაში.

IT-აუტოსორსინგის აუცილებლობის განხილვისას, დამკვეთი-ორგანიზაცია აფასებს თავის საინფორმაციო მოთხოვნებს, აგრეთვე მათი დაკმაყოფილების შიდა შესაძლებლობებს (რესურსებს). პირველ რიგში საუბარია იმ ფუნქციებზე, რომლებსაც ასრულებს ან უნდა შეასრულოს IT-ის შიდა განყოფილებამ. აქ შეიძლება ითქვას, ორგანიზაციის ტექნიკურ შესაძლებლობებზე, პერსონალის კვალიფიკაციაზე, რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ფუნქციის გაფართოებაზე, ფუნქციის შეზღუდვაზე კომპანიის შემცირების ან რესტრუქტურისაციის შედეგად, სამუშაოს ცალკეულ სახეობებზე და სხვა.

გარდა აუტოსორსინგის სხვა სახეებისათვის ტრადიციული ცალკეული ფუნქციების გატანისა, კლიენტი-ორგანიზაციის „ფარგლებს გარეთ“, IT-აუტოსორსინგი საშუალებას იძლევა პრინციპულად შეიცვალოს ბიზნეს-პროცესებისა და კომპანიის მთელი მენეჯმენტის სტრუქტურა კორპორაციული ინფორმაციული სისტემების დანერგვის ხარჯზე. შემ-

დეგი ნაბიჯი მდგომარეობს ინტერნეტ-ტექნოლოგიის გამოყენებაში და ამ დაშორებულ სისტემებთან წვდომაში.

კლიენტ-ორგანიზაციას შეუძლია ერთდროულად გამოიყენოს IT-აუტოსორსინგის მომსახურების რამდენიმე სახე, რომლებიც სხვადასხვა მომწოდებლის მიერ მიწოდდება. თავის მხრივ, მსხვილი აუტოსორსინგები დაინტერესებული არიან მომსახურების სპექტრის გაფართოებით და ამ მიზნით დებენ კორპორატიულ შეთანხმებებს, აერთიანებენ რესურსებს და სერვისებს.

IT-აუტოსორსინგის მომსახურებაზე კონტრაქტის გაფორმებისას აუცილებელია მომსახურების ზუსტი საზღვრების დადგენა, მაგ.:

- საქმიანი კავშირების ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მხარდაჭერა (მაგ., ქოლ-ცენტრების შექმნა);

- ორგანიზაციის შიგნით ინტერნეტის ქსელის საინფორმაციო მომსახურება;

- მონაცემთა შენახვა, დანაწილებთან შეღწევის უფლება;

- რესტრუქტურისაციის პროგრამების მხარდაჭერა;

- პროგრამების სტრატეგიის ან მართვის მიმართ კონსულტაციები;

- დანართების დამუშავება;

- პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება;

- საექსპლუატაციო მომსახურება;

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მომსახურება (ტელესაკომუნიკაციო ქსელისა და მომსახურების საშუალებების გაფართოება და განახლება).

კომპანიის საქმიანობის ის მიმართულებები, რომლებიც პირველ რიგში გადაეცემა აუტოსორსინგს, შემდეგია [6]:

- ქსელებისა და გამოთვლითი ცენტრის მართვა;

- მომხმარებლებისა და მოსარგებლების მხარდაჭერა;

- ინტერნეტ-დანართები და ელექტრონული კომერცია;

- დანართების დამუშავება და შენახვა;

- კონსალტინგი და რეინჟინინგი;

- კლიენტ-სერვისული მომსახურება;

- სამაგიდო სისტემების წარმოება;

- ტექსტების ამოცნობის სისტემები;

- მონაცემთა დამუშავების ქსელები, ინტერნეტი და ინტრანეტი;

- საერთო დანიშნულების გამოთვლითი ცენტრები;

- სწავლება;

- სატელეფონო ციფრული ქსელები.

IT-აუტოსორსინგს მრავალი ბიზნეს-სტრატეგია აქვს, რომელთა შორის ძირითადია [8]:

1. ბიზნესზე ფოკუსირების გაუმჯობესება

აუტოსორსინგით სარგებლობისას კომპანიებს საშუალება ეძლევათ გამოათავისუფლონ ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების დრო, რომელიც დაიხარ-

ვება ძირითად ბიზნესზე ფოკუსირებისას.

2. მსოფლიო გამოცდილების წვდომა

ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებისას კომპანიის IT-განყოფილებებს მცირე დრო რჩებათ მსოფლიო გამოცდილებისა და სიახლეების ათვისებისათვის. ამიტომ აუთსორსინგის კომპანია მაქსიმალურად ცდილობს შემკვეთს მიაწოდოს ის ტექნოლოგიური სიახლეები, რომლებიც საგრძნობლად გააუმჯობესებენ შემკვეთის ინფრასტრუქტურის პროდუქტიულობასა და სტაბილურობას.

3. კვალიფიკაციის განახლების აუცილებლობა

ტექნოლოგიურ ცვლილებას მუდამ თან სდევს კომპანიის IT-სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება. აუთსორსინგის დროს კომპანია გამოთავისუფლებულია ამ აუცილებლობისაგან.

4. რისკების გადანაწილება

კომპანიისათვის, რომლის ბიზნესში IT-ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან როლს ითავს, ყოველთვის არსებობს ინფრასტრუქტურის შეფერხებებით მუშაობის რისკი. აუთსორსინგის დროს ეს რისკები გადანაწილებულია და შესაბამისად კომპანია ატარებს ყველა იმ აუცილებელ სამუშაოს, რომელიც გაუთვალისწინებელი შეფერხებების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

5. IT-სპეციალისტების გადანაწილება მნიშვნელოვან მიმართულებებზე

ნებისმიერი კომპანია განიცდის IT-თანამშრომლების სიმცირეს. აუთსორსინგის დროს კომპანიის მენეჯმენტს საშუალება ეძლევა უფრო ოპტიმალურად გადანაწილოს მის ხელთარსებული რესურსები.

აღნიშნული ბიზნეს-სტრატეგიები შესაბამის ბიზნეს-ტაქტიკას მოითხოვს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

1. ერთჯერადი საჭიროების განსაზღვა

ყოველთვის ძნელია მიმართო რესურსი მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემის გადასაჭრელად. აუთსორსინგის დროს მომსახურე კომპანიის რესურსი მაქსიმალურად ოპერატიულად ხელმისაწვდომია ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად.

2. მიმდინარე ხარჯების კონტროლი

ნებისმიერი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია ხარჯების კონტროლი. აუთსორსინგის დროს მკაცრად განერილი და გაანგარიშებულია ყველა ის შესაძლო ხარჯი, რომელიც კომპანიამ უნდა გასწიოს აუთსორსინგის კონტრაქტის პერიოდში.

3. დანახარჯების შემცირება

კომპანიის IT-თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, მათთვის სასწავლო ლიტერატურისა და აპარატურის შეძენა საკმაოდ სოლიდურ ხარჯებთან დაკავშირებულია. აუთსორსინგი საშუალებას იძლევა ეს თანხები მიმართული იქნას ბიზნესის განვითარებისაკენ.

4. საერთო ხარჯების შემცირება

კომპანიის თანამშრომლებისათვის განსაზღვრულია საერთო ხარჯები (ტრანსპორტირების, დოკუმენტნარმოების და სხვ.). აუთსორსინგი იწვევს საერთო ხარჯების შემცირებას.

5. სანდო პარტნიორი

კომპანიისათვის, რომელიც აპირებს ახალ ქვეყანაში (რაიონში) ფილიალის გახსნას ან საქმიანობის დაწყებას, ყოველთვის ძნელია IT-სპეციალისტების „დუბლირება“. აუთსორსინგის დროს მოცემული პრობლემები უმეტესწილად უმტკივნეულოდ გადაჭრილია. [1]

გამოყენებული ლიტერატურა

1. 30 See more at: http://www.ugt.ge/?sec_id=200&lang_id=GEO#sthash.AUtmW7dx.dpuf
2. Dr. Robert Lieb. Brandon Schwarz The Use of Third Party Logistics Services By Large American Manufacturers, the 2012 Survey.
3. www.datafort.ru, 2012-is monacemebi.
4. ჩარტნერ ჩროუპ-ის 2012 წლის კვლევის მონაცემები.
5. ჩარტნერ ჩროუპ-ის 2012 წლის კვლევის მონაცემები.
6. Спарроу Э. Успешный ИТ Аутсорсинг. Пер. с англ. М. Кудиц-образ, 2004.
7. ჭორლენიდე ენტერპრისე აშშ ჭორეცასტანდ ანალისიკ 2005-2012 წლების მონაცემები.
8. Inter-Agency Task Force on Statistics of International Trade in Services. Progress Report, May 2011. – World Trade Organization. S/CSS/W/81, 9 May 2011.
9. Аникин Б.А., Рудая И.Л. Аутсорсинг и аутстаффинг: высокие технологии менеджмента. М.: Инфра-М, 2009.
10. Lacity M.C. Willcocks L.P. Feeny D.E. IT Outsourcing: maximize flexibility and control // Harvard Business Review. Vol. 73(3).
11. Willcocks L. Fitzgerald G. Feent D. Outsourcing IT: the strategic implications // Long range planning. 1995. Vol. 28 (5).
12. Михайлов Д. М. Аутсорсинг: Новая система организации бизнеса: учебное пособие. – М.: Кнорус, 2006.
13. Дуглас Н.С. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. М.: Фонд экономической книги «Начала», 2010.
14. Бравар, Ж-Л. Эффективный аутсорсинг. Понимание, планирование и использование успешных аутсорсинговых отношений, М., 2012.

მხიარ ბიზნესის განვითარება ღაბაშვილის სისტემის სრულყოფით საქართველოში

მარინა ბალაშვილი, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და მისი აღორძინების ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალური გზა მცირე ბიზნესის განვითარებაა. ამიტომ, ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საკითხი უნდა იყოს მცირე ბიზნესის ყოველმხრივი მხარდაჭერა. თუმცა, სახელმწიფო მართვის ორგანოებს არ უნდა ჰქონდეთ იმის იმედი, რომ მცირე ბიზნესი არის ბიუჯეტის შევსების უშრეტო წყარო და მისი დეფიციტის აღმომგზვრელი საშუალება. მცირე ბიზნესის უპირველესი მოვალეობა, ვალდებულება და მისია - სოციალური საკითხების მოგვარებაა, კერძოდ, უმუშევართა დასაქმება და ამ გზით მოსახლეობის სიღარიბისაგან თავის დაღწევა.

მცირე საწარმოები სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებენ ფეხზე დადგომასა და მსხვილ საწარმოებთან კონკურენციას. ამის გარეშე კი ქვეყანაში ვერ შეიქმნება კონკურენტუნარიანი საწარმოების კრიტიკული მასა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაზარი მსხვილი საწარმოების მიერ იქნება მონოპოლიზებული.

Summary

Small business development is one of the main trunk way, for Georgia's economic crisis overcoming and for its renovating. Therefore, the state of our economic policy should be a major issue for small business support. However, state management authorities should not have to hope that small business is a source of filling the budget deficit and its reduction to. Social responsibility of business issues, employment and unemployment of the population as a result of poverty.

Small enterprises without state support to strengthen and will not be able to compete with large enterprises. Without this country can not create a competitive environment for enterprises of critical, this means that the market for large enterprises will be monopolized by.

* * * * *

გადასახადების არსებობის ისტორია სახელმწიფოს წარმოშობასთან არის დაკავშირებული. სახელმწიფოს მმართველობითი აპარატის შენახვას, სამხედრო ძალის განმტკიცებას და გაძლიერებას ესაჭიროებოდა რესურსები, რომლის მოპოვებაც გადასახადების შემოღებით ხორციელდებოდა.

გადასახადის არსებობის ფაქტები ასურეთში, ანტიკური ხანის საბერძნეთში, ეგვიპტეში და სხვაგან უძველესი დროიდან არის ცნობილი. ასევე იყო საქართველოში. ფეოდალურ ეპოქაში ქართველ ფეოდალს ყმიდან შემოსდიოდა ღალა, კულუხი, საძოვრის გადასახადი - საბინჯარი და სხვა. XI საუკუნის საქართველოში აღრიცხულია ლაშქრობის გადასახადიც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გადასახადები უძველესი დროიდან არსებობდა, მისი ოდენობა და მთლიანად საგადასახადო სისტემა დღემდე არ შეესაბამება იმ პრინციპულ მოთხოვნას, რომელსაც სამართლიანობა ეწოდება. შედეგად საქართველოს პრესაში წელიწადში სულ მცირე 10 სტატია მაინც იბეჭდება გადასახადების პრობლემაზე და ამ პრობლემისადმი მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ასეთ დიდ ინტერესს ინვესტს გადასახადის გადამხდელთა "წილი". საქართველოშიც არის ასეთი გამოთქმა "ცხვარი ისე უნდა გაპარსო, ტყავი არ გააყოლო". ეს გამოთქმაც გადასახადების დამწესებელთა და გადასახადის ამკრეფთა გასაგონად არის ნათქვამი, რომლებიც სამწუხაროდ ტყავს კი არა, ხშირად ხორცსაც აყოლებენ ტყავს.

ბიუჯეტის სიმცირიდან თუ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, ის ადამიანები, რომლებიც საგადასახადო კანონმდებლობის შექმნით და შემდეგ მისი აღსრულებით არიან დაკავებულნი, მუშაობენ მხოლოდ ერთი დევიზით - "რაც შეიძლება მეტი". ასე დაიწყო, და, აგერ უკვე 22 წელია, საქართველოში მენარმეთა "წილი" კი არ კლებულობს, არამედ მატულობს, რის შედეგადაც სამწარმოო საქმიანობა არა თუ ფართოვდება, არამედ წინა წლების დონესაც ვერ ინარჩუნებს.

რადგან გადასახადი არის სახელმწიფოს, როგორც ქვეყნის მართვის ორგანოს ფინანსური საფუძველი, იგი, იყო, არის და იქნება. პრობლემა მხოლოდ იმაშია, რამდენი სახის გადასახადი უნდა იყოს ქვეყანაში და თითოეული რა სიდიდის, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სიდიდე იყოს დამოკიდებული გადასახადების სიდიდეზე, თუ პირიქით — საგადასახადო განაკვეთის სიდიდე ბიუჯეტის საჭიროებაზე.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, საგადასახადო პოლიტიკის შექმნა — შემუშავება ყველა ქვეყნისთვის იყო (და არის) პრობლემური. რადგან გადასახადები

ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა, ბიუჯეტიდან კი ფინანსდება სახელმწიფოებრივი ხარჯები - თავდაცვის ხარჯები, მმართველობითი აპარატის შენახვა, სამართალდამცავი ორგანოების შენახვა, საზოგადოებრივი მომსახურების განვლა და ა.შ., - ამიტომ სახელმწიფოს ინტერესებშია, მისი მაღალი განაკვეთები. რაც შეეხება მენარმეებს, ანუ გადასახადის გადამხდელებს, მათ ინტერესებშია გადასახადების დაბალი განაკვეთები. საზოგადოების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სახელმწიფოსა და მენარმეებს შორის მუდმივად არსებობდა ინტერესთა დისბალანსი, რაც მუდმივ წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებში გადადიოდა. ასეა დღესაც. მენარმეთა სოციალური გამოკითხვები ადასტურებს, რომ მათი 70% მენარმეობის განვითარების ხელშემშლელ ძირითად მიზეზად მაღალ საგადასახადო განაკვეთებს ასახელებს.

შარლ ლუი მონტესკიეს უთქვამს: “არაფერი არ მოითხოვს ისეთ სიბრძნეს და გონს, როგორც იმ ნაწილის განსაზღვრა, რომელსაც ართმევენ ქვეშევრდომებს და იმ ნაწილის, რომელსაც მათ უტოვებენ.” ამ გამონათქვამიდან ჩანს, რომ გადასახადების განაკვეთის სიდიდის განსაზღვრა მოითხოვს ნიჭსაც და სიბრძნესაც. თვით ის კოდექსიც კი, რომელიც საქართველოში მოსულმა მთავრობამ 2003 წელს შეიმუშავა და 2004 წლიდან ამოქმედა, არაფექტური აღმოჩნდა და საჭირო გახდა კიდევ ერთი ახალი კოდექსის შემუშავება. გადასახადების განაკვეთების დადგენა არ არის მარტივი საქმე. იგი არც მხოლოდ საგადასახადო საქმის თეორიის ცოდნით შეიძლება დაწესდეს და არც სხვა ქვეყნების მიბაძვით. მას საქართველოს ეკონომიკური განვითარების პირობები და ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებები უნდა ედოს საფუძვლად. იგი არ შეიძლება იყოს ან მხოლოდ ბიუჯეტის შევსებაზე ორიენტირებული - რომ გვეყავდეს ძლიერი ჯარი, კარგად უზრუნველყოფილი პენიტენციური სისტემა, ევროპული სტანდარტების “ალკაზმული” სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობითი აპარატი, დაგვიღდასუფთავებული ქუჩები და ა.შ. ანდა მხოლოდ მენარმეობის, ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული — რომ ქვეყანაში იყოს ძლიერი კერძო სექტორი, ძლიერი საშუალო კლასით, არ იყოს უმუშევრობა. ჩვენი აზრით, საქართველოს საგადასახადო სისტემა უნდა იყოს ორივე ინტერესით შეხამებული და ურთიერთდაბალანსებული.

და მაინც, რამდენი უნდა გადაიხადოს მენარმემ — გადასახადის გადამხდელმა, რომ არც ბიუჯეტი დაზარალდეს და მენარმემაც არ დაკარგოს მენარმეობის სტიმული? ეს საკითხი ყოველთვის ანუხებდა კაცობრიობას. კეინზის მიხედვით ეკონომიკის აღმავლობის დროს საჭიროა გადასახადების გადიდება, ხოლო ეკონომიკის დაცემის დროს — შემცირება. ჯნეოკლასიკური თეორიის ფუძემდებლების რ. მასლოუს, ა. ლაფერის და სხვების აზრითაც ნარმოებაზე ზემოქმედება საჭიროა გადასახადების შემცირებით, მაგრამ იგი იმ ზომით უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მან ბიუჯეტის შემცირება არ გამოიწვიოს.

ცნობილია, რომ ნებისმიერი საგადასახადო სისტემა თანასწორობის და სამართლიანობის მოთხოვნას უნდა პასუხობდეს. ამ პრინციპის რეალიზაცია ორი მიდგომით ხდება. პირველი ეფუძნება გადამხდელთა სარგებელს, ანუ გადამხდელთა გადასახადი უნდა შეესაბამებოდეს იმ სარგებელს, რაც მან სახელმწიფოს მომსახურებით მიიღო. მეორე მიდგომა ეფუძნება, ე.წ. გადამხდელის გადახდისუნარიანობას. ანუ ამ მიდგომით თითოეულმა გადამხდელმა უნდა გადაიხადოს თავის შესაძლებლობების მიხედვით. განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ხშირად მაგალითად მოყავთ, ორივე ეს მიდგომა შეზავებულია არის გამოყენებული, მასში ორივეს ელემენტებია ჩართული. საქართველოში კი გამოყენებულია მხოლოდ პირველი მიდგომა — ანუ, რადგან მენარმეებმა სახელმწიფოსგან მომსახურება მიიღეს, მათ უნდა გადაიხადონ მისი ექვივალენტი გადასახადიც (ეს მიზნულია ბიუჯეტთან და ბიუჯეტმა რაც დახარჯა მენარმეებისათვის სახელმწიფო მომსახურების გასანეგად, უნდა ამოიღოს კიდევაც). განეული მომსახურება ექვივალენტურად უნდა ანაზღაურდეს, მხოლოდ წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ მენარმეები იბეგრებოდნენ ერთნაირად, მათი გადამხდელუნარიანობის მხედველობაში მიუღებლად. მიმანია, იმისათვის, რომ დავიცვათ სამართლიანობის პრინციპი, საჭიროა, მოგების გადასახადი და ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი გადამხდელებს გადავხდევინოთ მათი გადახდისუნარიანობის მიხედვით, ანუ ისე, როგორც ეს საზღვარგარეთის ქვეყნებშია.

გადასახადები დიფერენცირებულია თითქმის ყველა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამ სახელმწიფოთა მთავრობები იცავენ დაბალგადახდისუნარიან მენარმეებს, რომელთა როლში მცირე და საშუალო საწარმოები გვეკლინებიან.

საქართველოში უნდა მოხდეს გადასახადების დიფერენციაცია მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებად, ხოლო მიკრო საწარმოები გადასახადს არ უნდა იხდიდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბენიძე ნ., შონია ნ., ბინაძე ჯ., რისკები და დაზღვევა, საგამომცემლო სახლი “ინოვაცია”, თბ. 2010.
2. იაშვილი გ., სტრატეგიული დაგეგმვის თეორიული საფუძვლები მცირე ბიზნესში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები “მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო” თბ. 2012.
3. ლაზიაშვილი ნ., რისკმენეჯმენტი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბ. 2010.
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (ახალი რედაქცია).
5. შენგელია თ., ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბ. “ახალი საქართველო” 2008.

საქართველოსთვის გამოყოფილ ვალებთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი

გიორგი ნანუაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
ლალი სადალაშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
თამარ ლაგვილავა, სტუ-ს მაგისტრი

* * * * *

რეზიუმე

ნაშრომში „საქართველოსთვის გამოყოფილი ვალებთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი“ განხილულია ყველა კუთხით ვალების მიმართულებით ჩატარებული ანალიზი. ანალიზის საფუძველზე მოცემული დასკვნები წინადადებების სახით სრულყოფას წარმოჩენილ პრობლემებს, რომელთა დიდი ნაწილის გადახდა ჩანს ქვეყანას 2013 წელს დაუდგა. ნაშრომში განხილულია ყველა ძირითადი ფაქტორები და რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოსთვის გამოყოფილი ვალებზე. ვალების გადახდის პროცესი რთული პროცესია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან ეკონომიკის ზრდის ფაქტორი ჯერ კიდევ ვერ მუშაობს და ისედაც გაჭირვებულ ქვეყანას დიდი სიძნელეების წინაშე აყენებს.

Summary

The analysis of the problems related to the debts accentuated for Georgia

The work „The analysis of the problems related to the debts accentuated for Georgia” covers all the analysis conducted about the debts. The conclusions based on the analysis emphasizes all the problems of which the majority be solved by Georgia in 2013. The work covers all the main factors and risks influencing on the debts accentuated for Georgia. Covering debts is a difficult process for our country as the factor of economical growth does not work and the country in a vulnerable condition faces further challenges.

განვითარების პოლიტიკა მოიცავს ყველა ღონისძიებასა და ქმედებას, რომელთა საშუალებითაც ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის მქონე საზოგადოებაში ცხოვრების პირობების განუხრელი გაუმჯობესება უნდა იქნას მიღწეული. განვითარების პოლიტიკის ძალისხმევით მიზანმიმართულება ყოველთვის ერთნაირია: უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ განვითარების უფრო მაღალ დონეს მივაღწიოთ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი პროცესი, რომლებიც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში საუკუნეების მანძილზე ხდებოდა, განვითარებად ქვეყნებში შედარებით მოკლე დროში უნდა განხორციელდეს. თუ საკუთარი ძალებით ეს შეუძლებელია, მაშინ განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პროცესის დაწყებისათვის მნიშვნელოვანი ბიძგი იქნება. განვითარების პროცესმა ბოლო ათწლეულში განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, დიდი საგარეო ვალის დაგროვება გამოიწვია. ისინი იძულებულნი არიან ექსპორტით მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი ვალების დაფარვისათვის გაიღონ. ეს ის რესურსებია, რომლებიც მათი განვითარებისათვის შემაფერხებელი გახდა, რადგან:

- ა) კრედიტები ძირითადად სამომხმარებლო და არა საინვესტიციო მიზნებისათვის გამოიყენება.
 - ბ) ექსპორტის გზით მიღებული შემოსავლები განვითარებად ქვეყნებში ბოლო 30 წელიწადში 50%-ზე მეტით შემცირდა. აქედან ცხადია, რომ ვალების მომსახურებისათვის საკმარისი ვალუტა მათ არ გააჩნიათ. საერთაშორისო დავალიანების განხილვა ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით აჩვენებს, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით ვალი ძალზე ღარიბ განვითარებად ქვეყნებს აქვთ. თუ რომელიმე ქვეყანას საპროცენტო გადახდების განხორციელების უნარყ არ შესწევს, მაშინ დავალიანების პოტენციური გადასახადებისა და ვალის რესტრუქტურულიზაციაზე თანხმდებიან. ზოგადად ეს ქვეყნის მიმართ ნდობის დაკარგვას ნიშნავს. დღევანდელი პოტენციური კრედიტორები ახალი კრედიტების გაცემისგან თავს იკავებენ. ამიტომაც, დავალიანების მქონე ქვეყანა თავისი გადახდის უნარიანობის აღდგენისა და ვალების მომსახურებისათვის ყველაფერს მოიძიებდა.
- 2008 წელი საქართველოსთვის მძიმე აღმოჩნდა. აგვისტოს მოვლენებმა დღის წესრიგში დააყენა საქართველოსთვის დახმარების გამოყოფის საკითხი. ბრიუსელის კონფერენციაზე ლიდერები საქართველოს 4,5 მილიარდი დოლარის დახმარებას დაპირდნენ. დახმარების სახით გამოყოფილი თანხა

საჩუქარი არ იყო. დაახლოებით 2 მილიარდი დოლარი, ანუ საქართველოსთვის დაპირებული მთლიანი დახმარების თითქმის ნახევარი, სესხებზე მოდის, რომელთა დაბრუნება 2013 წლიდან დაიწყო. ვალის თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან, ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი, საქართველოში 35% ზღვარზე დაბალი იქნება.

„სახელმწიფოს ვალის შესახებ“ კანონით საქართველოს სახელმწიფო ვალი არის საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების (დანესებულებების) მიერ დადებული ხელშეკრულებებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვენტირებად ვალუტაში დომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხა. საქართველოს სახელმწიფო ვალი 2012 წლის 31 დეკემბრისათვის ლარებში შეადგენდა 6622328 ათას ლარს, 2013 წლის იგივე დროისათვის 7295978 ათას ლარს, ხოლო 2014 წლის 31 იანვრისათვის მან შეადგინა 7440476 ათასი ლარი, როგორც მონაცემებიდან ირკვევა საგარეო ვალის ზრდა საგრძნობია.

საქართველოს სახელმწიფოს საშინაო ვალი ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი, იმ ძირითადი თანხების ერთობლიობაა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განვითარებიდან მიღებული თანხებით. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საშინაო ვალი შეადგენდა 1229866 ათას ლარს, ხოლო 2013 წლის ბოლოსთვის კი 1344866 ათას ლარს, ეს თანხა არ შეცვლილა 2014 წლის 31 იანვრისათვის. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი უცხოური კონვენტირებადი ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი, იმ ძირითადი თანხების ერთობლიობაა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების (დანესებულებების) მიერ დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ უცხოურ კონვენტირებად ვალუტაში დემონსტრირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული

საფინანსო რესურსიდან მიღებული თანხებით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის წარმოქმნის შემთხვევაში, როდესაც მიღებული შემოსავლები საკმარისი არ არის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფინანსებლად, მთავრობა მიმართავს ფულადი სახსრების მობილიზების ალტერნატიულ გზას. ნორმალურად ფუნქციონირებად სახელმწიფოში თავისი მნიშვნელობით და მოტივებით ბიუჯეტის შემოსავლის წყაროა სახელმწიფო სესხები, სახელმწიფო სესხების გავრცელების ორი გზა არსებობს: ა) სახელმწიფო ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ფართო მასესა და სამეურნეო სუბიექტებზე თავისუფალი გაყიდვა და ბ) ფასიანი ქაღალდების ცენტრალური და კომერციული ბანკების მეშვეობით გაყიდვა სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის ქვეშ. სახელმწიფოს მიერ საკრედიტო ოპერაციების მოცულობის გადიდება სახელმწიფო ვალის ზრდის წყაროა. სახელმწიფო საგარეო ვალების მდგრადობა საქართველოს სუვერენული რეიტინგის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა, რაც აღიარებულია ბოლო წლებში საქართველოსთან მომუშავე ორი სარეიტინგო სააგენტოს „standard & poor’s და „fitch“-ის მიერ. აღნიშნული მიღწეულ იქნა წლების მანძილზე სახელმწიფო საგარეო პრაგმატული და კონსერვატიული მათვის შედეგად, აგრეთვე ქვეყნის მიერ მოზიდულისას სხვა რესურსების ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენების მეშვეობით.

ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ვალი, ძირითადად შელავათიანია. უცხოური წყაროდან მიღებული სესხები გამოიყენება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ქვეყნის განვითარების სასიცოცხლო მნიშვნელოვანი სხვა პროექტების დასაფინანსებლად. იხილეთ სქემა, რომელშიც მოცემულია 2013 წლისათვის დონორთა დანაპირები სექტორების მიხედვით (მლნ აშშ. დოლარი)

სექტორები	დანაპირები
საბანკო სისტემა	853
ტრანსპორტი	682
ბიუჯეტი და მარკის-საფინანსო სისტემა	586
ენერგეტიკა	381
იძულებით ადგილნაცვალი პირები	350
კერძო და საფინანსო სექტორი	252
ორგანულიდა მუნიციპალური სექტორი	211
გადაუდებელი საჭიროებები	100
სხვა	355
გაუნაწილებელი თანხა	766
ჯამი	4.536

წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც უფლებამოსილია მოიზიდოს სახელმწიფოს სესხები უცხო ქვეყნის მთავრობებიდან და რეგიონალური და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. 2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა ევრო-ობლიგაციების სადებიუტო გამოშვება. აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა გააცნო საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს და შესაბამისად წარმოადგენდა ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინების წახალისების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს.

2005 წლიდან ეროვნულ ბანკს მთავრობისათვის ფულის სესხება ეკრძალება. ტუმცა კომერციულ ბანკებზე ის რეფინანსირების სესხებს გასცემს და შემდეგ კომერციული ბანკები სახაზინო ვალდებულებებს შეისყიდებიან. საბიუჯეტო დეფიციტის ამგვარი დაფინანსება ინფლაციის რისკს განსაკუთრებით ზრდის, მთავრობაზე ფულის გასესხების ახალი სქემა, პრაქტიკულად, ფულის ბეჭდვის მეთოდია. ეროვნული ბანკი ხაზინაში ახალ ფულს აგროვებს, რომელიც კერძო სექტორიდან არ გამოთავისუფლებულა. გამოდის, რომ ბაზრის ყველა მოთამაშეს იმდენი ფული აქვს, რამდენიც ადრე ქონდა, მხოლოდ ხაზინას აქვს მეტი, რადგან ამ ახალ ფულზე რეალურად მოთხოვნა არ არსებობს, მისი მსყიდველუნარიანობა იკლებს. წელს გაზრდილი ინფლაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს გახდა. ოფიციალური შეფასებებით 2013 წელს წლიურმა ინფლაციამ 14% მიაღწია. ეკონომიკური ზრდა კი უახლოეს 20 წლის განმავლობაში საშუალოდ 4% იქნება. ინფლაცია სახელმწიფო ვალზეც აისახება. ფულის მასისა და ინფლაციის ზრდის გამო იმატებს საშინაო ვალი. ინფორმაციას იგივე ეფექტი აქვს საგარეო ვალზეც, რადგან ის ძირითადად დოლარშია დომინირებული, ქვეყანას ვალის გასტუმრებაც ამ ვალუტაში უწევს. როცა ლარის კურსი ეცემა, დოლარის ყიდვა სახელმწიფოს უფრო ძვირი უჯდება. შესაბამისად, ქვეყანას ბიუჯეტიდან მეტი თანხის გადახდა უწევს.

კვლევისათვის განვიხილოთ სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა, რომელიც ბოლო სამი წლის მანძილზე მკვეთრად იზრდება, რაც 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგია. საქართველოს საგარეო ვალი სამ უმთავრეს წყაროს შორის ნაწილდება: ა) მრავალმხრივი კრედიტორებისაგან მიღებული კრედიტები; 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი შეადგენდა 2690506 ათას აშშ.დოლარს, 2013 წლის იმავე დღისთვის იყო 2768415 ათასი აშშ.დოლარი, ხოლო 2014 წლის 31 იანვრითვის კი მან შეადგინა 2789898 ათასი აშშ.დოლარი. ბ) ორმხრივი კრედიტორებისაგან მიღებული კრედიტები; იმავე პერიოდებისათვის არსებული ვალი აშშ.დოლარებში შემდეგია: 738 984 ათასი, 791082 ათასი, 793419 ათასი. გ) სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები.

მრავალმხრივი კრედიტორებს შორის არიან: მსოფ-

ლიო ბანკი, ევროგაერთიანებები, აზიის განვითარების ბანკი, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ორმხრივი კრედიტორებს განეკუთვნება: ავსტრია, ამერიკა, აზერბაიჯანი, თურქეთი, უკრაინა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, განსაკუთრებით გაიზარდა საგარეო ვალი. სწორედ ამ პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილ იქნა 250 მილიონი ოდენობის ტრანში სავალუტო რეზერვების მხარდასაჭერად. აზიის განვითარების ბანკიდან პოსტკონფლიქტური რეგიონის აღდგენისათვის გადაუდებელი დახმარება იქნა მიღებული. ჯერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში კი სილარიზის დასაძლევად მსოფლიო ბანკიდან მიღებული იქნა 38 მლნ დოლარი. აღნიშნული თანხები სახელმწიფომ კრედიტად მიიღო და, ბუნებრივია, მომავალში მისი გადახდა უნდა მოხდეს. 2008 წლის აპრილში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანუ ევროობლიგაციების გამოშვების შემდეგ, საგარეო ვალი კიდევ 500 მლნ დოლარით გაიზარდა. ექსპერტთა მხრიდან ამას სერიოზული კრიტიკა მოჰყვა. მათი აზრით, როდესაც მთავრობა პროფიციტულ ბიუჯეტს გეგმავს, ისედაც დიდი ვალების მქონე ქვეყანას, ახალი ვალები აღარ უნდა წამოეკიდებინა. მით უმეტეს, რომ ობლიგაციები ლონდონის ბირჟაზე საკმაოდ მაღალი პროცენტით გავიდა. ობლიგაციების წლიური საპროცენტო განაკვეთი 7,5%-ით განისაზღვრა. მისი დაფარვის ვადა კი 2013 წლის 15 აპრილი იყო. ექსპერტთა განცხადებით ეს ფაქტორი პრობლემებს შექმნის, ვინაიდან ოქტომბრიდან ხელისუფლება შეიცვალა და ვალდებულება ახალ ხელისუფლებას მძიმე ტვირთად დაანებდა. ფინანსთა სამინისტროს მესვეურთა განცხადებით კი ევროობლიგაციების გამოშვებამ ქვეყანა საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებსა და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორებს გააცნო. თუმცა ფაქტია, რომ საგარეო ვალი მომავალში უნდა დაიფაროს და მას თავისი ვადები გააჩნია. საგარეო ვალის დინამიკა ბოლო წლების მანძილზე კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

საქართველოს საგარეო ვალი ზოგიერთი ორგანიზაციებისა
და ქვეყნების მიხედვით (ათასი)

№	ასახ- ვლება	31.12.2012		31.12.2013		31.01.2014	
		დოლ- არი	ლარი	დოლარი	ლარი	დოლ- არი	ლარი
1	მსოფლიო ბანკი	1293205	2142453	134 732	2339354	1345158	2396936
2	მსოფლიო რეკონ- სტრუქ- ციისა და განვი- თარების ბანკი	349 657	579 277	396 813	688 986	396813	707 081
3	სოფლის მეურ- ნეობის განვი- თარების საერთაშ. ფონდი	24 457	40 518	26 118	45 348	26 019	46 364
4	საერთაშ. სავალუ- ტო ფონდი	384 211	636 522	243 108	422 109	223 533	398 313
5	ეროპის გან- ვით. და რეკონ- სტრ. ბანკი	5 159	8 548	106 337	184 633	109 846	195 734
6	აზიის განვი- თარების ბანკი	318 139	527 061	106 514	184 940	106 573	189 902
7	ევროპის საინვეს- ტიციო ბანკი	114 661	189 959	197 229	342 570	194 937	347 359
8	აგსტრია	8 639	14 313	15 039	26 113	14 859	26 478
9	აზერბაი- ჯანი	12 959	21 469	12 266	21 297	12 266	21 857
10	თურქმე- ნეთი	211	350	211	366	211	376
11	თურქეთი	24 775	41 045	23 456	40 727	23 456	41 797
12	ირანი	10 114	16 756	9 565	16 607	9 565	17 043
13	რუსეთი	106 341	176 176	100 426	174 370	100 426	178 949
14	სომხეთი	15 332	25 400	14 462	25 110	14 462	25 769
15	უზბეკეთი	314	520	293	509	293	522
16	უკრაინა	287	475	268	465	268	477
17	ვაზახეთი	27 774	48 013	27 774	48 224	27 774	49 490
18	ჩინეთი	4 814	7 976	4 454	7 734	4 456	7 940
19	გერმანია	331 321	548 899	347 703	603 716	343 553	612 177

20	იაპონია	84 843	140 559	109 547	190 206	115 326	205 499
21	კუვეიტი	23 620	39 131	21 360	37 088	20 833	37 123
22	ნიდერ- ლანდები	3 876	6 421	1 959	3 401	1 935	3 449
23	ამერიკა	32 139	53 245	30 539	53 025	30 539	54 417
24	საფრან- გეთი	51 625	85 528	74 098	128 656	70 860	126 265
25	ფასიანი ქალაქ- დები	564 750	935 621	500 000	868 150	500 000	890 950
26	ევრობ- ლიგაცია	564 750	935 621	500 000	868 150	500 000	890 950

შენიშვნა: ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის 2013 წლის მონაცემი მოცემულია ევროში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგარეო ვალის სტატისტიკა.

როგორც ცხრილიდან ჩანს ვალის სიდიდე ყოველ-
წლიურად იზრდება, თუნდაც მომდევნო პერიოდში
ახალი ვალიც რომ არ იქნეს აღებული. საქმე ის არის,
რომ ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ლარის მკვეთრი
გაუფასურება დოლართან და ევროსთან მიმართება-
ში, სხვა ვალუტებზე რომ არაფერი ვთქვათ. სახ-
ელმწიფო ბიუჯეტს, ვალეებში ყველაზე მეტი გადახდა
2013 წელს მოუწია. დოლარის დღევანდელი კურსით
თუ ვიანგარიშებთ, ამ წლის საგარეო ვალდებულე-
ბების მომსახურებისა და დაფარვისათვის, ქვეყ-
ნის გადასახდელი 1 მილიარდ ლარზე მეტი იქნება.
აქედან უდიდესი ნაწილი, 5000 მილიონია აშშ დოლა-
რის (დაახლოებით 8000 მილიონი ლარი). სწორედ
ევრობლიგაციების გამოშვების შედეგად მოზიდუ-
ლი დავალიანებაა. ევროფონდების საპროცენტო გა-
ნაკვეთი 7,5%-ია. 2009 წლიდან მოყოლებული, ქვეყ-
ანა მათში ყოველწლიურად 37,5 მილიონ დოლარს
იხდის, თანაც, თუ 2009 წელს 1,40 ლარამდე დაეცა.
დღეს ის საშუალოდ 1.65 ლარი ღირს. საქართვე-
ლოს მთავრობამ 2013 წლის სექტემბერში პენსიების
მომატება განახორციელა 150 ლარამდე, ეკონომიკის
წელიწადში 4% ზრდის პირობებში.

ფინანსთა სამინისტროს მიერ დამატებითი
რესურსების მოზიდვა, სპეციალურად შექმნილი
ფონდის საპენსიო ანგარიშზე 10%-იანი სავალდებ-
ულო შენატანის დაწესებით მოახდინა. სამინისტროს
განმარტებით, „დაუშვებელია ფასიანი ქალაქდების
გამოშვებით მიღებული სახსრების, კრედიტების ან
სხვა დეფიციტური წყაროებიდან მიღებული სახსრე-
ბის მიმართვა მიმდინარე ხარჯების — მათ შორის,
პენსიების ან ხელფასების გასაზრდელად“. ფინან-
სთა სამინისტროს არგუმენტია: რადგან პენსიების
ზრდა ერთჯერადი ხარჯი არაა, ამიტომ მისი დეფი-
ციტური წყაროდან დაფინანსება მიმდინარე დეფი-
ციტს კიდევ უფრო მეტად გაზრდის, რაც ბიუჯეტს
მძიმე ტვირთად დაანეჭება. მიუხედავად ჩატარებული
ანალიზისა კითხვაზე—როგორ დაიხარჯება დახმარე-
ბის თანხები? —გამოკითხულთა 31% თვლის, რომ

თანხები ძირითადად არაეფექტურად განაწილდება და დაიხარჯება 27,5 % -კი თვლის, რომ დახმარების უმეტესი ნაწილი ეფექტურად და კანონის დაცვით დაიხარჯება, დანარჩენს კი უჭირს პასუხის გაცემა.

საგარეო ვალის არსებობა ქვეყნისათვის არც ისე საშიშია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მთავარია, მან მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს — მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს არ გადააჭარბოს. საქართველოსთვის გამოყოფილ ვალებთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ მათ დასაძლევად საჭიროა. ა) სწორი პოლიტიკის შემუშავება. სწორი პოლიტიკის შემთხვევაში, საგარეო ვალების დაფარვა საკვებით, რეალური და შესაძლებელია. საქართველოს საგარეო ვალი მშპ—თან მიმართებაში ლარის კურსის შედარებით უფრო გამყარება, რაც დეკემბერ-იანვრისთვის მეტად პრობლემური და სადისკუსიო იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი 2009 წ.
2. ლ. ბახტაძე რ. კაკულია მ. ჩიკვილაძე „საგადასახადო საქმე“თბ.2007წ
3. www.nof.ge
4. www.pbo.parliament.ge
5. www.presa.ge

ია ჯიმშიტაშვილი,

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია კრიზისების მართვის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ორგანიზაციებისათვის, ასევე პრობლემური სიტუაციების ზემოქმედება ეფექტიანობაზე. დახასიათებულია აგრეთვე კრიტიკულ სიტუაციებში მოქმედების გზები და საშუალებები, რასაც შეუძლიათ მართვადი გახადს, ერთი შეხედვით, უმართავი პროცესები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ ნეგატიურ ქმედებას თან ახლდეს პოზიტივიც, რაც ორგანიზაციებს მოუტანს განვითარების მეტ შესაძლებლობებს.

**Summary
The Elements of Crisis Management
in Modern Companies**

The goal of above article is to present the meaning of Crisis Management in different modern companies, it's role in firms. What kind of impact can it bring for further development and, actually, for their existence in market and in society. We, also, tried to show some ways of acting in critical situations, that gives the management of firms opportunities to manage unmanageable critical processes. And, at the end we can declare that in every negative is possible to find positive, even in crises situations and it's important to find those positive means and to use them for further development.

კრიზისული სიტუაციებს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც სუსტად განვითარებულ ასევე მსოფლიოს წამყვან ქვეყნების, როგორც პატარა კომპანიებში, ასევე ტრანსნაციონალურ კორპორაციებში. ალბათ, ძალიან ცოტა ფირმა არსებობს, რომლებსაც რაიმე დოზით, არ განუცდიათ კრიზისული მდგომარეობა ეკონომიკურ, ფინანსურ, კადრების თუ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში, ამ პრობლემებს ბანკოტამდეც მიუყვანია ორგანიზაცია, თუმცა, ისეთი მაგალითიც მრავლადაა, როდესაც ორგანიზაციას დაუძლევია აღნიშნული პრობლემები და მცირე დროში დაბრუნებია კრიზისამდელ მდგომარეობას შემდგომი პროგრესით.

ფაქტობრივად, ყველაზე დიდი ზიანი ორგანიზაციის რეპუტაციასა თუ მის ფინანსურ მდგომარეობას, შესაძლოა კრიზისულმა პრობლემებმა მიაყენოს, დღესაც კი მრავალი მათგანი აგრ-

ძლებს პოლიტიკას, როდესაც კრიზისის მართვის უფლებამოსილებათა დელეგირება ხდება საშუალო რგოლის მენეჯერებზე, რაც დიდი შეცდომაა - იგი აუცილებლად და თანაც პირველ რიგში, უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობის პრეროგატივაა [8, გვ. 9-11].

ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვისას ორგანიზაციების მდგრადობა ძირითადად მიიღწეოდა გარე მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებით, შესაბამისად, ნებისმიერი კრიზისული მომენტები გარე ზემოქმედებით აღმოიფხვრებოდა, ხოლო ორგანიზაციის სტაბილურობის აღდგენა ხდებოდა სხვადასხვა მექანიზმით: დამატებითი ეკონომიკური მხარდაჭერით, ხელმძღვანელის შეცვლით, გეგმებაში კორექტივის შეტანით, წარმოების ადმინისტრაციული რეორგანიზაციით და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანიზაციების მდგრადობა გარანტირებული იყო ზემოდან, ხოლო კრიზისი გარეგნულად არ ვლინდებოდა.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მდგრადობის პრობლემა საერთოდ არ არსებობდა, უბრალოდ ის განიხილებოდა არა ორგანიზაციის დონეზე, არამედ იღებდა დარგის, რეგიონის და სახელმწიფოს მასშტაბებს და ყოველთვის ზემოდან იყო მართული. დღეს კი მწვავე კონკურენციის პირობებში მდგრადობის საკითხი აბსოლუტურად ყველა ორგანიზაციის წინაშე დგას და ძირითადად ეს მათი პირადი პრობლემაა.

საბაზრო ეკონომიკამ ფირმის მენეჯმენტსა და მთლიანად სახელმწიფო მმართველობითი სრტუქტურების წინაშე დააყენა ახალი ამოცანა: თავიდან აიცილოს კრიზისული მდგომარეობა და უზრუნველყოს ორგანიზაციათა მდგრადი განვითარება. ამასთან, ისიც ყურადღებას იქცევია, რომ ერთი ორგანიზაციის გაკოტრება ავტომატურად იწვევს სხვა მრავალი ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას, რაც ბადებს ე.წ. „დომინოს ეფექტს“.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ტულის (რუსეთის ფედერაცია) უდიდესი ბანკის „პირველი ექსპრესის“ პრობლემას, 2013წ. ბანკმა შეწყვიტა კლიენტების მომსახურება, რამაც გამოიწვია პანიკა სხვა ადგილობრივი ბანკების კლიენტებს შორისაც. მათ შორის აღმოჩნდა ბანკი „ტულელი მენარმე“: გაჩნდა მომხმარებელთა გრძელი რიგები, მეანაბრეებს გაჰქონდათ საკუთარი ფული ბანკიდან, მიუხედავად ბანკის თანამშრომლების დარწმუნების, რომ მათ ორგანიზაციაში კრიზისული სიტუაცია არ იყო. „პირველი ექსპრესის“ ანგარიშზე აკუმულირებული იყო კერძო პირთა ფულადი რესურსი დაახლოებით 6,4 მლრდ რუსული რუბლის ოდენობით. ბანკი თავდაპირველად პრობლემებს ხსნიდა კომპიუტერულ სისტემაში

ხარვეზებით და პირდებოდა კლიენტებს უახლოეს მომავალში ხარვეზის აღმოფხვრას. თუმცა „ახლო მომავალში“ ეს ვერ მოხერხდა, ბანკში სატელეფონო ზარებს არავინ პასუხობდა. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა აღნიშნული ბანკისათვის გარკვეულ ოპერაციებზე რიგი შეზღუდვა დაანება. მოგვიანებით ბანკმა აღიარა საკუთარი მდგომარეობა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამასობაში სხვა ბანკებსაც შეექმნათ პრობლემები, რადგან ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა მასობრივად დაიწყეს ანაბრების გამოტანა და ანგარიშების დახურვა [3]. ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ პრობლემები ერთ ორგანიზაციაში ნეგატიურად აისახება და ექოსავით გადაეცემა სხვა ორგანიზაციებს, ასევე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციების მიმწოდებლებზე, კლიენტებსა და მთლიანად საზოგადოებაზე.

ორგანიზაციის კრიზისი შეიძლება გამონეული იყოს რიგი ობიექტური (რესტრუქტურისაციისა და მოდერნიზაციის მომნიშვნელო საჭიროება) და სუბიექტური (შეცდომები მენეჯმენტში) მიზეზებით, ასევე სხვა ხასიათის შიგა და გარე გარემოებებით [6, გვ. 8,9].

უფრო კონკრეტულად კი ორგანიზაციაში კრიზისის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს ბალანსის დარღვევა:

- პროდუქციის წარმოებასა და მის რეალიზაციას შორის;
- პროდუქციის რეალიზაციის მოცულობასა და შემოსულ თანხებს შორის;
- მოკლევადიან სესხებსა და მოგებას შორის;
- პროდუქციის ხარისხსა და მის საბაზრო ფასს შორის;
- კონკურენტ ორგანიზაციათა ტექნიკურ აღჭურვილობას შორის;
- ინვესტიციების მოცულობასა და ინვესტირებიდან მოგებას შორის და ა.შ.

ანტიკრიზისული მართვის ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს ორგანიზაციის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობა ბაზარზე, რის შედეგად ორგანიზაცია საკუთარი პროდუქციისა თუ მომსახურების რეალიზაციიდან იღებს მოგებას და ინარჩუნებს განვითარების სასურველ ტემპებს [4, გვ. 8].

ზოგიერთი ეკონომისტი და პრაქტიკოსი ბიზნესმენი თვლის, რომ ანტიკრიზისული მართვის გამოყენება მხოლოდ მაშინაა საჭირო, როდესაც ორგანიზაცია რეალურად გაკოტრების საფრთხის წინაშე დგას, ამ დროს ისინი გამოიყენებენ ორგანიზაციის ფინანსური დიაგნოსტიკის საჭიროებას. უფრო მართებულად მიგვაჩნია მიდგომა, როდესაც ანტიკრიზისული მართვა, თუნდაც მუდმივი მონიტორინგის სახით (და არა მარტო ფინანსური მიმართულებით), უწყვეტად ხორციელდება ორგანიზაციებში. ამისათვის კი საჭიროა სპეციალური სახის მენეჯერის არსებობა, რომლის უშუალო ფუნქციებიც იქნება ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების უზრუნველყოფა, განვითარების შიდა ხელისშემშლელი პირობების აღმოფხვრა, არატრადიციული გადაწყ-

ვეტილებების მიღება, ერთი სიტყვით, ანტიკრიზისული მართვა.

როგორც ცნობილია, ორგანიზაცია ეს არის მთლიან ეკონომიკაში ფუნქციონირებადი გარკვეულნილად დამოუკიდებელი სტრუქტურული რგოლი, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ორგანიზაციული შიგა და გარე გარემო, სპეციალიზებული ინფორმაციული სისტემა და ა.შ. ორგანიზაციის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: ორგანიზაციის ფუნქციონირების რომელ ეტაპზეა შესაძლებელი კრიზისების წარმოშობა და განვითარება? რამდენად საშიშია კრიზისი თვით ორგანიზაციის მომავალი განვითარებისათვის, აგრეთვე იმ ეკონომიკური გარემოსათვის, რომელშიც ფუნქციონირებს ორგანიზაცია?

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრიად მშვიდ და საიმედო ეკონომიკურ გარემოშიც შესაძლოა ორგანიზაციამ განიცადოს კრიზისი. ამ შემთხვევაში მიზეზი უფრო მის შიგნით უნდა ვეძებოთ, მაგალითად, მოძველებული ტექნოლოგიები, შრომის არაეფექტური ორგანიზაცია, არასწორი ეკონომიკური სტრატეგია, შეცდომები გადაწყვეტილებებში, საქმიანი და საოციალურ-ფსიქოლოგიური კონფლიქტები, მუშა პერსონალის დაბალი პროფესიონალიზმი, წარუმატებელი მარკეტინგი და მრავალი სხვა.

ანტიკრიზისული მართვის პროგრამის დროულად ამუშავებისათვის საჭიროა განვასხვავოთ კრიზისის მიზეზები, სიმპტომები და ფაქტორები.

კრიზისის მიზეზები - ეს არის ის შემთხვევები, რის შედეგადაც ჩნდება სიმპტომები და შემდგომში ვითარდება კრიზისის ფაქტორები.

სიმპტომები ვლინდება იმ მაჩვენებლებსა და მათი ცვლილებების ტენდენციებში, რაშიც აისახება ორგანიზაციის განვითარება და მისი ფუნქციონირება, მაგალითად: შრომის მწარმოებლურობა, ფინანსური მდგომარეობა, პერსონალის დინება, დისციპლინა, შრომითი კმაყოფილება, კონფლიქტების დონე და ა.შ. ზემოთხსენებული პროცესების ანალიზი მეტყველებს თუ რა მდგომარეობაა ორგანიზაციაში კრიზისულობის თვალსაზრისით.

ანალიზის შედეგად უნდა მოხდეს არსებული მდგომარეობის შედარება დაგეგმილთან. მაგალითად, თუ კადრების გადინება გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს იყო წინა პერიოდში, თუმცა, ამ და სხვა მაჩვენებლების გაუარესება ყოველთვის როდი მოასწავლებს კრიზისის მოახლოებას. სიმპტომი - ეს მხოლოდ „ავადმყოფობის“ დაწყების მაჩვენებელი, მისი გარეგანი გამოვლინებაა, მაგრამ თვით „ავადმყოფობა“, ანუ კრიზისთან იწყება ამ სიმპტომების წარმოჩინებისას.

ფაქტორები - მოვლენები, ობიექტის დაფიქსირებული მდგომარეობა, ტენდენცია, რომელიც უკვე მოწმობს კრიზისის დაწყებას.

ამგვარად, კრიზისის დაწყების ეტაპები შესაძლებელია შემდეგი ჯაჭვის სახით წარმოვიდგინოთ: მიზეზი სიმპტომი ფაქტორი.

მაგალითად, ორგანიზაციაში კრიზისის მიზეზები

შეიძლება იყოს: ეკონომიკური და ფინანსური შეცდომები, ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა, პერსონალის დაბალი პროფესიონალიზმი, მოტივაციის სისტემის სისუსტე. აქედან გამომდინარე ადგილი ექნება შემდეგ სიმპტომებს: ისეთი უარყოფითი ტენდენციების პირველი გამოვლინებები, შემდგომში ამ ტენდენციების გამყარება, როგორცაა: კონფლიქტები, მზარდი ფინანსური პრობლემები და ა.შ. ხოლო კრიზისის ფაქტორები კი იქნება: პროდუქციის ხარისხის დაქვეითება, ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, საკრედიტო დავალიანების ზრდა და ა.შ [4, გვ. 10-13].

ორგანიზაციებში კრიზისების წარმოჩინების პრობლემას უნდა მივუდგეთ სისტემურობის პოზიციიდან.

როგორც აღვნიშნეთ, კრიზისული სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის ფუნქციონირების ნებისმიერ სტადიაზე - ჩამოყალიბების, განვითარების, სტაბილიზაციის, გაფართოებისა თუ დაქვეითების. ეს კი დაკავშირებულია ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლთან. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა მოგვეჩვენოს, თითქოს, ორგანიზაცია ვითარდება სტიქიურად, კანონზომიერებების დარღვევით და ძალიან რთულია შიგ მიმდინარე პროცესების მართვა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა, ყველა პროცესი გადის საკუთარ სასიცოცხლო ციკლს.

ორგანიზაცია შესაძლოა განვითარების ამა თუ იმ სტადიაზე ჩავარდეს კრიზისულ სიტუაციაში. ფირმები, რომლებიც გარკვეულ მომენტში ლიდერების პოზიციაზე იყვნენ, არასწორი მენეჯმენტის განხორციელებისას შესაძლოა გადავიდნენ „არისტოკრატიზმის“ მდგომარეობაში („ჩვენ ვართ ყველაზე ძლიერები!! ჩვენ არაფერი არ გვემუქრება და ა.შ.“), შემდეგ კი ბიუროკრატიზმის ორმოში ვარდებიან. ასეთი რამ დაემართა IBM-ს XX საუკუნის 80-იან წლებში. მისი საბაზრო კაპიტალიზაცია დაეცა დაახლოებით სამჯერ და იგი აღმოჩნდა პატარა კომპანიებად დაშლის საშიშროების წინაშე, რის შედეგადაც კონკურენტი ფირმების „გემრიელ ლუკმად“ გადაიქცეოდა. ფირმა გადაარჩინა გადანყვეტილებამ მოენვიათ განთქმული ანტიკრიზისული მენეჯერი. გადანყვეტილების არაორდინალურობა კი ის იყო, რომ IBM-ში ათწლეულების განმავლობაში წამყვან თანამდებობებს იკავებდნენ ამ ფირმაშივე „გამოზრდილი“ კადრები და აი, უცაბედად - ადამიანი გარედან! თანაც, მას არასდროს უმუშავია მათი პროფილით. თუმცა სწორედ მან გადაარჩინა ორგანიზაცია შემდეგი ღონისძიებების გატარებით: მოახდინა კადრების საჭირო შემცირება, შეიმუშავა ახალი სტრატეგია, შეცვალა კორპორატიული კულტურა, რის შედეგად 3 წლის შემდეგ, ფირმის საბაზრო წილი პირვანდელ დონეს დაუბრუნდა [4, გვ. 14-21].

ნებისმიერი კრიზისული მდგომარეობის თანმდევი პრობლემაა კადრების საკითხი. ამიტომ, ორგანიზაციაში მომუშავე პერსონალს შორის გარკვეული სტაბილურობის შესწარმუნებლად, მნიშვნელოვანია ფინანსური ნაკადები მაქსიმალურად იქნეს გამოყენ-

ებული სახელფასო ფონდის შესავსებად. პარალელურად, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საკითხი, შეძლებისდაგვარად, კონფიდენციალური უნდა იყოს. რა თქმა უნდა, არაფორმალურად ინფორმაცია (ჭორების სახით) გარკვეული დოზით იმოდრავებს, მაგრამ საერთო დადებითი „ამინდი“ გარკვეულწილად შენარჩუნდება.

სწორად წარმართულმა მართვამ შესაძლოა შესუსტოს კრიზისის ზეგავლენა და ორგანიზაცია მიუახლოვოს კრიზისამდელ მაჩვენებლებს, როგორც ეს მოხდა ამერიკულ კომპანია ჟოჰნსონ & ჟოჰნსონის შემთხვევაში, როდესაც მათ მიერ წარმოებული სამედიცინო პრეპარატ ტეილენოლის მიღების შედეგად გარდაიცვალნენ ჩიკაგოს მოქალაქენი, მათ შორის ბავშვები. საზოგადოებაში, ტაილენოლი სერიოზულად დაკავშირდა სანამლავთან. საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები უკვე ხმამაღლა აცხადებდნენ რომ კომპანიას ნერტილი უნდა დაესვა აღნიშნულ პრეპარატზე. საჭირო გახდა კომპანიის კრიზისიდან გამოყვანა, სამოქმედო გეგმა შეიმუშავა Johnson & Johnson-ის პრეზიდენტმა ჯეიმს ბერკმა. ტაილენოლისა და კომპანიის გადარჩენის გეგმა 2 ნაწილისგან შედგებოდა, პირველი - სასწრაფო ქმედებები, მეორე - მედიკამენტის თანდათანობით დაბრუნება ბაზარზე.

გეგმის პირველი ნაწილი რეალიზებული იყო მამინვე, როგორც დამტკიცდა, რომ მონამვლაში მართლაც ტაილენოლის აბები ფიგურირებდა. კომპანიამ სასწრაფოდ დაიბრუნა ყველა გაყიდული ერთეული - 31 მლნ შეკვრა - \$100 მლნზე მეტი ფასის. ამასთანავე, აღნიშნული ნაბიჯი ფართოდ რეკლამირდებოდა. შაპასუხოდ, მასმედიის კეთილი განწყობა დაიმსახურა, და ქმედება შეაფასეს როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი გადანყვეტილება.

კომპანიის ტოპ მენეჯმენტი მივიდა პირველი სამი მსხვერპლის დაკრძალვაზე, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაიცემოდა ტელევიზიით. მთელმა ამერიკამ ნახა თუ როგორ ტიროდნენ დაკრძალვაზე პრეზიდენტი და ვიცე პრეზიდენტები. აიტაცეს მათ მიერ გაჟღერებული ფრაზა - „ჩვენ ისე ვგრძნობთ თავს, თითქოს მეგობარს ვათხოვთ მანქანა, ის კი ამ მანქანით ავარიში დაიღუპა“.

ბოლო ნაბიჯი იყო განცხადება, რომ კომპანია უფასოდ ცვლიდა ნებისმიერ დროს ნაყიდი ტაილენოლის კაფსულას აბზე. კაფსულებისგან განსხვავებით აბები ჰერმეტიულად იყო შეფუთული, რაც გამორიცხავდა რაიმე სახის სანამლავის შეპარვას.

ამ კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო მთელი პროცესის გამჭვირვალობა და პრესასთან თანამშრომლობის მუდმივი მზაობა. პირველი მონამვლიდან ორ კვირაში მენეჯერებმა ჟურნალისტების 2500 კითხვას გასცეს პასუხი. ამბავი კი წლის სიახლედ იქცა და მეორე ადგილზე გავიდა (კენედის მკვლელობის შემდეგ) ციტირების ინდექსით.

გეგმის მეორე ნაწილი 6 კვირის შემდეგ გახდა ცნობილი. პირველ რიგში, მთლიანად შეიცვალა

შეფუთვის ვიზუალი. Johnson&Johnson-მა პირველ-ებმა შემოიღეს პრაქტიკაში ფლაკონები პირველადი გახსნის კონტროლით, სახურავის ქვეშ იყო დამცავი ფოლგის თხელი ლენტი. მალე FDA1-მ შესაბამისად შეაფასა ეს სიახლე და სავალდებულო გახადა ყველა მწარმოებლისათვის. რა თქმა უნდა, ამ ქმედებებსაც შესაბამისი რეკლამა ახლდა თან.

კომპანიამ აგრეთვე სხვა ხერხებიც გამოიყენა, მაგალითად, ფასდაკლების კუპონები, რაც იბეჭდებოდა ფედერალური მასშტაბის გაზეთებში, მათი მიღება უფასო დარეკვითაც შესაძლებელი იყო. საბითუმო მყიდველთათვის გრანდიოზული ფასდაკლებები ამუშავდა (25%, რაც იმ დროის ფარმაცევტიულ ბიზნესში ძალიან მაღალი მაჩვენებელი იყო). ბრძოლაში ჩართეს 2500-ზე მეტი მედიცინის წარმომადგენელი, რომლებსაც ადგილზე რეკლამირება დაევალებათ. ტელერადიო სივრცე მასობრივ რეკლამებით აივსო.

Johnson&Johnson-მა ტაილენოლის გადარჩენაში დაახლოებით \$170 მლნ. დახარჯა, რისი უდიდესი ნაწილიც გაყიდული საქონლის (სრული მოცულობით) ამოღებაში დაიხარჯა. ამგვარი ნაბიჯი ჯერაც არ გაუმეორებია არც ერთ ორგანიზაციას, როგორც ნესი კომპანიები მხოლოდ წარმოებიდან ხსნიან ამა თუ იმ პრეპარატს, უკვე წარმოებული კი აფთიაქებში სალდება.

ძალიან მალე დანახარჯებმა გაამართლა, უკვე 1982 წლის ბოლოს ტაილენოლმა დაიბრუნა ამერიკული ბაზრის 25%. კიდევ ერთი წლის შემდეგ კი კრიზისიდან სრულიად გამოვიდა და დაუბრუნდა კრიზისამდელ 35% მაჩვენებელს.

ორგანიზაციის კრიზისული მდგომარეობის დაძლევაში დიდ როლს სახელმწიფოც ასრულებს. მთავრობის ანტიკრიზისული რეგულირების ძირითადი მიმართულებები შეიძლება იყოს:

- საკანონმდებლო ბაზების გაუმჯობესება;
- სახელმწიფო დახმარებების განევა;
- დავალიანების მქონე ორგანიზაციების პრივატიზება და ლიკვიდაცია და ა.შ.;

რა საშუალებით არის შესაძლებელი ამის გაკეთება? პირველ რიგში ესაა გამოცდილება და ინტუიცია, მდგომარეობის ანალიზი და დიაგნოსტიკა. ეს მოქმედებები არაერთჯერადია, არამედ ნებისმიერ ეტაპზე უნდა ხორციელდებოდეს, რადგანაც ორგანიზაციაში კრიზისი შესაძლოა იმ მომენტში დადგეს, როდესაც იგი ამას არანაირად არ პროგნოზირებს. ამ დროს მნიშვნელოვანია რომ ორგანიზაციამ არ შეწყვიტოს ფუნქციონირება, განაგრძოს თუნდაც თავისი რუტინული საქმიანობა.

რა თქმა უნდა ანტიკრიზისული მართვის ფენომენი შედარებით ახალი ცნებაა, არა მარტო საქართველოსათვის, არამედ თითქმის მთელი რიგი პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოთათვის, და მუშაობა ამ მიმართულებით გაიგივებულია ორგანიზაციების ფინან-

სური მდგომარეობის მონიტორინგთან, ბალანსის დინამიკის ანალიზთან, აქტივებისა და პასივების სტრუქტურასთან (თუმცა, გარკვეული ხარვეზები აქაც შეინიშნება), რაც, რა თქმა უნდა, ანტიკრიზისული მართვის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კრიზისების სიმპტომების გამოვლენასა და შესწავლას, დიაგნოსტიკას, კადრების მომზადებას, ორგანიზაციის განვითარების შიდა და გარე ფაქტორების ანალიზს.

იმის გამო, რომ კრიზისული სიტუაციები ცვლის ორგანიზაციის ფუნქციონირების პირობებს, სწრაფი რეაგირების მართვის სისტემა გამართულად უნდა მუშაობდეს. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ე.წ. ანტიკრიზისული შტაბი, რომლის ამოცანაა:

- სიტუაციების ანალიზი და შესაბამისი გადანივრებების მიღება;
- დამცავი ქმედებების შემუშავება და გატარება, მათი კორექტირება;
- მიღწეული რეზულტატებისა და მიმდინარე სიტუაციების მონიტორინგი.

სხვადასხვა ორგანიზაციის გამოცდილების შესწავლამ აჩვენა, რომ კრიზისების მართვისათვის საჭირო ინსტრუმენტების ნაკრები შესაძლოა აბსოლუტურად განსხვავებული იყოს მათთვის, თუმცა, არსებობს უნივერსალური ინსტრუმენტებიც: დანახარჯების შემცირება; გაყიდვების სტიმულირება; ფულადი ნაკადების ოპტიმიზირება; დებიტორებთან მუშაობა; საკრედიტო დავალიანების რესტრუქტურირება.

აგრეთვე, არსებობს რამდენიმე უნივერსალური საშუალება, რომელთა გამოყენებით ორგანიზაციის მენეჯმენტი შეძლებს უმართავი კრიზისული სიტუაციების მართვად პროცესებად გადაქცევა:

- ინფორმაციის სიმცირის რეჟიმში სწრაფი გადანივრებების მიღება;
- შეთანხმებულად, ჯგუფურად, ნდობის მაღალი ხარისხით მუშაობა;
- მოქმედებების დაგეგმვა ბაზრისა და დარგის ცვალებადობის გათვალისწინებით;
- კოლექტივის ერთ ჯგუფად შეკვრა, ნებისმიერი დანაკარგების მინიმიზაცია;
- ფულადი სახსრების ბრუნვის დაჩქარება და ნაკადების განმტკიცება, მისი ქმედითი გაკონტროლება.

რა თქმა უნდა, ნებისმიერ ნეგატივში პოზიტივიც უნდა ვეძებოთ, კრიზისი არა მარტო უარყოფითი მომტანია კომპანიისათვის, იგი ამავე დროს სამომავლოდ ახალ შესაძლებლობებს ხსნის. ნებისმიერი კრიზისი, გლობალურიც კი, მრავალი შესაძლებლობის მომტანია, მაგალითად, ფინანსური გაჯანსაღება, ორგანიზაციის, როგორც იურიდიული პირის შენარჩუნება, რესტრუქტურირება და ა.შ.

1 US Food and Drug Administration – საკვებისა და მედიკამენტების მაკონტროლებელი ორგანიზაცია აშშ-ში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქემელაშვილი გ., ანტიკრიზისული მენეჯმენტი. თბილისი „მერიდიანი“, 2013.;
2. ფარესაშვილი ნ., ანტიკრიზისული მენეჯმენტი, თბილისი „უნივერსალი“ 2010.;
3. <http://1prime.ru/banks/20131028/769057171.html>
4. Жарковская, Е.П., Бродский Б.Е., Бродский И.Б. Антикризисное управление, М: Омега-Л, 2009;
5. Бабушкина, Е. А., Бирюкова, О. Ю., Верецагина, Л. С. Антикризисное управление, М: Эксмо, 2008;
6. Коротков, Э.М., Антикризисное управление: Учебник. – 2-е изд., доп. и перераб., М.: ИНФРА-М, 2007;
7. Экономическая Энциклопедия, М., 1999;
8. Tony Jaques, Reshaping crisis management: the challenge for organizational, design Citation: Organizational Development Journal 28(1), 2010.

**უზნობრივი ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკაში -
მნიშვნელობა, პრობლემები, პარამეტრები**

*მაყვალა სხირტლაძე,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი*

რეზიუმე

ეროვნული ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პრობლემაა. იგი შეიძლება გადაიჭრას საკუთარი და მოზიდული ფულადი ნაკადების ხარჯზე როგორც მაკრო - ისე მიკრო დონეზე. მოზიდულ ფულად ნაკადებში მოიაზრება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელთა მოზიდვა და ეროვნულ ეკონომიკაში ეფექტიანად დაბანდება აქტუალურ მნიშვნელობას იძენს. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დაბანდება შეუძლია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიული შედეგების მოტანა, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ამ საკითხით დაინტერესებული მხარეების მიერ.

Summary

Provision of financial resources to the national economy is the most important macroeconomic problem. The solution is available as its own, has also attracted a cash flow at the expense of the macro and micro levels. Attracted cash flows include foreign direct investment. Their attraction and effective investment in the national economy has topical importance. Foreign direct investments in the national economy can bring both positive and negative effects which must be taken into account by the parties interested in the subject.

* * * * *

საკოველთაოდ აღიარებული რეალობაა რომ ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პრობლემაა. მისი გადაჭრა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონეზე, ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალსა და მისი ათვისების ხარისხზე, ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების დონესა და მისი შედეგების წარმოებაში დანერგვის ხარისხზე, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ქვეყნის ჩართულობაზე, ეკონომიკის გლობალიზაციაზე და სხვა თავისებურებებზე. ერთი რამ ცხადია, ქვეყანაში ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნა როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე კმაყოფილდება როგორც

საკუთარი, ისე უცხოეთიდან შემოსული ფინანსური ნაკადების ხარჯზე, რომელთა შორის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც საერთაშორისო გლობალური ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი თავისებურება და უშუალო შედეგია. ამ პროცესში მეტ-ნაკლები ინტენსივობით ერთვება მსოფლიოს ყველა ქვეყანა მისი ეკონომიკური განვითარების დონის, რესურსული უზრუნველყოფის, ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების მიუხედავად.

კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა. იგი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი კაპიტალი ნაკადების ერთობლიობაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქვეყანაში ერთდროულად ხორციელდება კაპიტალ-ნაკადების შემოდინების და ქვეყნიდან ასევე კაპიტალ-ნაკადების გადინების პროცესი. ნებისმიერ ქვეყანაში ყოველთვის არსებობს მოთხოვნა კაპიტალნაკადებზე და ამ დროს ქვეყნიდან ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური (ფინანსური) რესურსის გადინების მიზეზია კაპიტალნაკადების საერთო ოდენობაში კერძო კაპიტალის დომინირებადი წილი, რომელიც, როგორც წესი, დაბანდება ხელსაყრელ გარემოსა და მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული.

კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციაში მნიშვნელოვანწილად და დიდი ხვედრითი წილით მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებია ჩართული და საინვესტიციო კაპიტალნაკადების ყველაზე მეტი ოდენობა სწორედ მათზე მოდის. თუმცა ეროვნულ ეკონომიკათა განვითარების, მათი უმეტესობის ღია ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის, ქვეყანათა საერთაშორისო გლობალურ პროცესებში აქტიურად ჩართვის შემდეგ ამ პროცესის მონაწილე ხდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა.

საქართველოში უცხოური კაპიტალის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება და დღეისათვის მისი მოზიდვა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში აქტიური ჩართვა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას და მიზანს წარმოადგენს.

უცხოური კაპიტალის მოდინებას ქვეყანაში დიდი მისია აკისრია. მასზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის ფულადი ნაკადებით უზრუნველყოფა, თუმცა გათვალისწინებულია ისიც, რომ უცხოური ინვესტიციების დაბანდება ქვეყანაში,

როგორც ერთ-ერთმა რთულმა და წინააღმდეგობებით მოცულობა პრობლემამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შედეგები. პოზიტიურ შედეგებს შეეძლება მივაკუთვნოთ რეალური ინვესტიციების მოცულობის გაზრდა, ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების, ორგანიზაციულ-მმართველობითი სფეროს სიახლეების და გამოცდილების შემოსვლა, ქვეყნის რესურსული პოტენციალის სრულად ათვისება, ადგილობრივი სამუშაო ძალის გამოყენება და მისი კვალიფიკაციის ამაღლება, იმპორტშემცველი წარმოების განვითარება, უცხოური ვალუტის შემოდინება, საგადასახადო შემოსავლების გადიდება და შედეგად, სოციალური და სხვა პროგრამების სახელმწიფო დაფინანსების გადიდება, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობისა და ცხოვრების დონის ამაღლება, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს განვითარება-გაფართოება, ეროვნულ ეკონომიკაში კონკურენციის გაძლიერება, ქვეყნის სოციალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და ა.შ.

უცხოური კაპიტალწაკადების შემოდინებას ქვეყანაში შეიძლება მოყვეს ნეგატიური შედეგებიც, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: კაპიტალის რეპატრეაცია და უცხოური პირდაპირი ინვესტიციებიდან მიღებული მოგების ქვეყნიდან გატანა სხვადასხვა ფორმით, შედეგად კაპიტალის მიმღები ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობის გაუარესება, ადგილობრივ მწარმოებელთა შევინროვება-შეზღუდვა, ეროვნული ეკონომიკის სხვაზე დამოკიდებულების ხარისხის ზრდა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ და პრაქტიკულ დამოუკიდებლობას ემუქრება, მონოპოლიზმის გადიდება, უცხოელ ინვესტორთა მიერ ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების იგნორირება, ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის დეფორმაცია და მისი ტრადიციული დარგების დაცემა, სოციალური დაძაბულობისა და დიფერენციაციის გაძლიერება და ა.შ.

ქვეყანაში უცხოური კაპიტალწაკადების შემოდინებასთან დაკავშირებული პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები გასათვალისწინებელია ინვესტიციების მიმღები ქვეყნებისა და მისი ეკონომიკური სუბიექტების მიერ.

საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული რეალობის თანახმად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყველა ქვეყანას გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები და ობიექტები, სადაც უცხოური ინვესტიციების დაბანდება ან საერთოდ არ ახორციელებენ, ან ახორციელებენ მკაცრი სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ და მისივე დანერგული შეზღუდვებით.

ასეთი დარგები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა, მაგრამ მნიშვნელოვანწილად მოიცავს მინასა და მის ნიაღს, ენერგეტიკას, სატრანსპორტო კომუნიკაციებს, კავშირგაბმულობას; ამასთან არსებობს პრიორიტეტული მნიშვნელობის დარგები, სადაც უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანწილად იზღუდება ან მკაცრად კონტროლდება სახელმწიფოს მიერ.

ისევე როგორც ნებისმიერი პოსტკომუნისტური

სივრცის ქვეყნის, საქართველოს ეკონომიკაშიც უცხოურ ინვესტიციებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემური კრიზისის დაძლევის, ეროვნული ეკონომიკის აღორძინების და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანად ათვისების საქმეში.

ქვეყანაში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა ასეთ სურათს იძლევა:

ცხრილი 1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში
მლნ. აშშ-ს დოლარი

2005 წ.	2006 წ.	2007 წ.	2008 წ.	2009 წ.	2010 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.
449,8	1190,4	2114,8	1564,0	658,4	814,5	1117,2	911,6	914,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

[www.Geo.http://www.Geo.Stat.ge](http://www.Geo.Stat.ge).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასეა განაწილებული. (2013 წლის მდგომარეობით). სულ ქვეყანაში შემოვიდა 914,14 მლნ. დოლარის უცხოური ინვესტიცია, აქედან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან შემოსულია 52,8 მლნ. დოლარი. თურქეთზე მოდის 73,6 მლნ. დოლარი, აშშ-ზე - 56,6 მლნ. დოლარი, არაბთა გაერთიანებულ საემიროებზე მოდის 33,3 მლნ. დოლარი, შვეიცარიაზე - 26,6 მლნ. დოლარი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასეა განაწილებული: ენერგეტიკაზე მოდის მისი მთლიანი მოცულობის 22%; ტრანსპორტზე კავშირგაბმულობაზე - 15%; სამთო მომპოვებელ და დამამუშავებელ მრეწველობაზე შესაბამისად - 4 და 13%. მშენებლობაზე 6%; სოფლის მეურნეობაზე - 3%.

საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში შეიძლება დადებით ფაქტორად იქნას მოაზრებული. ქვეყანაში უნდა შეიქმნას მიმზიდველი საინვესტიციო სივრცე და ხელსაყრელი პირობები უცხოური ფულადი ნაკადების მოსაზიდად, რათა ეროვნული ეკონომიკის ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ეს წყარო ეფექტიანად და მიზანიმართულად იქნას გამოყენებული. ამასთანავე საჭიროა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ქვეყნიდან ეროვნული კაპიტალის გადინების შესაჩერებლად და მისი ქვეყნის სამსახურში ჩასაყენებლად, რაც შესაბამისი კანონმდებლობითა და ხელისუფლების მხარდაჭერის შედეგად იქნება მიღწეული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. მესხია. საერთაშორისო ფინანსები. თსუ. 2012 წ.
2. ლ. ქოქიაური, ნ. ბებიაშვილი. საინვესტიციო პროექტები. თეორია, ანალიზი. მართვა. თბ., 2010. 418 გვ.
3. ლ. ქოქიაური. საინვესტიციო საქმე. თბ., თსუ. 2010 წ.

საქართველოს რკინიგზის ისტორია და განვითარების პერსპექტივა

*ლამარა მინდორაშვილი,
სტუ-ს პროფესორი*

Summary

History an development perspectives of georgian railway

In Europe-Asia transport corridor passing through Georgia the leading role is assigned to the railway. It must develop synchronically with maritime infrastructure, and in this process is significant both technical improvement, and development of internal management. Government must be involved to a far greater degree in the technical development of the railway.

* * * * *

საქართველოს რკინიგზა შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ევრაზიის სატრანსპორტო არტერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს ევროპასა და ცენტრალურ აზიას. ამ ორი კონტინენტის სარკინიგზო ტრანსპორტით დაკავშირების იდეა XIX საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა. მისი განხორციელება კი 1865 წელს დაიწყო. 1871 წელს ფოთი-ყვირილას (ახლანდელი ზესტაფონი) მონაკვეთზე გაიხსნა სარკინიგზო მოძრაობა, 1872 წლის 10 ოქტომბერს კი თბილისიდან ფოთში პირველი მატარებელი ჩავიდა. სწორედ ეს თარიღი ითვლება საქართველოს რკინიგზის „დაბადების დღედ“. ამ დღიდან დაწყებული საქართველოს რკინიგზის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. შენდება რკინიგზის ხაზის განშტოებები: რიონი-ქუთაისი (1877 წ.), რიონი-ტყიბული (1887 წ.) და ზესტაფონი-ჭიათურა (1895 წ.). 1890 წლის 16 სექტემბერს დასრულდა წიფის ორლიანდაგიანი გვირაბის მშენებლობა, რომელიც იმ დროისათვის უნიკალურ ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება. საქართველოს რკინიგზის მშენებლობის მეორე ეტაპს განეკუთვნება თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზი, რომელიც 1883 წელს შევიდა ექსპლოატაციაში. ამ მოვლენამ შავი ზღვის საშუალებით, კერძოდ კი ბათუმის პორტიდან, აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირებასა და მის მსოფლიო ბაზრაზე გატანას ჩაუყარა საფუძველი. ბორჯომის ხეობა ყოველთვის წარმოადგენდა განსაკუთრებული ინტერესის საგანს, რაც განპირობებულია მისი საკურორტო თვისებებითა და მსოფლიოში ცნობილი მინერალური წყლით „ბორჯომი“. ჯერ კიდევ 1894 წელს აშენდა ხაშური-ბორჯომის სარკინიგზო უბანი, რასაც 1902 წელს დაემატა ბორჯომი-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი, რომელიც დღესაც ემსახურება სათხილამურო სპორტის მოყვარულებსა და ტურისტებს. კახეთის სარკინიგზო ხაზმა, რომლის მშენებლობა 1915 წელს დასრულდა, საქვეყნოდ ცნობილი ღვინოების („მუკუზანი“, „წინანდალი“,

„რქაწითელი“, „მანავის მწვანე“ და სხვ.) მწარმოებელი რაიონები მოიცვა. 1923 წელს „ფერლის“ სერიის პირველი „ე“ და „სუ“ სერიის ორთქმავლებით შეცვლა. სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციასთან ერთად, ექსპლოატაციაში შემოვიდა „ჯენერალ ელექტრიკის“ ფირმის „ს-10“ სერიის ელმავლები. 1932 წელს პირველი საელმავლო დეპო აშენდა ხაშურში, სადაც „ველ-19“ სერიის პირველმა საბჭოთა ელმავალმა გამოცდა გაიარა. ამჟამად ეს პირველი ელმავალი ხაშურის სადგურში კვარცხლბეკზეა დამონტაჟებული. საქართველოს რკინიგზის ისტორიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი თარიღი გახლავთ 1932 წლის 16 აგვისტო, როდესაც - ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად - სურამის უღელტეხილზე დაინერგა ელექტრული წევა და გაიარა პირველმა ელმავალმა. ამ დღიდან დაიწყო სარკინიგზო უბნების ელექტრულ წევაზე ეტაპობრივი გადასვლის პროცესი, რაც 1967 წლის ნოემბერში იქნა დასრულებული. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შედეგი გახლავთ ის, რომ მოხდა საქართველოს რკინიგზის ყველა უბნის, მათ შორის ბორჯომი-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი ხაზის ელექტროფიცირება. 1974 წლიდან რკინიგზაზე მსვლელებს იწყებენ თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მიერ გამოშვებული თანამედროვე „ველ-10“ და „ველ-11“ სერიის ელმავლები. ქვეყნის მრეწველობისა და აგრარული მეურნეობის წამყვანი დარგების: მევენახეობა, მებალეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა - სწრაფ განვითარეს შემდეგი ახალი სარკინიგზო ხაზების მშენებლობა მოჰყვა: ნატანები-ოზურგეთი (1924 წ.), ბრონეულა-წყალტუბო (1935 წ.), სენაკი-ინგიური-გალი (1930 წ.), გალი-ოჩამჩირე-სოხუმი (1938 წ.), გორი-ცხინვალი (1940 წ.). მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო და მიმდინარეობდა რუსეთის სარკინიგზო ქსელიდან ახალი დამაკავშირებელი სოხუმი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა.

1946-1949 წწ. კავშირგაბმულობის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის განვითარების ხანაა - პრაქტიკაში ინერგება ავტომატური ბლოკირების, ისრებისა და გორაკის ელექტრული ცენტრალიზაციის სისტემები, სამატარებლო და სამანევრო რაიოდკავშირები.

შავი და კასპიის ზღვების შემაერთებელი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის მომდევნო ეტაპი 1883 წელს დასრულდა, რის შედეგადაც ექსპლოატაციაში შევიდა ბათუმი-სამტრედიისა და თბილისი-ბაქოს მონაკვეთები. ამ ფაქტმა შესაძლებელი გახადა აზერბაიჯანის ნავთობის ექსპორტირება მსოფლიოს ბაზრაზე შავი ზღვის გავლით.

1899 წელს გაიხსნა სარკინიგზო მოძრაობა საქართველოსა და სომხეთს შორის. საქართველოს რთულმა გეოგრაფიულმა რელიეფმა მრავალი

ხელოვნური საინჟინრო ნაგებობის მშენებლობა განაპირობა, მათი რიცხვი 3700-ს აღემატება, საერთო სიგრძე კი 108 კილომეტრს შეადგენს. 1967 წელს დასრულდა საქართველოს რკინიგზის მთლიანი ელექტროფიკაცია.

რკინიგზის პროექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვან და გრძელვადიან პროექტად არის მიჩნეული შემოვლითი ხაზის მშენებლობა ჩვენს დედაქალაქში. უკვე კარგა ხანია შემოვლითი რკინიგზის მშენებლობისათვის გამოცხადებულია ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოცხადდა ქართულ-ჩინური კონსორციუმი, რომლის წარმომადგენელიც საქართველოში არის ს/ს „ხიდმშენი“. ამ პროექტში უმთავრეს პრიორიტეტად ითვლება ქართული მუსახელის დასაქმება. ეს დასტურდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით. ამ ინფორმაციის თანახმად, უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია კონსორციუმთან ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ხელმოწერა.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის მიზანია ახალი სარკინიგზო ტრასის საშუალებით თბილისის ცენტრალური ნაწილის შემოვლა თბილისის ზღვის ჩრდილოეთით. ეს პროექტი ხელს შეუწყობს ქალაქის განტვირთვას და განვითარებას.

გარდა აღნიშნული პროექტებისა, შპს „საქართველოს რკინიგზას“ დაგეგმილი აქავს კიდევ ერთი სარკინიგზო ხიდის გახსნა აგარაში. მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს დასაქმების პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებას, კერძოდ, ქართველი ადგილობრივი მუშების დასაქმებას, ასევე გრძელვადიან, ინვესტიციების ჩადებას ქართულ ეკონომიკაში.

საყურადღებოა ასევე ის გარემოებაც, რომ შპს „საქართველოს რკინიგზას“ მიენიჭა საკრედიტო რეიტინგი სტაბილური „B+“, რაც პირველი შემთხვევაა საქართველოს რკინიგზის ისტორიაში. ჩვენს ქვეყანაში რკინიგზა დღესდღეობით ერთადერთი არასაბანკო კომპანიაა, რომელააც გააჩნია საკრედიტო რეიტინგი ისეთი მაღალი რეპიტაციის მქონე სააგენტოსგან, როგორცაა Fitchratings.

მიუხედავად დაგეგმილი და უკვე შესრულებული პროექტებისა, საქართველოს რკინიგზის მუშაობის პირობებში წარმოქმნილია პრობლემები, კერძოდ, რკინიგზის წარმატებული ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანეს პირობად გვევლინება რკინიგზის შიდა მენეჯმენტის სრულყოფა, ვინაიდან მისი მართვის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია რთული ორგანიზაციული შემადგენლობა. სწორედ ამ სირთულეს განსაზღვრავს ორგანიზაციის მიზნები და ფუნქციები, რაც კავშირშია ასევე გარე გარემოსთან.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ხელმძღვანელობამ შპს „საქართველოს რკინიგზაში“ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები მართვის სტრუქტურის გაუმჯობესების, გარატივებისა და დახვეწის საქმეში. ასევე მნიშვნელოვნად შემცირებული წლიური საექსპლუატაციო ხარჯები, დაინერგა ახალი ტექნიკა და ინტენსი-

ური ტექნოლოგია, მოხდა ძირითადი სამსახურების საქმიანობის მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლება, ასევე, დარგის რეგულირება და შესაბამისად შემოსავლებისა და მოგების ზრდა.

საქართველოს რკინიგზის მესაკუთრე სახელმწიფოა, ამიტომ რკინიგზის ტექნიკურ სრულყოფაში სახელმწიფომ უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულოს. ამასთან სახელმწიფომ უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულოს. ამასთან ტექნიკური განვითარება აზერბაიჯანის რკინიგზასთან სინქრონიზაციით უნდა განხორციელდეს.

პერსპექტივაში თუ გაიხსნება რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი და მოხდება ტვირთბრუნვა ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაზე, დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგება საქართველოს რკინიგზის თურქეთის რკინიგზასთან დაკავშირების პრობლემა, რასაც, ერთი მხრივ, საჭიროა, რომ საქართველოს მომზადებული შეხვედეს, მეორე მხრივ კი - რკინიგზის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დასაქმების საკითხის გადანაცვლებას და გაზრდის შემოსავლებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს რკინიგზა 125 წლისაა. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველოს რკინიგზის გამომცემლობა, 1997.
2. საქართველოს რკინიგზა, საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის 2002 წლის მუშაობის მოკლე ანალიზი.
3. საქართველოს რკინიგზა, საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის 2003 წლის მუშაობის მოკლე ანალიზი, სტატისტიკის სამსახური, თბილისი, 2003.
4. საქართველოს სატრანსპორტო სისტემისა და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების საპრეზიდენტო პროგრამა (2000-2005 წწ.) თბილისი, 2000.

ბიზნეს-ინჟინერინგი საბანკო ტექნოლოგიებში

საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდები და კრედიტუნარიანობის განსაზღვრის პრაქტიკები დასავლური ქვეყნების მაგალითზე

ნათია ჯანელიძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების სხვადასხვა მეთოდები წამყვანი დასავლური ქვეყნების პრაქტიკიდან. მოცემულია აღნიშნული მეთოდების დახასიათება და შეფასების კრიტერიუმები, სპეციფიკები, კალკულაციის მეთოდები, ასევე ძლიერი და სუსტი მხარეები. დასაბუთებულია მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების როგორც ფინანსური ანალიზის, ასევე სხვა არაფინანსური ინფორმაციის აუცილებლობა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების სისწორისათვის.

Summary

The article discusses various methods for evaluating the creditworthiness of the borrower's in leading Western practices. The characterization and evaluation criteria of above-mentioned methods, specifications, calculation methods, as well as strengths and weaknesses are given. It is justified that for the correctness of the final decision-making in assessing the borrower's creditworthiness not only financial analysis of the client is vital, but also the necessity of client's non-financial information is very important.

* * * * *

საკრედიტო რისკის მინიმიზაციის პროცესში ცენტრალური ადგილი უჭირავს მისი შეფასების მეთოდების განსაზღვრას ყოველ ცალკეულ სესხზე (მსესხებელზე) და ბანკის (საკრედიტო პორტფელის) დონეზე მთლიანად.

მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასება ჩვეულებრივ გაგებულია როგორც მსესხებლის ეკონომიკური მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესწავლა და შეფასება. საკრედიტო რისკის შეფასების სამუშაოები ტარდება სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება მსესხებლის საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება, მეორეზე — რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება; დასკვნით, მესამე ეტაპზე — კრედიტითი შეფასება—პროგნოზის მიღება და საბოლოო ანალიზი.

ტიკური დასკვნის ჩამოყალიბება.

სესხების გაცემაზე მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა ბანკის მუშაობის განუყრელი ნაწილია. მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი ნიშნავს ბანკის მიერ მსესხებლის შეფასებას მისთვის სესხების მიცემის შესაძლებლობის და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, მათი დროული დაბრუნების ალბათობის განსაზღვრა საკრედიტო შეთანხმების შესაბამისად. ამ მიზნით გამოიყენება: საფინანსო კოეფიციენტები, ფულადი ნაკადის ანალიზი, კლიენტის საქმიანი რისკის შეფასება.

პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად და, მაშასადამე, საკრედიტო რისკის მინიმიზაციისთვის აშშ—ში იყენებენ მიდგომას, რომლის სახელწოდებაა 5 „C“, მას საფუძვლად უდევს რისკის შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

- კლიენტის რეპუტაცია- Customer Character
- გადახდისუნარიანობა - Capacity to pay
- კაპიტალი - Capital
- სესხის უზრუნველყოფა - Collateral
- ეკონომიკური კონიუნქტურა- Current business conditions and goodwill
- და გუდვილი
- დიდ ბრიტანეთში აგრეთვე გავრცელებულია მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზის პრაქტიკა, სახელწოდებით „Parts“:
- კრედიტის დანიშნულება, მიზანი-Purpose
- სესხის ოდენობა - Amount
- დაფალიანების დაფარვა - Repayment (ZiriTadivalis da procentebis)
- ვადა - Term

სესხის უზრუნველყოფა - Security

ჩვენი აზრით, უფრო მისაღებია მსესხებლის შეფასების მეთოდები PARSEER და CAMPARI, რომლებსაც იყენებენ ინგლისურ კლირინგულ ბანკებში, რადგან ამით საშუალება ეძლევათ უფრო სრულად შეისწავლონ მსესხებლების მრავალმხრივი ხასიათი.

PARSER:

- Person – ინფორმაცია პოტენციური მსესხებლის პერსონის, მისი რეპუტაციის შესახებ
- Amount – მოთხოვნილი კრედიტის ოდენობის დასაბუთება
- Repayment – დაფარვის შესაძლებლობა

Security – უზრუნველყოფის შეფასება
Expediency – კრედიტის მიზანშეწონილობა
Remuneration – ბანკის ჯილდო (საპროცენტო განაკვეთი) კრედიტის გაცემის რისკისთვის

CAMPARI:

Character – მსესხებლის რეპუტაცია
Ability – მსესხებლის ბიზნესის შეფასება
Means – სესხისთვის მიმართვის აუცილებლობის ანალიზი
Purpose – კრედიტის მიზანი
Amount – კრედიტის ოდენობის დასაბუთება
Repayment – დაფარვის შესაძლებლობა
Insurance – sakredito riskis dazRvevis wesi

კლიენტის საკრედიტო რისკის დონის შეფასების ტრადიციულ უცხოურ მეთოდებს განეკუთვნება შემდეგი მაჩვენებლების სისტემები:

1) „2კ + ს“, სადაც საკრედიტო რისკის დონის ანალიზი ხორციელდება ისეთი მაჩვენებლების გამოყენებით, როგორებიცაა მსესხებლის საკრედიტო რეიტინგი, მისი კაპიტალის ოდენობა და მისი სასესხო სიმძლავრე;

2) „2კ – ს – მ – გ“, რომლის ძირითადი საკვლევი მაჩვენებლებია საკრედიტო რეიტინგი, კაპიტალი, სასესხო სიმძლავრე, ფულადი სახსრების მოძრაობა, გირაო ;

3) „კრედიტის თვისების ხუთი საყრდენი“, სადაც ხორციელდება დარგის (სექტორის) მდგომარეობის მახასიათებლების, მსესხებლის კონკურენტუნარიანობის, მსესხებლის ფინანსური მენეჯმენტის, მისი მარკეტინგული საქმიანობის ხარისხის და შეთავაზებული გირაოს ხარისხის ანალიზი;

4) „6 C“ ფაქტორები,

სადაც C 1 - კლიენტის დახასიათებაა, რომელშიც გათვალისწინებულია კლიენტის საკრედიტო ისტორია; კლიენტთან დაკავშირებული სხვა კრედიტორების გამოცდილება; კრედიტის მიღების მიზანი; კლიენტის გამოცდილება რეალური პროგნოზების შედგენაში; მსესხებლის საკრედიტო რეიტინგი; გირაოს ან გარანტიის არსებობა — მისი ხარისხის ანალიზი და მისი საბაზრო ღირებულების შენარჩუნების პერსპექტივები;

C 2 - კლიენტის შესაძლებლობა (პოტენცია), რომელსაც ახასიათებს კლიენტის ნამდვილობა, იურიდიული სტატუსი და მისი გარანტები, მსესხებლის ისტორიული სტატუსი.

სწორად C 1 და C 2 ფაქტორების ანალიზისთვის მონაცემებს იღებენ საკრედიტო ბიუროს სპეციალიზირებული დაწესებულებებიდან/სისტემიდან;

C 3 — მსესხებლის ფულადი საშუალებები სტატიკაში და დინამიკაში: მოგების მოცულობა, დივიდენდების ოდენობა და კონკრეტულ საბაზრო სეგმენტებში გაყიდვების მოცულობები რეტროსპექტივაში; ნაღდი ფულის დაგეგმილი საკმარისი ნაკადი, მაღალი ლიკვიდური აქტივები; ლიკვიდური რეზერვების არსებობა და ხარისხი; კრედიტორული

და დებიტორული დავალიანებების დაფარვის ოდენობების და ვადების შედარება; მატერიალური და ფინანსური აქტივების ბრუნვის სიჩქარე; მსესხებლის კაპიტალის სტრუქტურა და ლევერიჯის დონე; გასავლის კონტროლის ხარისხი; დაფარვის კოეფიციენტი; მოგების (ზარალის) ოდენობა პირველად და მეორად საფონდო ბაზრებზე სტატიკაში და დინამიკაში; მენეჯმენტის და მარკეტინგის ხარისხი; აუდიტორული დასკვნის შინაარსი; საბუღალტრო აღრიცხვის და სტატისტიკური ანგარიშის ჩატარების ხარისხი;

C 4 — უზრუნველყოფა, სადაც გაანალიზებულია აქტივებზე საკუთრების უფლება; აქტივების ხანდაზმულობა; ფიზიკური და მორალური ცვეთის ალბათობა; რეალური ძირითადი კაპიტალის (ძირითადი ფონდების) ნარჩენი ღირებულება; აქტივების და პასივების ყველა სახის სპეციალიზაციის ხარისხი და სტრუქტურა; საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებების დაზღვევის და გადაზღვევის ხარისხი; ფინანსური მდგრადობის პროგნოზი და ხარისხი პერსპექტივაში;

C 5 — კლიენტის საქმიანობის განხორციელების პირობები; მისი მიკუთვნება ეკონომიკის (სექტორის) გარკვეულ დარგთან; საკონტროლო საბაზრო სეგმენტების, ნიშების ზომა და ხარისხი; კონკრეტული კლიენტის საქმიანობის შედეგების შედარება ანალოგიურ ინსტიტუციონალურ ერთეულებთან; კლიენტის, დარგის (სექტორის) მგრძობელობა ეკონომიკის საქმიანი და ტექნოლოგიური ციკლების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ცვლილებების მიმართ; ინფლაციის დონე და მისი გავლენა ნაღდი ფულის ნაკადის ბალანსზე და სტრუქტურაზე; ეკოლოგიური პრობლემები კონკრეტულ საბაზრო სეგმენტებზე; ბაზარზე სამუშაო ძალის პირობები და სხვა;

ჩ 6 — კონტროლი მსესხებლის საქმიანობაზე;

5) ინტერესს ინვესს საკრედიტო რისკის დონის ანალიზის მეთოდიკებიც სტატიკაში და დინამიკაში, რომლებიც ეფუძნება სხვადასხვა კოეფიციენტების მნიშვნელობის განსაზღვრებას. განვიხილოთ ე.წ. ძ-მეთოდიკა, რომელიც შეიმუშავა ამერიკელმა სტატისტიკოსმა პროფესორმა ედვარდ ალტმანმა და პროფესორმა რიჩარდ ტაფლერმა დიდი ბრიტანეთიდან. ეკონომიკურ—სტატისტიკური მოდელი გამოიყენება მინიმალური რაოდენობის კოეფიციენტების განსაზღვრისთვის, რის მიხედვითაც შეიძლება ოპერატიულად განასხვავო სტაბილური კლიენტი/კონტრაგენტი პოტენციური ბანკოტისგან და გათვალისწინებული კოეფიციენტის გავლენის ხარისხი მიმდინარე და პროგნოზული რისკის დონეზე.

Z-მოდელს (მეთოდიკას) აქვს შემდეგი სახე:

$$Z=C_1R_1 + C_2R_2 + C_3R_3 + \dots + C_nR_n, \quad (6)$$

სადაც R₁, R₂, R₃, R_n – გადარჩეული საკვანძო კოეფიციენტებია, რომელთა რაოდენობა შეიძლება აღწევდეს Z-ს;

C₁), C₂, C₃, C_n –მაჩვენებლებია, რომლებიც ახასიათებთ R₁, R₂, R₃, R_n. სწორად ანალიზისთვის ამ მოდელის მეშვეობით გამოიყენება კორელაციურ—რეგრესული ანალიზი.

1968 წელს ალტმანმა გაანალიზა 22 საბუღალტრო და სტატისტიკური ცვლადები და საკრედიტო რისკის დონის და კლიენტების სტაბილურობის ხარისხის განსაზღვრისთვის აარჩია 5 საკვანძო კოეფიციენტი. შემდეგ ეს 5 მაჩვენებელი იყო გამოყენებული Z-ფუნქციის ასაგებად, რომლის მეშვეობით ავტორმა გამოყო „კეთილდღეობის“ ზონა, „პოტენციური ბანკროტის“ ზონა და „რუხი“ ზონა.

ალტმანის Z-მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$Z = 1,2X1 + 1,4X2 + 3,3X3 + 0,6X4 + 9,9X5,$$

სადაც X1 – საბრუნავი აქტივების სიდიდე/ აქტივების საერთო ჯამი;

X2 – გაუნაწილებელი მოგების ჯამი + რეზერვების სიდიდე + მომავალი პერიოდების შემოსავლები/ აქტივების საერთო ჯამი;

X3 – მოგება საპროცენტო გადასახადების და სხვა გადასახადების გადახდამდე / აქტივების საერთო ჯამი;

X4 – საკუთარი კაპიტალის საბაზრო ღირებულება, ე.ი. გადახდილი სანესდებო კაპიტალი/სასესხო სახსრების საბალანსო ღირებულება;

X5 – რეალიზაციის მოცულობა/ აქტივების საერთო ჯამი.

ამ მოდელში თუკი დონე 2,99 მნიშვნელზე მეტია ეს მეტყველებს საკრედიტო რისკის და კლიენტის სტაბილურობის საკმაოდ დაბალ დონეზე, ხოლო თუ სიდიდე 1,81 დაბალია — მიუთითებს გაკოტრების მაღალ ალბათობაზე. ფუნქციის მნიშვნელობები 1,81—დან 2,70 დიაპაზონში ახასიათებს საკრედიტო რისკის საკმაოდ მაღალ დონეს უახლოეს ხანში გაკოტრების ალბათობით.

ამჟამად Z – მოდელის ეფექტურობა ინსტიტუციონალური ერთეულების — კლიენტების/ კონტრაგენტების შესაძლო გაკოტრების პროგნოზირებისთვის ჯერ კიდევ ითხოვს მტკიცებულებებს. Z – მოდელის პრობლემები მომდინარეობს იქედან, რომ მისი კოეფიციენტები გათვლილია კლიენტის ოფიციალური ანგარიშსწორების ბაზის მიხედვით. მაგრამ კომპანიებს, რომლებიც ხვდებიან მძიმე მდგომარეობაში, შეუძლიათ „გააუმჯობესონ“ თავისი ანგარიშები მოგებების და დანაკარგების შესახებ, ხოლო ანალიტიკოსები შეიძლება შეეჯახონ საინფორმაციო რისკს — სრული, ადეკვატური და ოპერატიული ინფორმაციის მიუღებლობის რისკს. ამ შემთხვევაში შეუძლებელია განხორციელდეს ადეკვატური შეფასება;

6) აღწერილი მეთოდის გარდა ჯონ არგენტიმ შეიმუშავა საკრედიტო რისკის მაღალი დონის და ბანკროტობის პროგნოზირების ალტერნატიული მიდგომა, რომელიც ეფუძნება დაკრედიტების პროცესის მონაწილეთა სუბიექტურ მსჯელობას. ამ მეთოდს ეწოდება A -მოდელი.

ჯ. არგენტის მსჯელობიდან ჩანს, რომ საკრედიტო რისკის და ბანკროტობის მაღალი დონის მიზეზია არაკვალიფიციური ხელმძღვანელობა, აღრიცხვის და ანგარიშგების არაეფექტური სისტემა და ინსტიტუციონალური ერთეულის უუნარობა შეენყოს ბაზრის ცვალებად პირობებს. მენეჯმენტის დაბალი დონის

გამო შეიძლება იყოს დაშვებული ერთი—ერთი შემდეგი შეცდომებიდან:

*ოვერტრეინინგი;

*ვალდებულების აღება, რომელიც აღმოჩნდება მცდარი ან შესასრულებლად შეუძლებელი;

*საკუთარი და ნასესხები თანხების შეფარდების ზრდა საშიშ დონემდე.

ამის შედეგად ვლინდება რისკების ზოგიერთი სახეობების დონის ვარდნის ან ზრდის გარკვეული სიმპტომები, მათ შორის საკრედიტოსიც;

*კოლაპსის მდგომარეობა.

A – მოდელის მეთოდიკასთან შესაბამისად რისკის დონე ფასდება ბალბორივი სისტემით. თუკი სისტემის ჯგუფების მიხედვით მინიჭებული ბალების ჯამი აღემატება კრიტიკულ დონეს – 25 ბალს – ეს მეტყველებს რისკის მაღალ დონეზე.

A – მოდელს აქვს შემდეგი სახე.

ნაკლი და მინიჭებული ბალები:

ა) ავტოკრატია კომპანიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში – 8 ბალი;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი დირექტორი ერთი და იგივე პირია — 4 ბალი;

გ) პასიური დირექტორთა საბჭო — 2 ბალი;

დ) დაუბალანსებელი დირექტორთა საბჭო — 2 ბალი;

ე) არაკომპეტენტური ფინანსური დირექტორი — 2 ბალი;

ვ) არაკვალიფიციური ხელმძღვანელობა — 1 ბალი;

ზ) სუსტი საბიუჯეტო კონტროლი — 3 ბალი;

თ) ფულადი სახსრების მოძრაობის აღრიცხვიანობის არარსებობა — 3 ბალი;

ი) დანაკარგების შემცირების სისტემის არარსებობა — 5 ბალი;

კ) ნელი და არაადეკვატური რეაქცია საბაზრო პირობების ცვლილებებზე — 15 ბალი. სულ — 45 ბალი.

კრიტიკული ბალი ამ ჯგუფისთვის — 10. შეცდომები და მინიჭებული ბალები:

ა) დავალიანების კოეფიციენტის მაღალი დონე — 15 ბალი;

ბ) ოვერტრეინინგი — 13 ბალი;

გ) მსხვილი პროექტები — 15 ბალი.

სულ — 43 ბალი.

ამ ჯგუფის კრიტიკული ბალია — 15. სიმპტომები და მინიჭებული ბალები:

ა) ვარდნის ფინანსური ნიშნები — 4 ბალი;

ბ) აღრიცხვის და ანგარიშგების არაკორექტული შენახვა — 4 ბალი;

გ) ვარდნის არაფინანსური ნიშნები — 3 ბალი;

დ) ვარდნის საბოლოო ნიშნები — 1 ბალი.

სულ — 12 ბალი.

კრიტიკული ბალი — 0.

ბალების მაქსიმალური რაოდენობა — 100.

კრიტიკული ბალი ყველა ჯგუფისთვის — 25 ბალი.

როგორც ვხედავთ, პრაქტიკაში ჩამოყალიბებუ-

ლი საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდებს ბევრი საერთო აქვთ. ყველა ისინი გულისხმობენ რეპუტაციის, კრედიტუნარიანობის, კაპიტალის საკმარისობის, უზრუნველყოფის ხარისხის, აგრეთვე დაკრედიტების პირობების (სესხის მიზნების, მისი ოდენობის, ვადების და კრედიტის დაბრუნების პირობების) შეფასებას.

არსებობს კლიენტების კრედიტუნარიანობის ანალიზის სხვა მიდგომებიც. კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზის საფუძველში ჩადებულია საჭირო ინფორმაციის შეკრება, რაც უფრო სრულად დაახასიათებს კლიენტს. მაგალითად, აშშ მიღებული იურიდიული აქტი — დებულება „ბ“ განსაზღვრავს ძირითად კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა იყოს დაცული ბანკების მიერ ანკეტების (განცხადებების კრედიტის გაცემაზე) შედგენის და კლიენტის კრედიტუნარიანობის დადგენის დროს. კერძოდ, „ბ“ დებულებაში გათვალისწინებულია, როგორ შეიძლება გამოიყენოს ბანკმა ინფორმაცია კლიენტების კრედიტუნარიანობის ბალობრივი სისტემით შეფასების შესახებ; განსაზღვრულია ინფორმაციის წრე, რომელსაც ვერ გამოითხოვს ბანკი და ვერ გამოიყენებს კლიენტის წინააღმდეგ. დებულება უზრუნველყოფს კლიენტის კრედიტუნარიანობის უკეთესი შეფასების პირობებს (მაგალითად, მსესხებელი ვალდებულია ანკეტაში შეიტანოს ინფორმაცია ქმრის (ცოლის) შესახებ ბანკში სესხისთვის მიმართვის დროს, მიუხედავად ვალებზე სოლიდარული პასუხისმგებლობისა). კრედიტორები ვალდებული არიან შეატყობინონ მსესხებლებს სესხის გაცემის შესაძლებლობის შესახებ 30 დღის განმავლობაში სესხის გაცემაზე განცხადების მიღების მომენტიდან.

უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება “SWOT”(S – strong, W – weak, O – opportunities, T – threat) ანალიზის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მსესხებლის ძლიერი და სუსტი მხარეების, მისი პოტენციური შესაძლებლობების და რისკების გამოვლენა. ამგვარად, ინფორმაციის ანალიზის ძირითადი მიზნები, რომლებიც ახასიათებს მსესხებლის კრედიტუნარიანობის დონეს, არის:

- განმცხადებლის სიტუაციის ძლიერი მხარეების განსაზღვრა;
- პოტენციური მსესხებლის სუსტი მხარეების გამოვლენა;
- განსაზღვრა, თუ როგორი სპეციფიკური ფაქტორებია უფრო მნიშვნელოვანი მსესხებლის წარმატებული საქმიანობის გასაგრძელებლად;
- შესაძლო რისკები დაკრედიტების დროს.

ბანკირების მიერ კლიენტების საფინანსო ანგარიშების ანალიზს ორი ფორმა აქვს: შიდა და გარე. გარე ანალიზი გულისხმობს ამ მსესხებლის სხვებთან შედარებას. შიდა ანალიზი კი საფინანსო აღრიცხვიანობის სხვადასხვა ნაწილების შედარებას ერთმანეთთან დინამიკაში გარკვეული დროის მანძილზე.

შიდა ანალიზს ხშირად უწოდებენ კოეფიციენტების ანალიზს. მიუხედავად ანალიტიკური პროცესის მნიშვნელობისა, საფინანსო კოეფიციენტებს აქვთ

ორი მნიშვნელოვანი ნაკლი: 1) ისინი არ იძლევიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კლიენტის ოპერაციები; 2) წარმოადგენენ წინა ინფორმაციას, მაგრამ კრედიტებს გაცემენ მომავალში. ამიტომ ბანკის ანალიტიკოსს უწევს მუშაობა არა მხოლოდ ფაქტიურ მონაცემებთან, არამედ „რთული“ ინფორმაციის (შეხვედრების, შეფასებების, პროგნოზების და ა. შ.) შეფასებასთანაც. კლიენტის საკრედიტო განაცხადი შეიძლება იყოს უარყოფილი, თუკი, ვთქვათ, სესხის გაცემა იქნება ბანკის მიერ საკრედიტო პოლიტიკის დარღვევა.

დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში კლიენტების დაკრედიტების მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ მსესხებლისთვის (ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის) კრედიტის მიცემის ნებისმიერი პროცესის ცენტრში დგას ადამიანი. მაგალითად, გერმანიაში გაცემული კრედიტის სახეობის, ე.ი. სამომხმარებლო ან, ვთქვათ, საინვესტიციო კორპორაციული კრედიტის მიუხედავად, მსესხებელმა უნდა წარადგინოს რიგი დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებენ მის პირადულ თვისებებს და პირად კრედიტუნარიანობას.

ინფორმაციაში, რომელიც აინტერესებს გერმანულ ბანკებს კრედიტის გაცემის საკითხის გადწყვეტის დროს, შედის:

– საკითხები, რომლებიც ახასიათებს მენარმის პირად თვისებებს: ხასიათი, მანერები, ქცევა, გარეგნობა, მეტყველება, ლიაობის ხარისხი (ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის მონაცემების გახსნილობა), ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, ოჯახური ვითარება, სოციალური როლი მეწარმეობის გარეთ, საპატიო თანამდებობები, ჰობი;

– საერთო განათლება, სასწავლო დაწესებულებიდან მოწმობის ასლი განათლების შესახებ, კვალიფიკაცია, სამეწარმეო ნიჭი, დამოკიდებულება რისკის მიმართ (აზარტულობა), ინტერესი ეკონომიკის და წარმოების ორგანიზაციისადმი, დაგეგმვის ნიჭი;

– ტექნიკური კვალიფიკაცია, სპეციალური განათლება, პროფესიული განვითარება, გამოცდილება, სამუშაო სპეციალიზაცია;

– ფიზიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა (ადრინდელი და ქრონიკული დაავადებები), დატვირთვის ზღვარი, სპორტით დაკავება;

– ქონება: მონაწილეობის დონე წარმოების საქმეებში, პირადი ქონება, უძრავი ქონება, შემოსავლის სხვა წყაროები, საკუთარი შემოსავალი წარმოების მოგებიდან, საკუთარი ვალები, საგადასახადო ვალები, ოჯახის წევრთა ქონებრივი მდგომარეობა, საკრედიტო დაწესებულებებთან ურთიერთობის ინტენსიურობა, კონკურსებში მონაწილეობა.

ყველა ჩამოთვლილ პირობას აქვს სხვადასხვაგვარი გავლენა და მნიშვნელობა ყოველი კონკრეტული მსესხებლისთვის. მაგალითად, გერმანულ ბანკებში კლიენტისა და ბანკის ხანგრძლივი ურთიერთობების

დროს, როდესაც ამ უკანასკნელისთვის ცნობილია კლიენტის შემოსავალი და გასავალი, კრედიტის გაცემა ხორციელდება ფაქტობრივად ავტომატურად.

კლიენტების ანკეტების გამოყენების გარდა მათი კრედიტუნარიანობის ანალიზისთვის ბანკებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ადგილობრივი საკრედიტო ბიუროებიდან. ამ ინფორმაციას აგრეთვე იყენებენ კლიენტის კრედიტუნარიანობის ანალიზისთვის. დასავლეთის ქვეყნებში კანონი კლიენტს შესაძლებლობას აძლევს შეამოწმოს ინფორმაცია, რომელიც ეხება მის ფინანსურ მდგომარეობას და არის საკრედიტო ბიუროში. შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში კლიენტი აცხადებს ამის შესახებ ბიუროში მის გამოსასწორებლად. ხოლო ბიურო, თავის მხრივ, ატყობინებს ყველა კრედიტორს, რომლებმაც მიიღეს მცდარი ინფორმაცია კლიენტის შესახებ. თუკი ინფორმაციის სიზუსტე ინვესტს ეჭვს და კამათს, მაშინ კლიენტს შეუძლია მუდმივად შეიტანოს ფაილში თავისი კორექტივები.

ამჟამად გერმანიაში ყველა კომერციული ბანკი ვალდებულია გასცეს ინფორმაცია ყველა სესხების და მსესხებლების შესახებ ბუნდესბანკის სპეციალურ დეპარტამენტში, რომლის საშუალებითაც შეიძლება სისტემატურად გაანალიზდეს, გაკონტროლდეს ბანკების საქმიანობის ეს სფერო და საჭიროებისამებრ შეტანილი იყოს გარკვეული ცვლილებები. საფრანგეთში და ბელგიაში კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ ცენტრალური ბანკიდან მიიღონ ინფორმაცია არაგადამხდელების შესახებ. ლუქსემბურგში ეს უფლება არა აქვთ იმის გამო, რომ ვალდებული არიან შეინახონ ბანკის საიდუმლოება, მაგრამ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ გადაიტანო, მაგალითად, კლიენტის ანაბარი ბანკში, რომელმაც სესხი გასცა.

ასევე აუცილებელია შეფასდეს მსესხებლის რეპუტაცია. მისი შეფასების ერთ-ერთი მეთოდია — საკრედიტო სქორინგის მეთოდი. სქორინგის ჩატარების მოდელს თვითოეული ბანკი შეიმუშავებს დამოუკიდებლად, გამომდინარე იმ თავისებურებებიდან, რომლებიც ახასიათებს ბანკს და მის კლიენტურას, აგრეთვე გათვალისწინებულია საბანკო კანონმდებლობის ხასიათი და ქვეყნის ტრადიციები. საკრედიტო სქორინგის ტექნიკა პირველად იყო შეთავაზებული ამერიკელი ეკონომისტის დ. დიურანის მიერ 1940—ანი წლების დასაწყისში სამომხმარებლო კრედიტზე მსესხებლების შესარჩევად¹. დ. დიურანმა გამოყო ფაქტორთა ჯგუფი, რომლის მიხედვითაც, მისი აზრით, შეიძლებოდა საკმარისი მტკიცებულებით განსაზღვრულიყო საკრედიტო რისკის ხარისხი ამა თუ იმ მსესხებლისთვის სამომხმარებლო სესხის გაცემის დროს. ბალების დარიცხვის დროს მან გამოიყენა შემდეგი კოეფიციენტები:

ასაკი: 0,1 ბალი ყოველ წელზე 20 წლის ზემოდ (მაქსიმუმ — 0,30);

სქესი: ქალი — 0,40, მამაკაცი — 0;

ცხოვრების ვადა: 0,042 მოცემულ ადგილზე ცხოვრების ყოველ წელზე (მაქსიმუმ — 0,42);

პროფესია: 0,55 — დაბალი რისკის პროფესიისთვის, 0 — მაღალი რისკის პროფესიისთვის და 0,16 — სხვა პროფესიებისთვის;

დარგში მუშაობა: 0,21 — საზოგადოებრივი სარგებლობის წარმოებები, სახელმწიფო წარმოებები, ბანკები და საბროკერო ფირმები;

დასაქმება: 0,059 — მუშაობის ყოველ წელზე აღნიშნულ წარმოებაში (მაქსიმუმ — 0,59 ბალი).

ფინანსური მაჩვენებლები: 0,45 — საბანკო ანგარიშისთვის, 0,35 — უძრავი ქონებისთვის, 0,19 — სიცოცხლის სადაზღვევო პოლისისთვის.

ამ კოეფიციენტების გამოყენებით დ. დიურანმა გაავლო ზღვარი „კარგ“ და „ცუდ“ კლიენტებს შორის — 1,25 ბალი. კლიენტი, რომელმაც დააგროვა 1,25 ბალზე მეტი, ითვლებოდა კრედიტუნარიანად, ხოლო 1,25 ნაკლები ქულით ბანკისთვის არასასურველ კლიენტად.

სქორინგის მეთოდს შეუძლია კლიენტის თანდასწრებით ჩაატაროს კრედიტზე განაცხადის ექსპრეს-ანალიზი. მაგალითად, ფრანგულ ბანკებში კლიენტს, რომელიც ითხოვს პერსონალურ სესხს და ავსებს ანკეტას, შეუძლია მიიღოს ბანკირისგან პასუხი სესხის გაცემის თაობაზე რამდენიმე წუთის განმავლობაში.

დღეს ძირითადი ბანკები თავისი კლიენტების კრედიტუნარიანობის ანალიზისთვის ამუშავებენ სხვადასხვა მიდგომებს. ამასთან ერთად ყოველი კონკრეტული ბანკი შეიმუშავებს პოტენციური მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების საკუთარ სისტემას გარიგებების კონკრეტული პირობების, ბანკის მუშაობის პრიორიტეტების, მისი სპეციალიზაციის, ბაზარზე ადგილის, კონკურენტუნარიანობის, კლიენტურასთან ურთიერთობის მდგომარეობის, ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის დონის მიხედვით და ა. შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ. ხანთაძე გ. — საბანკო საქმე, სახელმძღვანელო.— თბილისი; გამომცემლობა „დანი“ 2014.— 600 გვ.
2. ხანთაძე გ. ცაავა გ. — საბანკო ოპერაციები, სახელმძღვანელო.— თბილისი; გამომცემლობა „დანი“, 2013.— 400 გვ.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი — www.nbg.ge

ეროვნული ბანკის ურთიერთობა კომერციულ ბანკებთან და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

თამარ ლავგილავა, სტუ-ს მაგისტრი

რეზიუმე

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ყველაზე აუცილებელი და ამავე დროს ერთ-ერთი ურთულესი სფეროა, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა დარგზე.

დღესდღეობით საქართველოს საბანკო სისტემა ეროვნული ბანკის დამსახურებით მეტი საიმედოობით გამოირჩევა, რის გამოც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, როგორც საბანკო სისტემის მდგრადობაზე პასუხისმგებელმა ორგანომ, თავისი საზედამხებ-ველო ფუნქციის განხორციელებისას აქცენტი უპირატესად გადაიტანა კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასებაზე, კერძოდ ისეთ პარამეტრებზე, როგორცაა კაპიტალი, აქტივები, ლიკვიდობა და მოგება-მენეჯმენტის საკითხები.

Summary

Bank system is one of the most important and at the same time one of the most difficult fields, that makes influence on practically all fields of economy.

At the present moment due to the National Bank the bank system became more reliable, that is why the National Bank of Georgia as the authority responsible for stability of bank system, while fulfillment of its supervision functions focused its attention on evaluation of financial state of commercial banks and in particular on such parameters as capital, assets, liquidity and income management.

* * * * *

საბანკო სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. კომერციული ბანკების საქმიანობის მეშვეობით ქვეყანაში ხდება თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია, კაპიტალის წყაროების ჩამოყალიბება გაფართოებული კვლავწარმოების შეუფერხებელი განხორციელებისათვის, ამ პროცესის ყველა მონაწილის: სახელმწიფოს, სამეურნეო სუბიექტების, მოსახლეობის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების გადანაწილების გზით.

ბანკები არა მარტო კომერციულ დაწესებულებებს, არამედ მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტებსაც წარმოადგენენ. ისინი როგორც კომერციული საწარმოები მაქსიმალურად შესაძლო მოგების მიღებით არიან დაინტერესებულნი, ხოლო როგორც სოციალური ინსტიტუტები ფინანსური ინფრასტრუქტურის მთავარ რგოლს წარმოადგენენ და საბიუჯეტო სისტემასთან ერთად სახელმწიფოს ფუნქციონირების სტაბილური პირობების და მოსახ-

ლეობის საყოფაცხოვრებო დონის ამაღლების უზრუნველყოფას ემსახურებიან.

საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ყველაზე აუცილებელი და ამავე დროს ერთ-ერთი ურთულესი სფეროა, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა დარგზე.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს ეკონომიკური ზრდის მაღალი და მდგრადი ტემპების უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ეკონომიკაში საბანკო სექტორის როლის ამაღლება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა ბანკებს შორის ურთიერთობების ორ სიბრტყეში აგებულიაზე არის აგებული: ვერტიკალურზე და ჰორიზონტალურზე. ვერტიკალური ურთიერთობები ცენტრალურ ბანკს, რომელიც “ბანკთა-ბანკის”, მმართველობის ცენტრსა და დაქვემდებარებულ რგოლებს შორის ურთიერთობას ითვალისწინებს. ჰორიზონტალური ურთიერთობები — კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობებს ითვალისწინებს.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, დღის წესრიგში დადგა არსებული ეკონომიკური სისტემის შეცვლა საბაზრო ეკონომიკით, რასაც მოჰყვა ამ სისტემისათვის დამახასიათებელი კომერციული საბანკო სისტემის ფორმირება. ეს პროცესი საქართველოში სტიქიურად დაიწყო. 1989 წ. 20 ბანკი ფუნქციონირებდა, 1990 წლის ბოლოსათვის 200 გადააჭარბა. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური რეფორმების კომპლექსურ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი საკრედიტო ორგანიზაციას. მიღებულ იქნა კანონები ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ. ამ კანონებით ქვეყნის ტერიტორიაზე ბანკებს მიეცა თანაბარ პირობებში ფუნქციონირების საშუალება. საქართველოს საკრედიტო სისტემის სტრუქტურა XXI საუკუნის დასაწყისისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1) საქართველოს ეროვნული ბანკი; 2) კომერციული ბანკები; 3) სპეციალიზებული საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემის ახალი სტრუქტურა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო სისტემის ფორმირებას გააჩნდა და დღესაც გააჩნია რიგი ნაკლოვანებებისა. საწყის ეტაპზე იქმნებოდა საფინანსო ინსტიტუტები სუსტი ფინანსური ბაზით, რის გამოც კლიენტების ხარისხიან მომსახურებას ვერ უზრუნველყოფდნენ, ძირითადად იძლეოდნენ მოკლევადიან კრედიტებს, გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსები ქვეყნის

კომერციულ ბანკებს ფაქტობრივად არ გააჩნდათ. თანდათან მიმდინარეობდა ბანკების შერწყმისა და განმსხვილების ტენდენცია. ამით იყო განპირობებული, რომ 228 კომერციული ბანკიდან 2009 წლისათვის ფუნქციონირებდა 20 ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონით და საქართველოს კონსტიტუციით. მთავარი ფუნქცია მონეტარულ ნაწილში არის ფასებისა და ბაზრის სტაბილიზაცია, რაც დაკავშირებულია ანტიინფლაციური პოლიტიკის წარმართვასთან. ინფლაცია ხშირად დაკავშირებულია ჭარბწარმოებასთან ან ხარჯების ზრდასთან. აქედან გამომდინარე, ინფლაციური წნევის შესარბილებლად გამოიყენება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები და უპირველესად, საალრიცხვო განაკვეთების აწევა. საალრიცხვო განაკვეთების გაძვირებით ძვირდება საკრედიტო რესურსების ფასი და შესაბამისად, იზრდება დეპოზიტების განაკვეთებიც. ერთის მხრივ კომერციული კრედიტის გაძვირება ამცირებს სამწარმოო საქმიანობას, მეორეს მხრივ ზრდის დეპოზიტების მიმზიდველობას ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. შესაბამისად, გარკვეული პერიოდის შემდეგ დეპოზიტების მიმზიდველობის გაზრდით, ხდება თავისუფალი ფულადი სახსრების საბანკო არხებში გადადინება, რაც მოთხოვნის შემცირების წინაპირობა ხდება. ნიშანდობლივია, რომ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პარალელურად საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაც ანალოგიურ რეჟიმში გადადის და სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებას უნდა ემსახურებოდეს. იგი უპირველესად, დამატებითი ხარჯების შემცირებას და საგადასახადო შეღავათების შემცირებას ითვალისწინებს საბიუჯეტო ადმინისტრირების ანუ გადასახადების ამოღების ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდა დაკავშირებულია შემოსავლების მატებასთან, რაც თავის მხრივ უშუალოდ შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიიღწევა. ამასთან სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდა საინვესტიციო აქტივობის ზრდასთან ერთად, დანაზოგების შემცირებასაც იწვევს და ზრდის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილსაც.

ცალკეა გამოსაყოფი საკრედიტო დაწესებულებების ზედამხედველობა, კონტროლი და რეგულირება; დღეს საქართველოში ეს ფუნქცია ეროვნულ ბანკს 2007 წლიდან აღარ აქვს და მას ახორციელებს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, რომელიც სტრუქტურულად გამოყოფილია ეროვნული ბანკისაგან. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საბანკო სისტემებში არიან ქვეყნები, სადაც საბანკო ზედამხედველობა შედის ცენტრალური ბანკების ფუნქციებში, ანალოგიურად მთელი რიგი ქვეყნები (ბალტიის სახელმწიფოები, სკანდინავიის ქვეყნები, ავსტრია, ხორვატია, ლუქსემბურგი და ა.შ), მათ შორის საქართველო დიფერენცირებულ მოდელს არჩევენ. საბანკო ზედამხედველობა მოიცავს გარე (off site) და შიდა (inn site) ინსპექტირებას. თანამედროვე ზედამხედ-

ველობის მეთოდოლოგია ეყრდნობა კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესს და აგებულია ხუთი კომპოზიტის პრინციპზე, რაც CAMEL-ის სისტემის სახით არის ცნობილი. იგი შემდეგნაირად იმეორება:

C- კაპიტალის ადექვატურობა (საკუთარი სახსრების შეფარდება მთლიან აქტივებთან);

A- აქტივების ხარისხის მაჩვენებელი ლიკვიდობისა და რისკების შენონვის მიხედვით;

M- მენეჯმენტის დონე ანუ მმართველების კვალიფიკაცია;

E- შემოსავლიანობა.

L- ლიკვიდობის მაჩვენებელი (ლიკვიდური აქტივების შეფარდება სხვა აქტივებთან);

დღეს საქართველოში საბანკო რეგულირება ეყრდნობა კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის CAMEL-ის სისტემით ანალიზისა და შეფასების მეთოდურ სახელმძღვანელოს.

თავის მხრივ საბანკო მენეჯმენტი ეყრდნობა ცნობილი "ოთხი თვალის" პრინციპსაც, რაც გულისხმობს ბანკის მინიმუმ ორი მენეჯერის მართვის დაშვებას. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ე.წ. ჩინეთის კედლის პრინციპი, რაც ბანკის მენეჯმენტისა და რგოლების ფუნქციების ისეთ გადანაწილებას გულისხმობს, რაც მაქსიმალურად აგვაცილებს ინტერესთა კონფლიქტების წარმოშობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცაავა გ. ხანთაძე გ. – საბანკო საქმე (სახელმძღვანელო) — თბილისი, გამომცემლობა „განი“, 2014, 600გვ.
2. ბასილაია კ. გლიპარტია ზ. — ფინანსური კონტროლი: სახელმძღვანელო, თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2012
3. Навои А. В. Центральный банк в глобальном хозяйстве - Москва: ГОУ ВПО „РЭУ им. Г.В. Плеханова, 2010-528с
4. www.nbg.gov.ge
5. www.imf.org

კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასება

თეა მაისურაძე, სტუ-ს მაგისტრი

რეზიუმე

Summary

თემაში “კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასება” განხილულია კომერციული ბანკების კაპიტალის და აქტივების, ასევე ბანკის ლიკვიდობისა და მოგების შეფასების კრიტერიუმები.

ლიკვიდობა წარმოადგენს ბანკის უნარს, აიტანოს ვალდებულებების შემცირება და უზრუნველყოს აქტივების ზრდა. ბანკს გააჩნია ადექვატური ლიკვიდობა, თუ მას შეუძლია სწრაფად და მისაღებ ფასებში, აქტივების კონცენტრაციის ან ვალდებულებების გაზრდის საშუალებით, მოიპოვოს აუცილებელი სახსრები. ბანკს უნდა ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა, რათა მან შეძლოს უზრუნველყოს თავის ბალანსში ყველა მოულოდნელი ცვლილება და მოიპოვოს განვითარებისათვის აუცილებელი სახსრები. ლიკვიდობის საფასური დამოკიდებულია ბაზრის პირობებზე და ამ პირობებში მისაღები რისკის დონეზე.

ბანკების სამეურნეო საქმიანობის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა. ბანკის უნარი, გამოიმუშავოს წმინდა მოგება, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ბანკებისადმი ნდობის მოპოვებას, მისი ოპერაციების გაფართოვებას და შესაბამისად კაპიტალის ზრდას. ბანკების საფინანსო საქმიანობის ანალიზი მოგების შეფასებასაც გულისხმობს. მოგების შეფასება შემდეგ ძირითად პროცედურებს მოიცავს: წმინდა მოგების ანალიზისათვის ჩატარებული შემონმების მიზნების განსაზღვრა, იმის დადგენა, თუ რამდენად საკმარისია დაბეგვრის მერე წმინდა მოგება ბანკის ოპერაციების ჩატარებისათვის, კაპიტალის ზრდისათვის, შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესაქმნელად, ფონდებში ანარიცხებისათვის, აქციონერთა დივიდენდებისათვის. მოგების ანალიზისას დაგინდება აგრეთვე აქტივების ხარისხი, ლიკვიდობის, ვალდებულებების მართვის და კაპიტალის შემონმების შედეგების შეჯამება და მათი კავშირი მოგებასთან.

The topics “On financial state of commercial banks” considers capital and assets of the bank as well as its illquidity and profit evaluation.

Liquidity is ability of the bank to stand reduction of obligations and provision of asset growth. The bank has an adequate liquidity in case it can find obligatory sources fast and at available prices by means of concentration of assets or increase of obligations. The bank should have sufficient liquidity in order to be able to secure all unexpected changes in its balance and find funds necessary for development. The price of liquidity depends on market terms and on the level of risk level available in such terms. Besides there should be taken into account the fact whether the bank management and chosen strategical directions correspond to situation of the financial market.

The main purpose of bank activities is gaining profit. Ability of the bank to earn net profit is the most important factor that determines confidence in bank, broadening of its operations and increasing of corresponding capital. Analyze of financial activities of banks means also evaluation of profit.

Evaluation of profit includes the following main procedures: determination of purposes of inspection carried out for analyzing net profit, ascertainment whether the profit remained after taxation is sufficient for carrying out bank operations, increasing capitals, creation of reserve funds for possible losses, payments to funds, share dividends. During income analyzes there is determined also the quality of assets, determination of liquidity, management of obligations and results of capital inspection as well as their connection with profit.

კომერციული ბანკები დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტებია. ისინი აწარმოებენ და რეალიზაციას უკეთებენ საფინანსო მომსახურებას კომერციული ანგარიშობის პრინციპებზე დაყრდნობით. ესენია: შემოსავლიანობის, იაფად ყიდვისა და ძვირად გაყიდვის, კლიენტებთან პარტნიორული ურთიერთობების და კონკურენციის პრინციპები. კომერციული ბანკები მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ ეროვნულ ეკონომიკაში. ესენია სამეურნეო სუბიექტების დაკრედიტება, საკრედიტო ფულის გამოშვება ეკონომიკაში, ანგარიშსწორებისა და გადასახდელების განხორციელება, კონსულტაციები, ეკონომიკური და ფინანსური ინფორმაციების წარდგენა და მაინც, კომერციული ბანკების საქმიანობის მთავარი მიმართულება დროებით თავისუფალი ფულად სახსრების მობილიზაცია და მათი კა-



პიტალად გადაქცევა.

კომერციული ბანკებს საკმაოდ მკაცრ კონკურენტულ გარემოში უბედობა მუშაობა. ამიტომ ბოლო პერიოდში ადგილი აქვს მათი უნივერსალიზაციის და ამავდროულად სპეციალიზაციის ურთიერთგამომრიცხავ პროცესს. ბანკების სპეციალიზაცია აძლიერებს მათი საქმიანობის უნივერსალიზაციის ტენდენციას.

თანამედროვე კომერციული ბანკები კლიენტების მომსახურების მრავალრიცხოვან ოპერაციებს ასრულებენ და შესაბამისად სოლიდურ შემოსავლებსაც ღებულობენ. 90-იანი წლებისათვის საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით განხორციელდა ახალი ტიპის, დამოუკიდებელი ქვეყნისათვის შესატყვისი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ეს იყო საკმაოდ რთული, წინააღმდეგობრივი პროცესი, რომელიც საკმაოდ მწვავედ და ხშირად შეცდომების ფონზე წარიმართა. 1995 წლიდან მოყოლებული სიტუაციის გაჯანსაღების ტენდენცია გამოიკვეთა. მოხდა საბანკო კანონმდებლობის მონესრიგება, მიღებული იქნა კანონები ეროვნული და კომერციული ბანკების შესახებ. უცხოეთის გამოცდილებით გათვალისწინებით და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით ქვეყანაში ჩამოყალიბდა ორიარუსიანი საბანკო სისტემა. ეროვნული ბანკი არსი ბანკების ბანკირი, რომელიც ახორციელებს ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებას და უშუალოდ ხელმძღვანელობს კომერციული ბანკების საქმიანობას; ახდენს მათ ლიცენზირებას და ზედამხედველობას.

თავდაპირველად 1991-1994 წლებში კომერციული ბანკების რიცხვი სწრაფად გაიზარდა. 1995 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 290-ს მიაღწია. ცხადია, ეს არ შეესაბამებოდა ქვეყნის ეკონომიკურ მოთხოვნებს. მომდევნო პერიოდში, საბანკო კანონმდებლობის დახვეწის შედეგად ხდებოდა მათი გაერთიანება, დახურვა ანდა უბრალოდ ლიცენზირების ჩამორთმევა. დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს 21 კომერციული ბანკი, მათგან 13-ში მნიშვნელოვანწილად წარმოდგენილია უცხოური კაპიტალი.

კომერციული ბანკების ეფექტიანი სამეურნეო ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მათ საკრედიტო პოტენციალზე. საკრედიტო პოტენციალი ეს არის ბანკში მობილიზებული ფულადი სახსრების დაკრედიტებისათვის ან სხვა საბანკო ოპერაციებისათვის გამოყენების ეკონომიკურად დასაბუთებული საზღვრები.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი ასახავს ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდესა და ლიკვიდობის რეზერვის სიდიდეს შორის სხვაობას. საკრედიტო პოტენციალის სიდიდეზე გავლენას ახდენს ბანკში მობილიზებული სახსრების საერთო ოდენობა, ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი აუცილებელი რეზერვების დონე, მისი გამოყენების რეჟიმი, ბანკის ვალდებულებების სტრუქტურა.

ბანკის საკრედიტო პოტენციალი ეფექტურად

გამოიყენება მაშინ, თუ ერთდროულად: უზრუნველყოფილია ლიკვიდობის აუცილებელი მინიმუმი, საკრედიტო პოტენციალის მთელი ერთობლიობა გამოიყენება და საკრედიტო პოტენციაზე მიიღწევა მაქსიმალურად მაღალი მოგება.

კომერციული ბანკების, როგორც სამეურნეო სუბიექტების ფუნქციონირების შეფასება მისი მუშაობის ეფექტიანობის შეფასებასაც გულისხმობს. ბანკი კომერციულ სანყისებზე ფუნქციონირებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მან უნდა დაფაროს ყველა ის ხარჯი, რაც მის სამეურნეო საქმიანობასთანაა დაკავშირებული და მიიღოს მოგება. ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელთა შეფასება საკმაოდ რთულია, რომელიც სპეციალურად შემუშავებული მეთოდის საფუძველზე ხორციელდება. საქართველოს კომერციული ბანკების მუშაობის ეფექტიანობის შეფასება ხდება ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდის საფუძველზე, რომელიც მოცემულია ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 10 აპრილის №95 ბრძანებაში „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების შესახებ“. აქ მოტანილია შეფარდებითი მაჩვენებლების მთელი სისტემა (თხუთმეტამდე კოეფიციენტი), რომლის მეშვეობით ხორციელდება კომერციული ბანკების მუშაობის ეფექტიანობის შეფასება. ეროვნული ბანკი აწესებს თვითოეული ამ კოეფიციენტის ნორმატივს, რომლის დაცვაც ბანკისათვის აუცილებლობას წარმოადგენს.

კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი თავისთავად გულისხმობს მისი კაპიტალის შეფასებას. ბანკის კაპიტალი წარმოადგენს საბანკო საქმიანობის განხორციელების და მისი სტაბილური ზრდის, ბანკის საიმედობის და მდგრადობის უზრუნველყოფის ძირითად ბაზას.

კაპიტალის სიდიდე განსაზღვრავს ბანკის გადახდისუნარიანობას, ამიტომ ბანკის ფუნქციონირების უპირველესი მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი და შესაბამისად თავიდან აიცილოს გადახდის-უნარიანობის წარმოქმნის შესაძლებლობა, წმინდა საბუღალტრო თვალსაზრისით ბანკის კაპიტალი არის სხვაობა მის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. კომერციული ბანკების კაპიტალის შეფასება გულისხმობს კაპიტალის პოლიტიკის, დივიდენდების პოლიტიკის, კაპიტალის ანგარიშების სისწორის განსაზღვრის, კაპიტალის ადექვატურობის შეფასებას, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება კაპიტალის რეიტინგის განსაზღვრა. ბანკის კაპიტალის რეიტინგი განისაზღვრება 1-დან 5 ბალიანი სისტემით. პირველი დამაკმაყოფილებელ კაპიტალ-მდგომარეობას განსაზღვრავს. ბოლო — მეხუთე კი მის კრიტიკულ მდგომარეობაზე მეტყველებს. ბანკის მენეჯმენტის ძირითადი მიზანი და ამოცანაა შეინარჩუნოს პირველი რეიტინგის შესაფერისი საბანკო კაპიტალი.

ბანკის ფინანსური მდგომარეობის შემოწმება გულისხმობს ლიკვიდობისა და მოგების შეფასებასაც. ლიკვიდობა წარმოადგენს ბანკის უნარს

აიტანოს ვალდებულებების შემცირება და უზრუნველყოს აქტივების ზრდა. ნორმალური ლიკვიდობის პირობებში ბანკს შეუძლია სწრაფად და მისაღებ ფასებში, აქტივების კონცენტრაციის ან ვალდებულებების გაზრდის საშუალებით მოიპოვოს აუცილებელი სახსრები. კომერციული ბანკების ლიკვიდობის შეფასებისათვის აუცილებელია რიგი პროცედურების ჩატარება. მათგან აღსანიშნავია: ლიკვიდობის პოლიტიკის და მენეჯმენტის, საინფორმაციო სისტემის, ლიკვიდობის ადექვატურობის, საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პოლიტიკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის ადექვატურობის, მენეჯმენტის, ფასების გაანგარიშების, ჰეჯინგური ოპერაციების, საანაგრიშგებო მექანიზმების ადექვატურობის შეფასება. საბოლოოდ ხდება ბანკის აქტივების (პასივების) მართვისათვის ლიკვიდობის რეიტინგის მინიჭება. საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდური რეკომენდაციებით კომერციული ბანკის ლიკვიდობის რეიტინგი განსიზღვრება 1-დან 5-მდე ნიშნულით. ბანკის ლიკვიდობა რეიტინგით 1 ნიშნავს რომ მისი ლიკვიდობის დონე დამაკმაყოფილებელია, ხოლო რეიტინგი 5 ლიკვიდობის კრიტიკული მდგომარეობის მიმანიშნებელია.

ბანკების სამეურნეო საქმიანობის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა. ბანკის უნარი, გამოიმუშავოს წმინდა მოგება, წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ბანკებისადმი ნდობის მოპოვებას, მისი ოპერაციების გაფართოვებას და შესაბამისად კაპიტალის ზრდას. ბანკების საფინანსო საქმიანობის ანალიზი მოგების შეფასებასაც გულისხმობს. მოგების შეფასება შემდეგ ძირითად პროცედურებს მოიცავს: წმინდა მოგების ანალიზისათვის ჩატარებული შემოწმების მიზნებ ის განსაზღვრა, იმის დადგენა, თუ რამდენად საკმარისია დაბეგვრის მერე წმინდა მოგება ბანკის ოპერაციების ჩატარებისათვის, კაპიტალის ზრდისათვის, შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესაქმნელად, ფონდებში ანარიცხებისათვის, აქციონერთა დივიდენდებისათვის. მოგების ანალიზისას დგინდება აგრეთვე აქტივების ხარისხი, ლიკვიდობის, ვალდებულებების მართვის და კაპიტალის შემოწმების შედეგების შეჯამება და მათი კაშვირი მოგებასთან.

ბანკის მოგების საფუძვლიანი გაანალიზება ბანკების ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობა და მისი სამეურნეო საქმიანობის წარმატების საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასილაია კ., ლიპარტია ზ., — ფინანსური კონტროლი; სახელმძღვანელო, თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2012;
2. ბურდიაშვილი რ., — ბუღალტრული აღირცხვა ბანკებში. — თბილისი, გამ—ბა „პოლიგრაფისტი“, 2013;
3. ბერიძე რ. — საბანკო მენეჯმენტი (სახელმძღვანელო) — თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007;
4. ელიავა ლ. — საბანკო კრიზისების პროგნოზირება, გამომცემლობა „დარგები“, 2013;
5. პაპავა ვ. — „პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები. საქ. სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთერთობათა კვლევის ფონდი. თბ., 2013;
6. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ“;
7. ქოქიაური ლ. — საბანკო საქმიანობის საფუძვლები, ტ. I-II. - თბილისი, სტუ—ს გამომცემლობა — 2010;
8. Thomas Liaw K. – The Business of Investment Banking: A comprehensive overview, - third edition, published by John Wiley & Sond, Inc., Hoboken, New Jersey, 2011;
9. Банки и банковское дело. Краткий курс: Учеб. пособие/Под ред. д.э.н., проф. И.Т. Балабанова. СПб: Питер, 2002.



საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის განვითარების თავისებურებები

დავით კერესელიძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

Summary

Financial-budgetary Development System Features

საფინანსო სისტემა, ეს იმ ფინანსური რგოლების ერთობლიობაა, რომელთა დანიშნულებაა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქციების განხორციელების უზრუნველყოფა. იგი შედგება, ერთი მხრივ, სახელმწიფო ფინანსებისგან, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო საწარმოების, კორპორაციებისა და მონოპოლიების ფინანსებისგან.

Financial system, it is the combination of financial institutions, which are designed to ensure the implementation of the state's political and economic functions. It consists on the one hand public finance and on the other hand the finances of private enterprises, corporations and monopolies.

მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ეპოქაში საფინანსო სისტემას ორი რგოლი ჰქონდა: სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი ფინანსები. ისინი იძლეოდნენ ფულადი სახსრების იმ ფონდების ჩამოყალიბების შესაძლებლობას, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო თავის ფუნქციებს ასრულებდა. საწარმოო ძალთა განვითარების და ეკონომიკაში მიმდინარე ღრმა ცვლილებების გავლენით ფინანსური სისტემის სტრუქტურა იცვლება. გამოიყოფა და ვითარდება ახალი ფინანსური რგოლები, მათულობს მათი დამოუკიდებლობა.

Before the era of monopoly capitalism the financial system had two circles: the state budget and local finances. They provide an opportunity to establish the foundations of funds, which allow the state to perform its functions. Production capacities for the development and influence of the profound changes taking place in the economy is changing the structure of the financial system. There have been allocated and developed new financial circles, increasing their independence.

ქვეყანაში ჩამოყალიბებული საფინანსო სისტემა სახელმწიფოს ერთ—ერთი წამყვანი მახასიათებელია. მის პოლიტიკურ წყობასთან, გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან თუ რესურსებით უზრუნველყოფასთან ერთად ფინანსური სისტემაც დიდწილად განსაზღვრავს საზოგადოების კეთილდღეობას ქვეყნის განვითარების ტემპს და მის ადგილს მსოფლიო მეურნეობაში. ფინანსური სისტემის კონკრეტულ სტრუქტურას შეუძლია გავლენა იქონიოს არა მარტო ეკონომიკური მაჩვენებლების ჩამოყალიბებაზე, არამედ მეცნიერებისა და წარმოების ამა თუ იმ მიმართულების განვითარებასა და სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებზე, ოჯახურ მეურნეობებზე და სხვა. ბუნებრივია, რომ ყველა ქვეყანას თავისი უნიკალური, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფინანსური სისტემა აქვს, რომლის მეშვეობითაც მეტ—ნაკლებად წარმატებებს აღწევს, თუმცა, არც ერთი მათგანი არაა იდეალური. ამის მიუხედავად შეგვიძლია პირობითად გამოვყოთ საფინანსო სისტემების ორი ჯგუფი: განვითარებული საბაზრო ქვეყნების საფინანსო სისტემა და საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების საფინანსო სისტემა, რომლებიც, ცხადია, თავადაც საკმაოდ განსხვავებულ საფინანსო სისტემებს აერთიანებენ.

The state of the financial system in the country is one of the leading indicators. Its political system, the geopolitical situation of the financial resources of the public welfare system is largely determined by the pace of development of the country and its place in the world economy. The specific structure of the financial system can affect not only the development of economic indicators, but also the development of science and industry in a certain direction and various social institutions, family farms and more. Naturally, every country has its own unique, historically developed financial system, through which succeeds more or less, however, none of them is ideal. Nevertheless, we can conventionally distinguish financial systems in two groups: developed market countries and in transition to a market economy and the financial system, both of them of course, incorporate quite different financial systems.

* * * * *

საფინანსო სისტემა, ეს იმ ფინანსური რგოლების ერთობლიობაა, რომელთა დანიშნულებაა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქციების განხორციელების უზრუნველყოფა. იგი შედგება, ერთი მხრივ, სახელმწიფო ფინანსებისგან, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო საწარმოების, კორპორაციებისა და მონოპოლიების ფინანსებისგან.

მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ეპოქაში საფინანსო სისტემას ორი რგოლი ჰქონდა: სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი ფინანსები. ისინი იძლეოდნენ ფულადი სახსრების იმ ფონდების ჩამოყალიბების შესაძლებლობას, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო თავის ფუნქციებს ასრულებდა. საწარმოო ძალთა განვითარების და ეკონომიკაში მიმდინარე ღრმა ცვლილებების გავლენით ფინანსური

სისტემის სტრუქტურა იცვლება. გამოიყოფა და ვითარდება ახალი ფინანსური რგოლები, მატულობს მათი დამოუკიდებლობა.

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო საფინანსო-საბიუჯეტო სისტემა განვითარებულ ქვეყნებში ოთხ რგოლს მოიცავს:

- სახელმწიფო ბიუჯეტი;
- ადგილობრივი ფინანსები;
- სპეციალური არასაბიუჯეტო ფონდები;
- სახელმწიფო საწარმოთა ფინანსები.

სახელმწიფო ფინანსების წამყვანი რგოლია სახელმწიფო ბიუჯეტი. მატერიალური შინაარსის მიხედვით იგი სახელმწიფოს ფულადი სახსრების მთავარი ცენტრალიზებული ფონდია. ბიუჯეტი ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ძირითადი საშუალებაა. ფინანსური სისტემის ამ რგოლის მეშვეობით ეროვნული შემოსავლის თითქმის 40%—ს გადაანაწილებენ ხოლმე. სახელმწიფო ბიუჯეტში თავს იყრის უმსხვილესი შემოსავლები, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საერთო—სახელმწიფო ხარჯები. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 90 პროცენტამდე გადასახადების მეშვეობით ამოიღება. რომლებიც მთელი შემოსავლების 70—90%—ს და მეტსაც კი შეადგენენ. განვითარებულ საბაზრო ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტზეა „მიმაგრებული“ მთავარი გადასახადები — ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციების მოგების გადასახადი, დღგ, აქციზები, და საბაჟო გადასახადი; სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადის ისეთი ძირითადი ხარჯები, რომლებიც ხმარდება სამხედრო მიზნებს, ეკონომიკაში ჩარევას, სახელმწიფო აპარატის შენახვას, სოციალურ მიზნებს, განვითარებად ქვეყნებზე გაცემულ სუბსიდიებსა და კრედიტებს.

თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტი მჭიდრო კავშირშია ფინანსური სისტემის სხვა რგოლებთან. იგი მაკოორდინებელ ცენტრად გვევლინება და სათანადო დახმარებას უწევს მათ საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ესაა საბიუჯეტო სუბსიდიების, კრედიტებისა და გარანტიების სახით განეული დახმარება, რომელიც ფინანსური სისტემის დანარჩენი რგოლების ნორმალურ ფუნქციონირებასა და მათზე დაკისრებული ამოცანების გადაჭრას უზრუნველყოფს.

თანამედროვე პირობებში სულ უფრო მზარდ ყურადღებას იმსახურებს ადგილობრივი ფინანსები, მალდება მათი როლი და ხვედრითი წილი ფინანსურ სისტემაში. ადგილობრივი ფინანსები მოიცავენ მეორეხარისხოვანი გადასახადების ფართო ჯგუფს (ძირითადად — ქონების), ადგილობრივი კრედიტის სისტემასა და სპეციალურ ფონდებს. ამ რგოლში ცენტრალური ადგილი უჭირავს ადგილობრივ ბიუჯეტებს, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში და გარკვეული დამოუკიდებლობა გააჩნიათ. ადგილობრივი ფინანსების სტრუქტურას განსაზღვრავს სახელმწიფო წყობა და მისი ადმინისტრაციული დაყოფა. ამ რგოლს თან-

ამედროვე პირობებში სულ უფრო ხშირად იყენებენ ეკონომიკური მიზნით, — სამეურნეო პროცესების რეგულირებისთვის. საამისოდ ადგილობრივი ბიუჯეტების მნიშვნელოვან ნაწილს ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ წარმართავენ.

საფინანსო სისტემის თითოეული რგოლი ფინანსურ ურთიერთობათა გარკვეულ სფეროდ გვევლინება, მთლიანობაში კი ეს სისტემა იმ ფინანსურ ურთიერთობათა სხვადასხვა სფეროს ერთობლიობაა, რომლის პროცესშიც ხდება ფულადი სახსრების ფონდების წარმოქმნა და გამოყენება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „საფინანსო სისტემა არის სახელმწიფოსა და საწარმოების ფულად საშუალებათა ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების ფორმებისა და მეთოდების სისტემა.“

ქვეყანაში ჩამოყალიბებული საფინანსო სისტემა სახელმწიფოს ერთ—ერთი წამყვანი მახასიათებელია. მის პოლიტიკურ წყობასთან, გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან თუ რესურსებით უზრუნველყოფასთან ერთად ფინანსური სისტემა ცდილობს განსაზღვრავს საზოგადოების კეთილდღეობას ქვეყნის განვითარების ტემპს და მის ადგილს მსოფლიო მეურნეობაში. ფინანსური სისტემის კონკრეტულ სტრუქტურას შეუძლია გავლენა იქონიოს არა მარტო ეკონომიკური მაჩვენებლების ჩამოყალიბებაზე, არამედ მეცნიერებისა და წარმოების ამა თუ იმ მიმართულების განვითარებასა და სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებზე, ოჯახურ მეურნეობებზე და სხვა. ბუნებრივია, რომ ყველა ქვეყანას თავისი უნიკალური, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფინანსური სისტემა აქვს, რომლის მეშვეობითაც მეტ—ნაკლებად წარმატებულს აღწევს, თუმცა, არც ერთი მათგანი არაა იდეალური. ამის მიუხედავად შეგვიძლია პირობითად გამოვყოთ საფინანსო სისტემების ორი ჯგუფი: განვითარებული საბაზრო ქვეყნების საფინანსო სისტემა და საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების საფინანსო სისტემა, რომლებიც, ცხადია, თავადაც საკმაოდ განსხვავებულ საფინანსო სისტემებს აერთიანებენ.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ტრადიციულად ორი ტიპის ფინანსურ სისტემებს გამოყოფენ — სემგმენტირებულსა და უნივერსალურს. თუ ფინანსური სისტემა მკაცრად სემგმენტირებულია, მაშინ ბანკებს ეკრძალებათ არასაბანკო ოპერაციების შესრულება.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ახალი ინვესტიციების მოზიდვას და ფინანსური შუამავლობის გაფართოებას. ამიტომ ამ ქვეყნებში ძალიან აქტუალურია ფინანსური სექტორის საიმედოობის ზრდისა და მისი მოდერნიზების ამოცანები.

საფინანსო სისტემის მოდერნიზების მრავალწლიანი პროცესის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურ წარმატებებს ის ქვეყნები აღწევენ, სადაც რეფორმების ტემპები უფრო მაღალია.

განვითარებული ქვეყნების საფინანსო სისტემე-

ბის ისტორია იმას მოწმობს, რომ ფინანსური შუამავლობა თანდათანობით, ეტაპობრივად ღრმავდება, თანაც, ყოველ ეტაპს ის თავისებურებები ახასიათებს, რომლებიც ფინანსური სისტემის ამა თუ იმ ფუნქციის ან ინსტიტუტის წამყვან როლთანაა კავშირში. მთელი ეს პროცესი სამ ეტაპად შეგვიძლია დავყოთ, რომელთაგან პირველისთვის ფულადი ფუნქციები იყო წამყვანი. აქ იგულისხმება, ძირითადად:

- საგადასახადო—საანგარიშსწორებო ურთიერთობების განვითარება;
- მოსახლეობისგან სახსრების მოზიდვა დეპოზიტების სახით;
- მოკლევადიანი დაკრედიტება.

ამ ეტაპზე საფინანსო სისტემა, როგორც წესი, ბანკებითა და საკრედიტო დაწესებულებებითაა წარმოდგენილი.

მეორე ეტაპზე გააქტიურებულია საფინანსო სისტემის აკუმულაციური ფუნქცია:

- ფინანსური ინსტიტუტების გამსხვილება;
- რესურსების განაწილება და გადანაწილება, მათ შორის წვრილი მესაკუთრეების მოზიდვა;
- დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის გარანტირებული სისტემის შექმნა;
- სარწმუნო ინფორმაციის ბაზრის პირობების შექმნა.

მეორე ეტაპის წამყვანი ინსტიტუტებია ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები, სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები. ამავე ეტაპზე იწყება ფინანსების ბაზრის ინსფრასტრუქტურის აქტიურად განვითარება.

მესამე ეტაპზე წამყვანი ხდება საფინანსო სისტემის საინვესტიციო ფუნქცია. ამ დროს უკვე ამოქმედებულია რესურსების გადანაწილების ყველა საბაზრო მექანიზმი. აქტიურია საფონდო ბაზრები, ინოვაციური ინსტრუმენტები და ფინანსური შუამავლობის სხვა ინსტიტუტები, საინვესტიციო კომპანიები, ვენჩურული და სხვა ფონდები, რომლებიც საინვესტიციო საქმიანობას ახორციელებენ.

1990—იანი წლების ბოლოს, რუსეთის კრიზისის დასრულების შემდეგ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სასიკეთო პირობები შეიქმნა მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის. მკვეთრად დაინია საპროცენტო განაკვეთებმა, ბევრგან მოიმატა მოსახლეობის შემოსავლებმა, რამაც მოამწიფა ფინანსური სისტემების რეფორმები. ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის მარეგულირებელი და მათ განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების ძირითადი ამოცანები ამ ეტაპზე იყო:

- კანონმდებლობის დახვეწა და
- ფინანსური სისტემისადმი ნდობის ამაღლება საბანკო სისტემის „წმენდა“ ორი გზით წარმართა — შოკურით და ევოლუციურით.

შეიძლება ითქვას, რომ შოკი რუსეთის 1998წ. კრიზისმა გამოიწვია, როცა საბანკო სექტორში თვითწმენდა ჩატარდა სიცოცხლისუუნარო ბანკების ჩამოშორებით. მაგალითად, ერ—ში მათი რაოდენობა 700—ით შემცირდა, ყაზახეთში — 75—ით,

საქართველოში — 36—ით (1996—2002წწ); ევოლუციურ გზას მიმართეს სომხეთში, ყირგიზეთსა და იმ ქვეყნებში, რომლებიც ნაკლებად იყვნენ ინტეგრირებული რფ—ის ფინანსურ სისტემასთან.

XI ს დასაწყისში ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ფინანსური სისტემის განვითარების პირველი ეტაპი, შეიძლება ითქვას, დასრულდა. იგი ყველაზე წარუმატებელი გამოდგა უზბეკეთისა და ტაჯიკეთისთვის, სადაც საბანკო სექტორების წმენდა დასრულებული არ იყო, თუმცა, დღემდე ეს პროცესი რუსეთსა და უკრაინაშიც დიდ წინააღმდეგობებს აწყდება გავლენიანი წრეების მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ.კაკულია, კ.გაბელაშვილი. ფინანსების თეორია. მეხუთე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა თბ.,2012.
2. И.Н. Жук. Международные финансы, Мн., БГЭУ, 2001,см.4.-oleg-borisov.at.ua/load/0-0-0-79-20
3. საქართველოს ეკონომიკური ტანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. EI-LAT 2012.
4. www.mof.ge
5. www.statistics.ge;

გ.მჭედლიშვილი,
ნ.ჩხუბიანიშვილი,
შ.ანდლულაძე,

რეზიუმე

განხილულია გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში ეკოლოგიური აუდიტის, როგორც ეკოლოგიური მართვის (მენეჯმენტის) ინსტრუმენტის მნიშვნელობა.

მოცემულია ეკოლოგიური აუდიტის, როგორც ანალიზის პროცედურის აქტუალობის განმსაზღვრელი ფაქტორები და მიზეზები, დაფუძნებული ქვეყნების მდგრადი განვითარების გადასვლის პირობებზე, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი სერიის სტანდარტებზე, ევროკავშირის ეკოლოგიური მენეჯმენტის და აუდიტის სქემაზე.

მოცემული და დახასიათებულია ეკოლოგიური აუდიტის სახეები, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გარემოს მართვის სისტემის აუდიტზე, როგორც ორგანიზაციაში სტრუქტურის, სამუშაო პროცესთა უკეთ ორგანიზების, გარემოს დაცვითი ღონისძიებების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

განხილულია ეკოლოგიური აუდიტის მიზნის ძირითადი ასპექტები, მაგალითად, როგორცაა სანარმოს საქმიანობის შესაბამისობა ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან, ბუნებისდაცვითი ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლება სანარმოში ეკოლოგიური მენეჯმენტის გაუმჯობესების გზით და სხვა.

მოკლედაა განხილული ეკოლოგიური აუდიტის ჩატარების სტადიები, მითითებულია თითოეული სტადიის ამოცანები, გეგმები და მოქმედებები, აუდიტორული ჯგუფების დაკომპლექტების და კომპეტენციების საკითხები. ასევე ის მნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს დაცული აუდიტის ჩატარების დროს.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური აუდიტი, მდგრადი განვითარება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, მენეჯმენტი, ბუნებისდაცვითი ღონისძიებები

Summary

Environmental Audit: The Objective, Task and Importance

The publication highlights the importance of environmental audit, the eco-management instrument for environment protection and reasonable exploitation of natural resources.

The author of the study focuses on the factors and reasons behind the environmental audit, such as sustainable development of the countries, meeting the relevant series standards of the International Standardization Organization and the EU eco-management and audit scheme.

The study reflects various kinds of the eco-audit and the details thereof. A special emphasis is made on the audit of the eco-management system in terms of streamlining the structural arrangement, the work processes and the environment protection measures of an enterprise.

The publication also deals with the main aspects of the eco-audit, such as compliance of an enterprise operations with the local and international standards, better environment protection through improved eco-management of the enterprise etc.

Finally, the author touches upon the stages of the eco-audit, their relevant tasks, plans and actions, putting together the audit groups and assignment of the competences, as well as the guidelines the eco-audit is to rely on.

key words: Ecological audit, sustainable develop , International Standardization Organization, management , environment protection

* * * * *

გარემოს დაცვის აუდიტის ცნება ასახავს იმ სისტემას, რომელიც უპირველეს ყოვლისა, არის მართვის (მენეჯმენტის) ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება მის სისტემატურ, დოკუმენტირებულ, პერიოდულ და ობიექტურ შეფასებას, თუ რამდენად შედეგიანად ფუნქციონირებს გარემოს დაცვის სტრუქტურა და მართვა.

ეკოლოგიურმა აუდიტმა საწყისი განვითარება მიიღო, როგორც ანალიზის პროცედურამ კომპანიის საქმიანობის შესაბამისობის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან. ამ პროცედურის აქტუალობა განპირობებული იყო უპირველეს ყოვლისა XX საუკუნის 70-80-იან წლებისთვის დამახასიათებელი ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების გამკაცრებით, როგორც აშშ-სა და კანადაში, ასევე დასავლეთ ევროპაში. მენეჯერები

აუ-დიტს განიხილავდნენ, როგორც საშუალებას სახელმწიფო ორგანოების ინსპექციების მომზადების, ასევე ხერხს, რომელიც უზრუნველყოფდა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შეუსაბამობის დროულ გამოვლენას.

მდგრადი განვითარების გზაზე ქვეყნის გადასვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შერწყმა. ცხადია, რომ ამისთვის აუცილებელია ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფით, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე ცალკეულ საწარმოების დონეებზე. ეკოლოგიური აუდიტი წარმოადგენს - გენს, ერთის მხრივ, საწარმოს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემაში ერთ-ერთ რგოლს, ხოლო მეორე მხრივ, კონტროლის მეთოდს ორგანიზაციის საქმიანობის ეკოლოგიურ ასპექტებზე.

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ეკოლოგიური აუდიტი გულისხმობს აუდიტის ობიექტის (საწარმოს ან კომპანიის) საქმიანობის დოკუმენტირებულ შემონახვას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს გარემოზე მისი ზემოქმედების შეფასება და დადგენა წინასწარ განსაზღვრულ აუდიტის კრიტერიუმებთან მისი შესაბამისობა, კერძოდ: მოქმედ ბუნებისდაცვით კანონმდებლობასთან, დადგენილ შიდა სტანდარტებთან, საწარმოს ეკოლოგიურ პოლიტიკასთან, ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან.

ISO 9000-9004 სტანდარტებსა და გარემოსდაცვითი (ეკოლოგიური) აუდიტის შესახებ დადგენილებაზე დაყრდნობით, განასხვავებენ აუდიტის შემდეგ სახეებს:

- ნაკეთობათა აუდიტი;
- ტექნოლოგიის აუდიტი;
- გარემოს მართვის სისტემის აუდიტი;
- შესაბამისობის აუდიტი.

ნაკეთობის აუდიტი არის გარკვეული ნაკეთობის დამზადებისას გამოყენებული საშუალებებისა და ზომების შემოწმება, რაც უზრუნველყოფს გარემოს დაცვას.

ტექნოლოგიის ან წარმოების აუდიტის შედეგები გაცილებით მეტ ინფორმაციას იძლევა, ასე მაგალითად, გარემოს აუდიტის შესახებ ევროსაბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული შემონახვების კონცეფცია მოიცავს, ორგანიზაციაში გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესების შემოწმებას და შეფასებას იმ მიმართებით, რომ გამოყენებული იქნეს თანამედროვე, გარემოს დამზოგი (გარემოზე შეზღუდული მოქმედების) ტექნოლოგია.

ტექნოლოგიის ან წარმოების აუდიტი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება ორგანიზაციაში გარემოს დაცვის შედეგიანობის შემოწმებას წარმოების ტექნოლოგიური დონის, თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონის, აგრეთვე გარკვეულად მიზანმიმართული ტექნოლოგიებისა და ქმედებათა შემოწმებით.

გარემოს მართვის სისტემის შემოწმების საფუძველზე,

გარკვეული რაოდენობის საბოლოო ნაკეთობათა ან ნახევარფაბრიკატთა გამოკვლევით დგინდება, არის თუ არა და თუ არის, რა რაოდენობითაა გამოყენებული ნაკეთობათა წარმოებისას საშუალებები და ზომები, რომლებიც პასუხობს გარემოს დაცვის მოთხოვნებს და რამდენად შედეგიანად გამოიყენება.

ასეთი შემოწმებისას საფუძვლად მიიღება გარემოს დაცვის საკანონმდებლო-ნორმატიული მოთხოვნები, ტექნოლოგიური დოკუმენტაცია, აგრეთვე ნაკეთობათა დამზადებისთვის გამოყენებული ტექნიკური აღჭურვილება და ბოლოს, თავად საბოლოო ნაკეთობანი (წარმოებაში, საწყობში).

Информационные средства анализа бизнес-процессов лишь один из примеров информационных технологий, влияющих на глобализацию экономического сектора, вместе с ними на глобализацию экономики также влияют информационные технологии управления данными на предприятии, средства повышения эффективности работы и поддержки принятия решений и, конечно, технологии передачи и поиска информации, объединяющие весь мир в единую сеть.

Информационный аспект экономической глобализации включает:

возникновение- принципиально новых рынков транспортных, банковских, и страховых услуг, а также новых финансовых рынков, действующих круглосуточно и использующих новейшие информационные технологии, средства и инструменты; появление- новых субъектов международного взаимодействия – многонациональных корпораций, всемирной торговой организации, сети международных негосударственных организаций; лавинообразное распространение и быстрое устаревание информации. [4]-

Итак, развертывание глобальной информационно-технологической (информационно-телекоммуникационной) революции – это переворот в средствах телекоммуникаций на базе микроэлектроники, кибернетики, спутниковых и цифровых систем связи, появление всемирной сети компьютерной связи «Интернет». Информационные технологии, необходимые для успешного развития бизнеса, объединяют многие компании, например, экономические с организациями, производящими и распространяющими информационные продукты. Глобальное распространение нынешнего, принципиально нового по сравнению с предшествующими, поколения информационных технологий сделало возможным с помощью Интернета в любой момент и в любой точке Земного шара совершить торговые, валютные и многие другие сделки. То, что принято называть «мировыми деньгами», приняло электронную форму движения. Это сделало их действительно всемирным средством обращения и платежа. Все это позволило обеспечить новый, качественно более высокий (глобальный) уровень «сцепления» национальных хозяйств и различных хозяйствующих субъектов в рамках глобальной экономики.

Литература:

1. З.В.Архипова, В.А.Пархомов Информационные технологии в экономике. Учеб. пособие // Иркутск: Изд-во БГУЭП, 2003 С. 52-58
2. А.Ю. Топорец Информационные технологии в экономике. Учеб. пособие // Москва Изд-во МИЭМ, 2005 С.17-25
3. Т.П. Барановская, В.И Лойко. и др. Информационные системы и технологии в экономике (учебник) // 2-е Изд-во 2005.
4. Muriithi G, Bett E, Ogaleh SA. 2009. Information Technology for Agriculture and Rural Development in Africa: Experiences from Kenya. Conference on International Research on Food Security, Natural Resource Management and Rural Development.
5. Ogbomo M. 2004. Web page design. In Madu, E.C. (Ed.). Technology for information management and service: Modern libraries and information centres in developing countries. Ibadan: Evi-Coleman.

ინოვაციური მიდგომა რთული ობიექტების მოდელირებისათვის

*სოფიო ბარათაშვილი, სტუ-ს დოქტორანტი
დავით წამალაშვილი, სტუ-ს მასვისტრი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ობიექტთა სისტემების, მოვლენების ან პროცესების კვლევისა და შეფასებისათვის მათი მოდელების აგებისათვის ინოვაციური მიდგომების აუცილებლობა და მითითებულია მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება მივალწიოთ რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ ასახვას.

ყოველდღიური ცხოვრება გვარწმუნებს, რომ XXI საუკუნე ხასიათდება პროცესების გაცილებით მაღალი დინამიურობით, ვიდრე წინა საუკუნე და აქედან გამომდინარე წარმოიშვება აქამდე უცნობი პრობლემები და ამოცანები. ამასთან, მათი უმეტესობა პრინციპულად ახალია და ადრე მიღებული გამოცდილებით მათი გადანყვეტა შეუძლებელია. შესწავლის საგანი იცვლება განუწყვეტლად, რადგან ობიექტთა სისტემა, მოვლენები და პროცესები წარმოადგენს ისეთ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტთა ერთობლიობას, როგორებიცაა მუდმივად ცვალებადი და განახლებადი ინფორმაცია, სტრუქტურები, ადამიანები და ა.შ. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ საგნის ან პროცესის მოდელის ანალიზისას აუცილებელია ინოვაციური მეთოდების გამოყენება.

ასეთ ინოვაციურ მეთოდად, ავტორთა მიერ, შემოთავაზებულია მათემატიკის შედარებით ახალ დარგზე — ფაზი სიმრავლეთა თეორიაზე დაფუძნებული ანალიზის მეთოდები. შესასწავლი პროცესის მეცნიერულად დასაბუთებული მოსალოდნელი შედეგის პროგნოზირებისას ხსენებული თეორიის გამოყენებით შეიძლება მივალწიოთ რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ ასახვას.

ფაზი სიმრავლეთა თეორიის გამოყენების ეფექტიანობა და დიდი პოტენციალი დადასტურებულია მსოფლიოს მონიწივე ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია დაა.შ.) გამოცდილებით.

Summary

In this paper the innovative approach for construction of new methods is regarded. These methods allow us to research and assessment of object systems, events or projects with aim to get analyses which are very close to reality.

Everyday life assures us that 21st century, unlike the previous century, is characterized by high dynamic processes and thus therefore new unknown problems and objectives arouses. Most of those problems are new and they can't be solved by already existing experience. Subject of studies is changing continuously, because object system,

events and processes are such interrelated object combination, as constantly changing and renewable information, structure, people and so on. Aforesaid means that it's important to use innovative methods for subject or process analyses.

Authors are proposing such innovative method, as new analysis methods based on a new field of mathematics - fuzzy set theory. We could get result as close to reality as possible by studying expected result of a process by scientifically substantiated.

Effectivity and huge potential of using fuzzy set theory is proofed by worlds' leading courtiers (USA, UK, Japan, Germany and etc.) experience.

* * * * *

თანამედროვე მსოფლიოში პროცესების ძალზე დინამიური ცვალებადობა გახდა სიცოცხლისუნარიანობის გარდაუვალი თანმდევი მახასიათებელი მართვის ნებისმიერი ობიექტისათვის, იქნება ის სოციალური სტრუქტურა, საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ რაიმე ჯგუფი. იმისათვის, რომ გარე სამყაროში ხშირად და გაუთვალისწინებლად წარმოშობილ ცვლილებებს გაუმკლავდეს საპასუხო რეაქციით ან გარკვეული წინმსწრები ზომების მიღებით შეინარჩუნოს საცოცხლისუნარიანობა და მიაღწიოს დასახულ მიზანს, მართვის ობიექტი მუდმივად უნდა ადევნებდეს თვალყურს გარემომცველი სამყაროს ძირითად კომპონენტებს და აკეთებდეს დასკვნებს თავისი ცვლილებების საჭიროების შესახებ. ხსენებულ კომპონენტებს მიეკუთვნებიან: ეკონომიკური (ბაზრის გლობალიზაცია ან მისი რეგიონალური დიფერენციაცია), ტექნოლოგიური (ახალი ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელება), პოლიტიკურ-სამართლებრივი (ცვლილებები კანონმდებლობაში), სოციალურ-კულტურული (დემოგრაფიული ძვრები, ცვლილებები ფასეულობათა სისტემაში) და ფიზიკურ-ეკოლოგიური (კლიმატური პირობები, დატვირთვები ეკოსისტემაზე). ქვეყნის წინსვლისა და პროგრესისათვის აუცილებელია გრძელვადიანი ინვესტირების განხორციელება. ჩგლობალური კონკურენცია, ცხოვრების უსწრაფესი გაუმჯობესების აუცილებლობა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები აჩქარებენ და ართულებენ თანამედროვე ცხოვრების პროცესებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოიშვება აქამდე უცნობი პრობლემები და ამოცანები, რაც თავის მხრივ იწვევს ინოვაციური მიდგომების აუცილებლობას დაგეგმვისა და მართვის ამოცანების გადანყვეტისას.

საქმე იმაში გახლავთ, რომ მრავალი წლის განმავლობაში ნაცადი კლასიკური მეთოდებით სხვადასხ-

ვა სიტუაციებისა და პროცესების მოდელირებისას ყოველთვის ვერ ხერხდება არასრული და არამკაფიო მონაცემების სრულყოფილად გათვალისწინება ანუ იმ შემთხვევებში როცა არა გვაქვს საკმარისად ბევრი საბაზისო საწყისი მონაცემები.

პროგნოზირება ანუ შესასწავლი პროცესის მეცნიერულად დასაბუთებული მოსალოდნელი შედეგი — ვინრო მნიშვნელობით ეს არის რაიმე მოვლენის განვითარების კონკრეტული პერსპექტივის სპეციალური მეცნიერული კვლევა. იგი, როგორც მეცნიერულად წინასწარ განჭვრეტის კონკრეტიზაციის ფორმა ურთიერთკავშირშია დაგეგმვასთან, პროგრამირებასთან, პროექტირებასთან, მართვასთან.

მეცნიერული პროგნოზირების მეთოდის სამკლასს გამოყოფენ:

- ექსტრაპოლაცია;
- მოდელირება;
- ექსპერტთა გამოკითხვა.

წარმოდგენილი კლასებიდან შევხებით მოდელირებას, როგორც შემეცნებისა და მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს.

მოდელის განსაზღვრების მრავალი ცნება არსებობს იმ სფეროსაგან დამოკიდებულებით, რომლისთვისაც იგი იგება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მოდელირების ისეთი განმარტების შემოტანა, რომელიც სრულად გამოხატავს მის არსს ყველა შემთხვევისათვის.

ამრიგად, მოდელირება — ესაა რაიმე მოვლენის, პროცესის ან ობიექტთა სისტემის კვლევა მათი შესწავლის და ფორმალური აღწერის გზით; მოდელის გამოყენება ობიექტების მახასიათებლების განსაზღვრის ან დაზუსტების და მათი ხელახლა კონსტრუირებისათვის მეთოდების დახვეწა.

ობიექტთა სისტემის ყოვლისმომცველი დიაგნოსტიკა, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტორთა ანალიზს გულისხმობს, რომლებიც ცვლიან მის გარემომცველ სამყაროს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ფაქტორებია: ეკონომიკური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური, ეკოლოგიური. ღომლებიც, თავის მხრივ უამრავ სხვა ფაქტორზე დამოკიდებული. მხოლოდ ამ ფაქტორთა ანალიზის შემდეგაა შესაძლებელი ობიექტთა მახასიათებლების განსაზღვრა-დაზუსტება და კორექტივების შეტანა სისტემის კონსტრუირებაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ცხადია, რომ რეალური ობიექტის მოდელის მახასიათებლების დადგენისას აუცილებელი ხდება მრავალფაქტორიანი ფუნქციების ანალიზი, რომელთა პარამეტრების მნიშვნელობანიც უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია არამკაფიო ან არასრული, როგორც წესი, სუბიექტური ინფორმაციით. გათვლებში ჩართული დაკვირვებების ნებისმიერმა მცირე შეცდომებმა, დროთა განმავლობაში, შეიძლება გამოიწვიონ უზუსტობების მოცულობების მნიშვნელოვანი ზრდა.

ობიექტის მოდელის მოქმედების არეალის შეფასების რიცხობრივი ასპექტების გათვლისას შეიძლება აღმოვჩნდეთ პრობლემების წინაშე. ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში არ არსებობს მონაცემთა საკ-

მარისი სტატისტიკური ბაზა, და ვერ დავეყრდნობით მხოლოდ ალბათობათა თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებს, და რა თქმა უნდა ვერ იქნება მიმდინარე პროცესების ცვლილებების ადექვატურად აღწერისა და შეფასების გარანტია.

როგორც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი და ა.შ.) გამოცდილება გვიჩვენებს, განსახილველ ობიექტთა სისტემის ან რაიმე პროცესის მოსალოდნელი არასტანდარტული სიტუაციების მოდელირების (როცა არ არსებობს ძველი გამოცდილება, ძირითადი კომპონენტების შესახებ ცოდნა არასრულია და საჭიროა არაორდინალური გადაწყვეტილების მიღება) ანალიზისას მათემატიკის შედარებით ახალი დარგის — ფაზი სიმრავლეთა თეორიის გამოყენებით შეიძლება მივაღწიოთ რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ ასახვას.

ფაზი სიმრავლეთა თეორიამ უდიდესი წვლილი შეიტანა უახლესი საინფორმაციო-მმართველობითი ტექნოლოგიების განვითარებაში. იგი წარმოადგენს სუსტად სტუქტურირებული, ფრაგმენტალური, არასრული და არამკაფიო ინფორმაციების ანალიზის მძლავრ საშუალებას. ანალიზის ასეთი მძლავრი აპარატის გამოყენებამ სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე სხვადასხვა მსხვილ კორპორაციებში გამოავლინა მისი დიდი ეფექტიანობა და პოტენციალი სტრატეგიული დაგეგმვის, რისკების შეფასების, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის სფეროებში და, საერთოდ, ახალ სამეცნიერო-პრაქტიკულ ტექნოლოგიებში.

ხსენებული ინოვაციური მიდგომის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ, გეოპოლიტიკურად ისეთი რთულ და ძნელად პროგნოზირებად რეგიონში, როგორიც გახლავთ კავკასია საერთოდ, და მათ შორის ამიერკავკასია (თავისი დაკონსერვებული თუ მოქმედი სამხედრო კონფლიქტებით), მოსალოდნელი სამხედრო რისკების შეფასების რეალობასთან ადექვატურობის მნიშვნელობა. ჩვენს რეგიონში სრულიად მოულოდნელად შეიძლება წარმოიშვას მანამდე უცნობი, ახალი გარემოებანი, რომელთა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება მიგვიყვანოს ქვეყნისათვის ძალზე უარყოფით შედეგებამდე.

პროცესების მოდელის ანალიზისას ახალი მიდგომის აუცილებლობას ადასტურებს სამხედრო სფეროში მსოფლიოში ისეთი აღიარებული ავტორიტეტი, როგორიცაა ჯონ ბოიდი, რომელმაც თავისი ცნობილი ციკლის **OODA (Observe-Orient-Decide-Act):** დაკვირვება-ორიენტაცია-გადაწყვეტილება-მოქმედება, ჩამოყალიბებას საფუძვლად დაუდო რამოდენიმე პოსტულატი:

- რეალობის ნებისმიერი ლოგიკური მოდელი არასრულია და საჭიროებს უწყვეტ გაუმჯობესებას (ადაპტაციას) ახალი გარემოებების გათვალისწინებით;
- არსებობს ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი დააკვირდნენ რეალურ მოვლენებს გარკვეული სიზუსტით. ნებისმიერ პატარა

შეცდომას გამოთვლებში შეუძლია დროთა განმავლობაში მიგვიყვანოს უზუსტობის მოცულობის მნიშვნელოვან ზრდასთან;

- ნებისმიერი ჩაკეტილი სისტემის ენტროპია (ქაოსი) ყოველთვის მიისწრაფვის ზრდასაკენ, შესაბამისად, ნებისმიერი მოცემული სისტემის ბუნებაა ცვალებადობა, მისი სანყის მდგომარეობაში შენარჩუნების მცდელობის შემთხვევაშიც კი.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მოდელირებული პროცესის რეალობის ადექვატურად აღწერის, ანალიზისა და სათანადო მოქმედებების წარმართვისათვის აუცილებელია გარემომცველ სამყაროში მუდმივად მიმდინარე ცვლილებებისა და ახალი, აქამდე უცნობ გარემოებათა გათვალისწინება. როგორც ზემოაღნიშნულიდან ცხადია, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინოვაციური მიდგომა ზუსტად ეხმიანება ჯონ ბოიდის მიერ ჩამოყალიბებულ ციკლს, რომელიც შესულია აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და ავსტრალიის თავდაცვის სამინისტროთა დოქტრინალურ დოკუმენტებში, როგორც მოქმედების მთავარი ამოსავალი პოსტულატი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფრანგიშვილი ა., გასიტაშვილი ზ., აბულაძე ი., ნვერავა ვ., იმიტაციური მოდელირების ენა GPSS WORLD დართული სისტემების მოდელ-ები, სტუ-ს გამომცემლობა “ტექნიკური უნივერ-სიტეტი”, თბილისი, 2009წ. 350.
2. ფრანგიშვილი ა., გასიტაშვილი ზ., კიკნაძე მ., ბიზნეს დაგეგმარება და ინფორმაციული ტე-ქნოლოგიები, საქართველოს ტექნიკური უნი-ვერსიტეტი, თბილისი, 2008წ, 241.
3. ფრანგიშვილი ა., იმნაიშვილი ლ., ციფრული სისტემების სინთეზი, იერარქიულობა და მრავ-ალფუნქციურობა, მონოგრაფია, სტუ-ს გამომ-ცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილი-სი 2009წ, 344.
4. ფრანგიშვილი ა., გასიტაშვილი ზ., კიკნაძე მ., ხომერიკი მ., ორგანიზაციული ინტელექტუ-ალური სისტემები. მოდელირება დაპროექტე-ბა ოპერაციათა კვლევა, მონოგრაფია, სტუ-ს გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2009წ, 239.
5. Richards, Chet. Certain To Win: The Strategy Of John Boyd, Applied To Business. Philadelphia: Xlibris Corporation, 2004.

ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

რეფორმები საქართველოს ელექტროენერგეტიკაში:

მოკლე ისტორია და თანამედროვე გამოწვევები

მაია რუხაძე, სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიში ისტორიულ ქრონოლოგიით განალიზებულია საქართველოს ელექტროენერგეტიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები 1996-2013 წლებში. დაწვრილებითაა განალიზებული დარგის რესტრუქტურისა, პრივატიზაციის, მარეგულირებელი ორგანოს შექმნა-ფუნქციონირება და ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარება. აღნიშნულია მათი დადებითი და უარყოფითი შედეგები; ყურადღება გამახვილებულია საანალიზო პერიოდში დარგში განხორციელებულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვრებზე. ნათქვამია, რომ 2000-2013 წლებში საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება გაიზარდა 32,4 %-ით, მათ შორის ჰესებში — 38,2%-ით და თესებში — 10,2%-ით. შედეგად ელექტრობალანსი გახდა უდღეფიციტო, თუმცა ქვეყანაში აღინიშნება ელექტრიფიკაციის დაბალი დონე. დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია მოსაზრებები ენერგეტიკული ბაზრის სრულყოფის ღონისძიებების შესახებ

Summary

Reforms at Georgian Energy Sector:
Short history and Modern Challenges

The Article contains analysis through the prism of history of economic reforms dated 1996-2013. Restructuring of the field as well as privatization, founding/functioning of regulatory entity and forming/development of energy market is analyzed in details. Their positive and negative outcomes are pointed out. The attention is paid to their quantitative and quality changes carried out at the field, during the period of analysis. As it is well known, in 2000-2013, the energy generation was increased by 32,4% (including 38,2% - at the hydro power plants and 10,2% - at the thermal power plants). As a result, the energy balance has become non-deficient, although the low level of electrification is still noticeable in the Country. The ideas about the measures to improve the energy market have been stated in the part of conclusion.

* * * * *

საქართველოს ელექტროენერგეტიკაში რეფორმების განხორციელებას საფუძველი დაუდო საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 4 ივლისის N437 ბრძანებულებამ „ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურისა და რეგულირების შესახებ“. ამ ბრძანებულების შესაბამისად დეპარტამენტი „საქენერგო“ დაიშალა სამ დამოუკიდებელ ქვესექტორად — „საქენერგოგენერაცია“ (ელექტროენერჯის წარმოება), „საქელექტროგადამცემად“ (ელექტროენერჯის გადაცემა მაღალი ძაბვის ქსელებით) და „საქენერგო“ (ელექტროენერჯის დისპეტჩინგისა და რეალიზაცია), ხოლო რაც შეეხება ენერგოკომპანიებს (ელექტროენერჯის განაწილება), ისინი ჯერ კიდევ 1994 წელს გადაეცათ მუნიციპალურ მმართველობაში. ამასთან, გენერაციის და განაწილების ქვესექტორებში დაფუძნებულ იქნა სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, ხოლო ერთ-ერთი სააქციო საზოგადოება „თელასი“ პრივატიზებულ იქნა — ამ სააქციო საზოგადოების აქციათა 75% შეისყიდა ამერიკულმა კომპანიამ „ეი-ი-ეს“ მა 1998 წლის 22 დეკემბერს.

რეფორმის განხორციელების აუცილებლობა, პირველ რიგში, განაპირობა იმ ენერგეტიკულმა კრიზისმა, რომელიც შეიქმნა საქართველოში დამოუკიდებლობის პირველ წლებში. ენერგეტიკის სფეროში ენერგო-საწარმოების რესტრუქტურის განხორციელების მიზანი იყო:

- რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რეგულირების ფუნქციისა და კომერციული საქმიანობის გამიჯვნა;
- სახელმწიფო მონოპოლიის ეტაპობრივი ლიკვიდაცია; საკუთრების მრავალფეროვნების დამკვიდრება; კონკურენტული გარემოს შექმნა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- ელექტროენერჯის მინოდების გაუმჯობესება და საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ელექტროენერგეტიკის სექტორში დეფიციტის აღმოფხვრა;
- ელექტროენერგეტიკის სექტორში წარმოების გაზრდა და მისი ეფექტიანობის ამაღლება, საფინანსო დისციპლინის დაცვა, ელექტროენერჯის მომხმარებლებზე მომსახურების გაუმჯობესება.

საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში 1998 წლის 1 მაისამდე ძირითად ნორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენდა „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ქვეყნის პარ-

ლამენტმა მიიღო 1997 წლის 27 ივნისს. ამ კანონის მიღებით საქართველოს ხელისუფლებამ ფაქტიურად გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება ეკონომიკის მართვის დეცენტრალიზაციისა და ბუნებრივი მონოპოლიის ნიშნის მატარებელი დარგის დამოუკიდებელი რეგულირების შესახებ.

„ელექტროენერგეტიკის შესახებ“ კანონის მიღებით განისაზღვრა ურთიერთობა ელექტროენერგეტიკის სტრუქტურულ ერთეულებს შორის, შეიქმნა სამართლებრივი საფუძვლები დარგში საბაზრო ურთიერთობების დანერგვისათვის, ინვესტიციების მოზიდვისთვის, ელექტროენერგის კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის და სხვ.

საქართველოს ენერგეტიკაში ეკონომიკურ გარდაქმნათა დიდი და რთული პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის შექმნა, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებულებით თავდაპირველად ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა. კომისიას საწყის ეტაპზე ელექტროენერგის საბითუმო და საცალო ტარიფების რეგულირება დევალა. ასეთი სამსახურის შექმნა, პირველ რიგში, ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე გადასვლის აუცილებლობიდან გამომდინარეობდა. კომისია ერთი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა ეკონომიკის სამინისტროსთან, ხოლო 1997 წლის 1 აგვისტოდან — მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ — ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ორგანო.

თავიდანვე კანონმა „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიანიჭა საკმაოდ მაღალი დამოუკიდებლობის სტატუსი. კერძოდ, კომისია გახდა მუდმივმოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში არ ექვემდებარება არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებას და ორგანიზაციას. კომისია, თავის კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს დადგენილებებს, რომლებიც წარმოადგენს ნორმატიულ აქტებს ენერგეტიკის სფეროში. 1999 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების და დამატებების თანახმად, სემეკ-ს მიენიჭა საქართველოს ენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის სექტორში ლიცენზიების გაცემისა და ტარიფების რეგულირების უფლება.

ელექტროენერგეტიკაში ეკონომიკური რეფორმები მჭიდროდ უკავშირდება საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბებას. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 ივლისის N421 ბრძანებულებით „საქართველოს ელექტროენერგის საბითუმო ბაზრის (სესბ) ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპების შესახებ“ მომზადდა ელექტროენერგის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების საფუძვლები და დაისახა სტრატეგია დარგში საბაზრო წესების დანერგვისთვის. ელექტროენერგის საბითუმო ბაზარმა საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო 1999 წლის 1 ივლისიდან. საბითუმო ბაზრის 1999—2006 წლების

მუშაობის შედეგები არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი და სესბი სრულყოფას საჭიროებდა, ამისათვის აუცილებელი გახდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. შესაბამისად, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2006 წლის ივნისში შეტანილ იქნა მორიგი ცვლილებები და დამატებები.

კანონის შესაბამისად, სესბ-ი ჩანაცვლა ელექტროსისტემის კომერციულმა ოპერატორმა (ესკო). აგი ამოქმედდა 2006 წლის 1 სექტემბრიდან.

ამრიგად, სახელმწიფო პოლიტიკას ენერგეტიკაში განსაზღვრავს ენერგეტიკის სამინისტრო, ხოლო დარგის რეგულირებას ახორციელებს სემეკი; ესკოს ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს ელექტროენერგიით ვაჭრობა „ელექტროენერგის (სიმძლავრის) ბაზრის წესების შესაბამისად.

განვიღო პერიოდში ელექტროენერგეტიკაში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები განხორციელდა.

საქართველოს ელექტროენერგეტიკაში პოზიტიური ძვრები სახეზეა 2005 წლის შემდგომ პერიოდში. ამ დროიდან მოყოლებული ელექტროენერგის წარმოება წლითწლიობით დიდდება და 2009 წელს მან 8278,1 მლნ.კვტ.სთ — ს მიაღწია. 2005 წელს მან შედარებით ეს ზრდა 16,6% — ს შეადგენს, შესაბამისად, შემცირდა იმპორტის მოცულობა 5,5 — ჯერ და გაიზარდა ექსპორტი 6,2 — ჯერ, თუ 2005 წელს ელექტროენერგის საერთო მოხმარებაში იმპორტის წილი 16,75% — ს შეადგენდა, 2009 წელს ეს მაჩვენებელი 3,3% — მდე, ანუ 5 — ჯერ და მეტად შემცირდა. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ელექტროენერგის ბალანსში უკვე სიჭარბეა. აღნიშნული ტენდენცია 2007 წლიდან დაფიქსირდა და მან 2009 წელს თითქმის 500 მლნ.კვტ.სთ მიაღწია. ამ პროცესში თავისი დადებითი როლი შეასრულა ელექტროენერგის მომჭირნე და რაციონალურმა გამოყენებამ. ამ ფაქტორის გავლენით 2005—2009 წლებში ქვეყანაში ელექტროენერგის მოხმარება 7,1% — ით შემცირდა. რეფორმის შემდგომ პერიოდში ელექტროენერგის წარმოების რეკორდული დონე აღინიშნა 2010—2011 წლებში — თითქმის 10მლრდ.კვტ.სთ (იხ.ცხრილი 1).

ცხრილი 1

ელექტროენერჯის წარმოება საქართველოში
2000—2013 წლებში (მლნ.კვტ.სთ)

წლები	სულ	მათ შორის ჰესი	მათ შორის თესი
2000	7446,0	5905,6	1540,4
2001	6942,0	5571,5	1370,5
2002	7045,6	6532,1	513,5
2003	7163,0	6527,9	635,1
2004	6706,0	5892,8	813,2
2005	7100,6	6070,0	1030,6
2006	7419,9	5316,1	2103,8
2007	8169,5	6724,5	1445,0
2008	8279,1	7053,6	1225,5
2009	8278,1	7314,6	963,5
2010	9919,2	9263,3	655,9
2011	9912,2	7788,7	2123,5
2012	9471,9	7122,1	2349,8
2013	9860,6	8163,5	1697,1

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, საქართველოს ელექტროენერჯეტიკაში ამჟამად ბევრი პრობლემაა: დაბალია ელექტროფიკაციის დონე, მაღალია პროდუქციის ელექტროტევადობა, ვერ ხორციელდება ადგილობრივი ენერჯეტიკული რესურსების წარმატებული ათვისება და სხვა. საკმარისია ითქვას, რომ ახლა მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერჯის წარმოება და მოხმარება მხოლოდ 2000 კვტ.სთ-ის დონეზეა, ხოლო ქვეყანაში არსებული ტექნიკური ჰიდროენერჯეტიკული რესურსების ათვისება მხოლოდ 12%—მდეა. ყოველივე ეს დარგში მიმდინარე რეფორმების შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოში ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემის დაყოფარეგულირების სტრუქტურისა და პრივატიზაციის პროცესები დაიწყო 1994 წლიდან. მოხდა გენერაციის, გადაცემა-დისპეტჩინგის და განაწილების საქმიანობის ფუნქციონალურ-სამართლებრივი გამოყოფა, თუმცა ერთი და იგივე იურიდიულ პირს მიეცა რამდენიმე სალიცენზიო საქმიანობის განხორციელების უფლება, ანგარიშების განცალკევებულად წარმოების პირობებში. ასევე არ მოხდა საცალო მიწოდებისა და საქსელო მომსახურების საქმიანობის გამიჯვნა სადისტრიბუციო კომპანიებში. ამჟამად ენერჯეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელობით განისაზღვრა საქართველოს ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ახალი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს მარეგულირებელი ჩარჩოების ეტაპობრივ ჰარმონიზაციას საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. 2013 წლის ბოლოს შევიდა ცვლილებები საქართველოს კანონში „ელექტროენერჯეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ“, რომლის თანახმადაც ბაზრის ოპ-

ერატორის სტატუსი მიენიჭა სააქციო საზოგადოება „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“. გაფართოვდა სემეკის უფლებამოსილებები და მას მიენიჭა ენერჯეტიკული ბაზრების მონიტორინგის უფლება და შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცების ვალდებულება:

სემეკმა უნდა შეიმუშოს და დაამტკიცოს:

- დისპეტჩინგისა და გადაცემის მომსახურების პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ლიცენზიანტების წინადადებების საფუძველზე;

- გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის და ელექტროენერჯის ნაყიდობის პირდაპირი ხელშეკრულების სატენდარტული პირობები, ბაზრის ოპერატორის წინადადების საფუძველზე;

- „ქსელის წესები“, რომელიც აერთიანებს გადაცემის და განაწილების ქსელის წესებს;

- ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის პირობები რეგულირებადი სანარმოებისთვის.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს ელექტროენერჯეტიკის ფუნქციონირების მდგრადობას, ქვეყნის ელექტროფიკაციის მაჩვენებლების გაუმჯობესებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ჩომახიძე — ენერჯეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012 წ.
2. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) წლიური ანგარიშები. www.gnerc.org
3. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მასალები. www.minergy.gov.ge

НОВАЯ МОДЕЛЬ УСТАНОВЛЕНИЯ ТАРИФОВ НА ПРИРОДНЫЙ ГАЗ НА ОСНОВЕ НЕЧЕТКИХ МНОЖЕСТВ

Бараташвили С.И.

SUMMARY

A NEW APPROACH TO ESTABLISHMENT OF NATURAL GAS TARIFFS BASED ON FUZZY SETS

This paper introduces a new approach to establish natural gas tariffs based on fuzzy aggregation. The existent situation in tariffication processes is considered. The necessity to use new methods for implementation of these processes is motivated. A new method for calculations of natural gas tariffs is introduced, thoroughly discussed and its algorithm given. The further development of the obtained results is outlined. The offered approach may be used for tariffication of natural gas and many others various goods and services as well.

Keywords: tariff, fuzzy sets, coordination index, similarity, fuzzy aggregation

Описание проблемы.

Предлагаемая работа посвящена актуальной для всех частных и юридических лиц теме – новому подходу к установлению тарифов на природный газ. Статья структурирована следующим образом. Сначала приведен краткий анализ существующего положения дел в процессе тарификации, выявлены «узкие места» и предложено использование нечеткого подхода к регулированию тарифов. Затем излагаются ныне используемые в Национальной Комиссии по Регулированию Энергетики (НКРЭ) Грузии принципы и обобщенные процедуры тарификации. После этого следует обсуждение и обоснование применения аппарата теории нечетких множеств для расчета тарифов на природный газ и дается обобщенный алгоритм этого процесса. Статья заканчивается наметками дальнейших путей развития работы и обсуждением возможных областей применения предложенного подхода.

Одна из самых важных задач НКРЭ Грузии состоит в том, чтобы утверждать или устанавливать различные методологии регулирования, в том числе предназначенные для расчета тарифов на природный газ. Однако по ряду объективных причин эти методологии содержат некоторые недостатки. При разработке этих методологических документов ныне используются сравнительно простые методы, хорошо зарекомендовавшие себя в среде устоявшейся, развитой экономики, но «хромающие» в условиях зарождающегося конкурентного энергетического

рынка, численные характеристики которого имеют большую степень неопределенности.

Отсюда следует, что в регулирующий орган поступает неполноценная информация, к тому же с примесью субъективизма, а это в свою очередь значительно затрудняет осуществление процессов адекватного прогнозирования, полноценного регулирования и установления тарифов.

Несомненно, что современные социально-экономические условия жизни определяют необходимость разработки новых, более эффективных моделей тарифных систем. При этом эти методы моделирования должны «уметь» оперировать неполными знаниями о расчетных величинах и обрабатывать неопределенную, нечеткую информацию. Однако здесь мы сталкиваемся с некоторыми трудностями. Даже такой испытанный инструмент математического моделирования, как теория вероятностей и математическая статистика, к сожалению, не может учитывать такие аспекты неопределенности входных данных для регулирования энергетики, как частичное неучтение некоторых параметров энергетического рынка, неполноценность и/или нечеткость информации о различных расчетных величинах и т.п. Поэтому использование этой теории для моделирования такой «недоопределенной» информации неправомерно [1] и здесь нужен новый подход позволяющий адекватно моделировать неполное знание, неполноценную, нечеткую информацию.

Теория нечетких множеств (Fuzzy Sets Theory), на наш взгляд, полностью отвечает поставленной нами задаче. Основатель этой теории (1965) Лотфи Заде (Lotfi A. Zadeh) в своей выдающейся пионерской работе [2] впервые предложил оценивать функцию принадлежности объекта множеству посредством интервала $[0;1]$ вместо принятых в классической математике бинарных значений «либо 0 либо 1». Последовательно развивая свой подход, Заде ввел понятие лингвистической переменной (1975,) и сумел математически смоделировать ситуации реально имеющие место в процессе человеческого мышления, например «очень низкий, низкий, средний, высокий, очень высокий» и т.п. [3] (ср., например, с ценовыми характеристиками энергоносителей). Становится очевидным, что подход, опирающийся на теорию нечетких множеств может стать адекватным инструментом для эффективного осуществления процессов регулирования и тарификации.

Действующие сегодня правила и процедуры.

Основополагающие принципы установления и

структурные компоненты тарифов на природного газа определены законом Грузии «Об электроэнергетике и природном газе». Вкратце, эти принципы заключаются в следующем:

возмещение полной стоимости услуг природный газических предприятий;

обеспечение коммерческих и конкурентных отношений между производителями и потребителями на справедливой основе;

Что же касается самих процессов установления тарифов, то они регламентируются методологией, рассмотренной на открытых заседаниях и утвержденной соответствующим Постановлением НКРЭ Грузии [4], в которую периодически вносятся дополнения и изменения. Рассмотрим ныне действующий процесс установления тарифов на природный газ. Здесь мы приведем пример укрупненного расчета тарифа на распределение природный газа.

Самая общая формула вычисления любого тарифа выглядит так:

$$T = \frac{Q}{E}, \quad (1)$$

где T – значение тарифа (лари/1000м3), Q – требуемый годовой доход (лари), E – количество природного газа (1000м3).

Новый подход, основанный на нечеткости.

Как уже упоминалось выше, нечеткое множество (НМ) является обобщением понятия обычного множества путем расширения области значений характеристической функции $\{0, 1\}$ до континуума $[0; 1]$. Таким образом НМ A на заданном универсуме X (конечном или бесконечном) определяется следующим образом:

$$A = \{x | \mu_A(x)\}, \quad x \in X, \quad \mu_A(x) \in [0; 1] \quad (4)$$

где $\mu_A(x)$ степень принадлежности элемента x этому НМ. Отсюда ясно, что переход от принадлежности к непринадлежности элемента универсума какому-либо НМ происходит не скачкообразно, а постепенно пробегая значения из интервала $[0; 1]$. Из (4) следует, что НМ однозначно определяется своей функцией принадлежности, поэтому класс всех НМ на X можно математически описать следующим образом:

$\Psi(X) = \{\mu | \mu : X \rightarrow [0; 1]\}$. Отметим, что класс всех НМ на X является решеткой. $\Psi(X)$ вместе с изотонной оценкой и метрикой называется метрической решеткой НМ (см., например, [5]).

Далее, вплоть до ссылки на работу [7], приводятся результаты из работы [6], в которой на основе аксиоматического подхода впервые введено понятие показателя согласованности конечной совокупности НМ, определенных на метрической решетке НМ. Установлены необходимые и достаточные условия единственности этого показателя согласованности. Оставляя в стороне вопросы полноты и независимости введенной аксиоматики, построением

соответствующего примера показано, что эта система аксиом является непротиворечивой.

Здесь для простоты изложения мы приведем – достаточную для решения поставленной задачи – частную дискретную модификацию показателя согласованности $S\{A_j\}$ конечной совокупности НМ $\{A_j\}$, $j = \overline{1, m}$, $m = 2, 3, \dots$, определенной на конечном универсуме $X = \{x_1, x_2, \dots, x_N\}$, $N = 1, 2, \dots$:

$$S\{A_j\} = q(N - [(2m+1)/4]^{-1} \sum_{j=1}^m \sum_{i=1}^N |\mu_{A_j}(x_i) - \mu_{A_i}(x_i)|), \quad q > 0 \quad (5)$$

Здесь и далее, квадратные скобки обозначают целую часть числа, а НМ A^* является представителем данной конечной совокупности, который определяется следующим образом:

$$A'_{[m/2]} \subseteq A^* \subseteq A'_{[(m+1)/2]+1}, \quad (6)$$

где конечная совокупность НМ $\{A_j\}$ является регуляцией конечной совокупности НМ $\{A_j\}$ т.е. для любого $x \in X$ конечные множества $\{\mu_{A_j}(x)\}$ и $\{A_j\}$ равны и, в то же время, Из (5) очевидно, что

$$S_{\max} \{A_j\} = qN, \quad q \geq 0 \quad (7)$$

В работе [7] предложен метод нечеткого агрегирования оценок группы экспертов. Вкратце, суть предложенного метода заключается в следующем:

Показатель согласованности конечной совокупности НМ, определенный на основе аксиоматического подхода, является базисом предложенного метода;

Введено важное понятие подобия конечных совокупностей НМ в метрической решетке НМ. Доказано, что в метрической решетке НМ с непрерывной изотонной оценкой для любых двух конечных совокупностей НМ $\{A_j\}$ и $\{B_j\}$, таких, что $S\{A_j\}, S\{B_j\} < S_{\max}$, существует конечная совокупность НМ $\{C_j\}$, подобная $\{B_j\}$ и, одновременно, $S\{C_j\} = S\{A_j\}$, $j = \overline{1, m}$, $m = 2, 3, \dots$. Кроме того доказано, что если конечные совокупности $\{A_j\}$ и $\{B_j\}$ подобны со степенью подобия k , то показатели согласованности этих конечных совокупностей НМ удовлетворяют уравнению:

$$S\{A_j\} = k S\{B_j\} + (1-k) S_{\max}, \quad j = \overline{1, m} \quad m = 2, 3, \dots \quad (8);$$

Показано, что в метрической решетке НМ с непрерывной изотонной оценкой для любых двух, подобных со степенью подобия $k > 0$, конечных совокупностей НМ $\{A_j\}$ и $\{B_j\}$, таких, что $S\{C_j\} > S\{B_j\}$, для любого k существует единственная конечная совокупность НМ $\{A_j\}$, такая, что $\{A_j\}$ подобра $\{C_j\}$ со степенью подобия 1 и $A_l = B_l', \quad j = \overline{1, m}, \quad l \in \{1, 2, \dots, m\}, \quad m = 2, 3, \dots$;

Пусть группа экспертов оценивает степень принадлежности некоторого концепта данному универсуму. Основополагающее допущение заключается в том, что если эксперты в какой-либо точке

универсума достигли наибольшей согласованности, то потенциально они могут достичь аналогичного результата и в любой другой точке данного универсума. Эта «наилучшая» попытка экспертов с максимальным показателем согласованности берется за базис и остальные попытки (оценки экспертов в других точках универсума) проецируются на этот базис. Затем в каждой точке универсума строится конечная совокупность одноэлементных НМ, каждая из которых подобна аналогичной конечной совокупности одноэлементных НМ в точке максимальной согласованности и, в то же время, имеет наибольший показатель согласованности. При всем этом оценка каждого эксперта на всех точках универсума учитывается в равнозначной степени. И, в итоге, используя специальные операторы нечеткого агрегирования (см. ниже), выводится результат группового принятия решений [9].

Для эффективной реализации предложенного метода предложены специальные операторы для нечеткой обработки групповых экспертных оценок:

$$\mu_{A'} = \begin{cases} (\mu_{A_{[m/2]}} + \mu_{A_{[(m+3)/2]}}) / 2, \text{ \textit{àíèè} } \sum_{j=1}^{[(m+1)/2]} \rho(A'_j, A'_{[m/2]}) = \sum_{j=[m/2]+1}^m \rho(A'_j, A'_{[(m+3)/2]}), \\ \mu_{A_{[m/2]}} + \frac{\sum_{j=1}^{[(m+1)/2]} \rho(A'_j, A'_{[m/2]})}{\sum_{j=1}^{[(m+1)/2]} \rho(A'_j, A'_{[m/2]}) + \sum_{j=[m/2]+1}^m \rho(A'_j, A'_{[(m+3)/2]}} (\mu_{A_{[(m+3)/2]}} - \mu_{A_{[m/2]}}), \text{ \textit{èí à'á} } \end{cases} ; \quad (9)$$

$$\mu_{B'_j} = \begin{cases} \frac{v(B'_{[m/2]}) + v(B'_{[(m+3)/2]})}{2}, \text{ \textit{àíèè} } \sum_{j=1}^{[(m+1)/2]} \rho(B'_j, B'_{[m/2]}) = \sum_{j=[m/2]+1}^m \rho(B'_j, B'_{[(m+3)/2]}), \\ c + k \left(\frac{v(B'_{[m/2]}) + v(B'_{[(m+3)/2]})}{2} + \frac{\sum_{j=1}^{[(m+1)/2]} \rho(B'_j, B'_{[m/2]})}{\sum_{j=1}^{[(m+1)/2]} \rho(B'_j, B'_{[m/2]}) + \sum_{j=[m/2]+1}^m \rho(B'_j, B'_{[(m+3)/2]}} \right), \text{ \textit{èí à'á} } \end{cases} ; \quad (10)$$

где

$$\rho(A, B) = \sum_{i=1}^N |\mu_A(x_i) - \mu_B(x_i)|, \quad v(A) = \sum_{i=1}^N \mu_A(x_i), \quad c = \left(\sum_{i=1}^m (\mu_{B_i}(x_i) - kv(B_i)) \right) / m$$

, $x_i \in X, A, B \in \Psi(X), m = 2, 3, \dots, 1 \in \{1, 2, \dots, m\}$.

Теперь мы готовы, наконец, приступить к решению задачи установления тарифа на распределение природного газа на основе вышеописанного метода нечеткого агрегирования информации. Пусть некоторая компания-лицензиат представила в регулирующий орган заявку на установление тарифа. Как мы установили выше, рассмотрению подлежат 10 укрупненных параметров. Можем считать, что имеется в наличии универсальное множество

$$X = \{x_1, x_2, \dots, x_{10}\}, \quad (11)$$

где: x_1 – заработная плата; x_2 – амортизация;

x_3 – другие эксплуатационные расходы; x_4 – прямые налоги; x_5 – норма прибыли (отдачи) на собственный капитал; x_6 – доля собственного капитала в общем капитале; x_7 – доля процентов под займ; x_8 – доля займа в общем объеме капитала; x_9 – инвестированный капитал; x_{10} – количество распределяемой природный газа и значения представленных параметров на этом универсуме представлены численными значениями $\{X_i\}, i \in \{1, 2, \dots, 10\}$.

Далее, эти параметры рассматриваются экспертами регулирующего органа, на предмет их соответствия законодательным и социально-экономическим критериям тарифного регулирования. Пусть имеется группа из m экспертов, $m = 2, 3, \dots$, которая оценивает адекватность представленных параметров на соответствие существующим правилам и процедурам тарификации. На основе сформулированных в рамках предложенного метода требований шкалирования численных значений заявочных параметров требований, экспертам предлагается спроецировать представленные компаниями – лицензиатами численные значения вышеперечисленных параметров, в действительный интервал $[0; 1]$. Данное действие предлагается осуществить посредством введения нормировочных коэффициентов $K_i(X_i), i = \{1, 2, \dots, 10\}$. Определение этих коэффициентов, по идее, дело тонкое, но носит несомненно технический характер и для данной работы имеет непринципиальное значение.

Определим оценку, произведенную экспертом № j на универсуме (11), как НМ $\{B_j\}$, полученное посредством вышеупомянутого нормировочного коэффициента. Затем определим ее регуляцию (см.

выше) $\{B'_j\}, j = \overline{1, m}, m = 2, 3, \dots$ и, в результате для для описания оценок всех экспертов, получаем конечную совокупность из m НМ, определенных на универсуме $X = \{x_1, x_2, \dots, x_{10}\}$:

$$\begin{matrix} & x_1 & x_2 & \dots & x_{10} \\ B'_1 & \mu_{B'_1}(x_1) & \mu_{B'_1}(x_2) & \dots & \mu_{B'_1}(x_{10}) \\ B'_2 & \mu_{B'_2}(x_1) & \mu_{B'_2}(x_2) & \dots & \mu_{B'_2}(x_{10}) \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ B'_m & \mu_{B'_m}(x_1) & \mu_{B'_m}(x_2) & \dots & \mu_{B'_m}(x_{10}) \end{matrix} \quad (12)$$

Теперь, резюмируя вышеизложенное, приступаем к практической реализации предложенного подхода посредством описания общего алгоритма ($N = 10$).

Обобщенный алгоритм.

Шаг 0: Инициализация - конечная совокупность НМ $\{B_j\}$ на универсуме (11), ее регуляция (12) $\{B'_j\}, j = \overline{1, m}, m = 2, 3, \dots$. Обозначение результата нечеткого агрегирования на элементе x_i через $\mu(x_i), i = \overline{1, N}$.

Шаг 1: Вычисление значений показателей согласованности конечных совокупностей одноэлементных НМ $\{B'_j\}$ в каждой точке x_i , $i = \overline{1, N}$ посредством (5). Обозначение полученных величин через $S(x_1), S(x_2), \dots, S(x_N)$ соответственно. Вычисление значения S_{\max} посредством (7).

Шаг 2: Выбор из множества $\{S(x_i)\}$ элемента S^* , который не меньше любого элемента, за исключением S_{\max} .

Шаг 3: Выполнить Шаг 4 для $i = \overline{1, N}$.

Шаг 4: Вычислить $\Delta = S^* - S(x_i)$.

Если $D < 0$, то $\mu(x_i) = \mu_{B_j}(x_i)$;

Если $D = 0$, то вычислить значение $\mu(x_i)$ посредством (9);

Если $D > 0$, то вычислить значение k_i из уравнения (8) и значение $\mu(x_i)$ посредством (10).

Шаг 5: Представление результата нечеткого агрегирования $\{\mu(x_1), \mu(x_2), \dots, \mu(x_N)\}$.

Шаг 6: Преобразование значений из действительного интервала $[0; 1]$ в размерности заявочных параметров и вычисление тарифа посредством (1).

Заключение

Предлагаемая работа посвящена попытке усовершенствования регулирования процесса тарификации природного газа. Новый подход базируется на сравнительно молодой отрасли математической науки - теории нечетких множеств. С помощью этого направления мы предложили обобщение расчетов тарифов на природного газа, охватывающее обработку субъективной, неопределенной и, в конечном итоге, «неполноценной» информации. На наш взгляд, предложенный подход может быть использован в процессах тарификации природного газа и других различных товаров и услуг.

Следует отметить, что предложенный подход позволяет решать задачи, относящиеся к методам группового принятия решений. Намечая дальнейшие пути развития данной работы, мы полагаем, что при оценке заявочных тарифных параметров одним экспертом, использование такого раздела теории НМ, как аппарат нечетких чисел, (интервальных, треугольных и трапециодальных), будет являться весьма эффективным направлением.

1. Gustave Nguene Nguene, Matthias Finger, A fuzzy-based approach for strategic choices in electric energy supply. The case of a Swiss power provider on the eve of electricity market opening, Engineering Applications of Artificial Intelligence, v. 20, Issue 1, (February 2007), 37-48.

2. D. Dubois, H. Prade, Possibility Theory, an Approach to Computerized Processing of Uncertainty, Plenum Press, New York, 1988.

3. L.A. Zadeh, Fuzzy sets, Information and Control v. 8 (1965) 338–353.

4. L.A. Zadeh, The concept of a linguistic variable and its application to approximate reasoning, Information Sciences v. 8, (1975) 199–249.

5. Нечеткие множества в моделях управления и искусственного интеллекта/Под ред. Д. А. Поспелова.- М.: Наука. Гл. ред. физ.- мат. лит., 1986.-312 с.- (Проблемы искусственного интеллекта).

6. Об утверждении методологии, правил и процедур установления тарифов на природный газ, Постановление Национальной Комиссии по Регулированию Энергетики Грузии № 3 от 1 июля 1998 года.

7. T. Tsabadze, A method for fuzzy aggregation based on group expert evaluations, Fuzzy Sets and Systems 157 (2006) 1346-1361.

8. T. Tsabadze, The coordination index of finite collection of fuzzy sets, Fuzzy Sets and Systems 107 (1999) 177-185.

9. Цабадзе Т.В.,Новый подход к установлению тарифов на электроэнергию на основе нечетких множеств, 2010, ст. 17-23.

მსოფლიო ენერგეტიკული ტენდენციები

გ. ტაბატაძე, სტუ-ს პროფესორი,
ნ. ხუნდაძე, სტუ-ს პროფესორი
გ. კახაძე, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მსოფლიო ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები. ძირითადად გაანალიზებულია ენერგომატარებლების-ნავთობის, გაზის და ნახშირის არსებული და სამომავლო რესურსები, აგრეთვე ე.წ. „არატრადიციული ენერგოშემცველების“ გამოვლენილი და პერსპექტიული რესურსები, მათი მოპოვების პრობლემები, მსოფლიო ეკონომიკის მოთხოვნა ენერგორესურსებზე, მათი მოპოვების, მიწოდების და მოხმარების შესაძლო ტენდენციები 2030 წლამდე პერიოდისათვის.

Summary

The article deals with trends of future development of world's energetic. It is discussed the applicable resources of hydrocarbons oil, gas and coal, as well as nonconventional resources, problems of their extraction, the founts of world demand, supply and consume until 2030 year.

* * * * *

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ჰაერის, წყლის და მიწის გარდა, არ არსებობს სხვა პროდუქტი ისეთი სასარგებლო და აუცილებელი ცივილიზებული კაცობრიობისათვის, როგორც ნავთობი და მისგან მიღებული პროდუქტებია. 125 წლის მანძილზე კაცობრიობამ ტრილიონი ბარელი ნავთობი მოიხმარა. თანამედროვე პირობებში კი მას 30 წელიწადი თუ დასჭირდება, რათა ერთი ტრილიონი ბარელი კიდევ მოიხმაროს.

ამრიგად, ცივილიზაციის განვითარებისათვის ნავთობის ასეთი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კაცობრიობა მას უნდა უმადლოდეს თავის ცხოვრებისეულ სიკეთეებს, და ასევე ინგლისელ პოლკოვნიკს, ედვინ დრეიკს, რომელმაც პირველმა გაბურღა ჭაბურღილი პენსილვანიის (აშშ) შტატში და მიიღო სამრეწველო ნავთობი.

მას შემდეგ მსოფლიო “ხარბად” მოიხმარს ნავთობს და მის დერივატივებს. დღეს წლიური მსოფლიო მოხმარება შეადგენს დაახლოებით 31 მილიარდ ბარელს, (დღელამეში 84 მლნ ბარელი), ხოლო მარაგების წლიური მატება-მხოლოდ 4 მილიარდის ტოლია. შედარებისათვის ვიტყვი, რომ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ნავთობის წლიური ხარჯი 6 მილიარდი ბარელის ტოლი იყო, ხოლო მარაგების მატება-30 მლრდ. ბარელი. აშშ-ის მთავრობის ენერ-

გეტიკული ინფორმაციის სამმართველოს შეფასებით პლანეტაზე დადასტურებული ნავთობის საერთო მარაგი 2012 წლის მონაცემებით შეადგენს 1,360 ტრილიონ ბარელს, ანუ 180 მლრდ.ტ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნავთობის ყველაზე დიდი მარაგების (მლრდ. ბარელი) მქონეა: საუდის არაბეთი (266,7), კანადა (180), ირანი (138,4). რუსეთმა მე-6 ადგილიდან მე-8 ადგილზე გადაინაცვლა და მისი მარაგები 60 მლრდ ბარელს შეადგენს. სამაგიეროდ, 2011 წლის მიხედვით, რუსეთი პირველ ადგილზეა ნავთობის მოპოვების მხრივ (დღელამური მოპოვება 10,1 მლნ. ტონა, საუდის არაბეთი-9,7; აშშ-9,05.) ნავთობის ყველაზე დიდი მომხმარებელი აშშ-ია (21 მლნ ბარელი/დღ), მეორე ადგილზე კი ევროკავშირია (15 მლნ. ბარელი/დღ).

ვარაუდობენ, რომ ნავთობნარმოების პიკი იქნება 2020 წლისათვის და შემდეგ დაიწყებს კლებას. ამრიგად, მთავრდება იაფი ნავთობის ერა.

ნავთობის დარჩენილი დიდი რეზერვები ჯერ კიდევ აღმოსაჩენია, რომლებიც განლაგებულია განსაკუთრებით დიდ სიღრმეებზე, შორეულ, გეოლოგიურად და პოლიტიკურად ძნელად მისაღწევ რაიონებში, და მოითხოვს უზარმაზარ ინვესტიციებს, ძვირადღირებულ ინოვაციურ ტექნოლოგიებს და დაკავშირებულია დიდ რისკებთან და განუსაზღვრელობებთან.

ექსპერტების გათვლით 2030 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობა 8 მილიარდს მიაღწევს, ხოლო მოთხოვნა ენერგეტიკაზე წლიურად 1,6%-ით, ანუ მთლიანობაში 36%-ით გაიზრდება. ელექტროენერჯის დამატებითი წარმოების უზრუნველსაყოფად მიმართული იქნება პირველად ენერგორესურსებზე მოთხოვნის ზრდის 57%, მრეწველობის წილად მოვა მოთხოვნის ზრდის 25%, ხოლო ტრანსპორტის წილად-17%.

ამასთან პირველად ენერგიაზე მსოფლიო მოხმარების 80%-ს პროგნოზული პერიოდის (2030) ბოლოსათვის დააკმაყოფილებს ნამარხი წიაღისეული (ნავთობი, გაზი, ნახშირი), თუმცა ამ პერიოდში გაიზრდება განახლებადი ენერჯის სახეობათა, მოხმარებაც (ბიოსანვავის ჩათვლით), მაგრამ მსოფლიო ენერგობალანსში მათი წილი 6%-ს არ გადააჭარბებს.

მიუხედავად მსოფლიოს ატომურ ელექტროსადგურებზე ბოლო პერიოდში მომხდარი აფეთქებებისა (გავიხსენოთ ფუკუსიმა-იაპონია), ატომური ენერჯის მოხმარება გლობალურად მაინც მნიშვნელოვანი ტემპებით გაიზრდება (საშუალოდ 2,6% წელიწადში), უპირატესად OECD - ს არანევრ ქვეყნებში

OECD-Organization of Economic Cooperation and

Development (ეკონომიკური თანანშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ეკონომიურად განვითარებულ 30 ქვეყანას).

ნახშირწყალბადოვანი საწვავის მოხმარების მოცულობაში უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდა გაზის წილი (2% წელიწადში), ნახშირის (1,2%), უფრო ნელი ტემპით გაიზარდა ნავთობის წილი (0,8%). ნავთობის მოხმარება და მისი დინამიკა პრაქტიკულად დამოკიდებული იქნება სატრანსპორტო სექტორის განვითარებაზე.

წიაღისეული ენერგორესურსების წარმოებაში ძირითად როლს შეასრულებს OECD-არანევრი ქვეყნები, მიწოდების ზრდის 80%-სწორედ მათზე გადანაწილდება. განსაკუთრებულ როლს შეასრულებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, რაც ძირითადად აიხსნება ამ რეგიონში ნახშირის აქტიური გამოყენებით (2030 წლისათვის ნახშირის მსოფლიო მოხმარების 52% წილზე მოვა) და საბადოებთან შედარებით ადვილად შეღწევადობით.

ენერგომოხმარების სტრუქტურაში მოსალოდნელია სათბობის სხვადასხვა სახეობათა კონვერგენცია. როგორც ცნობილია აქ წლის განმავლობაში დომინირებდა ნავთობი (1973 წლისათვის მსოფლიო ენერგომოხმარებაში მისი წილი 48%-ის ტოლი იყო), დღეს კი მისი წილი 33%-ს შეადგენს. ვარაუდობენ, რომ 2030 წლიდან ნავთობის, გაზის და ნახშირის წილები გათანაბრდება და თითოეულ მათგანზე მოვა 26-28%.

რა განაპირობებს ნავთობის მიერ ლიდერის პოზიციის დათმობას? პირველ რიგში, მასზე ფასების ზრდა (მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ნავთობის კრიზისის დროს მოხდა მისი „საფასო შოკი“, 2008 წლისათვის კი ფასებმა პიკს მიაღწია). მაღალი ფასების გამო ნავთობი პრაქტიკულად ძირითადად ეკონომიკის ერთ სექტორში-ტრანსპორტში გამოიყენება, სადაც მოტორული საწვავის სხვა სახეებმა ვერ — ვეროვით ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა (თუმცა ნავარაუდევია, რომ მოტორულ საწვავზე 2030 წლისათვის მოთხოვნის 5%-ს გაზი დააკმაყოფილებს, ასევე 5%-ს ბიოსაწვავი, 2%-ს ელექტროენერგია. მეორეს მხრივ, ნავთობზე მაღალი ფასები ასტიმულირებს მისი გამოყენების ეფექტიანობისათვის ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ 2007-2011 წლებში 1997-2001 წლებთან შედარებით ფასები ნავთობზე 220%-ით გაიზარდა, ნახშირზე 141%-ით, ხოლო გაზზე-95%-ით.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, ნავთობზე და სხვა ენერგორესურსებზე ფასების რეკორდულმა ზრდამ გაძლიერა ორი ტენდენცია. ვერ ერთი, გაიზარდა ენერგორესურსების გამოყენების ეფექტიანობა და მეორეც-სამეურნეო ბრუნვაში ჩაერთო ახალი, არატრადიციული ენერგორესურსები, რომელთა გამოყენება ახლო წარსულში არარენტაბელურად ითვლებოდა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თუ ენერგოეფექტურობა არ გაიზარდება პროგნოზული პერიოდის ბოლოსათვის დაახლოებით 31%-ით და დარჩება

არსებულ დონეზე, მაშინ მსოფლიოს დასჭირდება 2-ჯერ მეტი ენერგორესურსები, ვიდრე 2010 წელს, ენერგოეფექტურობის ზრდით კი მათზე მოთხოვნა მხოლოდ 36%-ით მოიმატებს.

მეორე ტენდენციის დახასიათებისას უნდა აღინიშნოს, რომ ენერგომატარებლების წარმოება მიმდინარეობს ორი მიმართულებით 1) ნავთობის, ბუნებრივი გაზის და ნახშირის ტრადიციული ზრდით; 2) ახალი ტექნოლოგიების განვითარებით, რომელმაც ახალი ენერგორესურსების-როგორც განახლებადის, ისე ნავთობისა და გაზის არატრადიციული წყაროების გამოვლინებისა და ათვისების საშუალება მოგვცა. არატრადიციულ ენერგორესურსებში იგულისხმება ფიქლის გაზი და დაბალმელნევადი ქანების ნავთობი (ამ უკანასკნელს ზოგიერთი მკვლევარი ფიქლის ნავთობსაც უწოდებს). ცნობილი ნავთობკომპანიის ბრიტიშ.პეტროლეუმის BP-ის შეფასებით, ენერგორესურსების წარმოების ჯამური ზრდის 20% სწორედ ამ არატრადიციულ ენერგორესურსებზე მოვა, ხოლო განახლებად ენერგორესურსებზე-17% (მზის, ქარის, ოკეანის ტალღების, წყალბადის, ატომური ენერჯის, ეთანოლის, გეოთერმული წყლების ჩათვლით).

აშშ-ის ენერჯის დეპარტამენტის დავალებით ენერჯის საინფორმაციო სააგენტომ გამოთვალა, რომ მსოფლიო მასშტაბით სავარაუდოდ 6 ტრილიონი ბარელი, დაბალმელნევადი ქანების ე.წ. “მძიმე” ნავთობია, რომლიდანაც 2 ტრილიონი ბარელია ამოსალაბი. აქედან, დასავლეთ კანადა ფლობს 2,5 ტრილიონ ბარელს (175 მილიარდი ბარელის აღმოჩენილი რეზერვებით). ვენესუელა ითვლის 1,5 ტრილიონ ბარელს 270 მილიარდი გამოვლენილი რესურსებით.

რუსეთსაც სავარაუდოდ აქვს ერთი ტრილიონი ბარელი მძიმე ნავთობი. მიუთითებენ, რომ აშშ-ში 100-180 მილიარდი ბარელი მძიმე ნავთობია.

3. დაპირისპირებული მხარეების ქმედებები — დაპირისპირების დროს მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოქმედებს ორივე მხარე. ისინი იმისდა მიხედვით მოქმედებენ, თუ რას აკეთებს მონიშნულმდეგე, ხოლო თუ ინფორმაციის ვაკუუმში არიან მათთვის რთულდება გადაწყვეტილების მიღებაც. სწორი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მხარეები თითოეული ქმედების დადებით და უარყოფით შედეგებს გაითვალისწინებენ, კარგად ანონდანონიან და ამის შემდეგ იმოქმედებენ. რა თქმა უნდა აარჩევენ მათთვის საუკეთესო ვარიანტს, რომელიც მოუტანს წარმატებას. ჭკვიან მენეჯრს თუ არ აქვს საკმარისი ინფორმაცია, უნდა ივარაუდოს თუ როგორ შეიძლება მოიქცეს მეორე მხარე და ესეც უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას. სწორედ ეს არის სწორი სტრატეგია, მეორე მხარის ქმედებების გათვალისწინებით, შენთვის საუკეთესო გზის ამორჩევა. როცა ვსაუბრობთ მონიშნულმდეგის ქმედებების წინასწარ განსზღვრაზე, აქ ვგულისხმობთ რომ ისინი რაციონალურად იმოქმედებენ, მხოლოდ ასე შეიძლება გამოიყენო ქმედება. თუ ისინი არაადეკვატურად მოიქცევიან, რაც სტრესის დროს არ არის გამორიცხული, ყველანაირ გათვლაზე ზედმეტია საუბარი. ასევე ხშირია, ემოციური მოქმედებები. მაგალითად როცა ერთი მხარე მეორეზე ძალიან გაბრაზდება, სიბრაზისგან გაუთვალისწინებელი მოქმედება შეიძლება ჩაიდინოს.

4. მეორე მხარის რეაქციები — ამ ეტაპზე მეორე მხარე პასუხობს პირველის ქმედებებს. საპასუხო რეაქციები ყოველთვის დამოკიდებულია თავდაპირველ საქციელზე. კონფლიქტიც ხომ ზუსტად ამ ორ მხარეს შორის არის, და მათი ურთიერთ ქმედებები არის ყველაზე საინტერესო. ეს ფაზები ყველა ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ერთმანეთიდან გამომდინარეობს. არც ერთი მხარე არ დგამს ისე ნა-

ბიჯს, თუ არ გაითვალისწინა მეორე მხარის რეაქცია. კონფლიქტიც ისე არ მოგვარდება, თუ ერთმანეთის აზრები არ გაითვალისწინეს. ორივე მხარეს მოუწევს გარკვეული პოზიციების დათმობა, იმისათვის რომ მიაღწიონ შეთანხმებას.

5. ურთიერთქმედების შედეგები — ბოლო ფაზა სწორედ შეთანხმების მიღწევას და კონფლიქტის დასრულებას. აქ ჩანს ის შედეგები, რაც მხარეებმა მიიღეს კონფლიქტის პერიოდში, და საბოლოოდ ყველაფერი კარგად მთავრდება.

ამ მოდელში კონფლიქტის პარამეტრები თვითონ კონფლიქტის მონაწილეებს შეუძლიათ განსაზღვრონ. სხვადასხვა ინსტრუმენტების ზეგავლენით შეიძლება პარამეტრების შეცვლა, ამ მოდელის ფარგლებში. ნებისმიერ ინსტრუმენტს შეუძლია კონფლიქტის მოგვარება ან მისი გაუარესება, ეს დამოკიდებულია თუ რა ინტერესები აქვთ მხარეებს და როგორ იყენებენ მათ. ამიტომ თითოეულ სიტუაციაში თავიდან უნდა განისაზღვროს კონფლიქტის მენეჯმენტის ინსტრუმენტები და მათი შედეგები. ეს ინსტრუმენტები ყველა სიტუაციისთვის ერთნაირად გამოსადეგი არ არის და მათი მორგება სიტუაციაზე არის საჭირო. უკეთესი შედეგის მისაღწევად ჯობს ერთი ინსტრუმენტის კი არა რამდენიმე მათგანის ერთად გამოყენება. მათი ზეგავლენა მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტის სიღრმეზე არის დამოკიდებული. ასეთ სიტუაციებში სხვადასხვა ჯგუფისა თუ გაერთიანების ინტერესები სრულად ვერ იქნება დაცული. იმისათვის, რომ კონფლიქტის მოგვარება გაადვილდეს, როგორც წესი საჭიროა მოტივაციის ინსტრუმენტების ჩართვა. ისინი გარანტი იქნება იმისა, რომ ჯგუფი დასახულ მიზანს არ გადაუხვევს და ბოლომდე მიჰყვება სტრატეგიას. სტრუქტურული მოდელის თავისებურებაა ის, რომ კოორდინაციისა და მოტივაციის ინსტრუმენტები ერთდროულად გამოიყენონ კონფლიქტის დარეგულირებისას.[3]

პროცესუალური მოდელის დროს, მხარეების ქმედება განიხილება უკვე არსებული პარამეტრების მიხედვით. ამ დროს ნათლად ჩანს რომელ ინსტრუმენტს აქვს ძირითადი გავლენა მხარეების ქმედებებზე. ხოლო სტრუქტურული მოდელის პირობებში კონფლიქტის სტრუქტურა და მისი მოგვარების გზები ისე უნდა შეიცვალოს, რომ მაქსიმალურად ახლოს იყოს ორგანიზაციის მიზანთან. ე.ი პარამეტრები კი არ უნდა იყოს უცვლელი და მხარეები ერგებოდნენ მათ, არამედ ორგანიზაციის გეგმებს უნდა მოვარგოთ პარამეტრები.[4] პარამეტრები, რომლებიც არ ერგება ჩვენს ორგანიზაციას შეგვიძლია შევცვალოთ, იმისათვის რომ კონფლიქტის მხარეების ქმედებებზე დადებითი ზემოქმედება ჰქონდეთ. სიტუაციის მიხედვით შეიძლება გვეკონდეს ხუთი პარამეტრი:

1. კონფლიქტში მონაწილე მხარეები — ძირითადად ორნი არიან, მაგრამ შეიძლება მათი რაოდენობა ნებისმიერ დროს შეიცვალოს. ამ მოდელის ფარგლებში შეიძლება მხარეები, რომლებიც კონფლიქტში მონაწილეობდნენ, ახალი ჯგუფებით ჩანაცვლდნენ. ამის კარგი მაგალითია სამუშაო

ჯგუფებში თანამშრომელთა რიცხვის შემცირება ან სულაც მათი, სხვა უფრო კვალიფიციური კადრებით, ჩანაცვლება. ასევე შეიძლება მოხდეს, რომ უკვე არსებულ კონფლიქტში სხვა დეპარტამენტებიც ჩაერთონ, როცა კონფლიქტი ორგანიზაციაშია. თავიდან მათ სულაც არ ეხებოდათ ეს დაძაბულობა, დროთა განმავლობაში კი შეიძლება ისინიც ჩაერთვნენ. მაგალითად თავიდან მხოლოდ ორ დეპარტამენტს გაუზარდეს გეგმები, რომელთა შესრულება არა რეალურია, და თავიდან მხოლოდ ისინი გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, შემდეგ კი სხვა განყოფილებებსაც მისცეს იგივე გეგმები და ისინიც შეუერთდნენ ამ კონფლიქტს.

2. კონფლიქტის თემა — რაც უფრო მეტად ინფორმირებულნი არიან მხარეები, მით უფრო ნაკლები თემა არსებობს კონფლიქტის წარმოსაქმნელად. კომუნიკაციის გაუმჯობესება ხელს უწყობს როგორც თანამშრომლებს შორის ურთიერთობას ასევე საქმის შესრულების ხარისხის ამაღლებას. როცა ადამიანები ინფორმირებულნი არიან მათ ნაკლები ეჭვი აქვთ ერთმანეთზე და ინტრიგებიც მცირდება, ხოლო რაც შეეხება საქმის შესრულებას, თავისთავად რაც უფრო მეტი იციან თუ როგორ ასრულებენ ამა თუ იმ დავალებას, მეტი სიზუსტითა და მონდობით გააკეთებენ დავალებულ საქმეს. მენეჯერმა შეიძლება შეიმუშაოს სისტემა, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია მივა ყველა თანამშრომელამდე. შეიძლება ეს იყოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. ჩვენი აზრით, წერილობითი ფორმა რადგან როცა ბევრ თანამშრომელზეა საუბარია ძნელია საჭირო ინფორმაცია ყველას ერთი და იგივე სიტყვებით გადასცე, მაშინ როცა წერილობით ერთხელ დაწერ და ყველას დაუგზავნი. ამ ფორმის ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია ელექტრონული ფოსტა, ტოპ მენეჯერები იმეილებს უგზავნიან ჯგუფის მენეჯერებს, ისინი კი თავიანთ თანამშრომლებს. ბევრ კომპანიაში ეს აპრობირებული და საკმაოდ წარმატებული მეთოდია.

3. ურთიერთქმედების მიმდინარეობა — ამ ეტაპზე მხარეები უკვე იწყებენ ერთმანეთში მოლაპარაკებას და ხშირად ისეც ხდება, რომ პოზიციას, რომელიც კონფლიქტისას ჰქონდათ, ცვლიან. ამისი მრავალი მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად ის, რომ გააცნობიერეს კონფლიქტის დაწყების მიზეზი და მიხვდნენ მის არაადეკვატურობაში. ან მსჯელობისას მეორე მხარის აზრი მიიჩნიეს უფრო მართებულად. ეს თვისება ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვანია, კონფლიქტისას რადგან ჯიუტად შენი აზრის გატანა შეიძლება ზოგჯერ წამგებიანიც კი იყოს, სჯობს პოზიციის შეცვლა, მითუმეტეს თუ ხვდები რომ მეორე მხარე მართალია, შენგან განსხვავებით. ასე გონივრულად თუ არ იმოქმედეს მხარეებმა, მაშინ პროცესი შეიძლება ძალიან გაინელოს დროში და შესაბამისად კონფლიქტიც არ მოგვარდება, შეიძლება უფრო გაღრმავდეს კიდევც.

4. მხარეების სტრატეგიები — როგორც უკვე ავლინებთ მხარეებს ყოველთვის აქვთ არჩეული

სტრატეგია, რომლითაც აპირებენ მოქმედებას კონფლიქტის სიტუაციაში. სტრატეგია არის მოქმედების ალტერნატივა, რომელიც მხარეს აქვს გადანწყვეტილების მიღებისას. სტრატეგია წინასწარ არის გათვლილი, მაგრამ იმისდა მიხედვით თუ როგორ განვითარდება სიტუაცია უნდა მოხდეს მისი შეცვლა. მათი ქმედებები შეზღუდულია იმის და მიხედვით თუ რა რაოდენობის ალტერნატიული გზები გააჩნიათ. კარგ მენეჯერს, არა მხოლოდ კონფლიქტისას არამედ ასევე სამუშაო პროცესშიც, უნდა ჰქონდეს გათვლილი სხვადასხვა ვარიანტი, თუ როგორ იმოქმედებს მისი გუნდი. თავიდან შეიძლება რაღაც წინააღმდეგობები არ ჩანდეს და რაღაც პერიოდის მერე გამოჩნდეს და ამისათვის გუნდი მზად უნდა იყოს, ისე მოერგოს სიტუაციას რომ საბოლოოდ მიზანს მიაღწიოს. ხშირად როცა რაიმე დიდ პროექტს აკეთებს სერიოზული კომპანია ჯერ გეგმავს და გრძელვადიან სტრატეგიას შეიმუშავებს. ასევე ცალკე არის ჯგუფი, რომელიც რისკებზე მუშობს, ისინი იკვლევენ და ითვლიან თუ რა რისკი შეიძლება ამ პროექტს ჰქონდეს. ამის მერე კიდევ ერთხელ იკრიბება სამუშაო ჯგუფი და იღებს გადანწყვეტილებას ღირს თუ არა საერთოდ ამ პროექტის განხორციელება. რადგან მხოლოდ კარგი იდეა არ ნიშნავს წარმატებულ პროექტს. შეიძლება დანახარჯი და რისკი იყოს იმდენად დიდი, რომ არ ღირდეს მისი განხორციელება. საბოლოოდ ყველა

პროექტმა მოგება უნდა მოუტანოს ორგანიზაციას. სტრატეგიის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ თუ რა ორგანიზაციული რესურსები გააჩნია ჯგუფს, რაც უფრო ძლიერი სტრატეგია აქვს მას არჩეული, მით უფრო დიდი შესაძლებლობებიც ექნება. რადგან გეგმებს ადგენენ რაღაცის იმედად და არა მხოლოდ სურვილებით. აქვე უნდა ითქვას, რომ სტრატეგია ნაწილობრივ კონფიდენციალურია, რადგან ეს შეიძლება კონკურენტებისთვის საკმარისი იყოს იმისათვის, რომ სამომავლო გეგმები გამოიფრონ და მათ დაგასწრონ მათი განხორციელება. ხოლო რაც შეეხება იდეებსა და ინფორმაციებს, ეს არაფრის დიდებით არ უნდა მოხვდეს კონკურენტების ხელში, რადგან ისინი უკვე მზა იდეებია, კონკურენტები ცოტას დაამატებენ და თავიანთ პროექტად გაასაღებენ.

5. ურთიერთქმედების შედეგები — ეს უკვე არის დასკვნითი ფაზა, რომელშიც ჩანს თუ რა შედეგებს მიაღწიეს მხარეებმა ამ პერიოდის განმავლობაში და როგორ დასრულდება კონფლიქტი. რა თქმა უნდა შედეგი თითოეული მაგალითისთვის არის სხვადასხვა და ხშირ შემთხვევებში განსხვავებული, იმისგან რასაც მხარეები მოელოდნენ კონფლიქტის სანყის ეტაპებზე. საუკეთესო შემთხვევაში შედეგი ორივე მხარისთვის მისაღები უნდა იყოს და ასევე რეალურად უნდა გადაწყვიტოს ის პრობლემა, რის გამოც აგორდა კონფლიქტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Jost P.-J.(2012) Strategisches Koonfliktmanagemnet in Organisationen
2. Schwartz G (2005) Konfliktmanagement
3. Pichler S. (2000) Konflikte am Arbeitsplatz erfolgreich bewältigen
4. Petterson G. (2000) Konfliktbewältigen am Arbeitsplatz

მეთოდისა და მეთოდოლოგიის პრობლემა მეცნიერულ კვლევაში

ნატო ჩიკვილაძე, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ამ ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს მეთოდოლოგია, როგორც სწავლება მეთოდების შესახებ: ჩვენ განვიხილავთ მეთოდოლოგიის საგანს, მის ძირითად დონეებს და ტიპებს, აგრეთვე განვიხილავთ შედარებით დიდ მეთოდოლოგიურ კონცეფციებს, რომლებიც შეძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის-გ. კუნის „პარადიგმების“ და „მეცნიერული რევოლუციების“ კონცეფციას, ასევე ი.ლაკატოსის „კვლევითი პროგრამების“ თეორიას და კ.პოპერის კონცეფციას მისი „ფალსიფიკაციონიზმისა“ და „ეპოლოჯიკონიზმის“ იდეებით. ამ საკითხების შესწავლამ მომავალში უნდა ხელი შეუწყოს ეკონომიკური მეთოდოლოგიის, როგორც ეკონომიკური მეცნიერების განუყოფელი შემადგენელი ნაწილის, მიზნებისა და ამოცანების განმარტებას.

Резюме

В этой статье предметом рассмотрения станет методология, как учение о методах: мы рассмотрим предмет методологии, ее основные уровни и типы, а также обсудим наиболее крупные методологические концепции, которые могут быть применены к развитию экономической науки, - концепцию “парадигм” и “научных революций” Т.Куна, теорию “исследовательских программ” И. Лакатоса и концепцию К.Поппера с ее идеями “фальсификационизма” и “эволюционизма”. Изучение этих вопросов должно способствовать пояснению целей и задач экономической методологии как неотъемлемой составной части экономической науки.

* * * * *

ტერმინი „მეთოდოლოგია“ წარმოიშვა როგორც ძველბერძნული სიტყვის: „მეთოდოს“-ხერხი, გზა; და „ლოგოს“-სწავლება, კომბინაცია. სიტყვასიტყვით თარგმნით „მეთოდოლოგია“-ეს არის „სწავლება მეთოდის შესახებ“. მეთოდი- ეს არის განსაზღვრული მტკიცე წესების ერთობლიობა განკუთვნილი რაიმე მიზნის მისაღწევად. მეთოდის ძირითადი დანიშნულებაა-იყოს „კომპასი“ ან „შუქურა“ შემეცნებელი სუბიექტის ხელში, რაიმესთან მიმართებაში მეცნიერული კვლევის გზაზე.

„ჭეშმარიტი მეთოდი წარმოადგენს თავისებურ „კომპასს“, რომლის მეშვეობითაც შემეცნებელი და მოქმედების სუბიექტი იკვლევს თავის გზას და ამავდროს, ეხმარება მას შეცდომებისაგან თავის დაღწევაში“.

მეთოდოლოგია შეიძლება შემდეგნაირად განიშარტოს: მეთოდოლოგია- პირველ რიგში არის სწავლება, რომელიმე მეცნიერების ძირითადი მეთოდების შესახებ. მეორედ, თვით ამ მეთოდების ერთობლიობა, ანუ მეთოდებისა, რომელთაც კავშირი აქვთ მოცემულ მეცნიერებასთან, ამასთან პირველი განმარტება მეთოდოლოგიის არის უფრო ღრმა თავისი მნიშვნელობით, ვიდრე მეორე.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე შემთხვევაში მეთოდოლოგიის მეთოდების უბრალოდ ერთობლიობაზე დაყვანა წარმოადგენს ამ საკითხის საკმაოდ განმარტივებას.

„მეთოდოლოგია არ წარმოადგენს ცალკეული მეთოდების უბრალო ჯამს, მათ „მექანიკურ ერთობას“. მეთოდოლოგია რთული დიალექტიკური, მთლიანი, სუბორდინირებული სისტემაა სხვადასხვა დონის საშუალებათა, ხერხების, პრინციპების, მოქმედების სფეროების, მიმართულების, ევრისტიკულ შესაძლებლობების, შინაარსის, სტრუქტურისა და ა.შ.“

მეცნიერებათა უმრავლესობაში ტერმინი „მეთოდი“ და „მეთოდოლოგია“, გამოიყენება საკმაოდ ფართო დროდადრო და სხვადასხვა აზრით. მაგალითად, სოციოლოგები ერთმანეთთან აახლოვებენ ორ ცნებას: სოციოლოგიის მეთოდოლოგია და სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგია (მეთოდიკა) და ამიტომაც განმარტავენ მეთოდოლოგიის მიზანს და ამოცანებს შემდეგნაირად: „მეთოდოლოგიას უწოდებენ მეცნიერული კვლევის პრინციპების სისტემას. სწორედ რომ მეთოდოლოგია განსაზღვრავს კონკრეტული მიზნით შეკრებილ ფაქტებს, თუ რამდენად შეუძლია იყოს ცოდნის რეალური და საიმედო საფუძველი.

ფორმალური თვალსაზრისით მეთოდოლოგია არ არის დაკავშირებული რეალური სამყაროს შესახებ ცოდნის არსობრივ გაგებასთან, უფრო სწორად მეთოდოლოგიას საქმე აქვს ისეთ ოპერაციებთან, რომლის მეშვეობითაც ხდება ცოდნის კონსტრუირება. ამიტომ, ტერმინი „მეთოდოლოგია“ მიღებულია ენოდოს კვლევის პროცედურების, ტექნიკისა და მეთოდების ერთობლიობას, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ხერხების ჩათვლით.

მეთოდოლოგიის შინაარსობრივი გაგება გამომდინარეობს იქიდან, რომ მასში რეალიზდება კვლევის სფეროს საგნობრივი ევრისტიკული (ე.წ. საძიებო) ფუნქცია.

ცოდნის ნებისმიერ თეორიულ სისტემას აზრი აქვს იმდენად, რამდენადაც ის არა მარტო აღწერს და განმარტავს საგნის ზოგიერთ სფეროს, იმავდროულად წარმოადგენს ახალი ძიების ინსტრუმენტს. რამდენადაც თეორია აყალიბებს საგნობრივ

სამყაროს საგნობრივ სფეროში ასახვის პრინციპებსა და კანონებს, ის ამავე დროს, წარმოადგენს მეთოდს სინამდვილის ჯერ კიდევ შეუსწავლელ სფეროში შემდგომი შეღწევის არსებული, პრაქტიკით შემონმბეული ცოდნის საფუძველზე.

ეკონომიკური მეცნიერებისათვის ასეთი დაახლოება ნაკლებპროდუქტულია. ცნება „ეკონომიკური მეთოდოლოგია“ თავისი მოცულობით გაცილებით ფართოა და ღრმაა შინაარსით, ვიდრე ცნება „ეკონომიკური კვლევის მეთოდი (მეთოდიკები)“ (განსაკუთრებით თუ უკანასკნელს განვმარტავთ სოციოლოგიურ რაკურსში-როგორც ეკონომიკური ინფორმაციის შეკრების მეთოდებს). ეკონომიკური მეთოდოლოგია მხოლოდ მეტად გამარტივებულ, ზღვრულად ელემენტარულ გაგებაში არის ერთობლიობა ეკონომიკური მეთოდებისა და პროცედურებისა; თუკი მას უფრო საფუძვლიანად განვმარტავთ, თავის თავში მოიცავს აგრეთვე ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიურ ისტორიას, ეკონომიკური ცოდნის იდეალებისა და სტანდარტების კვლევას, ეკონომისტების მსოფლმხედველობრივი ორიენტირებისა და ფასეულობათა შესწავლას და კიდევ სხვა.

მეთოდოლოგია, როგორც ფილოსოფიური ცოდნის ნაწილი, მჭიდრო კავშირშია შემეცნების (გნოსეოლოგიის, ეპისტემოლოგიის) თეორიასთან და მასთან ერთად ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

წარმოგიდგენს ზოგად „შემეცნებით“ და „კვლევით“ პრინციპებს სინამდვილის შესასწავლად;

უზრუნველყოფს დისციპლინათაშორისი სინთეზის შესაძლებლობას, როგორც ცოდნის შიგა მსხვილ სფეროებში (საბუნებისმეტყველო, სოციალური, ჰუმანიტარული და ტექნიკური მეცნიერებები), ასევე მათ შეპირისპირებაზე;

ზოგადად ამუშავებს ჭეშმარიტების პრობლემას და მისი განმტკიცების მეთოდებს.

აანალიზებს ცოდნის მსოფლმხედველობრივი გაგების სტანდარტებს (პირველ რიგში მეცნიერული ცოდნის) და მისი წარმოშობის ზოგად სოციალურ-ტურულ ფონს.

აგებს ანალიტიკურ სქემებს ცოდნის სხვადასხვა ტიპების მეცნიერული, რელიგიური, ყოველდღიური ცხოვრების და ა.შ. ისტორიის შესწავლისათვის.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „მეთოდოლოგია“ და „შემეცნების თეორია“ ერთი და იგივე ფილოსოფიური მეცნიერების გამოსახვის უბრალოდ ორი განსხვავებული სიტყვაა: „მეთოდოლოგია უკვე გარკვეული შემეცნების თეორიის აზრით, როგორც უკანასკნელი კი არ შემოისალვრება შემეცნების ფორმებისა და მეთოდების გამოკვლევით, არამედ შეისწავლის შემეცნების ბუნების პრობლემებს, ცოდნის სინამდვილესთან შემეცნების სუბიექტსა და ობიექტთან დამოკიდებულებას, შემეცნების შესაძლებლობებსა და საზღვრებს, მისი ჭეშმარიტების კრიტერიუმებს და ა.შ. სხვა მხრივ, მეთოდოლოგია „ფართოა“ გნოსეოლოგიაზე, რადგანაც მას აინტერესებს არა მარტო შემეცნების მეთოდები, არამედ ადამიანური საქმიანობის ყველა სხვა ფორმები.

მეთოდოლოგიის შესწავლა მნიშვნელოვანია ნებისმიერი მკვლევარისათვის, მაგრამ, ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი მეცნიერების მეთოდოლოგიის შესწავლა ვერანაირად ვერ შეცვლის თვით მეცნიერების შესწავლის აუცილებლობას.

„მეთოდოლოგიაში საერთოდ არ უნდა მოველოდეთ სიღრმისეულ ჭეშმარიტებას“. ჰაკეტებს რა ასეთ დასკვნას, ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და მეცნიერების მეთოდოლოგი, სერ კარლ პოპერი, ამით ხაზს უსვამს მეთოდოლოგიის მეორეხარისხოვან როლს თეორიასთან შედარებით. სინამდვილეში, ნებისმიერი მეცნიერისათვის, მკვლევარისათვის, პირველ რიგში, უფრო მნიშვნელოვანია ის ჭეშმარიტება, რომლის დაუფლებისაკენ მიისწრაფის, ხოლო ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზა როგორი იქნება — სხვა საქმეა. ამიტომ მეთოდოლოგია აუცილებელია განვიხილოთ უფრო როგორც მეცნიერული კვლევის ინსტრუმენტი, ხოლო თვით მისი როლი შეიძლება განისაზღვროს როგორც ინსტრუმენტული. მაგრამ ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვაგვარად. თუ „ბიომექანიკისა“ და „ერგონომიკისათვის“ ამ ინსტრუმენტებით სარგებლობა სრულად შეესაბამება მეცნიერულ კვლევას, მაგრამ მეთოდოლოგიის ფლობის უნარი, ხარისხი და დონე, როგორც ჩანს, იმყოფება მეცნიერული რეფლექსაციის ზღვარს მიღმა.

მეთოდოლოგიის არჩევა, ისევე როგორც საკვლევი პრობლემის არჩევა, რამდენადმე ხელოვნებაა, რომლის შესწავლა საჭიროა, როგორც იტყვიან, „ბავშვობის ასაკიდან“, ხოლო უფრო ზუსტად. მეცნიერებაში ყოფნის პირველივე წლიდან.

ამასთან დაკავშირებით, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. მეცნიერული ცოდნის სფეროს გაფართოებას ჩვეულებრივად გვიხატავენ, ე.წ. „ცოდნის არეალის“ „გაფართოებით“. თუ მაგალითად, XVII ს. „ცოდნის არეალი“ არც ისე დიდი იყო (ე.ი. იყო ცოდნის შინაარსის და რაოდენობის ნაკლებობა) აგრეთვე ცოდნის უცოდინრობასთან თანხვედრის საზღვარი (მომცველობის სიდიდე) მოკლე იყო, XX საუკუნეში „ცოდნის არეალი“ მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ერთდროულად გაიზარდა (დაშორდა) თვით თანხვედრის ზღვარი უცოდინრობასთან და თანამედროვე პერიოდში მეცნიერული ცოდნის მოზღვავება მიმდინარეობს ასე თუ ისე გაშლილი ფრონტის საზღვრებში.

მაგრამ, ამავე დროს, მეცნიერებმა სტრატეგის ან სარდლის მსგავსად უნდა იცოდეს, რომ თვით გარშემოწერილობის სისქე, ანუ „საზღვრის სიფართოვე“ ცოდნასა და უცოდინრობას შორის, სხვადასხვა ადგილას არაერთგვაროვანია: ზოგან-მეტი, ზოგან-ნაკლები. ნებისმიერი მკვლევარი, როგორც სტრატეგი, უნდა გრძნობდეს ამ სისქეს და უნდა ესმოდეს სად უფრო ადვილია ამ საზღვრის გარღვევა და სად უფრო რთული. არა ყველა მეცნიერული პრობლემაა განსხვავებული მნიშვნელობის და არ უნდა ველოდოთ, რომ ნებისმიერი მათგანის გამოკვლევა ერთნაირ შედეგამდე მიგვიყვანს.

არსებობს პრობლემები, რომელთა შესწავლა ხშირად აიძულებს მეცნიერს „ადგილზე ტკეპნას“, არიან ისეთებიც, რომელთა ანალიზს მიჰყავს ახალი ცოდნის სფეროში სერიოზულ მეცნიერულ გარღვევებისაკენ. ასეთი პრობლემების განსაზღვრის შესაძლებლობა- ეს არის ხელოვნება, რომლის შესწავლაც აუცილებელია სტუდენტური მერხიდან.

საკვლევი პრობლემის სწორად განსაზღვრა — ეს მხოლოდ მკვლევარის ამოცანების ნაწილია, ხოლო მეორე, არანაკლებმნიშვნელოვანი ნაწილი, ეს არის მოცემული პრობლემის კვლევის სწორი მეთოდოლოგიის არჩევა. მეცნიერმა უნდა გადანყვიტოს, როგორი მეთოდებით უნდა მიუდგეს პრობლემას: ემპირიულად? თეორიულად? უნდა ჩაატაროს დაკვირვებათა სერია? შეძლება ექსპერიმენტების ჩატარება? ჰიპოტეტიურ-დედუქციური თეორიის შექმნა? ანალიზის ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა გაჯერებული შესაბამისი „კვლევის ფილოსოფიით“ საბოლოოდ მოგვცემს მეთოდოლოგიას, ხოლო თვით მეთოდოლოგია, თუკი ის გვიჩვენებს თავის ეფექტიანობას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს „მეცნიერული ფრონტირის“ სხვა მონაკვეთებზე ანუ ცოდნისა და უცოდინრობის შეხების მთელ საზღვარზე. ამასთან, მეცნიერულ ცოდნას მეთოდოლოგიის შესახებ შეუძლია მხოლოდ ზოგადი ნიშნებით ინინასწარმეტყველოს რომელიმე კონკრეტული მეთოდოლოგიის არჩევა მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში. შემდგომში უკვე იწყება მეცნიერული ინტუიციის სფერო, რომელიც დაფუძნებულია უფრო მეტად არა რაციონალურობაზე, არამედ ირაციონალურობაზე, არა არჩევანზე, არამედ წინასწარ არჩევანზე. „წინასწარ არჩევანს ჩვენ აღმოვაჩენთ ჩვენში, როგორც მოცემულობას, მაგრამ წინასწარი არჩევნების ბუნება იმყოფება ჩვენი შეცნობის სფეროს მიღმა.

შესაბამისად, ნებისმიერი მკვლევარის (როგორც მეცნიერების დარგში, ასევე მეთოდოლოგიის სფეროში) ამოცანაა გამოიმუშაოს „წინასწარი არჩევის“ მსგავსი ინტუიცია და შესაძლებლობა გამოიყენოს ეს კვლევითი ამოცანების გადანყვიტისათვის. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია:

თავისი საგნის კარგად ცოდნა და შეეძლოს ამ საგნის სხვადასხვა მიმართულებით მუშაობა (მაგალითად, ეკონომისტი-თეორეტიკოსი კარგად უნდა ერკვეოდეს გამოყენებით ეკონომიკურ დისციპლინებში და პირიქით, ეკონომისტი-პრაქტიკოსმა კარგად უნდა იცოდეს ეკონომიკური თეორია);

ჰქონდეს ფუნდამენტური ცოდნა არა მარტო თავის დისციპლინაში, არამედ სხვა, მასთან მოსაზღვრე დისციპლინებში (ეკონომისტებისთვის ეს არის სოციოლოგია, ფილოსოფია, მათემატიკა, ისტორია, პოლიტოლოგია, იურისპრუდენცია, ფსიქოლოგია);

ჩაატაროს მთელი თანამედროვე პერიოდიკის (როგორც რუსული, ისე დასავლეთის ქვეყნების) საგულდაგულო ანალიზი, რადგანაც სწორედ აქ, პირველ რიგში, იპოვოთ ახალი სამეცნიერო მასალა (ეკონომისტებისათვის — ისევ, არა მხოლოდ ეკონო-

მიკური, არამედ ფილოსოფიური, სოციოლოგიური, მათემატიკური და ა.შ.);

საკვლევი პრობლემის მიხედვით ავტორთა წრის ცოდნა. ამავე დროს, უნდა ვიცოდეთ, თუ რომელი მათგანისაგან უნდა ველოდოთ სერიოზულ შედეგებს და რომლებისგან არა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოციალური რეალობის შესწავლის მეთოდოლოგია. ეს უკანასკნელი, როგორც მეთოდოლოგია მთლიანობაში, ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული გნოსეოლოგიასთან- სოციალურ გნოსეოლოგიასთან (სოციალურ ეპისტემოლოგიასთან).

სოციალური მოვლენების სამყარო ხარისხობრივად განსხვავდება ბუნებრივი საგნების სამყაროსაგან. სოციუმის სამყაროში არ არის ხასიათის დინამიურობა, პროცესების ერთმნიშვნელოვნად განმეორებადობა და ბუნებრივი სამყაროსათვის დამახასიათებელი მოვლენები, ხოლო იქაც კი, სადაც მოქმედებენ სტატისტიკურ-ალბათობითი კანონზომიერებები, გაცილებით იოლია მათი წინასწარმეტყველება, ვიდრე კანონები, რომლის მიხედვითაც ცხოვრობს სოციალური სამყარო. სირთულე, მრავალფეროვნება, გაუთვალისწინებლობა, შემეცნებელი სუბიექტის ჩართვა კვლევით ურთიერთობაში, ინტერესებისა და იდეოლოგიების არსებობა — აი, სოციუმის დამახასიათებელი ნიშნები. ამასთან, სოციალური რეალობის მეთოდოლოგიური და ეპისტემოლოგიური პრინციპები შეიძლება ჩამოყალიბდეს და შემდგომ გამოყენებულ იქნეს. ამ საკითხს დაწვრილებით განვიხილავთ შემდეგ ნაშრომში.

მეთოდოლოგია, როგორც რაიმე რეალობის შესწავლის ხერხი (საშუალება) მრავალვარიანტიანი და მრავალფეროვანია. შედარებით რთულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერი სოციალური სისტემის მეთოდოლოგია. ამასთან, რაც უფრო განვითარებულია შესასწავლი სოციალური სისტემა, საჭიროა მით უფრო რთული მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენება.

მეთოდოლოგიის პირველი, ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციაა მისი დანაწილება ცოდნის იმ სფეროების (მეცნიერული სფეროები) მიხედვით, სადაც გამოიყენება მოცემული მეთოდოლოგია. მაგალითად, ფილოსოფია დაამუშავეს და გამოიყენებს ფილოსოფიურ მეთოდოლოგიას სინამდვილის სხვადასხვა სფეროს შესწავლისათვის. ისტორია თავის ობიექტთან მიმართებაში, როგორც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ცალკეული შემთხვევებისა და ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებისეული ფაქტების ამსახველი — გამოიყენებს ისტორიულ მეთოდოლოგიას; პოლიტიკურ მეცნიერებებს ასევე გააჩნიათ თავისი საკუთარი მეთოდოლოგია- პოლიტიკური მეცნიერების მეთოდოლოგია და ა.შ. და ბოლოს, ეკონომიკური მეცნიერება ნებისმიერი მეცნიერების მსგავსად შეიმუშავეს და იყენებს საკუთარ ეკონომიკურ მეთოდოლოგიას. მეთოდოლოგია შეიძლება აგრეთვე დავეყოს მეცნიერულ მეთოდოლოგიად და ცოდნის სხვა ტიპების მეთოდოლოგიად, მაგალითად,

რელიგიურ მეთოდოლოგიად, მაგიურ და მისტიკურ მეთოდოლოგიად, „სალი აზრის“ მეთოდოლოგიად და ა.შ.

იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის ურთიერთობას იკვლევს, რაოდენობრივს თუ ხარისხობრივს, აქედან გამომდინარე, მისი დაყოფა შეიძლება როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მეთოდოლოგიად. სოციოლოგიაში, მაგალითისთვის ამ ორი ტიპის მეთოდოლოგიამ წარმოქმნა სოციოლოგიის ორი ტიპი-რაოდენობრივი და ხარისხობრივი. თუ რაოდენობრივი სოციოლოგია უპირატესად მიმართულია სოციალურ სტრუქტურებს, სოციალურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთდაპირისმართულების პრობლემები შეისწავლოს (მაგალითად, მედიცინა და განათლების სისტემა, როგორც სოციალური ინსტიტუტები: როგორია მათი ფუნქციები და მათ შორის ურთიერთობა მოცემულ საზოგადოებაში) მაშინ ხარისხობრივი სოციოლოგია დაკავებულია ამ ურთიერთობების რეალური პრაქტიკის სუბიექტური ასპექტებით: რას ნიშნავს ამ საზოგადოებაში „ექიმად ყოფნა“ ან „მასწავლებლობა“ და როგორია „ექიმისა“ და „მასწავლებლის“ ურთიერთობის პრაქტიკა სინამდვილეში. ჰპირველი რიგის პრობლემების შემეცნებისათვის აუცილებელია სოციალური ცოდნა, რომელიც ყვრდნობა განზოგადოებული მონაცემების ახსნას, კონკრეტული ადამიანების გამოცდილების, განცდების, და გრძნობების და მათი პრაქტიკის შეცნობისათვის. მეორე რიგის პრობლემებისათვის აუცილებელია ცოდნა დაფუძნებული იყოს უპირატესად გაგებაზე და ინტერპრეტაციაზე.

მეთოდოლოგიის კლასიფიკაციის კიდევ ერთი ვარიანტი ესაა მათი დაყოფა მეთოდების ტიპის მიხედვით და, რომელსაც, როგორც საკვანძოს, იყენებს ესა თუ ის მეთოდოლოგია. აქ, მაგალითად, შეიძლება მივუთითოთ ინდუქციური, დედუქციური, „გასაგები“ (ინტერპრეტირებადი), ექსპერიმენტული, მოდელირების, ევოლუციური და ა.შ. მეთოდოლოგიები.

და ბოლოს, ძალზედ პოპულარულია მეთოდოლოგიის დაყოფა სამ დონედ, მისი ზოგადობის ხარისხის მიხედვით:

- ზოგადი;
- ზოგადმეცნიერული;
- კერძომეცნიერული;

პირველი დონე — ყველაზე მაღალია, მესამე — ყველაზე დაბალი, მეორე საშუალოა პირველსა და მეორეს შორის ზოგადობის ხარისხის მიხედვით. ყველა მეცნიერებისათვის (სოციალური, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური) მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ფილოსოფია.

შეგახსენებთ, რომ ფილოსოფია მეცნიერება ბუნების, საზოგადოების და აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ; ასევე ადამიანისა და კაცობრიობის მიზნებისა და ღირებულებების შესახებ. როგორ ახერხებს ფილოსოფია შეასრულოს საყოველთაო მეთოდოლოგიის როლი ყველა წარმოსადგენი და

არანარმოსადგენი მეცნიერებისათვის? „ფილოსოფია (განსაკუთრებით მის რაციონალურ ვარიანტში) აძლევს მეცნიერს ამოსავალ გნოსეოლოგიურ ორიენტაციებს შემეცნებითი პროცესის არსის, მისი ფორმების, დონეების, ამოსავალი ნანამდვრებისა და საყოველთაო საფუძვლების, მისი სანდოობის და ჭეშმარიტების პირობების, შემეცნების სოციალურ-ისტორიულ კონტექსტის და ა.შ. შესახებ. შესაბამისად, ფილოსოფია აყალიბებს ზოგად პრინციპებს, რომელსაც სხვა მეცნიერი ამკარა ან შენიღბული ფორმით გამოიყენებს თავის კვლევაში.

ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ ფილოსოფია არის საყოველთაო მეთოდოლოგია ეკონომიკური მეცნიერებისათვის. ე.ი. ფილოსოფია ეკონომიკისთვისაც იძლევა ზოგად მარეგულირებელ პრინციპებს, რომელსაც ეკონომიკური მეცნიერება იყენებს თავის ყოველდღიურ კვლევებში, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ეკონომისტებმა არ იციან იმის შესახებ, რომ ეს პრინციპები ფილოსოფოსების მიერაა დამუშავებული.

განვიხილოთ ზოგიერთი საყოველთაო (ფილოსოფიური) პრინციპების როგორც მეთოდოლოგიურის ეკონომიკურ მეცნიერებაში მოქმედება.

სამყაროს შეცნობის პრინციპი. ეს პრინციპი აღიარებს ნებისმიერი ეკონომიკური მოვლენებისა და პრინციპების შეცნობადობას. ამიტომ ნებისმიერი ეკონომისტი-მკვლევარი იწყებს რა ამა თუ იმ ფენომენის შესწავლას, მტკიცედ აცნობიერებს, რომ საკვლევი ფენომენი შეცნობადია, ხოლო შეუცნობადი ეკონომიკური პროცესები საერთოდ არ არსებობს.

განვითარების პრინციპი. მოცემული პრინციპი მოითხოვს ეკონომიკური მოვლენებისადმი დიალექტიკურ მიდგომას, ე.ი. მათი, როგორც დროსა და სივრცეში განვითარებადის განხილვას. „ყველა სამეურნეო პროცესი უნდა განხილულ იქნას მის განვითარებაში, დინამიკაში-საკითხი თითქოს ამკარად ბანალურობამდე დასული, მაგრამ განა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანტიკური და შუასაუკუნებრივი ეკონომიკური აზრი იცნობდა ამ პრინციპს? უფრო სწორად, ის დანერგილ იქნა ფილოსოფიის მიერ ეკონომიკურ შეგნებაში გაცილებით გვიან, უკვე ახალი დროების ეპოქაში.

პრაქტიკული განხორციელებადობის პრინციპი. ეს პრინციპი ამტკიცებს, რომ „ყველაფერი, რაც თეორიულად შესაძლებელია და არ არის აკრძალული ბუნებისა და საზოგადოებრივი კანონებით, პრაქტიკულად განხორციელებადია“ ამ პრინციპის საფუძველში, თუ მას თანმიმდევრულად გამოვიყენებთ ეკონომიკურ მეცნიერებაში, დევს იდეა, რომელიც გულისხმობს სამეურნეო პროცესებისა და მოვლენების მართვის შესაძლებლობას და მასზე მიზანდასახულად ზემოქმედების უნარს. მაგრამ არ ღირს ამ პრინციპის ვულგარულად გააზრება, მაგალითად, ისე, როგორც ამას აკეთებდნენ პოსტკომუნისტური ეპოქის ზოგიერთი პოლიტიკოსი: ვ.ი. ლენინი, ნ.ს. ხრუშოვი, მათ ძე დუნი, „დიდი ნახტომის“, „კომუნისმის“²⁰ წელიწადში აშენების“ იდეები და ა.შ. იყო

აბსოლუტურად არარეალური ყველანაირი მოსაზრებით ეკონომიკურის ჩათვლით და წარმოადგენდნენ სამეურნეო უტოპიის ნაირსახეობას, ე.წ. ცდას რაღაც სრულიად განუხორციელებლის დანერგვის სამეურნეო ცხოვრებაში.

დეტერმინიზაციის პრინციპი. ამ პრინციპის არსი დაიყვანება იმ ფაქტის აღიარებაზე, რომ თითოეული შედეგის მიღმა თავისი მიზეზია და რომ ყველა პროცესი სამყაროში მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ერთმანეთთან. დეტერმინიზმის პრინციპი ეკონომიკურ მეცნიერებაში ყველა სამეურნეო მოვლენებისა და პროცესების საყოველთაო განპიროვნებულობის პრინციპია. ეს პრინციპი ისევე, როგორც ყველა წინამორბედი, არ არსებობდა ეკონომიკური ანალიზის ისტორიაში თავდაპირველად, მისი არსებობა მასში გამოვლინდა XVII- XVIII სს. დეტერმინიზმის პრინციპის ეკონომიკური ცოდნაში დანერგვაში დიდი როლი ითამაშა ფილოსოფიამ და ახალი დროის მეცნიერებამ (ფ. ბეკონი, ი. ნიუტონი, ტ. გობსი და ა.შ.)

სიმარტივის („აზროვნების ეკონომიის“) პრინციპი. სიმარტივის პრინციპი გვთავაზობს ნებისმიერ სამეურნეო ფაქტთან მიმართებაში ვეძებთ მეტ-ნაკლებად მარტივი ახსნა ყველა არსებული ვარიანტებიდან. ისტორიულად ეს პრინციპი პირველად გამოჩნდა XIV ს. ინგლისელ ფილოსოფოსთან უილიამ ოკამთან და ამიტომაც მიიღო სახელწოდება „ოკამის სამართებელი“. ის მოგვიწოდებდა: „ნუ განავრცობ სანყისთა სიმრავლეს აუცილებლობის ზემოთ“. სხვანაირად ეს პრინციპი წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: „თუკი არსებობს უფრო მარტივი ახსნა, არ არის საჭიროება უფრო რთულზე გადასვლისა. მას შემდეგ „ოკამის სამართებელი“ (სიმარტივის პრინციპი, აზროვნების ეკონომიის პრინციპი) გახდა თანამედროვე მეცნიერების მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპი. ეს პრინციპი მისაღებია ასევე ეკონომიკური პროცესების მიმართ: ფიქრობენ რა ამა თუ იმ სამეურნეო მოვლენების ბუნების შესახებ, ეკონომისტები, უპირველეს ყოვლისა, ეძებენ ახსნის მარტივ ვარიანტს, შემდეგ უკვე უფრო რთულს. ეს ყველაფერი მიმდინარეობს მკვლევარის ინტუიციის, ქვეცნობიერის და ინსტიქტის დონეზე. მაგალითად, ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა-როგორც წესი, ამ ქვეყანაში ინფლაციის შედეგია (ეს ყველაზე მარტივი ახსნაა), მაგრამ ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს საგადასახადო ბალანსის გაუარესებასთან, მისი დეფიციტის ზრდით (უფრო რთული ახსნა). სხვათა შორის, უმეტეს შემთხვევაში, პირველიც და მეორეც მჭიდრო კავშირურთიერთობაშია ერთმანეთთან.

ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგია ეს რამდენიმე მეცნიერების მეთოდოლოგიაა, ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგიის როლი ეკონომიკური მეცნიერებისათვის შეიძლება შეასრულოს მათემატიკის, სტატისტიკის, ისტორიის და ზოგიერთი სხვა ტიპის მეთოდოლოგიებმა. ეკონომიკური ცოდნის გარდა მათი გამოყენება შეიძლება მეცნიერული ცოდნის სხვა ტიპებთან.

კერძომეცნიერული მეთოდოლოგია- ეს რომელიმე

კონკრეტული მეცნიერების მეთოდოლოგიაა. ეკონომიკის შემთხვევაში საუბარი უნდა მიდოდეს ეკონომიკურ მეთოდოლოგიაზე. სწორედ ის ასრულებს კერძომეცნიერული მეთოდოლოგიის როლს ეკონომიკური მეცნიერებისათვის, მაგრამ რაც საინტერესოა ეკონომიკური ცოდნის ცალკეული მიმართულებების შიგნით (ე.წ. ეკონომიკური მეცნიერებების: ეკონომიკური გეოგრაფიის, ეკონომიკური ისტორიის, ეკონომიკური თეორიის, საბუღალტრო აღრიცხვების და ა.შ.) ეს ეკონომიკური მეთოდოლოგიაა და თამაშობს ზოგადმეცნიერული, საერთო- დისციპლინარული მეთოდოლოგიის როლს. დანერგვითი მსჯელობა ეკონომიკური მეთოდოლოგიის შესახებ იქნება შემდეგ ნაშრომში.

ყველაზე უფრო ცნობილი მეთოდოლოგიური კონცეფციების რიცხვს, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერული თეორიების განვითარების მეთოდოლოგიური და ისტორიული ანალიზისათვის (მათ შორის ეკონომიკურიც), შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი სამი:

1. ამერიკელი ისტორიკოსის, ტომას კუნის 1922-1995 „მეცნიერული რევოლუციებისა და პარადიგმების კონცეფცია“;
2. ინგლისელი მეცნიერის (უნგრეთიდან დიდ ბრიტანეთში ემიგრირებული) იმრე ლაკატოსის (1922-1974) „კვლევითი პროგრამების თეორია“;
3. სერ კარლ პოპერის (1902-1994) (დაბადებულია ავსტრიაში, ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა დიდ ბრიტანეთში) კრიტიკული რაციონალიზმი-სა და ფალსიფიკაციონიზმის კონცეფცია;

ეს კონცეფციები საჭიროა ჩაითვალოს „საბაზოდ იმ მიზეზით, რომ მათ ყველაზე უფრო დიდი გავლენა მოახდინეს, როგორც მეთოდოლოგიური ცოდნის, ასევე მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამივე კონცეფცია თავის ზოგიერთ ნაწილში ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მკვლევართა უმრავლესობა ცდილობს წარმოაჩინოს ისინი, როგორც „ურთიერთმეშავებელი“- ერთის მეორესთან დამოკიდებულებაში და ყველაზე ფასეულის აღებაში თითოეული კონცეფციიდან. აი, რატომაა მნიშვნელოვანი თითოეული მათგანის გაცნობა. მოკლედ წარმოვიდგინოთ ზემოთ მითითებული მეცნიერების (ტ. კუნის, ი. ლაკატოსის, კ. პოპერის) შეხედულებებს მეცნიერული ცოდნის განვითარების მეთოდოლოგიასა და ფილოსოფიაში.

ტ.კუნის ძირითადი ნაშრომის „მეცნიერული რევოლუციების სტრუქტურა“, ძირითად საკითხს წარმოადგენს ცნება „პარადიგმა“ „მეცნიერული რევოლუცია“. სწორედ ამ ორი ძირითადი ტერმინის გარშემო შენდება ამერიკელი მეცნიერის კონცეფცია. ტ. კუნის პარადიგმა განისაზღვრება შემდეგნაირად: „პარადიგმების ქვეშ მე ვგულისხმობ ყველასგან აღიარებულ მეცნიერულ მიღწევებს, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში აძლევენ მეცნიერულ საზოგადოებას პრობლემის დასმისა და მათი გადაწყვეტის მოდელს.

„ისინი (პარადიგმები) წარმოადგენენ პრობლ-

ემური სიტუაციისა და გადაწყვეტის სტანდარტების მეთოდების წყაროს, რომელიც განვითარებული მეცნიერული საზოგადოების მიერ მიღებულ მოცემულ პერიოდში". სხვა სიტყვებით, პარადიგმა — ეს მეცნიერული აზროვნების ნორმები და ნიმუშებია, რომელიც მოცემულ მეცნიერულ საზოგადოებაში ტრადიციის ხასიათს იძენს. ან კიდევ ცოტა უფრო განსხვავებულად — ეს არის განსაზღვრული მეცნიერული სტერეოტიპი, შაბლონური აზროვნება, რომლის ფარგლებშიც მეცნიერები ამა თუ იმ პერიოდში წყვეტენ თავინთ კვლევით ამოცანებს. ტ. კუნი მეცნიერულ რევოლუციას უწოდებს მეცნიერების განვითარების ეტაპს, როცა ერთი პარადიგმა იცვლება მეორეთი. ხოლო მეცნიერული ცოდნის სისტემების განვითარების პერიოდები „რევოლუციებს შორის“ შეიძლება დახასიათდეს როგორც „პარადიგმამდელი“, ან როგორც „ნორმალური მეცნიერების“ პერიოდი.

ტ. კუნი მეცნიერების განვითარების პარადიგმამდელ პერიოდს აღწერს, როგორც მეცნიერების სხვადასხვა სკოლისა და მიმდინარეობის მეტოქეობის პერიოდს. ამ პერიოდში ჯერ არ არსებობს მეცნიერული აზროვნების მდგრადი სტილები და სტერეოტიპები, მეცნიერებაში მიდის დაუმთავრებელი მეთოდოლოგიური დისკუსიები იმის შესახებ, თუ რომელი სავარაუდო კვლევითი პროგრამა შეიძლება მივიჩნიოთ პარადიგმად. როგორც წესი, ასეთი დისკუსიების შედეგად წარმატებას აღწევს ერთ-ერთი განხილული პროგრამა და სწორედ ის მიიჩნევა პარადიგმად მეცნიერული საზოგადოების მიერ.

მეცნიერული ცოდნის სისტემების ჩამოყალიბების შემდგომ დგება „ნორმალური მეცნიერების“ პერიოდი. „მას შემდეგ, რაც ამოსავალი პარადიგმა, როგორც ბუნების ასახვის საშუალება, მოძიებულია, არც ერთი კვლევა არ მიმდინარეობს პარადიგმის გარეშე და უარის თქმა რომელიმე პარადიგმაზე, მისი მეორეთი არშეცვლა წარმოადგენს მეცნიერებაზე უარის თქმას საერთოდ.“¹ ტ. კუნი „ნორმალურ მეცნიერებას“ განმარტავს, როგორც მეცნიერების განვითარების პერიოდს, როდესაც მასში ბატონობს რომელიც კვლევითი პროგრამა, ემსახურება რა მოცემულ საზოგადოებას პარადიგმად. „ნორმალური მეცნიერების“ პერიოდი წარმოადგენს მეცნიერული ცოდნის განვითარების ევოლუციურ სტადიას, როდესაც არ არსებობს წანამძღვრები მეცნიერების კუმულატიური, ნახტომისებური განვითარებისათვის. ეს სამეცნიერო ფაქტების დაგროვების სტადია, რომელიც განამტკიცებს გაბატონებულ პარადიგმას, სადაც უარყოფილია ნებისმიერი თეორია, რომლებიც არ ირიცხებიან უკანასკნელში.

„ნორმალური მეცნიერება“ არ ისახავს მიზნად ახალი ფაქტების ან თეორიების აღმოჩენას, ნორმალურ მეცნიერულ კვლევაში წარმატება ამაში არ მდგომარეობს“. თუმცა, კვლევითი პრობლემების დიდი უმრავლესობის გადაწყვეტა ხდება სწორედ „ნორმალური მეცნიერების“ ჩარჩოებში და მისი ინსტრუმენტებით.

„მანამდე, სანამ პარადიგმის მიერ მოცემული საშუალებები ნებას გვრთავს წარმატებით გადავწყვიტოთ მის მიერ წარმოქმნილი პრობლემები. მეცნიერება წინ მიიწევს და მიაღწევს რა მოვლენათა ყველაზე ღრმა დონეს, უყოყმანოდ იყენებს ამ საშუალებებს. ამის მიზეზი ნათელია როგორც წარმოებაში, ისე მეცნიერებაში. ინსტრუმენტების შეცვლა-უკიდურესი ზომაა, რომელსაც მიმართავენ მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში. კრიზისების მნიშვნელობა იმაშია, რომ ისინი მიგვითითებენ ინსტრუმენტების შეცვლის დროულობაზე“.

პარადიგმა, როგორც აღნიშნავს ტ. კუნი, ასრულებს ორ ფუნქციას: შემეცნებითსა და ნორმატიულს. შემეცნებითი ფუნქციასთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია: პარადიგმა ახალი ცოდნის მიღების საშუალებაა. ის თავისთავად არის ახალი ცოდნა. ნაკლებად გასაგებია პარადიგმის ნორმატიული ფუნქცია: მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პარადიგმა აწესებს ახალ ნორმებს მეცნიერული საზოგადოებისათვის. „ნორმები“ აქ განიმარტება ზომიერად ფართოდ; ლაპარაკია მეცნიერული კვლევის მეთოდებზე, იდეალებზე (ფასეულებრივ განწყობაზე), რომელიც გავლენას ახდენს შემეცნებითი საქმიანობის ამა თუ იმ მიმართულებაზე, მეცნიერებაში „სტანდარტული თავსატეხების“ გადაწყვეტის სქემაზე. თუ მეორესა და მესამეს გავაერთიანებთ ერთ ცნებაში — „სტანდარტები“, მაშინ საერთო სურათი ასე შეიძლება გამოიყურებოდეს. „პარადიგმები აძლევენ მეცნიერებს არა მარტო მოქმედების გეგმას, არამედ მიუთითებენ გეგმის რეალიზაციისათვის მნიშვნელოვან ზოგიერთ მიმართულებებს. პარადიგმის ათვისებისას, მეცნიერები ითვისებენ თეორიებს, მეთოდებს და სტანდარტებს, რომლებიც ჩვეულებრივ მჭიდროდ არიან გადაჯაჭვული ერთმანეთთან. ამიტომ, როდესაც პარადიგმა იცვლება, ჩვეულებრივ ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები კრიტერიუმებში, რომელიც განაპირობებს, როგორც პრობლემის არჩევის, ისე შემოთავაზებული გადაწყვეტის სისწორეს“.

„ნორმალური მეცნიერების“ პერიოდი, რომელიც განსაზღვრავს, როგორც ერთი პარადიგმის ბატონობის პერიოდს, შეიძლება გრძელდებოდეს ათეულობითი წლებიდან ასეულობით და ათასეულობით წლებამდე. მაგალითად, ფტოლომეოსის გეოცენტრული სისტემის დომინირება — არისტოტელეს ასტრონომიაში გრძელდებოდა 2000წ., სანამ ის კოპერნიკის რევოლუციის მიმდინარეობისას არ შეიცვალა ჰელიოცენტრული პარადიგმით. ნიუტონის პარადიგმის ბატონობა კლასიკური მექანიკის

ფიზიკაში გრძელდებოდა 230 წელი XVII საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის 20-30 წლებამდე, სანამ შემდგომი მეცნიერული რევოლუციის პროცესში არ შეიცვალა ალბერტ აინშტაინის მიერ დამუშავებული ფარდობითობის თეორიის პარადიგმით. მაგრამ ტ. კუნის თანახმად, ადრე თუ გვიან პარადიგმაში აღმოჩნდება „ანომალია“, ე.ი. გროვდება მეცნიერული ფაქტები, რომლის ახსნაც შეუძლებელია მოცემული კვლევითი თეორიის მეთოდებისა და სტანდარტების

პირობებში. თავდაპირველად მეცნიერები დაჟინებით ეძებენ მოცემული „ანომალიის“ გადაწყვეტის გზებს, ისე, რომ არ გამოვიდეს არსებული პარადიგმის საზღვრებიდან, მაგრამ ერთხელაც დგება მომენტი, როდესაც „ანომალიები“ სიტყვასიტყვით არღვევს მას, როგორც დამპალ კედელს. ეს ეტაპი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „მეცნიერების კრიზისი“, ხოლო ასეთი კრიზისის დასრულების სამ ვარიანტს განიხილავს ამერიკელი მეცნიერი. „ყველა კრიზისი მთავრდება სამიდან ერთი შესაძლო გამოსავალით. ზოგჯერ ნორმალური მეცნიერება ბოლოს და ბოლოს ამტკიცებს კრიზისის წარმოშობის პრობლემების გადაწყვეტის უნარს, იმის მიუხედავად, ზოგიერთი ამას თვლის თუ არა არსებული პარადიგმის დასასრულად. სხვა შემთხვევაში მდგომარეობას ვერ ცვლის აშკარად რადიკალური მიდგომებიც. მაშინ მეცნიერები შეიძლება მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათი კვლევის დარგი შექმნილი პრობლემის გადაწყვეტა არ არის მოსალოდნელი. პრობლემა აღიჭურვება შესაბამისი იარაღით და გვერდზე განევენ იმ იმედით, რომ სრულყოფილი მეთოდებით შესაძლებელი იქნება მოცემულის გადაწყვეტა. და ბოლოს, შესაძლებელია შემთხვევა, რომელმაც შეიძლება განსაკუთრებით დაგვანტერესოს, როცა კრიზისის გადაწყვეტა შესაძლებელია, პარადიგმის ადგილზე ახალი პრეტენდენტის აღმოცენებით და მისი მიღებისათვის შემდგომი ბრძოლით.

შემთხვევა, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებს ტ.კუნს, ეს სწორად რომ ვთქვათ, მისი ტერმინოლოგიით „მეცნიერული რევოლუცია“. უკანასკნელი, როგორც წესი, იწყება იქიდან, რომ მეცნიერთა ჯგუფი თავისი მეცნიერული საზოგადოებიდან ემიგრება ძველ პარადიგმას და საფუძვლად ღებულობს სხვათა თეორიის, ჰიპოთეზისა და სტანდარტების ერთობლიობას. შემდეგ ამ ჯგუფს უერთდება მოცემული მეცნიერული საზოგადოების დანარჩენი წარმომადგენლები. მეცნიერული რევოლუცია მოხდა, მეცნიერული გადატრიალება განხორციელდა საზოგადოების შემეცნებაშიც. ამ მომენტიდან ხდება ახალი მეცნიერული ტრადიციის ათვლა, რომელიც ხშირად არ შეესაბამება წინამორბედ ტრადიციას.

„ნორმალური მეცნიერების ტრადიცია, რომელიც აღმოცენდება სამეცნიერო რევოლუციის შემდეგ, არა მარტო შეუსაბამოა, არამედ ხშირად, ფაქტობრივად არათანაზომადია მანამდე არსებულ ტრადიციასთან.

ამგვარად, ტომას კუნის პარადიგმისა და მეცნიერული რევოლუციების კონცეფციები წარმოადგენს ერთობ შინაარსიან და პერსპექტიულ მეთოდოლოგიურ კონცეფციებს. ბუნებრივია მისი შეფასება შეიძლება იყოს განსხვავებული, მაგალითად, ი.ლაკატოსი, რომლის შესახებაც საუბარი გვექნება ქვემოთ, გულისხმობდა, რომ ტ.კუნის კონცეფცია სინამდვილეში ასახავს „მეცნიერული აღმოჩენის ფსიქოლოგიას“ და არა მის „ლოგიკას“. ეს ალბათ სუბიექტური შეფასებაა. კტ.კუნის ტერმინები „პარადიგმა“, „ნორმალური მეცნიერება“ და „მეცნიერუ-

ლი რევოლუცია“ და თვით მისი თეორია, მტკიცედ არის შესული როგორც საბუნებისმეტყველო, ისე სოციალურ მეცნიერებათა არსენალში; ეს თავისთავად უკვე ღირსეულად წარმოაჩენს „მეცნიერული რევოლუციების სტრუქტურის“ ავტორს.

იმრე ლაკატოსი მეცნიერული ცოდნის მეთოდოლოგიის რამოდენიმე ცნობილი ნაშრომის ავტორია. ყველაზე უფრო ცნობილია „მტკიცებულება და მისი უარყოფა“, „ფალსიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების მეთოდოლოგია“, „მეცნიერების ისტორია და მისი რაციონალური რეკონსტრუქციები“. ი.ლაკატოსის მეთოდოლოგიური გამოკვლევების ძირითადი პრინციპია- ერთ მთელში მეცნიერების ფილოსოფიისა და მეცნიერების ისტორიის შეერთება. ამასთან დაკავშირებით, ის აყალიბებს შემდეგ მნიშვნელოვან დებულებას:

„მეცნიერების ფილოსოფია მეცნიერების ისტორიის გარეშე ცარიელია; მეცნიერების ისტორია მეცნიერების ფილოსოფიის გარეშე ბრმაა“¹. მასმასა-დამე ი.ლაკატოსის მიერ საკუთარი მეთოდოლოგიური კონცეფციის შექმნის წინამძღვრად იქცა ცდა ისტორიულ-მეთოდოლოგიური და ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური ცოდნის სინთეზისა. სწორედ ამის საფუძველზე დამუშავებულ იქნა მისი თეორიის ცენტრალური ცნება „სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა“. „სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა (ან უფრო მარტივად „კვლევითი პროგრამა“) შეადგენს ზოგიერთი თეორიების ერთობლიობას, რომლებიც ვითარდება ერთიანი კვლევითი და მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე. სტრუქტურულად ის მოიცავს შემდეგ ელემენტს:

- „მტკიცე ბირთვი“ პროგრამის ყველა თეორიის ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც ეხმარება მისი მთლიანობის შენარჩუნებას;
- „დამცავი ქამარი“ პროგრამის დამხმარე ჰიპოთეზებია, ის უზრუნველყოფს პროგრამის „მტკიცე ბირთვის“ შენახვას;
- „დამცავმა ქამარმა“ უნდა გაუძლოს მთავარ დარტყმას შემომხმების მხრივ; იცავს რა ამგვარად გამყარებულ ბირთვს, ის ვალდებულია შეეგუოს, გარდაქმნას ან მთლიანად შეიცვალოს, თუკი ამას მოითხოვს დაცვის ინტერესები. თუ ეს ყველაფერი იძლევა პრობლემის პროგრესულ დაძვრას, კვლევითი პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად. ის ვერ იქნება წარმატებული, თუკი ეს გამოიწვევს პრობლემის რეგრესული მიმართულებით სვლას.

გ) მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული პროგრამის გამოყენების პერსპექტივებს („დადებითი“ ან „უარყოფითი“). ყურადღებას გავამახვილებთ საკვლევი პროგრამის ბოლო ელემენტზე. „უარყოფითი ევრისტიკა“, ი.ლაკატოსის მიხედვით, ნიშნავს ზოგიერთი შეზღუდვების არსებობას განსაზღვრული მეთოდოლოგიური ნესების ფორმით, რომელიც იძლევა შემეცნების მცდარი გზებისგან აცილებას. „პოზიტიური ევრისტიკა“, პირიქით, წარმოადგენს ნესების

კრებულს, რომელიც იძლევა პროგრამის ისეთნაირად მოდიფიკაციის საშუალებას, რომ მოხდეს მისი დაცვა- გაუმჯობესებაც კი.

„თუკი უარყოფითი ევრისტიკა განსაზღვრავს პროგრამის „მტიკე ბირთვს“, რომელიც თავისი მომხრეების გადაწყვეტილებით ხელშეუხებელია, მაშინ, „დადებითი ევრისტიკა“ იქმნება მთელი რიგი მეტ-ნაკლებად ნათელი დასკვნებით, მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი წინადადებებით, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ შეცვალოს და განავითაროს საკვლევი პროგრამების „უარყოფილი ვარიანტები“ მოახდინოს მათი მოდიფიცირება, დაზუსტდეს „უარყოფილი“ „დამცავი ქამარი“.

ტ.კუნის კონცეფციისგან განსხვავებით, ი.ლაკატოსის თეორია მოითხოვს, რომ, ე.წ. „ნორმალური მეცნიერების“ პერიოდები, როცა ერთი კვლევითი პროგრამაა გაბატონებული ძალზედ იშვიათია მეცნიერების ისტორიაში და, რომ ტ.კუნის „პარადიგმა“ სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა კვლევითი პროგრამა დროებით ხელში ჩაგდებული მონოპოლით მეცნიერულ საზოგადოებაში. ხშირ შემთხვევაში არის ისეთი პერიოდები, როდესაც კვლევითი პროგრამები ბევრია და ისინი ერთმანეთის მიმართ მწვავე კონკურენციაში ერთვებიან.

„მეცნიერების ისტორიაში იყო და იქნება კვლევითი პროგრამების (თუ გნებავთ „პარადიგმების“) მეტოქეობის ისტორია, მაგრამ ის არ ყოფილა და არც უნდა იყოს ნორმალური მეცნიერების მონაცვლეობის პერიოდი: რაც უფრო ხშირია მეტოქეობა, მით უკეთესია პროგრესისათვის“. ამა თუ იმ კვლევითი პროგრამის პოტენციალი განისაზღვრება საბოლოო ჯამში ევრისტიკული ძალით, რომელიც აღნიშნავს პროგრამის შესაძლებლობას თეორიულად იწინასწარმეტყველოს ახალი ფაქტების გაჩენა.

ი.ლაკატოსი გამოყოფს მეცნიერების ორ ძირითად სახეობას, რომლებიც შეიძლება დავუკავშიროთ მისი განვითარების ორ პერიოდს: „მომნიფებული მეცნიერება“ და „უმნიფარი მეცნიერება“. „მომნიფებული მეცნიერება“- ეს მეცნიერების ის ტიპია, რომელშიც ადგილი აქვს მეტოქეობა-კონკურენციას, სხვადასხვა კვლევით პროგრამებს შორის. მის პირისპირ დგას „უმნიფარი მეცნიერება“, სადაც კვლევა ხორციელდება „გაცვეთილი მაგალითებითა და შეცდომებით“; „მომნიფებული მეცნიერება შედგება კვლევითი პროგრამებისაგან, რომელთა მეშვეობითაც ხდება არა მარტო უცნობი ფაქტების წინასწარმეტყველება, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხდება ახალი, დამხმარე თეორიების წინასწარ განჭვრეტა. მომნიფებული მეცნიერება, განსხვავებით მოსაწყენი თანმიმდევრული ცდებისა და შეცდომებისაგან, ფლობს „ევრისტიკულ ძალას“. მძლავრი პროგრამის დადებითი ევრისტიკა იმთავითვე იძლევა „დამცავი ქამრის“ ზოგად სქემას: მოცემული ევრისტიკული ძალა ქმნის თეორიული მეცნიერების ავტონომიას“.

ი.ლაკატოსის შეხედულებებით, მეცნიერების ისტორია მთლიანად საჭიროებს რაციონალური რე-

კონსტრუქციით კვლავნარმოებას. ამ მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს:

1. აუცილებელია მოხდეს მეცნიერების ისტორიის მთლიანად რაციონალური რეკონსტრუქცია.

2. საჭიროა შევუპირისპიროთ მიღებული რაციონალური რეკონსტრუქცია მეცნიერების ნამდვილ ისტორიას და იქნას გაკრიტიკებული: რაციონალური რეკონსტრუქცია- ისტორიულობის არასაკმარისობის გამო; ნამდვილი ისტორია- რაციონალურობის არასაკმარისობის გამო.

3. ამასთან, ნებისმიერ ისტორიულ კვლევას წინ უნდა უსწრებდეს ევრისტიკული დამუშავება: მეცნიერების ისტორია მეცნიერების ფილოსოფიის გარეშე სიბრმავეა“.

ამგვარად, ი.ლაკატოსის მეცნიერულ-კვლევითი პროგრამების მეთოდოლოგია წარმოადგენს ძალზე შედეგიან სამეცნიერო პროექტს. ის აგრეთვე (ჩვენ აქ ვიყენებთ ი.ლაკატოსის მეთოდს), თავის მხრივ, ინდივიდუალური კვლევითი პროგრამა მეცნიერების მეთოდოლოგიაში და თავისი ევრისტიკული ძალით უპირისპირდება ტ.კუნის „მეცნიერული რევოლუციების პროგრამას და პარადიგმას; ორი მსგავსი პროგრამის კონკურენციას ცოდნის დარგის რთულ სფეროში, როგორცაა მეთოდოლოგია, შეიძლება მხოლოდ მივესალმით და, სავარაუდოდ, ეკონომისტ-მკვლევარს და მეთოდოლოგს — ასევე ყოველთვის ექნება არჩევანი, რომელი მეთოდოლოგია- ტ.კუნის თუ ი.ლაკატოსის-გამოიყენოს თავის მეთოდოლოგიურ იდეათა და კონცეფციების შემუშავებისას.

სერ კარლ პოპერი-XX საუკუნის დასავლეთის ფილოსოფიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია. მან თავი გამოიჩინა, როგორც სოციალურმა ფილოსოფოსმა, ტოტალიტარიზმის მოწინააღმდეგემ ყველა მის გამოვლენაში („ღია საზოგადოება და მტრები“, 1945.) და როგორც უდიდესმა ეპისტემოლოგმა (სპეციალისტი შემეცნების თეორიის დარგში) და თავისი დროის მეთოდოლოგმა. კ.პოპერის ძირითადი ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური ნაშრომები თავმოყრილია შრომებში „ლოგიკა და მეცნიერული ცოდნის ზრდა“ და „ევოლუციური ეპისტემოლოგია და სოციალური მეცნიერების ლოგიკა“.

მეთოდოლოგიაში კ.პოპერი არის კრიტიციზმის, კრიტიკული რაციონალიზმის ან კრიტიკული ემპირიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი. (ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება პირველი ორი დასახელება, ხოლო მესამე კი არაა მთლად ზუსტი). ამ მიმართულების არსი, აგრეთვე პოპერის ფილოსოფიური მეთოდოლოგიის არსი შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ მტიკეებულებად: „ყველაფერს უყურეთ კრიტიკის თვალთ“.

„არავინაა და არაფერი თავისუფალი კრიტიკისაგან“-თვით კრიტიკული მეთოდის ძირითადი პრინციპიც“. კ.პოპერის აზრით, თავად კრიტიკა შეიძლება იყოს განსხვავებული: აუცილებელია განვასხვავოთ კრიტიკის სწორი მეთოდი მცდარისაგან. სწორი კრიტიკული მეთოდის ძირითადი ნიშნები

შემდეგია: რაციონალურობა (დასაბუთება, საფუძვლიანობა); დიალექტიკურობა (წინააღმდეგობათა გამოვლენისკენ მისწრაფება); მეცნიერული ცოდნის აპელაცია (სციენტისმი); დედუქტივიზმი (დაყრდნობა დედუქციურ და არა ინდუქციურ განხილვაზე) მისწრაფება-შექმნას ნებისმიერი ცოდნა, თუნდაც არსებითად უარყოფილი (ფალსიფიკაციის მეთოდი, ან უბრალოდ ფალსიფიკაციონიზმი)

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი: რაციონალურობა და სციენტისმი-წარმოადგენს პოპერის მეთოდოლოგიის ქვაკუთხედს. მხოლოდ მეცნიერებაა — ნამდვილად რაციონალური და მართო მეცნიერული ტიპის რაციონალურობა შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. რატომ? კ.პოპერის აზრით, მეცნიერული ცოდნა უტყუარად ობიექტური ცოდნის ერთადერთი სფეროა, მიუხედავად სუბიექტის მიკერძოებულობისა და შეფასებისა. სწორედ ამ სფეროში ადგილი არ არის რწმენისათვის, რომელსაც ეყრდნობა სუბიექტური ცოდნა, ამიტომ მხოლოდ აქ შეგვიძლია ჩვენ დავამტკიცოთ და საბოლოოდ ნავიყვანოთ ჩვენი მსჯელობა „ჭეშმარიტებამდე“ ან „სიცრუემდე“. „მთელი სამეცნიერო საქმიანობა ობიექტური ცოდნის ზრდისაკენ მიმართული საქმიანობაა“.¹

„დიალექტიკურობა“ პოპერის მიხედვით, ნიშნავს ჰეგელის სწავლებაში მოცემული ყოველივე პოზიტიურის გამოყენებას, უპირველეს ყოვლისა, წინააღმდეგობის პრინციპისა, რომელიც დამყარებულია თეორიის ან ჰიპოთეზის კრიტიკაზე. თუმცაღა, წინააღმდეგობას ბრიტანელი ფილოსოფოსი აღწერს „ფორმალური“ „არისტოტელესეული“ სულისკვეთებით, ნაცვლად „ჰეგელისეული“ „დიალექტიკისა“, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას: „წინააღმდეგობას გააჩნია დიდი მნიშვნელობა აზროვნების ისტორიაში. ის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კრიტიკა. ჰკრიტიკა ხომ არსობრივად წინააღმდეგობის გამოვლენაა. წინააღმდეგობისა და კრიტიკის გარეშე არ შეიცვლებოდა თეორიის რაციონალური საფუძველი, ადგილი არ ექნებოდა ინტელექტუალურ პროგრესს. ამგვარად,

წინააღმდეგობა ნამდვილად გვევლინება აზროვნებაში ნებისმიერი პროგრესის მამოძრავებელ ძალად და განსაკუთრებით ნაყოფიერია“.

„პოპერის დედუქტივიზმი“, მისი დაყრდნობა ჰიპოთეტიკურ-დედუქციურ მეთოდზე, საჭიროა დავუკავშიროთ ინგლისელი ფილოსოფოსის მიერ ინდუქციის, როგორც პოპერის წინამორბედის ძირითადი მეთოდის, ლოგიკური პოზიტივიზმისა და ვერიფიკაციის, როგორც ჭეშმარიტების დადგენის არადაამაკმაყოფილებელი წესის კრიტიკას“.

„არც ერთი მეცნიერული თეორია არ შეიძლება იყოს დედუქტირებული, როგორც დაკვირვების შედეგად დამტკიცებული ნიმუში, ან აღწერილი იქნას, როგორც დაკვირვების შედეგად დამტკიცებული ჭეშმარიტების ფუნქცია“. რაც შეეხება ვერიფიკაციის კრიტერიუმს, იგი არადაამაკმაყოფილებელია თუნდაც იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ხისტს და მსოფლმხედველობრივად ვინწროს, ის თავიდან

იცლებს მეცნიერებიდან ძირითად თეორიებს და ჰიპოთეზებს, რამდენადაც შეუძლებელია მათი უმრავლესობის დამტკიცება (ან ლოგიკურად მკაცრად გამოცალკავება) პირდაპირი ფაქტებითა და დაკვირვებით. ამასთან, ის ნებას რთავს მიყვანილ იქნეს მეცნიერულ ცოდნამდე ზოგიერთი პარამეცნიერებები-ასტროლოგია, პარაფსიქოლოგია და ა.შ.

„ვერიფიკაციის პრინციპი გამორიცხავს მეცნიერებიდან პრაქტიკულად ყველაფერს, რაც მას ახასიათებს, მაგრამ, ამავე დროს, არ შეუძლია გამორიცხოს მისგან ასტროლოგია“.

კ.პოპერი ვერიფიკაციის სანაცვლოდ გვთავაზობს „ჭეშმარიტების“ დამტკიცების სხვა კრიტერიუმს-ფალსიფიკაციას (ფალსიფიცირება). ძირითადი იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ახალ კრიტერიუმს, არის ყოველი მეცნიერული გამონათქვამის პოტენციური შემონმების იდეა (მეცნიერულობისა და ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის კრიტერიუმებით) და მისი პოტენციური უარყოფის იდეა.

„მე არ მოვიტხოვ, რომ ყოველი მეცნიერული გამონათქვამი იქნეს შემონმებული, სანამ იგი იქნება მიღებული. მე მოვიტხოვ, რომ ყოველ მეცნიერულ გამონათქვამში იქნეს დაშვებული შემონმება“.

მეცნიერული მტკიცებულებები, თუ მათ განვმარტავთ მოცემული კრიტერიუმის სულისკვეთებით, უმეტეს შემთხვევაში ისინი მიიღებენ ნეგატიურ ფორმას. „ისინი (მტკიცებულებები) არ ამტკიცებენ, რომ, რაღაც არსებობს ან რაღაც ამდაგვარს: ისინი უარყოფენ ამას. ისინი დაჟინებით ამტკიცებენ გარკვეული ნივთების არ არსებობას, ან საქმეთა განუსაზღვრელი მდგომარეობის შესახებ. ამ ნივთების ან მდგომარეობათა აკრძალვით; აცხადებენ მათ კანონგარეშედ, სწორედ ამიტომაც შეიძლება ისინი იყოს ფალსიფიცირებული“.

საბოლოოდ, როგორც კ.პოპერი მიიჩნევს, ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ არა იმისკენ, რომ დავამტკიცოთ ესა თუ ის თეორია, არამედ უარყუოთ, განვაგდოთ ის. მანამ, სანამ ჩვენ ეს არ გამოგვივა, თეორია პოტენციურად ჭეშმარიტად ჩაითვლება. დაე, ჭეშმარიტების ცნებაც და მისი კრიტერიუმებიც წარმოადგენდნენ მერყევს და განუსაზღვრელს. პრინციპში ეს კრიტერიუმები შეიძლება არც არსებობდეს.

„სინამდვილეში ჭეშმარიტების კრიტერიუმის არარსებობა აქცევს ჭეშმარიტების ცნებას უაზრობად, ვიდრე ჯანმრთელობის კრიტერიუმის არარსებობა აქცევს ჯანმრთელობის ცნებას უაზროდ. ავადმყოფს შეიძლება სწყუროდეს ჯანმრთელობა, გზასაცდენილ ადამიანს შეიძლება სწყუროდეს ჭეშმარიტება, მათი კრიტერიუმის კიდევაც არქონის პირობებში“.

ამგვარად, კ.პოპერის მიხედვით, კრიტიკული რაციონალიზმის მეთოდი, წარმატებით გადალახავს ყველა წინააღმდეგობას ობიექტური მეცნიერული ცოდნის გზაზე. ეს აბსოლუტურად შეუცვლელია, როგორც მეცნიერული ცოდნის მეთოდოლოგიაში, ასევე მის ეპისტემოლოგიაში, „არანაირ განსხვავებულ მეთოდს არ შეუძლია დაგვეხმაროს გავამართლოთ ჩვენი მეთოდოლოგიური კონვენციები და და-

ვამტკიცოთ მათი ჭეშმარიტება”.

კ.პოპერის მეთოდოლოგიისა და ეპისტემოლოგიის პროგრამის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ევოლუციურობა, კ.პოპერი მეცნიერების განვითარებას განიხილავს, როგორც ევოლუციურ პროცესს ანალოგიურად ბუნების სამყაროში მიმდინარე პროცესებისა, ამასთან დაკავშირებით, პოპერი აყალიბებს სამ ძირითად თეზისს:

1. „ადამიანის სპეციფიკური შემეცნების, ისევე, როგორც მეცნიერული ცოდნის შექმნის უნარი, წარმოადგენს ბუნებრივი შერჩევის შედეგს, ისინი მჭიდროდ დაკავშირებული არიან სპეციფიკური ადამიანური ენის ევოლუციასთან”.

2. „მეცნიერული ცოდნის ევოლუცია წარმოადგენს ძირითადად სულ უფრო და უფრო საუკეთესო თეორიების ჩამოყალიბებას. ეს დარვინისტული პროცესია: თეორია უკეთ შემგუბელი ხდება ბუნებრივი შერჩევის შედეგად, ისინი გვაძლევენ სინამდვილის შესახებ სულ უფრო და უფრო საუკეთესო ინფორმაციას”.

3. „ასეთი ამოცანების გადაწყვეტისთვის შესაძლებელია მხოლოდ სპეციფიკური ადამიანური ენის გამოყენება”. კარლ პოპერის ევოლუციური ეპისტემოლოგია ეყრდნობა მის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან კონცეფციას-„სამი სამყაროს კონცეფციას”. ამ კონცეფციის თანახმად, მეცნიერული ცოდნის ევოლუცია წარმოადგენს ევოლუციური პროცესების კერძო შემთხვევას უნივერსუმში (მთლიანი სამყარო-ნ.ჩ), რომელიც დაყოფილია სამ ძირითად სამყაროდ:

1. ფიზიკური ობიექტებისა და მდგომარეობის სამყარო;

2. მენტალური მდგომარეობის სამყარო;

3. „შემეცნების ობიექტური შინაარსის, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული იდეების, პოეტური აზრისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სამყარო”.

ეს სამი სამყარო განუწყვეტლივ იცვლება, ვითარდება, ევოლუციას განიცდის, აძლევს რა ბიძგს მეცნიერული ცოდნის ევოლუციის ტემპს, ეს უკანასკნელი ვითარდება აგრეთვე იმ მიზეზით, რომ განვითარების გარეშე კარგავს თავის ემპირიულ ხასითს. თუ ახალ ჰიპოთეზებს და თეორიებს არ გააჩნიათ ემპირიული საფუძველი ახალი დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების სახით, ფალსიფიკაციის მეთოდი წყვეტს მუშაობას.

მეცნიერული ცოდნის ზრდა, შესაბამისად ბუნებრივად დაკავშირებულია ამ ცოდნის მუდმივ გარდაქმნასთან, განუწყვეტელ გამდიდრება-გაუმჯობესებასთან.

„როდესაც მე ვლაპარაკობ მეცნიერული ცოდნის ზრდაზე, მხედველობაში მაქვს მისი პერმანენტული შეცვლა სულ უფრო უკეთესი და მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი თეორიებით.”

კ. პოპერის ევოლუციური ეპისტემოლოგია წარმოადგენს საკმაოდ პერსპექტიულ მეცნიერულ სქემას, რომელსაც შეუძლია წარმატებით ჩაერთოს ზოგად ევოლუციური წარმოდგენებით ბუნებრივ და სოციალურ მეცნიერებებში. რუსი ფილოსოფოსი

ა.ვ. პანინი, პოსტპოზიტივიზმის სპეციალისტი, მიუთითებს რა მოცემულ ფაქტზე, ინტერპრეტაციას უწევს კ. პოპერის მიდგომას შემდეგნაირად: „ადამიანი (კ. პოპერის კონცეფციაში) წყვეტს შემგუბლობას გარემომცველ პირობებთან სახეშეცვლილი თავისი ბიოლოგიური სტრუქტურისა და ფუნქციების მეშვეობით, მას შეაქვს ცვლილებები მეცნიერულ ცოდნაში, ხოლო ბუნებრივი შერჩევის დანა ინყებს ჩვენი საცდელი გადაწყვეტილებებისა და ცოდნის ელიმინაციას (თავიდან მოშორება-ნ.ჩ.). ბიოლოგიური ევოლუცია გადადის კოგნიტურ ევოლუციაში, მაგრამ ევოლუციის პრინციპი, სწორედ ძალთა გამოცდისა და შეცდომების მეთოდი მთლიანად დაცულია”.

საბოლოო ჯამში, თანამედროვე ფილოსოფიის და მეცნიერების მეთოდოლოგიის მკვლევარები იხრებიან კ.პოპერის მეთოდოლოგიური იდეების გადაჭარბებული შეფასებისკენ, თვლიან რა, რომ შესაძლებელია მათი საკმაოდ ეფექტური გამოყენება ნებისმიერ მეთოდოლოგიური პროგრამის ჩარჩოებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кохановский В.П.Философия и методология науки.Ростов н\Д,1999.
2. Кун Т.Структура научных революций.,М.2002.
3. Лакатос И. Фалсификация и методология научно-исследовательских программ.История науки и ее рациональные реконструкции //Кун Т.Структура научных революций., М,2002.
4. Панин А. В.Диалектический материализм и постпозитивизм.М.,1981.
5. Поппер К.Логика и рост научного знания,М.,1983.

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია 2013 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მკვეთრი შემცირების მიზეზები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების ძირითად მიზეზებად მიჩნეულია:

1. გარდამავალი პერიოდით განპირობებული სტრუქტურული ცვლილებები;
2. ნომენკლატურული ბიზნეს—მონოპოლიების არსებობა;
3. ახალი ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ თამაშის წესებთან ნომენკლატურული ბიზნესსექტორის სწრაფი ადაპტირების უუნარობა;
4. ფულის დეფიციტი და ამით გამოწვეული დეფლაცია;
5. წინა წლებში მსესხებლების მიმართ კრედიტორების მიერ განხორციელებული მძარცველური პოლიტიკის შედეგად, მოსახლეობაში უარყოფითი განწყობა—ემოციების ჩამოყალიბება საბანკო-საფინანსო სექტორის მიმართ, რამაც განაპირობა კრედიტებზე მოთხოვნის შემცირება. შესაბამისად, შემცირდა ერთობლივი მოთხოვნაც.
6. ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ბანკის არაკოორდინირებული საქმიანობა.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილების შესახებ ზუსტი შეფასების განსახორციელებლად, აუცილებელია, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭოს ეკონომიკური საქმიანობის უფრო ვრცელ და კომპლექსურ მახასიათებლს, კერძოდ კი, ეკონომიკური განვითარების დონეს.

შესაბამისად, დასაბუთებულია, რომ ეკონომიკური ზრდის ჭეშმარიტი ფასეულობა განისაზღვრება არა თავისთავად ეკონომიკური ზრდის ტემპის სიდიდით, არამედ იმით, თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი: საზოგადოების ყველა ფენის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებას და სიღარიბის დონის შემცირებას, სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას, პროგრესული ინსტიტუციურ—სტრუქტურული ცვლილებების დაჩქარებას და ა. შ.

SUMMARY

Characteristics of Economic Growth in Georgia in 2013

Article offers analysis of the causes of dramatic fall of the real GDP for 2013 and related problems.

The following is regarded as the key reasons of the fall of growth rate:

1. Structural changes caused by the transition period;
2. Existence of nomenclature business monopolies;
3. Inability of the nomenclature business sector to rapidly adapt with the game rules offered by new government;
4. Money deficiency and deflation caused by this;
5. Formation of the population's negative attitudes and emotions to the banking & finance sector due to the robbery policies implemented by the creditors in dealing with the borrowers. This resulted in reduction of demand for the credits and hence reduction of aggregate demand;
6. Poorly coordinated actions of the Ministry of Finance and the National Bank of Georgia.

Article justifies that for accurate evaluation of the change of population's life standards it is necessary to give preference to the wider and more complex index than economic growth, in particular, level of economic development.

Respectively, it argues that the true value of economic growth is determined not by the economic growth rate as such but by the degree of ensuring: improvement of the welfare of all strata of the society and poverty reduction, improvement of effectiveness of social protection system, development of human capital, acceleration of progressive institutional-structural changes etc.

* * * * *

პოლიტიკოსების, ეკონომისტებისა და საინფორმაციო საშუალებების აქტიური განსჯის საგანია 2013 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპის მკვეთრი შემცირების მიზეზები, შედეგები, ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და გასატარებელი ღონისძიებები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ეკონომიკური ზრდის ტემპმა 2013 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამისი კვარტლის მიმართ, შეადგინა 2,4%, ხოლო 2013 წლის II კვარტალში 1,5%. შესაბამისად, 2013 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკურმა ზრდის ტემპმა შეადგინა 1,9%, ანუ დაახლოებით 3,9—ჯერ ნაკლები — 2012 წლის შესაბამის პერიოდში მიღწეულ დონესთან (7,5%) შედარებით.

ამასთან, 2013 წლის III კვარტალში, მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, 2012

ნლის შესაბამისი კვარტლის მიმართ, შეადგინა 1,4%, ხოლო 2013 წლის პირველი ცხრა თვეში 1,7%, ანუ დაახლოებით 4,4—ჯერ ნაკლები — 2012 წლის პირველ ცხრა თვეში მიღწეულ დონესთან (7,5%) შედარებით. 2013 წლის IV კვარტალში კი, წინა წლის შესაბამისი კვარტალის მიმართ, რეალური მშპ გაიზარდა 7,1%-ით, ანუ 2,5-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე 2013 წლის შესაბამისი პერიოდში (2,8%).

საბოლოო ანგარიშით, 2013 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპმა შეადგინა 3,2%, ანუ 1,94-ჯერ ნაკლები ვიდრე 2012 წელს (6,2%).

§ I. ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების მიზეზები:

2013 წლისათვის ეკონომიკური აქტივობის დაცემისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების მკვეთრი შემცირების სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ დღევანდელი და წინა ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე მათი მხარდამჭერი ეკონომისტები.

არსებული ხელისუფლება და მეცნიერ—ეკონომისტების დიდი ნაწილი ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების ძირითად მიზეზებად მიიჩნევენ: 1. გარდამავალი პერიოდით განპირობებულ სტრუქტურულ ცვლილებებს; 2. წინა ხელისუფლებასთან დაახლოებულ—ინტეგრირებული და შესაბამისად, პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალ გარემოში მუშაობას მიუჩვენებელი ნომენკლატურული ბიზნეს—მონოპოლიების არსებობას; 3. ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ თამაშის ახალ წესებთან (იგულისხმება ბიზნესის გათავისუფლება პოლიტიკური წნეხისგან და კონკურენციის პირობებში საქმიანობა) ბიზნესის ადაპტირებისათვის გარკვეული პერიოდის აუცილებლობას; 4. ფულის დეფიციტს; 5. წინა პრეზიდენტის ცალკეულ განცხადებებს, აგრეთვე მის მიერ ვეტოს უფლების გამოყენებით პარლამენტის მიერ მიღებული რიგი კანონების დაბლოკვას და ამით განპირობებულ ნეგატიურ გზავნილებს ადგილობრივი მენარმეთათვის, ხელისუფლების ამა თუ იმ შტოში დასაქმებული წინა ხელისუფლების მხარდამჭერთათვის, უცხოელი ინვესტორებისათვის და პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური წრეებისათვის; 6. კოჰაბიტაციის პროცესსა და მასთან დაკავშირებულ არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებას და ა. შ..

წინა ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების ძირითად მიზეზებად ასახელებენ: 1. ახალი ხელისუფლების მიერ აღებულ სოციალურ ვალდებულებებს; 2. რეგულაციების გამკაცრებას; 3. გაურკვეველ მოლოდინებსა და არაპროგნოზირებად გარემოს; 4. წინა პრემიერ—მინისტრის მიერ, თანამდებობის დატოვების შესახებ, გადადგომამდე რამდენიმე თვით ადრე გაკეთებულ განცხადებას; 5. პოლიტიკური ოპონენტების დევნასა და მასთან დაკავშირებულ არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებას და ა. შ..

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ წინა პრემიერ—მინისტრის წინასწარი განცხადება გადადგომის შესახებ, როგორც ჩანს, სხვა მიზეზებთან

ერთად, განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კონიუნქტურით, პოლიტიკურ ძალთა განწყობა—განლაგებითა და საგარეო ფაქტორებით. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება მიზნად ისახავდა ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული გარკვეული ძალების დამოშმინება—განეიტრალებას და ქვეყანაში მაქსიმალურად სტაბილური პოლიტიკური ვითარების შენარჩუნებას. შესაბამისად, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს აღნიშნული განცხადების ტენდენციური შეფასება: ბიზნეს—სექტორის წარმომადგენლებში არასტაბილურობის განცდის ამალგებისა და პოტენციური ინვესტორების მოლოდინების გახანგრძლივების კუთხით. სტაბილური პოლიტიკური ვითარების შენარჩუნება ხომ გრძელვადიანი პოზიტიური განწყობა—მოლოდინების ჩამოყალიბებისა და ბიზნეს—სექტორის აღორძინების ერთ—ერთი აუცილებელი პირობაა.

ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ 2013 წლისათვის ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების ზოგიერთ ძირითად მიზეზს:

1. წინა ხელისუფლების პერიოდში სამენარმეო სექტორისადმი შერჩევითი მიდგომის დამკვიდრების შედეგად ბიზნესის მომგებიან სექტორებში (სახელმწიფო ტენდერებზე ორიენტირებული სფეროები, განსაკუთრებით კი სამშენებლო სექტორი, აგრეთვე იმპორტ—ექსპორტის სფერო, საბანკო—საფინანსო სექტორი, ფარმაცევტული მომსახურება, ენერგეტიკა და ნავთობ—პროდუქტების მიწოდება და ა. შ.) გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს სასაბურთე პირობებში მყოფმა მსხვილმა მონოპოლიურმა გაერთიანებებმა, რამაც გამოიწვია არაეფექტიანი, მაღალ—დანახარჯიანი ბიზნეს—სტრუქტურების აღზევება და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელისშემშლელი გარემო—პირობების ფორმირება. საბოლოო ანგარიშით კი, არსებითად დამახინჯდა მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა, ვინაიდან გაიზარდა იმ სექტორების ხვედრითი წილი, რომლებშიც დასაქმებული ნომენკლატურული—მონოპოლიური ფორმები ხელოვნურად ზრდიდნენ წარმოებაზე განუვლ დანახარჯებს და მზა პროდუქციის ღირებულებას.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ფორმირებული ახალი მთავრობის განცხადებამ ბიზნესის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებისა და თავისუფალი მეწარმეობისადმი მხარდაჭერის, ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნისა და კონკურენციის განვითარება—გადრმაგების შესახებ, როგორც ჩანს, არსებითი ხასიათის დისონანსი შეიტანა ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენელთა გეგმებში.

მთავრობის აღნიშნული განცხადება ნომენკლატურული ბიზნესისთვის წარმომადგენს შეტყობინებას “თამაშის წესების” რადიკალური შეცვლის შესახებ. პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალ, კონკურენტულ გარემოში, ნომენკლატურულ ბიზნესს რჩება სამი გზა: პირველი, ადაპტირდეს ახალ გარემო—პირობებთან და დაემორჩილოს თა-

მაშის ახალ წესებს, მეორე, შეწყვიტოს საქმიანობა და მესამე, კაპიტალი გაიტანოს უცხოეთის იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების “ქოლგის” ქვეშ გააგრძელებს ჩვეულ საქმიანობას.

საქართველოში, გასულ წელს, გამოიკვეთა სიტუაცია, რომელიც ცხადყოფს, რომ ნომენკლატურული ბიზნესის ერთი ნაწილი (წინა ხელისუფლებასთან ყველაზე მჭიდროდ ინტეგრირებული) საერთოდ ცდილობდა ბიზნესის უცხოეთში გატანას, მეორე ნაწილი (ნაკლებ პოლიტიზებული, ამასთან ყველაზე მარიფათიანი და მოქნილი აზროვნების მქონენი) ახალ მმართველ ძალასთან ინტეგრირების იმედს არ კარგავდა, მასთან მისახველვად გზებს ეძებდა, რათა ძველებურად, ჩვეულ სტილში გაეგრძელებინა “მოღვაწეობა” საკუთარი მონოპოლისტური მადის დასაკმაყოფილებლად, მესამე ნაწილი (ასევე ნაკლებ პოლიტიზებული, მაგრამ შედარებით პრაგმატული და ინსტიტუციური ცვლილებებისთვის მზადყოფი) კი, მოლოდინის რეჟიმში იყო გადასული და გაფაციცებით აღეგნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას სამთავრობო პრიორიტეტების განსაზღვრისა და საკანონმდებლო-ინსტიტუციური ცვლილებების სფეროში.

ნომენკლატურული ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლების ზემოაღნიშნული ქცევა უარყოფითად აისახა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და გასულ წელს მოგვევლინა წარმოების მოცულობის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის დაცემის მნიშვნელოვანი ფაქტორად.

გარდამავალ პერიოდში სამეწარმეო სექტორის გარკვეული დეზორგანიზაცია და ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება ლოგიკურია, ვინაიდან საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები განაპირობებს გარკვეული კორექტივების შეტანის აუცილებლობას ფასეულობებსა და დასახულ გეგმებში, ასევე იცვლება განწყობილება-მოლოდინებიც. 2003 წლის ნოემბერში ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც, ახალი ხელისუფლების მიერ განსაზღვრული “თამაშის წესების” შესაბამისად ნომენკლატურული ბიზნესის გადაწყობამ გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გარკვეული გაუარესება: საქსტატის ინფორმაციით, ეკონომიკური ზრდის ტემპი 2003 წლის 11,1%-დან 2004 წლისათვის დაეცა 5,9%-მდე.

2. 2013 წლისათვის ზედაპირზე ამოტივტივდა წინა წლებში მსესხებლების მიმართ კრედიტორების მიერ განხორციელებული მძარცველური პოლიტიკის შედეგები. როგორც პრესის საშუალებებით გაიჟღერა, ათეულობით ათას ოჯახს დაემუქრა და დღესაც ემუქრება საკუთარი ბინიდან გამოსახლება. აღნიშნული გარემოების საფუძველზე ჩამოყალიბებულმა უარყოფითმა განწყობა-ემოციებმა განაპირობეს კრედიტებზე მოთხოვნის შემცირება, როგორც მცირე და საშ-

უალო მეწარმეების, აგრეთვე მომხმარებლების მხრიდან, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ერთობლივი მოთხოვნის შემცირება.

3. 2013 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო დანახარჯების სფეროში ობიექტური მიზეზებით განპირობებულმა შეფერხებამ, ანუ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების კუთხით გარკვეულმა შეფერხებამ და შესაბამისად, პროფიციტული საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებამ, თავის მხრივ შეამცირა ერთობლივი მოთხოვნის მოცულობა. თუმცა ამაში ახალი მთავრობის დადანაშაულება არაკორექტულია. არცერთი პასუხისმგებლური მთავრობა ვერ მისცემდა საკუთარ თავს სახელმწიფო შეკვეთების შესრულებაზე ორიენტირებული და წინა ხელისუფლებასთან (ახალი ხელისუფლების მიერ დანაშაულებრივად მიჩნეულის) მჭიდროდ ინტეგრირებულ-შეთვისებული ნომენკლატურული ბიზნესის დაფინანსების უფლებას. ეს იქნებოდა ერთის მხრივ, წინა ხელისუფლების პოლიტიკური სტრუქტურებისა და მათი წარმომადგენლების სახელმწიფოს ხარჯზე დაფინანსების პოლიტიკის, მეორეს მხრივ კი, არაეფექტიანად და მიზანშეუწონლად მიჩნეული პროექტების დაფინანსების გაგრძელება.

ბიუჯეტის შემუშავება-დამტკიცებისას, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით 2013 წლისთვის მოსალოდნელი პრობლემების პროგნოზირება-გათვალისწინებაში, ახალ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ხელი შეუშალა 2012 წლის ბოლოსთვის ქვეყანაში არსებულმა მწვავე პოლიტიკურმა ვითარებამ და ფორსმაჟორულმა სიტუაციამ. არადა, ბიუჯეტის შემდგენელთა მხრიდან მეტი პროფესიონალიზმის გამოვლენა და აღნიშნული პრობლემების განჭვრეტა-გათვალისწინება შესაძლებელს გახდიდა ბიუჯეტის სხვა პარამეტრების ისეთი ცვლილებას (მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსების გაფართოებას), რაც არ დაუშვებდა, ან მნიშვნელოვნად შეარბილებდა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შეფერხებით განპირობებულ ერთობლივი მოთხოვნის დაცემას 2013 წლის მანძილზე.

4. ეკონომიკური აქტივობის ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება დეფლაცია. IS-LM ერთობლივი მოთხოვნის მოდელის თანახმად როგორც მოულოდნელი, აგრეთვე მოსალოდნელი დეფლაცია იწვევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას, რაც განაპირობებს IS მრუდის მარცხნივ გადაადგილებას, შესაბამისად კი ეროვნული შემოსავლის შემცირებას (1. გვ.: 299-300).

საქსტატის ინფორმაციის თანახმად (იხ ცხ.: 1), 2013 წლის დეკემბერში 2012 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, ინფლაციის დონემ 2,4 პროცენტი, ხოლო წინა თვესთან შედარებით 1,5 პროცენტი

შეადგინა. ამასთან, იმავე საქსტატის ინფორმაციით, მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი 2013 წლისთვის, წინა წელთან შედარებით, შემცირდა 0.7 პროცენტით. ე. ი. 2013 წლის ბოლოსთვის, სამამულო ნაწარმის მთლიანი ღირებულების ცვლილების ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის (მშპ-ს დეფლატორის) მიხედვით, დაფიქსირდა დეფლაცია.

ცხ.1. ინფლაცია საქართველოში 2013 წლის მაისი-დეკემბერი

	მა-ისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბ.	ოქტომბ.	ნოემბ.	დეკემბ.
2013 წლის კონკრეტული თვე, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით	-0,1	0,2	-0,2	-0,4	-1,3	0,2	0,6	2,4
2013 წლის კონკრეტული თვე, წინა თვესთან შედარებით	0,7	-0,6	-1,3	0,0	-0,1	1,5	0,5	1,5

აღსანიშნავია ისიც, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით გაანგარიშებული ინფლაციის მაჩვენებელიც, 2013 წლის პირველი სამი კვარტლის მანძილზე, თითქმის ყოველთვის უარყოფითი იყო, ანუ აღნიშნულ პერიოდში, ამ მაჩვენებლის მიხედვითაც ადგილი ჰქონდა დეფლაციას. ასე მაგალითად, 2013 წლის სექტემბერში, 2012 წლის სექტემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, ინფლაციის დონემ -1,3 პროცენტი, ხოლო წინა თვესთან შედარებით -0,1 პროცენტი შეადგინა. ამასთან, 2013 წლის სამი კვარტლის მონაცემების მიხედვით, მშპ-ს დეფლატორი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემცირდა 0.8 პროცენტით.

როგორც ვხედავთ, ნებისმიერი შეფასებით, 2013 წლის მანძილზე, სახეზეა როგორც სამომხმარებლო ფასების, აგრეთვე მშპ-ის დეფლატორის შემცირება, რის შედეგადაც ინფლაციის მაჩვენებელი მკვეთრად ჩამორჩება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ 6 პროცენტიან მიზნობრივ დონეს (სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით 2013 წლის დეკემბერში ჩამორჩენა შეადგენს 3,6 პროცენტულ პუნქტს, ხოლო მშპ-ის დეფლატორის მიხედვით კი, დაახლოებით 6,7 პროცენტს).

საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად (2. გვ.: 16-18), დეფლაციის მიზეზებია:

ა) მიწოდების სფეროში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ: სურსათსა და ენერგომატარებლებზე ფასების შემცირება, საყოფაცხოვრებო მომსახურების გადასახადების შემცირება, იმპორტირებულ პროდუქტიაზე ფასების შემცირება, მოგების მარუების შემცირება და ა. შ.;

ბ) მოთხოვნის სფეროში არსებული ვითარება, კერძოდ: ინვესტიციური მოთხოვნის შემცირება, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება ბოლო სამი წლის მანძილზე, გაცვლითი კურსის გამყარება და ა. შ.;

გ) ფინანსური ასპექტები, კერძოდ, ეკონომიკური ზრდის შენელებისა და რისკების გაზრდის კვალდაკვალ, საბანკო სექტორის საკრედიტო აქტივობის შემცირება.

დეფლაციის გამომწვევ ადნიშნულ მიზეზებს შორის მითითებული არ არის მონეტარული ფაქტორი. ეკონომიკურ თეორიაში დასაბუთებულია, რომ ინფლაციის გადრმავეებისა და დროში გახანგრძლივების მიზეზს, მიუხედავად მისი გამომწვევი ფაქტორებისა, ყოველთვის წარმოადგენს ფულის მასის გადიდება. ანალოგიურად, დეფლაციაც, მიუხედავად მისი გამომწვევი მიზეზებისა, დიდხანს ვერ გაგრძელდება ფულის მასის შესაბამისი შემცირების გარეშე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციის თანახმად (3. გვ.: 12), ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის (M_0) მოცულობა, 2012 წლის დეკემბერთან (1550028 ათასი ლარი) შედარებით, 2013 წლის პირველ კვარტალში შემცირდა 132,9 მილიონი ლარით და შეადგინა 1417119 ათასი ლარი, შემდეგ მეორე კვარტალში გაიზარდა 71,9 მილიონი ლარით და შეადგინა 1489096 მილიონი ლარი, რის შედეგადაც ივნისის ბოლოსთვის მისი მოცულობა 60,9 მილიონი ლარით ჩამორჩა 2012 წლის დეკემბრის მაჩვენებელს.

ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკა ხასიათდება ერთგვარი კანონზომიერებით: ყოველი წლის საწყის თვეებში ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის მოცულობა ჩამორჩება წინა წლის დეკემბრის თვის მაჩვენებელს. ასე მაგალითად, 2009 წელს აღნიშნული ჩამორჩენა გრძელდებოდა 7 თვე (იანვარ-ივლისის პერიოდში), 2010 წელს 4 თვე (იანვარ-აპრილში), 2011 წელს მთელი 11 თვის, ანუ იანვარ-ნოემბრის მანძილზე (სწორედ 2011 წლიდან დაიწყო საქართველოში დეფლაციური პროცესების განვითარება), 2012 წელს 7 თვე, 2013 წელს კი 6 თვე. ფულის მასის ასეთი დინამიკა ლოგიკურია, ვინაიდან ეკონომიკური აქტიურობა შედარებით დაბალია წლის პირველ ნახევარში, იზრდება მეორე ნახევარში და პიკს აღწევს მეოთხე კვარტალში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული კანონზომიერების ფარგლებშიც, ზოგჯერ აუცილებელია კორექტივების შეტანა – ეკონომიკაში არსებული ვითარების გათვალისწინებით. ე.ი. როცა მოსალოდნელია ინფლაციური პროცესების გადრმავეება, მაშინ, რა თქმა უნდა, წლის საწყის პერიოდში გამართლებულია მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის შემცირება, მაგრამ მაშინ, როცა სახეზეა დეფლაცია, ასეთი პოლიტიკის განხორციელება, ყოველად მიუღებელია.

2010 წელს სამომხმარებლო ფასების ინფლაციის მაჩვენებელი (11,2%) ერთ-ერთი ყველაზე

მაღალი იყო ბოლო ათი წლის მანძილზე (იხ. ცხრ. 2). 2011 წლისთვის გატარებული უმკაცრესი მონეტარული პოლიტიკის შედეგად ინფლაციის ტემპი დაეცა 2%-მდე, ანუ 4%-ით ჩამორჩა მიზნობრივ მაჩვენებელს. 2012 წლის საწყისი 7 თვისა და მიმდინარე წლის საწყისი 6 თვის მანძილზე მიმოქცევაში არსებული ფულის მასის შემდგომმა შემცირებამ გამოიწვია დეფლაციური პროცესების გაღრმავება. შესაბამისად, დეფლაციის მაჩვენებელმა 2012 წელს შეადგინა -1,4%, ხოლო 2013 წლის სექტემბერში -1,1% (2012 წლის დეკემბრის მიმართ). 2011–2013 წლებში ინფლაციის მაჩვენებლის დინამიკა ცხადყოფს ამ წლებში განხორციელებული მონეტარული პოლიტიკის არამართებულობას, რადგან დეფლაცია ისეთივე საშიში მოვლენაა, როგორცაა მაღალი და არასტაბილური ინფლაცია.

ცხ.:2. სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით ინფლაცია საქართველოში 2006-2013წწ

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	108,8	111,0	105,5	103,0	111,2	102,0	98,6	102,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დეფლაცია ნიშნავს სამენარმეო საქმიანობიდან და განხორციელებული ინვესტიციებიდან დაგეგმილზე ნაკლები ფულადი შემოსავლისა და ნაკლები ფულადი მოგების მიღებას, შესაბამისად ნიშნავს მოგების დაგეგმილი საშუალო ნორმის ვერმიღებას, რაც თავისთავად ამცირებს შემდგომ ინვესტიციურ მოთხოვნას.

დეფლაცია განაპირობებს მსესხებლების მიერ ადრე აღებული და მიმდინარე ეტაპზე დასაბრუნებელი კრედიტების გაძვირებას — პროცენტის რეალური განაკვეთის ამაღლების შედეგად, რაც ამცირებს მათ მიერ მისაღებ მოგების ნორმას და/ან აუარესებს მათ ფინანსურ მდგომარეობას. აღნიშნულის შედეგად, დეფლაცია უარყოფითად აისახება ერთობლივ მოთხოვნაზე (შემცირდება როგორც ინვესტიციური, აგრეთვე სამომხმარებლო მოთხოვნა).

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტსაც, რომ დეფლაციის შედეგად, მიკროდონეზე, მოგების საშუალო ნორმის დეფლაციამდე არსებული დონის უზრუნველმყოფი ზღვრული დანახარჯები მეტი აღმოჩნდება ზღვრულ შემოსავალზე, შესაბამისად, დეფლაციის შედეგად ცალკეული ფირმისთვის მცირდება ზღვრული დანახარჯების ის დონე, რომლის დროსაც მისი ერთობლივი მოგება აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას, რაც განაპირობებს წარმოების მოცულობის საყოველთაო (მაკროდონეზე) შემცირებას.

ინფლაციის გარკვეული ზომიერი დონის არსებობა აუცილებელია ეკონომიკის, განსაკუთრებით კი რიგი პოსტკომუნისტური და/ან განვითარებადი

ქვეყნების ეკონომიკების შეუფერხებელი განვითარებისათვის. აღნიშნულ ქვეყნებში მაღალი უმუშევრობის დონის პერმანენტული არსებობის შედეგად სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია მოთხოვნადი პროფესია და/ან შესაბამისი კვალიფიკაცია. ასეთ პირობებში პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდება მიიღწევა:

ა) დასაქმებული მუშახელის კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების, შესაბამისად მათი მწარმოებლურობის ამაღლებით. საშუალო ხელფასისა და მწარმოებლურობის თანაბარი პროპორციით ზრდის შემთხვევაში პროდუქციის ერთეულზე დანახარჯები დარჩება უცვლელი და საფუძველი არ არსებობს ფასების ზრდისათვის. თუმცა სხვადასხვა ობიექტური მიზეზების, მაგალითად, შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესება—გაადამიანურებისა და პროფკავშირების გააქტიურების, აგრეთვე კვალიფიციური მუშახელის გადასაბირებლად კონკურენციის გაღრმავების შედეგად, საშუალო ხელფასი მწარმოებლურობის ამაღლებასთან შედარებით უფრო მაღალი ტემპით დროგამოშვებით აუცილებლად გაიზრდება, რაც განაპირობებს პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების ზრდას, შესაბამისად კი ფასების დონის გარკვეული ზრდის აუცილებლობას.

ბ) დაბალკვალიფიციურებულ უმუშევართა დასაქმებითა და მათ სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე დანახარჯების განხორციელებით, რაც ნებისმიერ შემთხვევაში ინვესტ პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე განეული დანახარჯების გადიდებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ფასების საერთო დონის ზრდის აუცილებლობას.

გ) გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროდუქციის გამოშვების გადიდება მოითხოვს ნედლეულის ახალი წყაროების და გასაღების ახალი ბაზრების მოძიებას, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია დამატებით დანახარჯებთან. შესაბამისად იზრდება პროდუქციის ერთეულზე დანახარჯებიც, რომლის ასანაზღაურებლად აუცილებელია ფასების დონის ზრდა.

5. კოორდინაციის არარსებობა ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობაში. 2013 წელს, ფინანსთა სამინისტროს მიერ პროფიციტული საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების ფონზე, ეროვნულ ბანკის მხრიდან მიზანშეწონილი იყო ბევრად უფრო რბილი მონეტარული პოლიტიკის გატარება ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების მიზნით. ე.ი. ეროვნულ ბანკს, წესით და რიგით, ასეთი პოლიტიკის გატარებით უნდა შეეცხო პროფიციტული საბიუჯეტო პოლიტიკის შედეგად ერთობლივ მოთხოვნაში წარმოქმნილი დეფიციტი. მოვლენები ასე რომ არ განვითარდა, ამაში დამნაშავე, სათანადო კოორდინაციის უქონლობასთან ერთად, ალბათ აღნიშნულ უწყებებს შორის უნდობლობის ფაქტორის არსებობაცაა.

ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების მოკლევადიანი შედეგები გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებათა გათვალისწინებით

ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალებას გვა-

ძლევს რაოდენობრივად შევავსოთ საანგარიშო პერიოდის მანძილზე ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის შედეგები.

ეკონომიკური ზრდის ტემპის საფუძველზე აგრეთვე შესაძლებელია ქვეყნის სანარმოო—ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების დონის, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და წარმოების ეფექტიანობის, აგრეთვე ცხოვრების საშუალო დონის ამალღების შეფასება. მიუხედავად ამისა, ეკონომიკაში არსებული რეალური ვითარებისა და მასში მიმდინარე დინამიური პროცესების სრულყოფილი ანალიზი წარმოუდგენელია ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივი მახასიათებლების (სიღარიბის დონე, სოციალურ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის არსებული ბალანსი, შესაძლებლობებისა და შედეგების განაწილების სფეროში არსებული მდგომარეობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროებში არსებული ვითარება და ა. შ.) ცვლილების თავისებურების, აგრეთვე ინსტიტუციურ—სტრუქტურული ცვლილებების ხასიათის შეფასების გარეშე. ამის შესახებ საუბარია მსოფლიო ბანკის 2005 წლის მოხსენებაში (4. გვ. 1-16).

ე. ი. მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტემპის მაჩვენებელი საკმარისი არ არის ეკონომიკაში მიმდინარე თვისობრივი ცვლილებების და ქვეყნის სოციალურ—ეკონომიკური განვითარების დონის ზუსტი შეფასებისათვის. ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი მახასიათებლების ცვლილების ხასიათი უნდა განვიხილოთ ხარისხობრივი მახასიათებლების დინამიკასთან მჭიდრო კავშირში, რაც ეკონომიკურ ზრდასთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის უფრო ვრცელი და კომპლექსური მახასიათებლის, კერძოდ კი, ეკონომიკური განვითარების დონის შეფასების საშუალებას მოგვცემს.

ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური განვითარების შემადგენელი ნაწილია. იგი გულისხმობს, როგორც ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას. ე.ი. ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი მახასიათებლების ამალღების, ეფექტიანი ეკონომიკური საქმიანობისათვის აუცილებელი ცივილური პირობების (მაკროეკონომიკური, სამართლებრივ-ინსტიტუციური, პოლიტიკური, სოციალური) ფორმირების, სოციალურ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის, ეროვნული მეურნეობის პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების, ცხოვრების ხარისხის საყოველთაო, საზოგადოების ყველა ფენისათვის ხელმისაწვდომი გაუმჯობესებისა და ა.შ. ერთიანი პროცესია [5. გვ.: 242-273].

ამრიგად, ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ზრდის სინონიმი არ არის. იგი შინაარსობრივად ბევრად უფრო ტევადი ცნებაა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. უფრო მეტიც, ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპების პარალელურად შესა-

ძლოა აღინიშნოს ეკონომიკური განვითარების დანარჩენი კომპონენტების არსებითი გაზარდება. ასე მაგალითად, საქართველოში, 2004–2012 წლებში, ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებლების პირობებში, აღინიშნა უმუშევრობის ზრდა (საქსტატის მონაცემების თანახმად უმუშევრობის დონემ 2005 წლისათვის შეადგინა 13,8%, ხოლო 2012 წლისათვის 15%), უთანაბრობის გაღრმავება შემოსავლების განაწილებაში და სიღარიბის დონის ამალღება (საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიკა 2006 წლიდან არსებითად დამახინჯდა. ამიტომ სიღარიბის რეალურ დონეზე ასე თუ ისე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ რეგისტრირებული სიღარიბის, ანუ სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის ცვლილებით მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 2007 წლის 6,4%-დან 2012 წლისათვის ამალღებულია 9,7%-მდე). ამასთან, არ შექმნილა მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების ჯანმრთელობის დაცვის, განათლების დონის ამალღებისა და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა, არ გაუმჯობესებულა ეროვნული მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, არ შექმნილა ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ბიზნესის, მ.შ. მცირე და საშუალო ბიზნესის, განვითარებისათვის აუცილებელი გარემო პირობები.

ამგვარად, თუკი ეკონომიკურ ზრდას და ეკონომიკურ განვითარებას განვიხილავთ ეკონომიკური საქმიანობის დამოუკიდებელ მახასიათებლებად, ანუ თუკი ეკონომიკურ ზრდას გამოვაცალკევებთ ეკონომიკური განვითარების პროცესისგან (სინამდვილეში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეკონომიკური განვითარება, სხვა მახასიათებლებთან ერთად, მოიცავს ეკონომიკურ ზრდასაც), მაშინ ცხადია, რომ საქართველოში, 2004–2012 წლებში, ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ ზრდას – ეკონომიკური განვითარების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, რომ ეკონომიკური ზრდის ჭეშმარიტი ფასეულობა განისაზღვრება არა თავისთავად ეკონომიკური ზრდის ტემპის სიდიდითა და შესაბამისად, პროდუქციის გამომშვების მოცულობის გადიდებით, არამედ იმით, თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი: საზოგადოების ყველა ფენის კეთილდღეობის დონის შედარებით თანაბარზომიერ ამალღებას და სიღარიბის დონის შემცირებას, სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობის ამალღებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას, პროგრესული ინსტიტუციურ—სტრუქტურული ცვლილებების დაჩქარებას და ა. შ.

ე.ი. საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისათვის, საზოგადოების კეთილდღეობის საყოველთაო ამალღებისათვის აუცილებელია არა ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური ზრდის მიზნით, არამედ ისეთი ეკონომიკური ზრდა, რომელ-

იც მეტ-ნაკლებად თანაბარზომიერად აისახება საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობაზე და შექმნის პირობებს ქვეყნის შემდგომი აღორძინებისათვის.

საქართველოში 2004–2012 წლების ეკონომიკური ზრდის შედეგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური განვითარების სხვა მახასიათებლები არ გაუმჯობესებულა, პირიქით, რიგი მათგანი არსებითად გაუარესდა. შესაბამისად, უმნიშვნელოა აღნიშნული ეკონომიკური ზრდის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი. ამას ნაწილობრივ აღიარებენ ნაციონალური მოძრაობის ცალკეული ლიდერებიც, როცა აღნიშნავენ, რომ მათ ვერ უზრუნველყვეს ეკონომიკური ზრდის კეთილსმყოფელი შედეგების ასახვა ცალკეული ოჯახების კეთილდღეობაზე. ამასვე ადასტურებს ყოფილი ხელისუფლების მიერ არჩევნების მწარედ წაგება იმ რეგიონებსა და ქალაქებში, სადაც მან განახორციელა ყველაზე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები. როგორც ჩანს აღნიშნული ობიექტების მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე იყო ყოველად გაუგებარი, დაუსაბუთებელი და მეტისმეტად ხარჯიანი: მათგან მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური და ეგრეთწოდებული “იმიჯშემქმნელი” შედეგები მინიმალურ დონეზეც კი ვერ უზრუნველყოფს მათზე გაწეული კოლოსალური დანახარჯების ანაზღაურებას. მთავარი კი ისაა, რომ აღნიშნული ობიექტების მშენებლობით არ გაუმჯობესებულა შესაბამის რეგიონებსა და ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ყოფილ სსრკ-შიც ეკონომიკურ ზრდა ნაწილობრივ მიიღწეოდა მაღალ დანახარჯებიანი და ეკონომიკურად გაუმართლებელი გიგანტური ობიექტების მშენებლობით, მასალატევადი, ხშირ შემთხვევაში უხარისხო და მოთხოვნის არ მქონე პროდუქციის წარმოებით. ასეთმა არაეფექტიანმა წარმოების სისტემამ კატალიზატორის როლი შეასრულა სსრკ-ს დაშლაში.

2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბდა უნიკალური ვითარება, რაც გამოიხატება იმაში, რომ წინა პერიოდში მიღწეულმა ეკონომიკური ზრდის შედეგებით მაღალი ტემპებმა (ეკონომიკური განვითარების სხვა კომპონენტების გაუმჯობესების გარეშე), სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების გარკვეული კორექტირების შემთხვევაში, ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპის პირობებშიც კი შესაძლებელი გახადა მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ეკონომიკური განვითარების შედეგებით მაღალი დონის მიღწევა, ოღონდ მოკლევადიან პერსპექტივაში. გრძელვადიან პერიოდისათვის საყოველთაო ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, რა თქმა უნდა, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის

ტემპის მნიშვნელოვანი ამაღლება და სტრუქტურულ-ინსტიტუციური ცვლილებების დაჩქარება. საწინააღმდეგო შემთხვევაში, არათუ წინსვლა, არამედ ეკონომიკური განვითარების არსებული დონის შენარჩუნებაც კი სანატრელი გაგვიხდება.

როგორც წესი, ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ეკონომიკური, პოლიტიკური და ეთიკური თვალსაზრისით გამართლებული ბალანსის დაცვა სოციალურ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის. წინა ხელისუფლების პირობებში აღნიშნული ბალანსი აშკარად დარღვეული იყო დამახინჯებულად გააზრებული ეფექტიანობის სასარგებლოდ. მაგალითად, მსხვილ, ნომენკლატურულ ბიზნესის წარმომადგენლებსა და უცხოელ ინვესტორებს ხელისუფლებისგან სრული კარტ-ბლანში ჰქონდათ მიცემული მცირე და საშუალო მეწარმეებისა და განსაკუთრებით, დაქირავებული შრომით დასაქმებულთა ხარჯზე. ამის თვალსაჩინოებისათვის ძველი შრომის კოდექსიც კმარა, რომლის წყალობითაც დაქირავებული მუშახელი სრულიად უუფლებო მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, ვინაიდან დამქირავებელს შეეძლო დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლება უმიზეზოდ და წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებულმა ძალამ უპირველეს მიზნად გამოაცხადა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, ანუ მიზნად დაისახა სოციალურ სამართლიანობასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას შორის წინა წლებში დარღვეული გონივრული ბალანსის აღდგენა და ამ გზით გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისათვის აუცილებელი წინამძღვრების მომზადება. კერძოდ, დაისახა დონისძიებები მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევის, საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის წიგნების უფასოდ დარიგების, პრიორიტეტულ საბაკალავრო მიმართულებებზე ჩარიცხულთა უფასო განათლების, პენსიების ამაღლების, ტარიფების შემცირების, შრომითი კანონმდებლობის სრულყოფა-გაუმჯობესების და ა. შ. სფეროებში.

აღნიშნული დონისძიებების განხორციელებამ თავისთავად გამოიწვია მოსახლეობის, განსაკუთრებით კი დაბალშემოსავლიანი ფენების ცხოვრების პირობების გარკვეული გაუმჯობესება, რაც გრძელვადიან პერიოდისათვის ხელს შეუწყობს მათი განათლების დონის, შესაბამისად კი, შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

მთავრობის განცხადებით, აღნიშნული დონისძიებების პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ბიზნესის სახელისუფლო წინხისგან განთავისუფლებისა და თავისუფალი ბიზნესის განვითარების მიზნით, კერძოდ ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივ-ინსტიტუციური გარემოს ფორმირების,

აგრეთვე სხვადასხვა ინვესტიციური, თუ საღაზღვეო ფონდების განვითარების მიმართულებით და ა. შ.

2013 წელს გატარებული ღონისძიებები, მიუხედავად ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპისა, ცალსახად ადასტურებენ ქვეყანაში მოკლევადიანი ეკონომიკური განვითარების პროცესს. გრძელვადიან პერსპექტივაში მაღალი ტემპებით ზრდის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირების მიზნით კი, აუცილებელია ინსტიტუციურ-სტრუქტურული ცვლილებების დაჩქარება და როგორც ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებში, აგრეთვე მთლიანად მოსახლეობაში ოპტიმისტური განწყობა-მოლოდინების ფორმირების ხელშეწყობა.

ამრიგად, საქართველოში, 2013 წლის ცალკეულ კვარტლებში დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდის ტემპის არასასურველი დონეები, შესაბამისად, მთლიანად 2013 წლისთვის ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპიც, თავისთავად არ წარმოადგენს კატასტროფას – ეკონომიკური განვითარების სხვა მახასიათებლების გაუმჯობესების შედეგად (ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკონომიკაში ყველაფერი კარგადაა. ეკონომიკური ზრდის წინასწარ განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლის (6,1%) მიღწევის შემთხვევაში ბევრად უკეთესი შედეგების მიღება იქნებოდა შესაძლებელი ეკონომიკური განვითარების დანარჩენი კომპონენტების მიხედვით, მ.შ. გარკვეულწილად გაიზრდებოდა დასაქმებულთა შემოსავლებიც).

ამრიგად, აღნიშნული ოპტიმისტური დასკვნა მისაღებია მხოლოდ 2013 წლისათვის, ანუ მოკლევადიანი გარდამავალი პერიოდისათვის.

გრძელვადიანი პერიოდისათვის, ანუ 2014 წლიდან, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპების მიღწევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ნეგატიური ეკონომიკური განვითარება – მისი ყველა კომპონენტის ჩათვლით. პარალელურად გარდაუვალია სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის ზრდა, ვინაიდან მშვიდობიან პერიოდში ხალხი არ შეურიგდება ეკონომიკური პირობების არსებით გაუარესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mankiw N. G. macroeconomics, fifth edition, 2001.
2. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2013/publish_ir_november2013.pdf
3. <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/bulletinstatistics/statbiul/2013/bulletindecember-2013geo.pdf>
4. World development report 2006: Equity and development. A copublication of The World Bank and Oxford University Press. 2005.
5. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა. რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა. თბ., 2009.

ბიზნეს-ინჟინერინგი სოფლის მეურნეობაში

საქართველოს ნიადაგების რესურსული პოტენციალი მათი გამოყენების და დაცვის პრობლემაში

ჯემალ მაჭავარიანი, სოფლის მეურნეობის ასოცირებული დოქტორი; თენგიზ ურუშაძე, აკადემიკოსი, ნოდარ ჭითანავა, აკადემიკოსი, რუსუდან ფირცხალავა, მეცნიერ-თანამშრომელი

რეზიუმე

საქართველოში არასასოფლო-სამეურნეო მიზნით მიწების გამოყენებამ სახიფათო ხასიათი მიიღო. ამასთან დაკავშირებით, დღეისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში დაკავებული მიწის ფართობების შენარჩუნება, ტერიტორიების გაფართოება და ნაყოფიერების ამაღლება.

Summary

Forces and Natural Resources of Georgia
Resource potential of the Georgian soils – their use and preservation problem

The use of the non-agricultural-purposed lands in Georgia has become highly dangerous. In this connection, nowadays of great importance is the problem of preservation of land areas available in agriculture, extension of territories, and rise in fertility.

* * * * *

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ძლიერ დანაწევრებული რელიეფი, სიმაღლეთა დიდი ამპლიტუდები, ამით გამოწვეული კლიმატის, მცენარეული და ნიადაგური საფარის მრავალფეროვნება განსაზღვრავს ბუნებრივი პირობების განსაკუთრებულ სიჭრელეს, რაც თავის მხრივ განაპირობებს სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვან სპეციალიზაციას.

საქართველოში გამოიყოფა 20-მდე ძირითადი ნიადაგური ტიპი — მაღალმთიანი ზონის მთა-მდელოთა ნიადაგებიდან დაწყებული და დამთავრებული დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის ნითელმინა, ყვითელმინა, ყვითელ-ყომრალი ენერი, ჭაობიანი, აღმოსავლეთ საქართველოს შავმინა, წაბლა, ყავისფერი-შავი, ყომრალ-შავი, მთა-მდელოს შავმინისებრი, ბიცობი და დამლაშებული, ხოლო სამხრეთ საქართველოს რუხი-ყავისფერი, მდელოს რუხი-ყავისფერი, მთის შავმინა, რომელთა კომ-

პლექსში გამოყოფილია ქვეტიპები და სახეები განვითარებისა და ნიადაგწარმოქმნის გამოხატულობის ხარისხის, სისქის, მექანიკური შედგენილობისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

როგორც ცნობილია, ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი 54% მთებსა და 33% მთისწინებს უკავია, შედარებით მცირე ფართობი კი დაბლობებითაა წარმოდგენილი. 1981 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის მონაცემების მიხედვით, საქართველოში არსებული 679,9 ათ. ჰექტრიდან, სახნავი მიწების 52,9% (356 ათ.ჰა) 0-20-მდე დახრილობის ფერდობებზეა განლაგებული, 20-დან — 100-მდე 37,4% (253,3 ათ.ჰა), ხოლო 100-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე 9,5% (63,6 ათ.ჰა).

საქართველოში მიწის რესურსების ტერიტორიული განაწილება, სხვა ბუნებრივი კომპონენტების მსგავსად, ვერტიკალური ზონალობის კანონს ექვემდებარება და ფიზიკურ გეოგრაფიული თავისებურებები მას ცალკეულ რეგიონალ სპეციფიკურ ხასიათს აძლევს და ქმნის ერთმანეთისგან განსხვავებულ ზონებსა და ქვეზონებს. ქვეყნის ტერიტორიის 29% განლაგებულია ზღვის დონიდან 600 მ-ის სიმაღლეზე, 17,1% - 600-დან 1000 მ-მდე, 39,7% 1000-დან — 2200 მ-მდე, 13,6% 2200 მ-დან 3500 მ-ზე, ხოლო 0,6% 3500 მ-ზე მაღლა.

გამოყენების თვალსაზრისით ტერიტორია დაყოფილია სამ ნაწილად:

- სამინათმოქმედო ტერიტორია – 15,8%;
- ბუნებრივ-სამეურნეო ფართობი (ტყე, ბუჩქნარი, სათიბ-საძოვრები) – 70,5%;
- არასასოფლო-სამეურნეო გამოყენების მიწა – 13,6%.

საქართველოს მიწის რესურსები სოფლის მეურნეობაში წარმოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მიწა ასევე წარმოადგენს ტერიტორიულ-სივრცობრივ ბაზას მრეწველობაში, მშენებლობაში, ინფრასტრუქტურის დარგში.

ნიადაგების დაცვა არის დღევანდელი მწვავე გლობალური პრობლემა, რომელთანაც უშუალოდაა დაკავშირებული მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხი. ნიადაგების დაცვა და გამოყენება მიმართულია მიწის ფონდის დაცვის, ათვისებრივი

გაუმჯობესებისა და რაციონალური გამოყენებისაკენ. ნიადაგების დაცვა აუცილებელია მათი ნაყოფიერების შენარჩუნებისა და სისტემატური ამაღლებისათვის.

2004-2011 წლებში ხელისუფლების მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის უარყოფითმა შედეგებმა ყველაზე ნათლად სოფლის მეურნეობაში იჩინა თავი. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების ამოცანა ყურადღების მიღმა დარჩა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში შექმნილმა მძიმე არასტაბილურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ საგრძნობლად შეაფერხა ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების საჭირო ღონისძიებების გატარება. უსახსრობის გამო პრაქტიკულად შეწყდა ნიადაგების კვლევითი სამუშაოები და ნიადაგების ტიპების მიხედვით ნაყოფიერების მონიტორინგი.

ბოლო დროს, ინტენსიურად განვითარდა ნიადაგების დეგრადაცია, ნაყოფიერების დაქვეითება და საკვები ელემენტებით გაღარიბების პროცესი. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 2/3-ზე მეტი ღარიბია საკვები ელემენტებით. გაუარესებულია ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებელი — ჰუმუსის ბალანსი.

ნიადაგების მდგომარეობის გაუარესების ფონზე ფაქტობრივად შეწყვეტილია აგროქიმიური გამოკვლევები.

ქიმიური საშუალებები გამოიყენება სტიქიურად. ნიადაგდაცვითი ღონისძიებები არ ხორციელდება. ტყის, ბუჩქნარების, ქარსაფარი ზოლების მასობრივი განადგურება, საძოვრების უსისტემო გამოყენება ართულებს ისედაც მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობას.

მინის სავარგულები გამუდმებულ ცვლილებებს განიცდის. მათი სტრუქტურის და ხარისხის ტრანსფორმაციას განაპირობებს მინის ფონდის უხარისხო მოვლა, არსნორი ექსპლოატაცია, არასაკმარისი ანტიეროზიული ღონისძიებები, მინების დამლაშება, დაჭაობება, დატბორვა და სხვა არახელსაყრელი პირობები ინვევენ სავარგულების ფართობის შემცირებას და მინის ფონდის ხარისხობრივი შედეგინილობის გაუარესებას.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი განმტკიცებისა და სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში არსებული თითოეული ჰექტარი მინის ეფექტურად გამოყენებას, მათი ნაყოფიერების შენარჩუნებას და სისტემატურ ამაღლებას, რისთვისაც აუცილებელია:

– სასოფლო-სამეურნეო მინების ხარისხობრივი ანალიზის ბაზაზე, შემუშავდეს მინების ნაყოფიერების ამაღლებისა და მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული ზონალურ-დიფერენცირებული სისტემები. აგრეთვე უნდა შეიქმნას აგროქიმიური კარტოგრამების განახლებული ბაზა, რომელიც ყოველმხრივ მხარდაჭერილი და ხელშეწყობილი უნდა იქნეს სახელმწიფოს მხრიდან. ამასთან, აუცილებელია შეიქმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც შეზ-

ღუდავს მინების მტაცებლური გამოყენების და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუარესებას;

– სახელმწიფომ და საზოგადოებამ სისტემატიური ყურადღება უნდა დაუთმონ მინის რესურსების რაციონალურ გამოყენებას. მინისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება ქვეყნის თითოეული მოქალაქის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობად უნდა გამოცხადდეს. სახელმწიფო მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მინის რესურსების დაცვაზე;

– რეგიონების თავისებურებების გათვალისწინებით დამუშავდეს გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი მინების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო კომპლექსური პროგრამები;

– მინის რესურსების სოფლის მეურნეობაში სარგებლობისათვის ნიადაგური კვლევების ჩატარება, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ნიადაგების მსხვილმასშტაბიანი (1:5000 – 1:10000) კარტოგრაფირების პრინციპები და მეთოდები;

– იმის გათვალისწინებით, რომ მინის სავარგულების გამოყენების აღრიცხვა ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია, არ ხდება ნიადაგის საფარის შესწავლა, მისი ეკონომიკური შეფასება, მინის ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა, უსათუოდ უნდა დამუშავდეს მინის კადასტრი. იგი უნდა მოიცავდეს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მინის ფონდს (საკუთრების მიუხედავად);

– საშიში გეოდინამიკური მოვლენების აქტიური ზემოქმედების წინააღმდეგ ოპტიმალური ღონისძიებების გატარება;

– მინის რეკულტივაციის, მელიორაციის, დაშრობის, მოკირიანების გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება, რადგან მათი მასშტაბები და ტემპები ჯერ კიდევ დაბალია;

– მინის სავარგულების რაციონალურად გამოყენებისა და მათი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას მინის მართვის სახელმწიფო სტრუქტურა.

– მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დარგის პოპულარიზაციას. დაწყებული სკოლის მერხიდან დამთავრებული სამთავრობო და აღმასრულებელი სტრუქტურებით.

ამრიგად, საქართველოში მინის რესურსების გამოყენების პრობლემები მწვავე ხასიათისაა და კომპლექსურ გადაწყვეტას მოითხოვს. იმაზე, რამდენად რაციონალურად იქნება გამოყენებული მინის რესურსები, დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების მასშტაბები და მოსახლეობის კეთილდღეობის დონე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ურუშაძე თ. —საქართველოს ძირითადი ნიადაგები. გამომც. “მერანი”, თბ., 1997.
2. Генеральная схема противозрозийных мероприятий Груз. ССР, на 1981-1990 годы на период до 2000 года. Тбилиси, 1988.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – “საქსტატი”, სტატისტიკური პუბლიკაცია. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. თბ., 2012.
4. ზონენაშვილი ჟ., კეკელია ხ. – საქართველოს მთიანი რეგიონების მინათსარესურსო პოტენციალი: გამოყენების და დაცვის გეოგრაფიული პრობლემები. გეოგრაფიის ინსტ. სამეცნ. კონფერენც., 19-20 მაისი, 2000.
5. Геоморфология Грузии. Изд.»Мецниереба», т.5, 1971.
6. თავართქილაძე ა., ნაკაიძე ე. – საქართველოს მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების და დაცვის პრობლემები. გამომც. “მეცნიერება”, თბ., 1994.
7. ლეჟავა ვ., კეკელია., ლეჟავა ი. – ნიადაგების მსხვილმასშტაბიანი კარტოგრაფირების პრინციპები და მეთოდები. გამომც. “ცოდნა”, თბ., 2005.
8. გოგიჩაიშვილი გ. – ნალექების ეროზიული მოვლენები საქართველოში, ნიადაგის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის საკითხები. ნიადაგმცოდ. ინსტ. შრ., ტ.32, 1991.
9. ურუშაძე, თ.ქვრივიშვილი – საქართველოს ნიადაგის სარკვევი. გამომც. “მნიგნობარი”, თბ. 2014.

სამართალი და პოლიტიკა

ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესში

გივი აბაშიძე,

სამართლის დოქტორი

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ბრალდებულის, როგორც სისხლის სამართალწარმოების ცენტრალური ფიგურის და ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ცნება, პირის ბრალდებულად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები და წესები, ბრალდებულის საპროცესო უფლებები და მოვალეობები, მისი ადგილი სისხლის სამართლის პროცესში.

გადმოცემულია ბრალდებულის დაკავების, დაკითხვის საპროცესო წესები და უმთავრესი უფლებების – დაცვის უფლების საკითხები და სამართლებრივი გარანტიები.

Summary

An Accused in the Legal Procedure

The present work deals with the concept of an accused as one of the central figures and one of the active participants in the criminal law processing, as well as the legal principles and rules of pleading a person guilty, procedural rights and duties of the accused and its place in criminal law process.

The present work considers the procedural rules of detaining and interrogating an accused and the legal guarantees and the issues of the chief right – the right of defending.

* * * * *

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის, განსხვავებით ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობისაგან, რომელიც პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ბრალდებულს სხვადასხვა სტატუსს ანიჭებდა, ლოგიკური ნაბიჯია ბრალდებულის ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბება.

თუ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ბრალდებულის ფიგურა სისხლის სამართლის პროცესში ჩნდებოდა პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან და მანამდე ის სარგებლობდა ეჭვმიტანილის სტატუსით, ახალმა საპროცესო კოდექსმა, ერთიანი გამოძიების სისტემაში გაუმართლებლად მიიჩნია განსხვავება ეჭვმიტანილს, ბრალდებულს და განსასჯელს შორის,

რომელიც კანონპროექტის ავტორთა აზრით ეყრდნობოდა მხოლოდ ფორმალურ დადგენილებას ან/და საქმის საგამოძიებო ორგანოდან სასამართლოში გადასვლას — არსებითი უფლებრივი ცვლილებების გარეშე.

საკითხი, თუ რამდენად მართებულია ბრალდებულის საპროცესო სტატუსის ამგვარი გადანიჭვა, რომლის თაობაზე სისხლის საპროცესო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის მიერ არაერთი საპირისპირო მოსაზრება იქნა გამოთქმული და რასაც ნაწილობრივ ვეთანხმები, ცალკე კვლევის და მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურაა, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ წარმოებს და ამის შედეგად პროცესის სხვა მონაწილეებთან შედარებით ყველაზე დიდი ზიანი მის ინტერესებს ადგება. სწორედ ამიტომ, იგი ყველაზე მეტი საპროცესო გარანტიებით უნდა სარგებლობდეს და განსაკუთრებულად დიდ ეკავოს სისხლის სამართლის პროცესში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილში განმარტებულია ბრალდებულის ცნება, რომლის თანახმად, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

ბრალდებულის ცნების ამგვარ განმარტებასთან დაკავშირებით ვეთანხმები იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა მხრიდან გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მოცემული განმარტება არასრულფასოვანია და საჭიროებს განვრცობას.

მიგვაჩნია, რომ მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს ავტომატურად ბრალდებულად და მიენიჭოს მას ბრალდებულის საპროცესო უფლებები, რადგან დასაბუთებული ვარაუდი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად იმ ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობაა, ანუ წარმოადგენს იმ სავალდებულო მტიცებულებით სტანდარტს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს დანაშაულის შესაძლო ფაქტის დადგენა, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, პირის ბრალდებულად ცნობა ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით სწორი იქნებოდა ბრალდებულის ცნების დასაბუთებული ვარ-

The capital expenditure to build the facility mostly depends on the physical characteristics of the reservoir. First of all, the development cost of a storage facility largely depends on the type of the storage field.

A depleted reservoir costs between \$5 million to \$8 million/Bcf of Working Gas Capacity.

If we consider that: 1 foot = 30,48 cm; the cost of construction of 1000m³ gas storage is \$177-\$212, than 5 billion m³ construction cost is estimated at \$885,000,000 - \$1,060,000,000.[2]

Finally another major cost incurred when building new storage facilities is that of base gas.

The expected cash flows from such projects depend on a number of factors. These include the services the facility provides as well as the regulatory regime under which it operates. Facilities that operate primarily to take advantage of commodity arbitrage opportunities are expected to have different cash flow benefits than ones primarily used to ensure seasonal supply reliability. Rules set by regulators can on one hand restrict the profit made by storage facility owners or on the other hand guarantee profit, depending on the market model.

To understand the economics of gas storage, it is crucial to be able to value it. Several approaches have been proposed.

They include: Cost-of-service valuation, Least-cost planning, Seasonal valuation, Option-based valuation.

The different valuation modes co-exist in the real world and are not mutually exclusive. Buyers and sellers typically use a combination of the different prices to come up with the true value of storage.

Therefore, in our case to store 1,000m³ of gas is estimated at \$0,0565 - \$0,0671, while to store 5billion m³ is estimated at \$282,500 - \$335,487.

Depending on its purpose there are several UGS categories. The UGS we propose is of a strategic nature aimed to store gas long-term to be used in special cases.

Main functions of a strategic UGS are:

1. Storing gas reserves in case of abnormally cold winters (currently, Ukraine increased gas usage from their gas storages to provide additional gas supply to Turkey in the amount of 11 million cubic meters a day);


2. Regulation of irregularities in gas exports (e.g. 2008-2009 Russia and Ukraine dispute has reduced the gas supply to Europe; on February 1, 2012 Ukrainian Minister of Energy announced that Russia supplies 12% less gas than it was agreed; Italy received 12% and Austria 20% less gas from Russia).

3. Creation of gas reserves in case of force majeure during gas production and transportation;

4. Regulation of seasonal fluctuations in gas demand (e.g. early February 2012 prices on energy spot markets for natural gas reached maximum price during the last 6 years).

Since early February gas price on the London market increased by 28%, i.e. up to \$520 per 1000 cubic meters)

The below chart shows gas demand grows during cold winters and influences its price.



Unfortunately, due to the political and economic situation in the world and gas price variation, it is difficult to present exact quantitative assessment of the commercial potential of the proposed UGS. However, even considering minimum parameters – supplying 3 billion cubic meters of gas from the UGS and gas price seasonal variation only \$30 per 1000 cubic meters the profit will be \$90M.

Taking into consideration other functions of strategic UGSs, strategic reasonability of the creation of gas storages is indubitable.

List of references:

1. GUEU, The White Steam Project, Technical and economic study (Report), June 2009.
2. Current State of and Issues Concerning Underground Natural Gas Storage.

სტუდენტთა მე-82 ღია სამართაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტთა სტატიები

ბაქოლოგიური პროგრესი მითი თუ რეალუა?

*ელენე მენაბდე - ჯობაძე - სტუ-ს პროფესორი.
მაია ბენია - სტუ-ს ასისტენტ პროფესორი
ლაშა მამულაშვილი - სტუ-ს III კურსის სტუდენტი*

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური პროგრესის მნიშვნელობაზე, მისი განვითარების დადებით და უაყოფით მხარეებზე. წარმოდგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებიც ტექნოლოგიური პროგრესის ავ—კარგიანობის შესახებ საზოგადოების გარკვეული ნაწილის მოსაზრებას წარმოაჩენს. ერთმანეთთანაა დაკავშირებული ტექნოლოგიური პროგრესი და ეკონომიკა. გაკეთებულია დასკვნა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე შეუძლებელია ხარისხიანი, ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი საქონლის და მომსახურების წარმოება, ზოგადად ეკონომიკის განვითარება.

Summary

In this article is discussed importance of technological progress. Also, there is talking about its positives and negatives. The author presents the results of research about importance of technological progress and peoples opinions about this process. Also, in this article is connected technological progress and economics. The report concludes that use of modern technologies is essential for the economic development and for commercial establishment, will be difficult to create high quality, marker demand, competitive products without using modern technology.

* * * * *

სტატიაში ვეცდებით თანამედროვე ეპოქაში პროგრესის, ტექნოლოგიური განვითარების დადებით და უარყოფით მხარეთა მნიშვნელობა წარმოვაჩინოთ. ამ თემაზე მუშაობის სურვილი სამეცნიერო წრეებში გაჩენილმა შეხედულებამ გადაგვანყვეტინა. მათი მოსაზრებით „ტექნოლოგიური საოცრებების“ გამოგონება 21-ე საუკუნეში აღარ ხდება და ძირითადად მე-19 — მე-20 საუკუნეების მიღწევების გაუმ-

ჯობესებას აქვს ადგილი.

ტექნოლოგიური პროგრესის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში უდავოა. თუმცა საკითხავია, არის კი მისი ულიმიტო განვითარება, ჩვენი პლანეტისთვის, დადებითი შედეგების მომტანი?


თუ განვიხილავთ იაპონიის მაგალითს, ვნახავთ რომ იგი მსოფლიოში ერთ—ერთი მოწინავეა მრავალი მიმართულებით, მათ შორის ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. იაპონიაში ფუნქციონირებენ ისეთი დიდი კომპანიები როგორებიცაა: Canon, Sonny, Nikon, Toshiba, Mitsubishi, Nissan, Sony Ericsson და ა.შ. ეს კომპანიები მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადია და ადგილობრივ ბიუჯეტს ავსებენ. დღეისათვის იაპონია მშპ—ის მაჩვენებლით, ორი სხვადასხვა ორგანიზაციის მონაცემის მიხედვით შემდეგ პოზიციებს იკავებს:

1) მსოფლიო ბანკი: 3—ე ადგილი 4,301.822 მლნ. \$

2) საერთაშორისო სავალუტო ფონდი: 4—ე ადგილი 4,395.600 მლნ.\$

თუმცა, ჩვენ კარგად გვახსოვს 2011 წლის 11 მარტი და „ფუკუშიმას“ ტრაგედია. ცხრა ბალიანმა მიწისძვრამ უდიდესი ზიანი მიაყენა იაპონიას და ბირთვულ რეაქტორზე საშინელი ტრაგედია მოახდინა. ათასობით ადამიანი დაზარალდა, ასობით გარდაიცვალა და უამრავმა სერიოზული დაზიანება მიიღო. გამოდის ტექნოლოგიური პროგრესის უარყოფით გავლენას, ტექნოლოგიების განვითარების მხრივ მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანაც კი სათანადოდ ვერ გაუმკლავდა.

გვინდა თქვენი ყურადღება საინტერესო ისტორიულ მონაცემზე გავამახვილო: თუ როგორ იცვლებოდა მე-20 საუკუნეში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წილი ერთ სულ მოსახლეზე, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მსოფლიოს მასშტაბით. აქცენტი გაკეთებულია XX-ე საუკუნეზე, ამ პერიოდში არსებული ტექნოლოგიური ბუმის გამო.



ტექნოლოგიური პროგრესის დადებით და უარყოფით მხარეებზე უსაზღვროდ შეიძლება საუბარი, მაგრამ ჩვენ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

დადებითი მხარეები:

1. უსაზღვრო კავშირი მსოფლიოსთან.

რასაც ინტერნეტ სივრცის განვითარებამაც შეუწყო ხელი. სოციალური ქსელების განვითარებას 2 მნიშვნელოვანი თავისებურება აქვს:

ა) კომუნიკაციის გაადვილება და სიიაფე;

ბ) მათი ეკონომიკური დატვირთვა, რაც გამოიხატება კომერციულ ხასიათში.

2014 წლის პირველ კვარტალში, სოციალურ ქსელ **facebook** - ის წმინდა მოგებამ 642 მლნ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებლები არათუ პროგნოზზე მეტია, არამედ ის 2 - ჯერ აჭარბებს გასული წლის ანალოგიური პერიოდის შემოსავლების მაჩვენებლებს.

2. სოფლის მეურნეობის განვითარება.

გაერთიანებული სამეფოს მაგალითი: 2014 წლის „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ მონაცემებით, ბრიტანეთი მე—6 ადგილს იკავებს ევროპის მასშტაბით სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ. სოფლის მეურნეობა მშპ—ის მხოლოდ 1 %—ს იკავებს (შემცირდა 1,8%-ით), თუმცა ახერხებს ქვეყნის შიდა მოთხოვნის ორი მესამედი დააკმაყოფილოს. სასოფლო-სამეურნეო მიწები (18,5 მლნ ჰექტარი) სახელმწიფოს ტერიტორიის 77%-ს შეადგენს. სამუშაო ძალის 2%-ზე ნაკლები ნედლეულის 60%-ზე მეტს ამუშავებს. მათი სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობითა და მექანიზაციის უმაღლესი დონით. შესასრულებელი სამუშაოს 85%—ს მანქანა—დანადგარები ასრულებენ, ხოლო 15%—ს ადამიანები.

უარყოფითი მხარეები:

უმუშევრობა.

– კომპანია Sony-ში დასაქმებულია 168 200 ადამიანი.

– კომპანია Ford-ს დასაქმებული ჰყავს 164 000 ადამიანი.

– კომპანია BMW-ში დასაქმებულია 99 079 ადამიანი.

– ჯამში 431 279 ადამიანი — ნახევარი (50%) 215•639 ადამიანი

წარმოვიდგინოთ, რომ ამ ადამიანების ჩანაცვლება მოხდა მანქანა—დანადგარებით. აღმოჩნდება, რომ უამრავი ადამიანი უმუშევარი დარჩება. 21—ე საუკუნეში მრავალი გიგანტი კომპანიაა, რომელთა განვითარებასთან ერთად მცირდება იქ დასაქმებული ადამიანური რესურსის რაოდენობა.

2. ადამიანის გაზარმაცება.

2002 წლის თებერვალში, ნიუ იორკის ბირჟაზე, სასაქონლო ვაჭრობა გახსნა „ასიმო“ რობოტმა, 2003 წელს კი რობოტი „ასიმო“ ნიუ იორკის უმსხვილეს სავაჭრო ცენტრში ეპატიუბოდა კლიენტებს საყიდლებზე. ამავე წელს პოლიტიკაშიც მოხვდა „ასიმო“. იმდროინდელი პრემიერ მინისტრი ჯუიციუმუ კოიძუმი ჩეხეთში სწორედ „ასიმო“ რობოტმა გააცალა.

იაპონელმა მეცნიერებმა 2000 წელს, იგი შექმნეს იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად დაემსგავსებინათ ადამიანისათვის. ჰქონოდა ადამიანური თვისებები, სურვილები, აზროვნება, გადაწყვეტილების მიღების უნარი და ა.შ.

ჩვენი მოსაზრებით ეს პირდაპირი, გაზრებული ქმედება ადამიანის გაზარმაცებისა და მისი პიროვნული დეგრადაციის მიმართულებით.

3. საკუთარი პლანეტის განადგურების საფრთხე.

როდესაც ამ თემაზე ვსაუბრობთ, საკმარისი იქნება უბრალოდ მაგალითების დასახელება. გავიხსენოთ ფუკუშიმას ტრაგედია, ჩერნობილის კატასტროფა, ოკეანის დაბინძურება საფრანგეთში (ტანკერი „ამიკო კადისი“), ნისლი, ეგრეთ წოდებული „სმოგი“ ინდუსტრიულ ქალაქებში, მყავური ნვიმები, ტყის ჩეხვა და გაუდაზნოება და ა.შ. ეს ყველაფერი კატასტროფულ ზიანს აყენებს ჩვენს პლანეტას და ამაში უდიდესი როლი ტექნოლოგიების განვითარებას მიუძღვის. ბოლო 100 წლის მანძილზე ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობამ 25%—ით იმატა.

წარმოვიდგინოთ ჩვენს მიერ ჩატარებულ მცირე სოციოლოგიურ კვლევას. იგი წარმოდგვიდგენს, ტექნოლოგიური პროგრესის ავ—კარგიანობის შესახებ, გამოკითხულთა შეხედულებას.

სულ გამოიკითხა 100 ადამიანი. კითხვარში რესპოდენტს 3 მარტივი კითხვა დავუსვით.

1) თქვენი აზრით, უქმნის თუ არა ტექნოლოგიური პროგრესი საფრთხეს კაცობრიობას?

ა) უქმნის (39 %) ;

ბ) არ უქმნის (61 %) ;

2) მნიშვნელოვანია თუ არა ტექნოლოგიური განვითარება ეკონომიკისთვის?

ა) დიახ (75 %) ;

ბ) არა (25 %) ;

3) თქვენი აზრით, ტექნოლოგიური პროგრესი დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი?

- ა) დადებითი (63 %) ;
- ბ) უარყოფითი (37 %)

როგორც გამოკითხულთა პასუხებიდან ჩანს, რესპოდენტები თვლიან, რომ კაცობრიობისათვის ტექნოლოგიური პროგრესი საფრთხის შემცველი არაა. ასევე, ის დადებითი მოვლენაა და მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისათვის.

მონაცემები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი პირდაპირ ეწინააღმდეგებიან თემაში განვითარებულ ავტორისეულ შეხედულებებს ტექნოლოგიური პროგრესის უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით. თუმცა ამ მაჩვენებლების ლოგიკურ ახსნად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ავტორმა იმუშავა ამ საკითხზე, გაეცნო მრავალ სტატიას და ინფორმაციას. გამოკითხულთა უმრავლესობა კი, მხოლოდ ზედაპირულ ინფორმაციას ფლობდა ტექნოლოგიების უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით. ისინი მუდმივად ადევნებენ თვალს სატელევიზიო, საგაზეთო, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ რეკლამებს, რომლებიც ტექნოლოგიების მხოლოდ დადებით მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას და არაფერს ამბობენ მის უარყოფითზე.

ალბერტ აინშტაინი აღნიშნავდა, რომ „ტექნოლოგიური პროგრესი ჰგავს ნაჯახს პათოლოგიური კრიმილანის ხელში!“

პროგრესი ხომ ყველაფერს ეხება. ის თანმიმდევრულად ავითარებს როგორც ეკონომიკას, საწარმოო შესაძლებლობებს, ტექნოლოგიას, ისე ატომურ სადგურებსა და იარაღს, ეს უკანასკნელი კი რეალურად დიდ საფრთხეს უქმნის მსოფლიო გარემოს. მისი ერთი „მოქნევა“ შეიძლება კატასტროფის გამომწვევი აღმოჩნდეს.

და ბოლოს, ჩვენი აზრით, არ ღირს ადამიანობა, პიროვნების თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეენიროს ისეთი გიგანტური სანარმოო კომპანიების ინტერესებს, როგორებიცაა: „HTC“, „PPLY“, „SAM-SUM“, „NOKIA“, „SUS“, „SONN“, „CER“ და ა.შ. მათი ფინანსური ინტერესი არ უნდა გახდეს ადამიანის ტვინის „კომპიუტერიზაციის“ მიზეზი!

კითხვები: იზრდება თუ მცირდება ტექნოლოგიური პროგრესის ტემპი? ტექნოლოგიური პროგრესი მითია თუ რეალობა? - მართებული კითხვებია. ამ საკითხებზე ფიქრი და შემდგომი მუშაობაა საჭირო!

გამოყენებული ინფორმაციული რესურსები:

1. www.google.com
2. www.wikipedia.com
3. www.presa.ge
4. www.24saaTi.ge
5. www.timer.ge
6. www.intermedia.ge
7. www.kvirispalitra.ge
8. www.ucnauri.com

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების (თიზ)

შეიქმნელობა საქართველოსთვის

ელენე მენაბდე — ჯობაძე - სტუ-ს პროფესორი.
მაია ბენია - სტუ-ს ასისტენტი პროფესორი
ნიკოლოზ კინმაარიშვილი - სტუ-ს III კურსის სტუდენტი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ არსსა და თავისებურებებზე, მისი შექმნის მიზნებზე, უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. ასევე, იმ სახელმწიფო შეღავათებსა და უპირატესობებზე, რომლებიც უნესდებათ და სარგებლობენ მასში მოქმედი კომერციული საწარმოები და სუბიექტები. დაჯგუფებულია ის ძირითადი პირობები, რომლებიც ახდენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ნახალისებას და საუბარია მის მნიშვნელობაზე თიზ-ებისათვის. ნაშრომში მოყვანილია არსებული „თავისუფალი ეკონომიკური ზონების“ მაგალითები და საუბარია იმ ქვეყნებზე, რომლებშიც წარმატებით თუ წარუმატებლად ფუნქციონირებს იგი. დასკვნის სახით წარმოდგენილია, რომ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით თიზ-ები საქართველოში (მითუმეტეს 5 ზონის შექმნა) დიდ ეკონომიკურ სარგებელს ვერ მოგვცემს. მსგავსი ზონების შექმნით ჩვენ ვაფერხებთ კონკურენციას.

Summary

The essay focuses on “the free industrial zone,” its essence and peculiarities, advantages and disadvantages. As well as the aids and priorities that are being given by the state to the commercial producers and subjects. It outlines the basic conditions that encourage direct foreign investments, gives examples of existing “free economic zones” and talks about the countries in which they have been successfully or unsuccessfully implemented. As a conclusion, it projects that “the free industrial zones” can not bring much economic profit to Georgia from pure economic perspective, especially the 5 zone scheme. Introduction of these zones hampers competition.

* * * * *

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, საქართველოს კანონით განმარტებულია როგორც გარკვეული ვადით მოქმედი თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, რომელშიც დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები მოქმედებს. აქ შეიძლება შეიქმნას საწარმო, თავისუფალი სანაყობი, განუღებო იქნას მომსახურება და სხვა. ზოგადად ასეთი ტიპის ზონა

რამდენიმე ამოცანას ისახავს მიზნად, მათ შორის:

1) ეკონომიკური სტიმულირება, რაც გულისხმობს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკაში ჩართულობის ხარისხის ამაღლებას, ზონის ფარგლებში და ზოგადად ქვეყანაში ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების შემოდინების ნახალისებას, წარმოების, მომსახურებისა და ვაჭრობის ხელშეწყობას;

2) სოციალური მიზანი გულისხმობს დასაქმებისა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მკაფიოდ შემოფარგლული ტერიტორია, რომელზეც მენარმეობის სტიმულირების, მეურნეობის პრიორიტეტულ სფეროებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით ეკონომიკურ-ფინანსური საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი მოქმედებს. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის ეროვნული ეკონომიკური სივრცის განცალკევებული ნაწილი, სადაც შემოღებულია შეღავათებისა და სტიმულირების განსაკუთრებული სისტემა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა იქმნება ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს შეღავათიანი საბაჟო რეგულაციები და სისტემა.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონაში მოქმედი კომპანიები ემორჩილებიან სპეციალურ რეჟიმს, რომელიც მეტად ხელსაყრელია მათთვის იურიდიული კუთხით და კომერციული საქმიანობიდან გამომდინარე.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა გავლენას ახდენს ისეთ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე როგორებიცაა: წარმოების მოცულობა, უმუშევრობა, ინფლაცია, სავაჭრო ბალანსი. წმინდა თეორიული თვალსაზრისით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნამ უნდა გამოიწვიოს წარმოების ზრდა და შესაბამისად უმუშევრობის შემცირება.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონაში მოქმედი კომპანიებისთვის არსებობს მთელი რიგი შეღავათები და უპირატესობები, როგორცაა 100 %-იანი უცხოური საკუთრება, ადგილობრივი პარტნიორობის საჭიროებების გათვალისწინებით, დაბალი საპროცენტო დანახარჯებით, კაპიტალის და მოგების სრული რეპატრიაციით, იმპორტის, ექსპორტის კორპორაციული და პერსონალური გადასახადების განთავისუფლებით. კომპანიებისთვის ხორციელდება მომსახურება „ერთი ფანჯრის“ პრინციპით, რაც საშუალებას აძლევს კომპანიებს დააჩქარონ საჭირო ნებართვების და ლიცენზიების მიღება. გაიარონ საბაჟო პროცედურები ოპერატიულად, მოიძიონ კვალ-

იფიცირებული სამუშაო ძალა და მიიღონ სხვა საჭირო მომსახურებები.

საქართველოში მიღებული კანონი - „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ შესახებ, კანონპროექტის წარმდგენთა განცხადებით, ითვალისწინებს ორი სახის თავისუფალ ზონას: თავისუფალ სავაჭრო ზონასა და თავისუფალ სანარმოო ზონას. შესაბამისად აირჩა სახელწოდება „ინდუსტრიული ზონა“. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა იქმნება იმ მიზნით, რომ დარეგისტრირებულ სანარმოოზე, სახელმწიფოს მხრიდან არ იყოს ზენოლა. ამ კანონის მიზანია, შეიქმნას მიმზიდველი გარემო ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხელი შეეწყოს კაპიტალისა და ტექნოლოგიების შემოსვლას საქართველოში, შეიქმნას სამუშაო ადგილები.

საქართველოში „თავისუფალ ინდუსტრიულ ზონის“ შესახებ კანონის შესაბამისად, მასში მოქმედ კომპანიებს უნესდებათ რიგი შეღავათიანი პირობები:

- საერთაშორისო სანარმოს მიერ თიზ-ში განხორციელებული საქმიანობით მიღებული მოგება თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

- თიზ-ში შემავალი პირები თავისუფლდებიან ქონების გადასახადისგან.

- სხვა ქვეყანაში წარმოებული და თიზ-ში იმპორტირებული საქონელი არ იბეგრება დღგ-ით.

- თიზ-ში შემავალ პირებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები არ იბეგრება დღგ-ით.

- თიზ-ის სანარმოების მიერ ერთმანეთისთვის საქონლის მიწოდება / მომსახურების განწევა გათავისუფლებულია დღგ-სგან.

- სხვა ქვეყანაში წარმოებული და თიზ-ში იმპორტირებული საქონელი არ იბეგრება საბაჟო გადასახადით.

- თიზ-ში წარმოებული საქონელის ექსპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისგან.

- არავითარი შეზღუდვა არ ვრცელდება კაპიტალის რეპატრიაციზზე.

- თიზ-ში შემავალი კომპანიების თანამშრომლები საშემოსავლო გადასახადს იხდიან დეკლარაციით, რადგან თიზ-ში შემავალი სანარმო არ ითვლება საგადასახადო აგენტად მის მიერ გადახდილ ხელფასთან მიმართებაში და არ ევალება გადასახადის დაკავება გადახდის წყაროდან.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ძირითადად განვითარებადი ქვეყნების ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით იქმნება.

საქართველოში არსებულ თავისუფალი ინდუსტრიული ზონაში უცხოური კომპანიებისთვის შესაძლებელია სხვადასხვა საქმიანობების განხორციელება სრულიად უფასოდ. ასევე სხვა ქვეყნის თავისუფალი ინდუსტრიული ზონაში ოპერირება საბაჟო და სხვა გადასახადების გადახდის გარეშე.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის უპირატესობები საქართველოში:

1. სტრატეგიული ადგილმდებარეობა.
2. პირველი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა კავკასიის რეგიონში

3. აბრეშუმის გზის გზაჯვარედინზე არსებობა, რომელიც აკავშირებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს .

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში თიზ-ებით დაინტერესება 1992 წლიდან დაიწყო. არსებობდა მრავალი პროექტი, თუმცა რეალური განხორციელება, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ მოხერხდა.

2007 წელს, ფოთის ნავსადგურის ტერიტორიაზე საქართველოში პირველი თიზ-ის შექმნის იდეა წამოვიდა. 2008 წლის გაზაფხულზე კომპანია „რაკიამ“ — არაბული „რას-ალ-ჰაიმას“ საინვესტიციო სააგენტომ 90 მილიონ დოლარად ფოთის პორტის საკონტროლო პაკეტი შეიძინა, წლის ბოლოსთვის „რაკიამ“ 65 მილიონ დოლარად პორტის დანარჩენი 49 პროცენტიც შეიძინა. პორტის მიმდებარე 300 ჰექტარის ფართობზე კი გაზაფხულზევე დაიწყო თავისუფალი ზონის განვითარება.

ზონას, შექმნიდან 4 წლის შემდეგ, 50-მდე ლიცენზიანტი კომპანია ჰყავდა. ტერიტორიაზე კი მხოლოდ ერთი ყაზახურ-უკრაინული ინვესტიციის ფარგლებში, კომპანია „გრეინ ტრეიდის“ მიერ გახსნილი ბრინჯის დამფასოებელი სანარმო მუშაობდა, სადაც 20-მდე ადამიანი იყო დასაქმებული. მოპოვებული ლიცენზიის გადასახადის ყოველწლიურად გადახდა, იმის მიუხედავად საქმიანობს თუ არა კომპანია, მაინც სავალდებულოა.

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარების ფარგლებში დაგეგმილი იყო ფოთის პორტის რეკონსტრუქცია და უახლესი საპორტო ტექნოლოგიებით აღჭურვა, ასევე ქალაქის განაშენიანება და ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ფოთის ინდუსტრიული ზონის გახსნიდან 6 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ქალაქს თითქმის არაფერი დატყობია. ამ ზონის მუშაობა წარუმატებლად აღიარა მთავრობამ. სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ექსპერტებს წარუმატებლობის არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ უცხოელი ინვესტორები, როგორც წესი, „ცარიელ ადგილზე“ არ მოდიან. ისინი თავისუფალი ზონით ინტერესდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქ უკვე არის სათანადო ინფრასტრუქტურა, ან მისი შექმნის ხარჯები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ინფრასტრუქტურის შექმნის ხარჯები კი ზოგჯერ მთლიანი ინვესტიციის თითქმის 75%-ს შეადგენს.

ზოგადად, თიზ-ის ეკონომიკური ეფექტიანობა ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, რაც დაადასტურა მსოფლიოს 26 ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამაც, რომლის თანახმადაც თიზ-ში უცხოური ინვესტიციების ყოველ 1 დოლარზე ხელისუფლებას 4 დოლარის დახარჯვა უნევს. მოსაზრება, ყველა ხარჯის უცხოელი ინვესტორის მიერ დაფარვის თაობაზე, ყოველთვის არ მართლდება, რისი მაგალითიც არის ფოთი. ანუ სადაც ინდუს-

ტრიული ზონა შენდება, იქ სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურული კვანძები უნდა არსებობდეს.

დაპირებული 400 საწარმოს ნაცვლად ამ დროისთვის ტერიტორიაზე მხოლოდ 5 ობიექტია და ისიც მშენებლობის პროცესში. დასრულებას მიმდინარე წლის ბოლომდე ვარაუდობენ. 10 000 ადამიანის ნაცვლად დასაქმებული მხოლოდ 200-მდე ადამიანია.

ქუთაისში ერთი თავისუფალი ზონა უკვე მოქმედებს. ინდუსტრიული ზონა ეგვიპტურმა “ფრემმა” და მისმა ქართველმა პარტნიორმა “ჯორჯიან ინტერნეიშენელ ჰოლდინგმა” მოაწყვეს. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის დადგენილებით, ქუთაისში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოქმედების ვადა 99 წლით განისაზღვრა. იგი ქუთაისის ყოფილი საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე, 27 ჰექტარზე განთავსდა. ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განვითარების პროცესშია.

ქალაქ ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონასთან შედარებით ქუთაისის ინდუსტრიულმა ზონამ უფრო გამართლა, სადაც ელექტრო ტექნიკის საამსო საამსო ფუნქციონირებს. მაგრამ საერთო ჯამში ის მიზანი, რომ ინდუსტრიულ ზონებს ქართული ეკონომიკის განვითარებაში მთავარი როლი უნდა შეესრულებინა, რის გამოც მას „ქართული ეკონომიკის სასწაული“ უწოდეს - არ გამართლდა. ამას მრავალი ფაქტორით განპირობებული სხვადასხვა მიზეზი ქონდა.

ექსპერტების განცხადებით, რეალური საქმიანობა არც - ერთ ზონაში არ დაწყებულა. ამ ზონებმა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით ვერ გამართლეს.

მთავრობამ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა წარმოების ზრდისა და უმუშევრობის შემცირების მიზნით გადანაწილა, თუმცა გადანაწილების ეფექტურობა თავიდანვე ეჭვის ქვეშ დადგა.

როდესაც ჩნდება ტერიტორია, სადაც შესაძლებელია პროდუქციის წარმოება გადასახადების გადახდის გარეშე, ასეთი სივრცე ნებისმიერი მწარმოებლის მიმზიდველია. თუმცა, ასეთი ხიბლი ქართულმა ზონებმა ვერ შეიძინა.

თიზ-ის ერთ-ერთი დადებითი თვისება არის ის, რომ მას შეუძლია მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, თუმცა თუ 2012 წლისა და 2013 1-ლი კვარტლის საინვესტიციო მაჩვენებელს გადავხედავთ, საქართველოს სახარბიელო მდგომარეობა არც ამ მიმართულებით აქვს.

მიუხედავად ყველაფრისა, 2007 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების“ შესახებ და უკვე დღევანდელი კანონმდებლობით გათვალისწინებულია რამდენიმე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა. ერთი - ფოთში, ორი - ქუთაისში, ერთი - თბილისში და ერთიც - ბათუმში. საუბარია ქობულეთის, ანაკლიისა და მესტიის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებზეც, რომელიც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ შეღავათებს აწესებს. პროექტის თანახმად, მინიმუმ ერთი მილ-

იონი ინვესტიციის შემთხვევაში ბიზნესმენი 15 წლის განმავლობაში თავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადისგან, ხოლო სასტუმროს ასაშენებელი ნაკვეთი სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცემათ. ბიზნესმენები რამდენიმე მიზეზის გამო ინტერესდებიან: მოგების გადასახადი არ არსებობს, ანუ უმნიშვნელოა, ფირმის რეგისტრაციის პროცედურები გამარტივებულია, ასევე მარტივია ფირმის მართვის პროცედურა და არ არსებობს შეზღუდვა ზონაში ვალუტის შეტანასა და გატანაზე.

ზოგიერთი ეკონომისტის შეხედულებით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ძირითადი საფრთხე განვითარებადი ქვეყნებისთვის შემდეგია: სახელმწიფოები თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნით ხელს უწყობენ ინვესტორის მხრიდან გადასახადებისგან თავის არიდებას და ხშირ შემთხვევაში „შავი ფულის“ გათეთრებას, რითაც ზარალდება მრავალი სახელმწიფო. მსოფლიოს ნამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, მსგავსი ზონების გამო განვითარებადი ქვეყნები ვერ იღებენ დაახლოებით 50 მილიარდი დოლარის გადასახადებს. „შავი ფული“ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას.

წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით თიზ-ები საქართველოში (მითუმეტეს 5 ზონის შექმნა) ეკონომიკურ სარგებელს ვერ მოგვცემს, რადგან მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში არ არსებობს ინვესტორებისთვის „დამაფრთხობელი“ მკაცრი რეგულაციები და საგადასახადო სიმძიმეები. ასევე საყურადღებოა, რომ მსგავსი ზონების შექმნით ჩვენ ვაფერხებთ კონკურენციას. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ მსოფლიოში დღეს არსებული 3000-ზე მეტი თავისუფალი ეკონომიკური ზონიდან მხოლოდ 20% თუ არის ნამდვილად ეკონომიკურად წარმატებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ. თბილისი, 2007 წლის 3 ივლისი.
2. პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში მიღწევები და შეცდომები. თბ., 2000
3. ბალცეროვიჩი ლ, თავისუფლება და განვითარება (თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა), თბ. 2004
4. ზემინკოვი რ. ი, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, მ. 2005 (რუსულ ენაზე)
5. <http://bit.gtu.ge/?p=1067>
6. <http://www.liberali.ge/>

ახალი წიგნები:

ქართული სახელმწიფო, კასობრიობა და გლობალიზაცია

მეცნიერულ თვალსაზრისში

(რეზიუმე)

ბადრი ცხადაძე, სტუ-ს პროფესორი

ახალმა, მესამე ათასწლეულმა მსოფლიო კატაკლიზმების ფონზე შემოაბიჯა, როგორც ძველის ნგრევისა და დაშლის, ახალი სახელმწიფოების წარმოშობის თვითმხილველმა. ყოველივე ამან თითოეულ ინდივიდს, მოქალაქეს, ქვეყანას საკუთარი თავი და არაორდინალური პრობლემები სუპერკრიტიკული და მედიტაციური კუთხით დაანახა, პიროვნული თუ სახელმწიფოებრივი საფიქრალი აუშალა და საზოგადოების წინაშე განასაჯაროვა, რადგან მოაზროვნისათვის განზე გადგომა და ჩრდილში ყოფნა უკვე დანაშაულის ტოლფასი შეიქმნა.

დღეს ამ ახალი გამოწვევების ფონზე, როგორცაა: მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, დემოკრატიული და ადამიანური ღირებულებების შეცნობის, მემკვიდრეობითობის, ეროვნულობის შენარჩუნება, გლობალური და ლოკალური მოვლენების პირუთვნელად განსჯა-გააზრება და ა. შ. მსოფლიო მეცნიერები სამყაროს ახალი მოდელის ძიების წინაშე დააყენა – თუნდაც სად გადის ზღვარი სამართლიანობასა და უსამართლობას, ღირსებასა და უღირსობას შორის, „სად არის თითოეული ინდივიდის „გზა ხსნისა“, საით არის მიმართული კაცობრიობის განვითარების გეზი და ორიენტირი, რას გვიქადის უკეთესი მომავლის ძიებისას ყალზე მდგარი მსოფლიო პოლიტიკა.

უცხოეთშიც და ჩვენშიც იწერება არაერთი სამეცნიერო სტატია, გამოკვლევა, მონოგრაფია, იმართება სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები, სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სამიტები, სამეცნიერო კონფერენციები... რადგან „მრგვალ მაგიდასთან“ უფრო ადვილია საკუთარი თუ სხვისი აზრის, კონცეფციის, მოდელისა და მოდელირების შეჯერება, შედარება-შეჯამება, განსჯა-განხილვა და წინადადების გაზიარება-არგაზიარება, პესპექტივების დანახვა.

ქართველი მეცნიერები (სოციოლოგები, პოლიტოლოგები, იურისტ-სამართალდამცველები, ფილოსოფოსები, კულტუროლოგები და სხვ.) მთელი სიგრძე-სიგანით ხედავენ და განიხილავენ როგორც მსოფლიო პრობლემატიკას, ისე საკუთარი ქვეყნის განვითარების პერიპეტიებს, სახელმწიფოს მოწყობის ადაპტირებულ, ნაცად თუ სრულიად ცინცხალ ორიგინალურ თეორიულ და პრაქტიკულ მოდელებს.

ამჯერად, ამ მიმართულებით სამსჯელოდ საწინამუშოდ შევხებით სამი ქართველი მეცნიერისა და

საგანმანათლებლო-საზოგადო მოღვაწის მონოგრაფიულ ნაკვლევს: ესენი გახლავან:

გიორგი მაისაშვილი, რომლის მონოგრაფია „ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის (შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა, სოციალური სოლიდარობა) ქართულ ენაზე 2003 წელს გამქვეყნდა. წიგნის ავტორი სკრუპულოზურად და გამონვლილვით განიხილავს სახელმწიფოს მშენებლობისათვის საჭირო ისეთ პოსტულატებს და კარდინალურ საკითხებს, როგორცაა: პოლიტიკოსების ნოვატორულობა და ინოვატორული პარტიის როლი; ლიდერი და ლიდერობა; ეკონომიკური დისციპლინების შესაძლებლობები სახელმწიფოს შენების პროცესში; ეკონომიკური მოდელები და ეკონომიკურ რეფორმათა ერთიანობა ახალი გლობალური გარემო ეკონომიკური განვითარებისათვის და კულტურული ფილტრაცია; 21-ე საუკუნის საზოგადოება და მართვის ხელოვნება; მაკროპოლიტიკა და სოციალური კონფლიქტები, იმპორტის მნიშვნელობა და ექსპორტის შესაძლებლობა; ქართული ინოვაციების გამმა და რეგიონული პოლიტიკა, სოციალური უსაფრთხოების ბადე და ე. წ. ცოდნის საზოგადოების როლი სახელმწიფო მშენებლობაში.

წიგნის ავტორი იმავდროულად მიზნად ისახავს ახალი ეპოქის მიჯნაზე მდგომი თანამედროვე საზოგადოების ცნობიერ განვითარებას, ყურადღებას მიაპყრობს სამყაროში არსებული კომუნიკაციების ანალიზს, ადამიანთა და სახელმწიფოთა აქამდე უცნობ და უპრეცედენტო დაახლოებას, არსებული სტატუს ქვოს წინააღმდეგ ამბოხებისა და ტექნოლოგიური განვითარების წარმოუდგენელი ტემპების ხვეულებში წვდომას. გ. მაისაშვილი მკითხველს წინასწარ, წინასიტყვაობაშივე აფრთხილებს, რომ „მზარდი პროგრესისა და გაუმჯობესების გზით ცივილიზაციის სწორხაზოვანი განვითარება ჩვენ თვალწინ ბარდება წარსულს, XXI საუკუნეში ცვლილებები მოულოდნელი, რადიკალური, ჰარმონიული პროცესების გამწყვეტი იქნება. მისივე თქმით, „სწორედ ეს ცვლილებები ქმნის კაცობრიობის ისტორიაში აქამდე გაუგონარი შესაძლებლობების პირობებს. სხვაობა ოცნებასა და მის რეალურ აღსრულებას შორის არასოდეს ყოფილა ასე მცირე. დღეს ჩვენ მხოლოდ ჩვენი წარმოსახვისა და იმპროვიზაციის უნარით ვართ შეზღუდული, სხვა მხრივ კი ყველაფერი

შესაძლებელია” (გვ. 3).

ამ წიგნის გამოქვეყნების შემდეგ გავიდა ათი წელი. გ. მაისაშვილის ზემომოყვანილი სიტყვები პრაქტიკულად დადასტურდა საქართველოს ხელისუფლების სათავეში „კოალიცია ქართული ოცნების“ მოსვლით, „რომელმაც სხვაობა ოცნებასა და მის რეალურ აღსრულებას შორის“ კიდევ უფრო ცხადი გახადა, რაც უშუალოდ დამსახურებაა ცნობილი ქართველი მეცენატისა და ბიზნესმენის, სახელმწიფო მოღვაწის ბიძინა ივანიშვილის მამულიშვილური ღვაწიერებისა. მისი პოლიტიკაში და სახელმწიფოს სათავეში მოსვლით „აგრესიული თვითნებური სახელმწიფოებრივი მმართველობისა და ტრადიციების ნგრევადი ხანა“ ყავლგასული პრეზიდენტის მ. სააკაშვილის მეთაურობით წარსულს ჩაშბარდა, ქვეყანა, მართალია, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც თავისი ბუნებრივი განვითარების კალაპოტში დგება.

გ. მაისაშვილის სარეცენზიო წიგნი საინტერესოა ყველა განათლებისა და ასაკის მკითხველისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის, სტუდენტებისათვის, მეტადრე მათთვის, ვისაც ქართული სახელმწიფოს შენებაში აქტიურად ჩართვა სურს და ქვეყნის მმართველობის პოლიტიკური და ეკონომიკური მართვა აინტერესებს.

როზეტა ასათიანი, სტუ-ს პროფესორი, რომელსაც საქართველო, ეკონომიკური და სამეცნიერო-პოლიტიკური საზოგადოება იცნობს როგორც აღიარებულ სპეციალისტს, დიდებულ მეცნიერს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, მრავალი მონოგრაფიისა და წიგნის ავტორს, არაერთი აკადემიის აკადემიკოსს. მისი კვლევის სფერო მაკროეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ფართო წრე გახლავთ, სადაც განხილულია ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხები, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა, საბაზრო სისტემის ფუნქციონირება უცხოური გამოცდილების ფონზე, ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის გადასვლის პროცესუალური გზები.

ქალბატონმა რ. ასათიანმა 2014 წელს გამოსცა მონოგრაფია „საით მიდის საქართველო? (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი), რომლის რედაქტორი გახლავთ აკად. ვ. პაპავა, თსუ-ს რექტორი, რეცენზენტები კი ცნობილი ეკონომისტები: ნოდარ ჭითანავა, იოსებ არჩვაძე, ჯემალ კახნიაშვილი.

ეს 355-გვერდიანი წიგნი მონოგრაფიულად განიხილავს საქართველოში მიმდინარე ახალი ეპოქის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოვლენებს, სიახლის დანერგვის გზებს, ბიზნესგარემოში არსებულ სიძნელეებს, 1991-2012 წლებში განვითარებულ მოვლენებსა და პროცესებს, კერძოდ, მკვლევარი იკვლევს ორ ისტორიულ მოვლენას – საქართველოს დამოუკიდებლობის აღგენასა და „საბჭოთა სოციალიზმის“ კონვერსიის საფუძველზე არსებული საბაზრო ეკონომიკის შინაგან ინაალმდეგობებს, გარდამავალი პერიოდის წინმსწრებ, წინმხვედრ ან თანამდევ სირთულეებს, ქვეყანაში მიმდინარე განვლილ-

დაძლეული ან დასაძლევი პრობლემების ნიუანსებს. შესაბამისად, ავტორს, სათანადო სტატისტიკური მასალებისა და სხვა ფაქტობრივი მონაცემებით გამოაქვს სათანადო დასკვნები, ხარვეზების საჩვენებლად და გადასალახად იძლევა საჭირო რეკომენდაციებს, რაც პოსტსაბჭოური ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ყოფას ჯერ კიდევ თან ახლავს.

როგორც წიგნის რედაქტორი, პროფ. ვ. პაპავა აღნიშნავს, ქალბატონი როზეტა ასათიანი კეინზის მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიის მხარდამჭერია, ასეც რომ, ამ თეორიის „ქურაში“ ქართველ მკვლევარს გატარებული აქვს დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შეფასებითი ხედვა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“.

რ. ასათიანი წიგნი გამოირჩევა იმ სიახლითაც, რომ მას ახლავს არა ამარტო რედაქტორის შეფასებითი ხასიათის რეცენზია-წინასიტყვაობა, არამედ ორივე რეცენზენტის – ნ. ჭითანავასა და ი. არჩვაძის სამეცნიერო-სარეცენზიო და საექსპერტო დასკვნაც. რ. ასათიანი წიგნის წინათქმასა და შესავალშივე გამულავნებული მიზნისა და ამოცანების შემდგომ, წარმოდგენილი თორმეტი თავის მიხედვით, თანამიმდევრობით განიხილავს უახლესი საქართველოს, XX საუკუნის მიწურულის, ეკონომიკას, მის თავისებურებებსა და კანონზომიერებებს, ეტაპებს, ინსტიტუციურ რეფორმებს, ეკონომიკის კონვერსიის სტრატეგიას, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემისა და ფისკალური პოლიტიკის ავკარგს, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციურ ეფექტს საქართველოში მიმდინარე გარდამავალ ეკონომიკაში, ასევე კონცეპტუალურად, მენარმეობის ახალი ტიპის ფორმირებას, მის შუქ-ჩრდილებს, ეკონომიკურ ზრდას, გლობალიზაციის ეპოქალურ პროცესს, საქართველოს წინაშე ახალ-ახალ გამოწვევებს, კონკურენციასა და კონკურენტუნარიანობას, მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ეტაპებს და საქართველოში მიმდინარე ზოგად-ნიუანსობრივ და ეკონომიკურ პოლიტიკას.

ასე რომ, პროფ. რ. ასათიანის წიგნი „საით მიდის საქართველო?“, განკუთვნილია ყველასათვის – როგორც აკადემიური პერსონალისათვის და სტუდენტებისათვის, ისე სახელმწიფო მოხელეებისათვის, ნებისმიერი მკითხველისათვის, ვისაც ახლა და სამომავლოდ საქართველოს ბედი, როლი და ადგილი აინტერესებს მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში.

და ბოლოს საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ერთ წიგნზე, რომელიც შარშან, 2013 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა. ეს გახლავთ სტუ-ს სრული პროფესორის, გამოცდილი ექსპერტის, ცნობილი სპეციალისტის, პუბლიცისტისა და მეცნიერის კოკა (იამა) კუტუბიძის წიგნი „კაცობრიობის მომავალი გლობალიზებულ სამყაროში (ტენდენციები და პერსპექტივები), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013 გვ. 3-186.

იგი საანალიზოდ ბოლოს მოვიტოვეთ, რადგან მკვლევარი სცდება ქართულ ლოკალურ სოციალურ-პოლიტიკურ რეალიებს, პრობლემებს მხოლოდ საკუთრივ ქართული სინამდვილის კუთხით კი არ ეხება, არამედ კაცობრიობის მომავალს თანამედროვე გლობალიზაციურ სამყაროში საკუთარი და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით განიხილავს. ხუთი თავისაგან შემდგარი ნაშრომი (რედაქტორი: პროფ. ირაკლი კალანდია, რეცენზენტი-პროფესორები: კახა ქეცბაია და არსენ ბესაჯალიანი) გლობალიზაციის პერსპექტივების ფონზე წარმოაჩენს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზეგავლენას კულტურაზე, რაშიც გამორჩეული ადგილი პიროვნების ეგზისტენციალურ ყოფას, ზნეობისა და პიროვნების ურთიერთობის გარკვევას ეთმობა. აქვე განხილულია ცივილიზაციისა და კულტურის პროგნოზის ურთიერთობის პრობლემა, წინა პლანზე წამოწეულია ის ფასეულობები და ღირებულებები, რომელთა დანერგვა-გასიგრძელება პიროვნულ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოთაშორისო კონტაქტებს მნიშვნელოვან ხელს უწყობს, სამაგიეროდ, იმავდროულად, გლობალიზაციის მიღებას და მისი ნეგატიურ გამოვლინებას ნეიტრალურს გახდის.

ავტორის გასაკუთრებული აქცენტები გამახვილებულია თანამედროვე სამყაროს ხატზე, სადაც მნიშვნელოვანი გლობალური თუ ლოკალური ტრანსფორმაციების შეხლა-შემოხლისას ცვლილებას განიცდის ადამიანური ყოფა, ცხოვრების რიტმი, ზოგ შემთხვევაში თანაცხოვრების მანკიერობა კოჰაბიტაციური რეჟიმის სახით, რაც, სამწუხაროდ, არაიშვიათად არღვევს ჩვენი ცხოვრების სტაბილურობას, ხელს უწყობს დაძულობის გამწვავებას, აუფერულებს სულიერ სამყაროს, ახშირებს და ინტენსიურს ხდის სასოწარკვეთის მომენტებს, კონფლიქტურ სიტუაციებს, ზრდის საზოგადოების ამა თუ იმ ფენის აგრესიას და აგრესიულობას. კ. კუტუბიდის დასკვნით, ასეთ პირობებში აუცილებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა რეკომენდაციების გათვალისწინება, სახელმწიფოებრივ დონეზე გლობალიზაციის პროცესის თანმხლები ნეგატიური ტენდენციების განეიტრალება-შენელება, გონივრული და ოპტიმალური მართვის დანერგვა-რეგულირება, რათა საზოგადოების განვითარება სასურველ კალაპოტში ჩადგეს, საწინააღმდეგო შემთხვევაში ადამიანთა მოდგმა, მთელი კაცობრიობა და მათი მომავალი შეაძლოა დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. მონოგრაფიის დასასრულს მკვლევარი გვთავაზობს სათანადო წინადადებებსა და რეკომენდაციებსაც. ასე რომ, წარმოდგენილ ნაშრომს როგორ თეორიული, ისე დიდი პრაქტიკული ღირებულება და დანიშნულება აქვს.

მართალია, წიგნი, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, ძირითადად სტუდენტებისათვისაა განკუთვნილი, მაგრამ, ჩვენი აზრით, მას უფრო დიდი მისია აკისრია – წიგნი თანაბრად დააინტერესებს ყველას, ვისაც საკუთარი თავი, ჰუმანურობა, სულიერება თუ მშობლიური ქვეყანა გლობალიზაციურ


პირობებში წარმოუდგენია, ვისაც არაერთხელ გასჩენია სურვილი ქვეყნისა და საზოგადოების, პიოვნებისა და კოლექტივის უკეთ ურთიერთობისა, და არა მხოლოდ რიტორიკული თუ პოლიტიკურ-სიციოლოგიური კითხვებიც – ვინ ვართ, რას ვქმნით, და საით მივდივართ, არამედ დროდადრო ამ კითხვებზე სათანადოდ გაცემული პასუხებიც ჰქონია.

პროფ. კ. კუტუბიდის დამოკიდებულება გლობალიზაციის მიმართ ასეთია: გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის ჩაერთვა გარდაუვალია, თუმცა დროის თვალსაზრისით იგი შედარებით უფრო დაშორებულია. მიუხედავად ამისა, დღეისათვის უნდა შემუშავდეს ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში ქვეყნის ჩართვის მექანიზმები და პირობები, რაც შეიძლება ნაკლები ეროვნული და იდენტური დანაკარგებით, და ბოლოს, რაც მთავარია, უნდა შეიქმნას სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ეროვნული კულტურის, ენისა და ტრადიციების დაცვის ქმედით სისტემას შეიმუშავებს (გვ. 192). მისივე თქმით. წინ უნდა აღვუდგეთ „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების“ ნიღბით შემოსულ ფსევდოღირებულებებს სუბკულტურის, მასკულტურისა და სხვათა სახით, რომლებიც ეროვნული ინდივიდუალობის მოსპობისაკენაა მიმართული და დამლუპველია თვითონ კაცობრიობისათვის.

ჩვენი, როგორც რეცენზენტის, საერთო დასკვნით, სამივე ავტორის სამივე წიგნი დანერგულია თანამედროვე ქართველი მკითხველის, გულის, ყურის, თვალისა და გონების გასახედნად, რათა უკეთ ვიცხოვროთ, პიროვნული, კაცობრიული, სახელმწიფოებრივი, ეროვნული და ზოგადეროვნული ცნობიერება, ხედვა და მსოფლხედვა გამოვიმუშავოთ და მემკვიდრეობითობა შევინარჩუნოთ ისე, როგორც ეს ეკადრება ჩვენს დიდებულ წინაპრებსა და ქართველოლოგიურ-ჰუმანისტურ-მართლმადიდებლურ წარსულს.

პროფესორ ირინა გუროვას მსოფლიო ეკონომიკა ქართულ ენაზე გამოცემა (რეზიუმე)

ლოიდ ქარჩავა, აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ნუგზარ ბაბუაძე, აკადემიური დოქტორი, პროფესორი



“მსოფლიო ეკონომიკა” მნიშვნელოვანი სასწავლო დისციპლინაა, რომელიც საქართველოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება. აღნიშნულ საგანში, განსაკუთრებით ქართულ ენაზე წიგნის გამოცემა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამიტომ, მისასალმებელია ცნობილი ავტორის, პროფესორ ირინა გუროვას ორიგინალური წიგნის “მსოფლიო ეკონომიკის” ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა.

ჩვენი მიზანი არაა წიგნის დანვრის მიზნით მიმოხილვა, მაგრამ დაინტერესებულ მკითხველს მასზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად აღვნიშნავთ, რომ წიგნის წერისას პროფესორი ი. გუროვა მთლიანად ეფუძნება გაეროს შესაბამისი ორგანიზაციების, სსფ-ს მსოფლიო ბანკის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის და მრავალი სხვა ორგანიზაციების ანგარიშებსა და მოხსენებებს.

სახელმძღვანელოში შესწავლილია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა: მსოფლიო მეურნეობის რთული ბუნება, მისი რესურსები, მათი გამოყენება ეკონომიკური საქმიანობის პროცესში, კვლავწარმოების მექანიზმები, აგრეთვე ის პროცესები, რომლებიც იწვევს მსოფლიო ეკონომიკის მთლიანობის ზრდას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რუსეთის, როგორც მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილის, პრობლემებს.

სახელმძღვანელო შედგება სამი კარისგან. I კარში შესწავლილია მსოფლიო მეურნეობის ბუნება, სტრუქტურა, მისი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, აგრეთვე ძირითადი კანონზომიერებები და ტენდენციები, ისეთები, როგორებიცაა: ინტეგრაცია და გლობალიზაცია. II კარში განხილულია მსოფლიო მეურნეობის სხვადასხვა რესურსი: ბუნებრივი, ადამიანური, კაპიტალის და ინფორმაციული. III კარი ეძღვნება მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურის შესწავლას, მისი კვლავწარმოების პრობლემებს, ციკლურობის ბუნებას, ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას, სტრუქტურულ ცვლილებებს, სოციალურ განვითარებას.

სახელმძღვანელოს თავისებურება ისაა, რომ მასში დიდი ყურადღება ეთმობა მსოფლიო მეურნეობის რაოდენობრივ გაზომვას. მდიდარი და მრავალფეროვანი სტატისტიკური მასალა, ამოღებული საერთაშორისო ორგანიზაციების ისეთი რეგულარული პუბლიკაციებიდან, როგორებიცაა: „მსოფლიო ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები“ (მსოფლიო ბანკი), „საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა“ (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), „მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები“ (საერთაშორისო სავალუტო ფონდი), „გაერო-ს ვაჭრობის და განვითარების კონფერენციის სტატისტიკური ცნობარი“, წარმოდგენილია ცხრილების სახით. სახელმძღვანელოში შესწავლილია მაჩვენებლები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ესენია: გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის კოეფიციენტი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ინტენსიურობა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მაჩვენებლები და მისი ინტეგრირებულობა, მსოფლიო ბაზარში, ექსპორტის კონცენტრაციის კოეფიციენტი, ინტეგრაციის მაჩვენებლები გლობალურ ეკონომიკაში და სხვ.

ყოველი თავი შეიცავს პრაქტიკულ დავალებებს, რომლებიც მიმართულია სტატისტიკური მონაცემების დამოუკიდებელი გალრმავებული შესწავლისკენ. დამოუკიდებლად მუშაობის დროს სტუდენტს აგრეთვე დაეხმარება ვრცელი ბიბლიოგრაფიული სია;სიაში მითითებებია იმ საერთაშორისო ორგანიზაციების რეგულარულ გამოცემებზე, რომლებიც ახორციელებდნენ მსოფლიო ეკონომიკის მონიტორინგს და კვლევას. სახელმძღვანელოს მეთოდური კომპლექსი შედგება სასწავლო და საინფორმაციო მასალებისგან.

სასწავლო ბლოკის მიზანია, სტუდენტებს სასწავლო-მეთოდური დახმარება გაუწიოს დამოუკიდებელი სამუშაოს ორგანიზაციაში. ის მოიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს საკურსო ნაშრომების დასაწერად მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ასევე – მეთოდურ რეკომენდაციებს სახელმძღვანელოში მოყვანილი სასწავლო დავალებების შესასრულებლად.

საინფორმაციო ბლოკის დანიშნულება კი ისაა, რომ უზრუნველყოს სტუდენტები საინფორმაციო მასალებით დამოუკიდებელი სამუშაოსთვის. ის მოიცავს სტატისტიკას, რომელიც წარმოდგენილია ცხრილებსა და დანართებში, აგრეთვე ლიტერა-

ტურის გაფართოებულ სიას მსოფლიო ეკონომიკის პრობლემების შესახებ.

არ შეიძლება გვერდი აუაროთ ჩვენი ქვეყნისადმი-ავტორის კეთილგანწყობას და თბილ დამოკიდებულებას. სახელმძღვანელოში იგი ქართველ მკითხველს მიმართავს:

“ძვირფასო ქართველო მკითხველო!

მე დავიბადე ბელარუსში, გავიზარდე უკრაინაში, უმაღლესი განათლება მივიღე რუსეთში იმ დროს, როდესაც მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არსებობდა და ძლევამოსილი სახელმწიფო, რომელიც მრავალ ერს აერთიანებდა. მას შემდეგ პოლიტიკასა და ეკონომიკაში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ჩემთვის მარად ძვირფასად და მახლობლად რჩება შოთა რუსთაველის ბრძნული პოეზია, მზიური ქალაქი თბილისი და ქართული სიმღერის მრავალხმიანობა. ვიმედოვნებ, რომ რუსეთში დაწერილი “მსოფლიო ეკონომიკის” სახელმძღვანელო, საქართველოში თავის მკითხველს იპოვის. გამოეხატავ ჩემს ღრმა პატივისცემას და მადლიერებას პროფესორ შოთა ვეშაპიძისადმი, სახელმძღვანელოს რუსულიდან ქართულ ენაზე გადასათარგმნად განეული ფასდაუდებელი შრომისათვის.

პატივისცემით, ირინა გუროვა”

ბოლოს კი აღვნიშნავთ იმათ შესახებაც, ვინც ითავებს და პროფესორ ირინა გუროვას წიგნი ქართულ ენაზე გამოსცეს:

მთარგმნელი და მთავარი რედაქტორი: შოთა ვეშაპიძე – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო: აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე(თავმჯდომარე); მეცნიერებათა დოქტორები: თეიმურაზ შენგელია, პაატა კოლუაშვილი.ეკონომიკის დოქტორები:თამარ ათანელიშვილი, ამბროსი გრიშკაშვილი, ციური დურული, თამაზ ზუბიაშვილი, გიორგი ნანუაშვილინინო ორჯონიკიძე, დალი სეხნიაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე),ალექსანდრე სიჭინავა,რუსუდან ქუთათელაძე, ჯემალ ხარიტონაშვილი.

დარწმუნებული ვართ, რომ წიგნი მოწონებას დაიმსახურებს და სარგებლობას მოუტანს ქართველ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, სწრაფად გლობალიზებადი თანამედროვე მსოფლიოს თეორიული ეკონომიკური პრობლემების გაცნობები-სა და მისი გადაჭრის გზაზე.

სარედაქციო მოთხოვნები:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედეგებს ბიზნესსა და ინჟინერიის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

- ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები;
- ბიზნეს-პროცესების მართვის ტექნოლოგიები;
- საინჟინრო-საკონსულტაციო საქმიანობის ეკონომიკური შეფასებები;
- ბიზნესის განვითარების მიზნები და მიმართულებები;
- ბიზნეს-ინჟინერინგი: ენერგეტიკაში, ინფორმატიკაში, ქიმიაში და მეტალურგიაში, ფარმაციაში, მშენებლობაში, ტრანსპორტში, არქიტექტურასა და დიზაინში, სამთო გეოლოგიაში, ნანოტექნოლოგიებსა და ჰიდროტექნიკაში;
- ინოვაციები და ინვესტიციები;
- საინჟინრო საქმიანობის სამართლებრივ-საექსპერტო და სოციალური ასპექტები;
- სამართალი და პოლიტიკა;
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედაქლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიების მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

- სტატიის მოცულობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 15 გვერდისა.

სტატიას თან უნდა დაერთოს:

- რეზიუმე ქართულ და უცხოურ ენაზე — ტექსტის დასაწყისში (რეზიუმე უნდა შეიცავდეს არანაკლებ 100-150 სიტყვას), გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა — ტექსტის ბოლოს.
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი □□AcadNusx,
- ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman.
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.
- სტატიის თავში მოათავსეთ შემდეგი ინფორმაცია: ავტორის (თანაავტორის) სახელი, გვარი, აკადემიური წოდება, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი.
- ნახაზები, გრაფიკები, სქემები და ა.შ. – ფორმატში TIFF 300 dpi; 600 dpi, ფორმულები უნდა აიკრიფოს
- Microsoft Equation 2.0 (2.1.).